

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვალერია ლობჯანიძე

პერსონალური დეიქსისი და მხატვრული ნარატივის
კომუნიკაციურ-პრაგმატიკული სტრუქტურა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

გერმანიკული და რომანული ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გურამ ლებანიძე

ქუთაისი

2013

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის თემა, პრობლემა და მიზანი

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის *თემას* წარმოადგენს *პერსონალური დეიქსისი*, ანუ დეიქსისის ის სახეობა თუ ტიპი, რომელიც თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენის განხილვისას სახელდება როგორც „*როლური*“ დეიქსისი. როგორც ვხედავთ, გვიხდება საკვლევი *თემის* ორგვარი დასახელება, რაც მის შინაგან პრობლემურობაზე მეტყველებს. საქმე ეხება იმ მიმართებას, რომელიც უნდა არსებობდეს, ერთი მხრივ, „*როლურ*“, მეორე მხრივ კი, „*პერსონალურ*“ დეიქსისის შორის. როგორ უნდა იქნეს გაგებული ეს მიმართება და, რამდენად წარმოადგენს იგი პრობლემას თანამედროვე ლინგვისტური აზროვნებისთვის? ეს ის კითხვაა, რომელზეც პასუხი ერთდროულად წარმოგვიდგება როგორც, ერთის მხრივ, *პრობლემაზე* უშუალოდ მითითება და, ამავე დროს, როგორც მისი *აქტუალობის* წარმოჩენაც.

ზოგადად დეიქსისის, პირველ რიგში კი, როგორც ითქვა ჩვენ მიერ „*პერსონალურად*“ წოდებული დეიქსისის სრულიად განსაკუთრებულ პრობლემურობას „*ბადებს*“ ამ ენობრივ ფენომენტთან უშუალოდ დაკავშირებული *სიტუაცია*. გამოვყოფთ ხსენებული სიტუაციის შემდეგ ასპექტებს:

ა) დეიქსისის, როგორც ფენომენის, სტატუსი მკვეთრად განსხვავდება სხვა ენობრივი ფენომენტების სტატუსისგან, რაც აიხსნება შემდეგი გარემოებით: როგორც არაერთხელ ყოფილა ხაზგასმული თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში, დეიქსისი წარმოადგენს მთელი ენობრივი სინამდვილის იმ სეგმენტს, რომელიც საფუძვლად უდევს ნებისმიერ საკომუნიკაციო აქტს და რომლის გარეშე ეს აქტი შეუძლებელი იქნებოდა. იმის დასასაბუთებლად საკმარისია მივუთითოთ შემდეგ ფაქტზე: ერთ-ერთ უახლეს მონოგრაფიაში, რომელიც ეკუთვნის ცნობილ სემიოტიკოსს ბ. უსპენსკის, რომელშიც განხილულია ვერბალური კომუნიკაციის სივრცითი სტრუქტურა, საკომუნიკაციო აქტის „*სივრცე*“ როგორც მისი გენეზისის, ისე ფუნქციონირებისა და სტრუქტურის თვალსაზრისით, ის უშუალოდ უკავშირდება დეიქსისის ფენომენტს (მონოგრაფიის პირველი თავი სწორედ ასეა დასათაურებული: „*დეიქსისი და კომუნიკაცია*“ (უსპენსკი 2007:5).

ნაშრომის პირველ თავში, რა თქმა უნდა, საფუძვლიანად მოგვიხდება იმაზე მსჯელობა, თუ რაში მდგომარეობს დეიქსისის, კერძოდ, როლურ/პერსონალურ დეიქსისის ფუძემდებელი როლი ვერბალური კომუნიკაციის პროცესში, ამ ეტაპზე კი, ვფიქრობთ, საკმარისია ზოგადი სახით ხსენებულ როლზე მითითებაც. მაგრამ იმისთვის, რომ გასაგები გახდეს ჩვენი საკვლევი ობიექტის (როლურ/პერსონალური დეიქსისის) როგორც პრობლემის აქტუალურობა არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ზოგად ჰუმანიტარული თვალსაზრისითაც, მივუთითოთ შემდეგ *ორ ფაქტზე* როგორც საკუთრივ ლინგვისტური აზროვნების ისე, მხატვრული შემოქმედების თანამედროვე თეორიული გააზრების ფარგლებში: ა) პირველი ფაქტი მდგომარეობს იმაში, რომ ლინგვისტიკისთვის ფუძემდებელი ისეთი ცნება, როგორიცაა *ენობრივი სუბიექტის* ცნება, სულ უფრო და უფრო იძენს *პერსონალისტურ*, ანუ პიროვნების (Persona-ს) იდეასა და ცნებასთან დაკავშირებულ შინაარსს. როგორც ი. კარაულოვი აღნიშნავს, „ენობრივი პიროვნება არის სწორედ ის გამჭოლი იდეა, რომელიც... საფუძვლად ედება ენის ყოველი ასპექტის კვლევას და ერთდროულად ხსნის საზღვრებს ადამიანის შემსწავლელ დისციპლინათა შორის“ (კარაულოვი 1987:3); მეორე ფაქტი კი, რომელიც, ჩვენი აზრით, სიღრმისეულად უკავშირდება პირველს, მდგომარეობს იმაში, რომ მხატვრული შემოქმედების თეორიული გააზრების თვალსაზრისით, დღეისთვის დომინირებს ამ შემოქმედების *კომუნიკაციური გაგება*: ენის, როგორც ფენომენის, ხედვისა და კვლევის კომუნიკაციური პარადიგმა, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე ლინგვისტიკა, დომინანტურ სტატუსს იძენს ლიტერატურათმცოდნეობით სფეროშიც და, შესაბამისად, „ფორმდება“, როგორც *თანამედროვე ნარატოლოგია* - ანუ ის დისციპლინა, რომლის ძირითად პრინციპს წარმოადგენს, სწორედ „ლიტერატურის ბუნების კომუნიკაციური გაგება“ (იქვე). იმის გასაგებად, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მთელი ჰუმანიტარული აზროვნებისთვის დამახასიათებელ ერთიან პარადიგმულ პროცესთან, საკმარისია იმაზე მითითებაც, თუ როგორ არის ამ შემთხვევაში გაგებული ლიტერატურის ზემოთ ხსენებული კომუნიკაციური ბუნება: „1) ლიტერატურა გულისხმობს კომუნიკაციურ ჯაჭვს, რომლის სტრუქტურა გულისხმობს იმას ვინც აგზავნის ინფორმაციას, (ანუ შეტყობინებას

(კომუნიკატს)) ე.ი. ლიტერატურული ნაწარმოების ავტორს; თვით კომუნიკატს (ამ შემთხვევაში ლიტერატურულ ტექსტს); და შეტყობინების მიმღებს (მკითხველს). 2) კომუნიკატს აქვს ნიშნობრივი ხასიათი, რაც მოითხოვს ტექსტის ტექსტობრივ ნიშანთა ავტორის მიერ წინასწარ კოდირებას (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი 1990:609).

რა თქმა უნდა, ნაშრომის ძირითად ნაწილში მოგვიხდება ნარატოლოგიის პრინციპებზე საფუძვლიანი მსჯელობაც, მაგრამ მოცემულ ეტაპზე, საკმარისი უნდა იყოს, ალბათ, იმის ხაზგასმაც, რომ ლიტერატურა, როგორც კომუნიკაციური ფენომენი, შეუძლებელი იქნებოდა ზემოთ მითითებული კომუნიკაციური სივრცის გარეშე, თავად ეს სივრცე კი, როგორც ვიცით, შეუძლებელი იქნებოდა ზოგადად დეიქსისისა, კერძოდ კი, და პირველ რიგში, როლურ/პერსონალური დეიქსისის გარეშე. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ არცთუ ისე ძნელია ვიგულისხმოთ დეიქსისის, როგორც სტრუქტურული კონსტანტის არსებობა ნებისმიერ კომუნიკაციურ პროცესში, რადგან სხვანაირად ვერ ვილაპარაკებდით როგორც ადრესანტ-ავტორზე, ისე ადრესატ-მკითხველზე. მაგრამ ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნას გაგებული ნარატოლოგიურად აღქმული დეიქსისი ლინგვისტურად აღქმული დეიქსისისგან განსხვავებით? როგორც ზემოთ იქნა ნათქვამი, უკვე ლინგვისტიკის ფარგლებში ადგილი აქვს როლური დეიქსისის, როგორც კონცეპტის, *პერსონალიზაციას*. კვლავ გაუსვამთ ხაზს დეიქსისის, როგორც კომუნიკაციის სტრუქტურული კონსტანტის როლს და მნიშვნელობას, მაშინ აუცილებელი იქნება გავცეთ პასუხი კითხვაზე: რა შინაგან ტრანსფორმაციას განიცდის როლურ/პერსონალური დეიქსისი იმ შემთხვევაში, როცა ხდება მისი ტრანსპოზიცია *მხატვრულ-ესთეტიკურ სფეროში*?

მოცემული პარაგრაფის წინა აბზაცებში განსაზღვრულ იქნა ჩვენი *კვლევის თემა*: როლურ/პერსონალური დეიქსისის როლი, ადგილი და ფუნქცია მხატვრული ვერბალური ნარატივის ფარგლებში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ თემის ამგვარი განსაზღვრიდან უშუალოდ გამომდინარეობს ჩვენი საკვლევი *პრობლემის არსი*: პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ კომუნიკაციურად, ანუ ნარატოლოგიურად, აღქმული ვერბალური ნარატივის სტრუქტურაში დანახული და ინტერდისციპლინარულად ინტერპრეტირებულ უნდა იქნეს ამ სტრუქტურის

ენობრივ-ვერბალური განზომილება, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ მისი ენობრივი სუბსტრატი.

მაგრამ ამავე დროს უნდა ითქვას ისიც, რომ სწორედ ნარატოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელი ხდება ამგვარად ფორმულირებული პრობლემის შემდეგნაირი დაკონკრეტება: როგორც ცნობილია, თანამედროვე ნარატოლოგია (რომლის შესახებ უფრო საფუძვლიანად მოგვიხდება მსჯელობა პირველ თავში) მოიცავს ორ ძირითად პრობლემურ სფეროს – 1. „პერსპექტივოლოგიას“ (ნარატივის კომუნიკაციური სტრუქტურა, თხრობითი ინსტანციები, თვალსაზრისი, ნარატორისა და პერსონაჟის ტექსტთა ურთიერთმიმართება) და 2. სიუჟეტოლოგიას (ნარატიული ტრანსფორმაციები, დროით მიმართებათა როლი ნარატიულ ტექსტში) (შმიდი 1987:9).

სწორედ ნარატოლოგიის, როგორც დისციპლინის, ამგვარი შინაარსობრივი სტრუქტურა გვაძლევს, სწორედ, იმის საშუალებას, რომ ადეკვატურად დავაკონკრეტოთ ჩვენი საკვლევი პრობლემა: გვსურს შევისწავლოთ როლურ/პერსონალური დეიქსისის როლი და ადგილი მხატვრული ვერბალური ნარატივის *პერსპექტივოლოგიურ* განზომილებაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, საკვლევი პრობლემის ამგვარად დაკონკრეტებული ფორმულირებაც მოითხოვს შემდგომ განმარტებას ორი თვალსაზრისით: პირველი თვალსაზრისი გულისხმობს, რომ უნდა გაიცეს პასუხი შემდეგ კითხვაზე: 1) როგორ უნდა განისაზღვროს იმ კონკრეტულ კვლევით ამოცანათა კომპლექსი, რომელთა გადაჭრაც მოგვიხდება ამგვარად ფორმულირებული პრობლემის კვლევისას და 2) როგორი უნდა იყოს ამგვარად ფორმულირებული პრობლემის კვლევის *მეთოდოლოგიური* საფუძველი? შევეცადოთ თანმიმდევრულად გავცეთ პასუხი ორივე ამ კითხვას.

საკვლევი თემის აქტუალურობა

ვფიქრობთ, საკვლევი პრობლემის განსაზღვრიდან უკვე გასაგები ხდება მისი *აქტუალურობაც*: იქიდან გამომდინარე, რომ დეიქსისი შეიძლება მივიჩნიოთ ენის როგორც ფენომენის ცენტრალურ სტრუქტურულ მომენტად, მისი ინტერდისციპლინარული კვლევა უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ თანამედროვე ლინგვოსემიოტიკის, არამედ მთელი სემიოტიკურად

ორიენტირებული ჰუმანიტარული აზროვნების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას. დეიქსისის პრობლემის ამ ზოგადი აქტუალობის ფონზე აუცილებლად მიგვაჩნია გამოვყოთ იმ კონკრეტულ კვლევით ამოცანათა ერთობლიობა, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება *პერსონალური დეიქსისის პრობლემას* – თუ, რა თქმა უნდა, ამ პრობლემას გავიაზრებთ ერთდროულად ლინგვოსემიოტიკური, ნარატოლოგიური და ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით. ეს ამოცანებია:

ა) მიუხედავად იმისა, რომ პერსონალურ დეიქსისს ვიკვლევთ ინტერდისციპლინარულად, ანუ ნარატოლოგიურად და ლინგვოკულტუროლოგიურად, უნდა ვალიაროთ, რომ დეიქსისის ხსენებული სახეობა, ანუ როლური/პერსონალური დეიქსისი, ჯერ კიდევ არ არის თეორიულად ბოლომდე გააზრებული თვით ლინგვოსემიოტიკის - სემიოტიკურად ორიენტირებული ლინგვისტიკის ფარგლებში. ყველა იმ შემთხვევაში, როცა ზოგადად მსჯელობენ დეიქსისზე, გამოყოფენ – როგორც უკვე ვიცით – მის სამ სახეობას და იძლევიან მათს დეფინიციას. მაგრამ, როგორია მიმართებათა ის კომპლექსი, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან დეიქსისის როლურ, ლოკალურ და ტემპორალურ სახეობებს, დეიქსისის, როგორც შინაგანად ერთიანი ფენომენის ფარგლებში? ვფიქრობთ, ამ კითხვის დასმა აუცილებელი ხდება ორი შემდეგი ერთნაირად მნიშვნელოვანი მოსაზრების გამო: 1) როგორც ცნობილია, დისკურსის თანამედროვე თეორია ხაზს უსვამს ამ ვერბალური ფენომენის ფარგლებში, *ინტერსუბიექტურობისა და ინტერაქციულობის პრინციპებს*, როლური/პერსონალური დეიქსისის ცნების ფორმირება კი ხდებოდა თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების იმ ეტაპზე, როცა ჯერ კიდევ არ დომინირებდა ამ აზროვნების ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმა და, შესაბამისად, არ იყო ფორმულირებული ზემოთ დასახელებული პრინციპები. მაგრამ როგორ უნდა იქნას გაგებული როლურ/პერსონალური დეიქსისი იმ შემთხვევაში, თუ ენობრივი სუბიექტის სტატუსი მიეწერება დისკურსის ორივე მონაწილეს – როგორც ადრესანტს, ისე ადრესატს? ეს ის კითხვაა, რომელზეც უნდა გაიცეს პასუხი და ეს პასუხი უნდა იქნას ფორმულირებული არა მხოლოდ დისკურსის, არამედ თავად დეიქსისის თეორიის გათვალისწინებით; 2) ამავე დროს ვიცით ისიც, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში "ძალას იკრეფს" ენის, როგორც

სისტემისა და როგორც დისკურსის, ხედვის პერსონალისტური პარადიგმა, რომლის ფონზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინტერსუბიექტურობის პრინციპის გათვალისწინებით დეიქსისის "შიგნით" მიმართებათა დადგენა. ვფიქრობთ, რომ არა მხოლოდ საკუთრივ ლინგვოსემიოტიკური, არამედ ინტერდისციპლინარული თვალსაზრისითაც, აუცილებელი უნდა იყოს ზემოთ ფორმულირებული პრობლემის დასმა და გადაჭრა. ხომ არ უნდა იქნას გაგებული როლურ/პერსონალური დეიქსისი როგორც *მეტაკატეგორია* ლოკალურ და ტემპერალურ სახეობათა მიმართ? და თუ ამ კითხვას დადებითად ვუპასუხებთ მაშინ, ბუნებრივია, დაისმის კითხვა იმის თაობაზეც, თუ როგორ ხდება როლურ/პერსონალური დეიქსისის ამ მეტაკატეგორიულობის ტრანსპოზიცია მხატვრულ ვერბალურ სინამდვილეში?

მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, რომ ჩვენი საკვლევო პრობლემის აქტუალურობა უნდა დაუკავშირდეს მხატვრული (კერძოდ ნარატიული) ტექსტის ხედვისა და კვლევის იმ პარადიგმას, რომელსაც ზოგადად შეიძლება ეწოდოს კომუნიკაციურ-სემიოტიკური პარადიგმა. ეს სწორედ ის პარადიგმაა, რომელიც მხატვრულ ტექსტს განიხილავს, როგორც *დისკურსს*, ანუ ისეთ ფენომენს, რომელიც, როგორც ყოველი დისკურსი, შეუძლებელი იქნებოდა მისი ინტერსუბიექტური სტრუქტურის გარეშე. ვ. ტიუპა აღნიშნავს: „მხოლოდ მე-20 საუკუნეში გახდა ცხადი, რომ მხატვრული მთლიანობა (ანუ მხატვრული ტექსტი როგორც მთლიანი) მუდამ მიმართულია მეტად თუ ნაკლებად შორეული უცნობი ადრესატისკენ... სწორედ ამიტომ იგი შეიცავს მკითხველ-ადრესატისათვის განკუთვნილ შინაგან თვალსაზრისს, რომელიც განსაზღვრავს მას როგორც მთლიანს". (ტიუპა 1999:466). მხატვრული ტექსტის და, ზოგადად, მხატვრულობის კომუნიკაციური ხედვა წარმოდგენილია, მაგრამ უფრო კონკრეტიზირებული სახით, ავტორის მონოგრაფიაში „მხატვრულობის ანალიტიკა“, რომელშიც მთელი მხატვრული დისკურსი გააზრებულია, როგორც კომუნიკაციური მოვლენა. ამასთან დაკავშირებით იგი ამბობს: „ნაწარმოები (იგულისხმება მხატვრული ტექსტი – ვ.ლ.) მუდამ შეიცავს კომუნიკაციური ხდომილების სამ ასპექტს: *კრეაციულს* – კომუნიკაციური ინიციატივის სუბიექტი (ავტორი), *რეფერენტულს* – *ინტენციონალური* კომუნიკაციური ობიექტი (გამონათქვამის საგნობრივ-აზრობრივი ასპექტი), *რეცეპციულ* ასპექტს –

ადრესატის აუცილებელი ფიგურა, ანუ ისეთი პირი, რომელიც ხასიათდება კომუნიკაციური კომპეტენტურობის გარკვეული დონით" (ტიუპა 2001:24). მაგრამ ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის მხატვრული ტექსტის კომუნიკაციური ხედვა მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ იგი შინაგანად უკავშირდება მის პერსონალისტურ ხედვას. საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, უკვე ციტირებული ავტორის აზრი იმდენად, რამდენადაც იგი ლაპარაკობს მხატვრული ტექსტისთვის (და ზოგადად მხატვრულობისთვის), დამახასიათებელ ორ კანონზე – „ადრესატისადმი მიმართულობის კანონზე“ და „ინდივიდუაციის“ (შემოქმედებითი ორიგინალურობის კანონი)", რაც იმას ნიშნავს, რომ „ნებისმიერი მხატ. ტექსტი მუდამ წარმოადგენს უნიკალურ მოვლენას" (ტიუპა 1999:466). ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მხატვრული ტექსტის ზემოთ ხაზგასმული ორიგინალურობა გაგებულია *პერსონალისტურად*; "მხატვრული ნაწარმოების ორიგინალურობა არა მხოლოდ ემსახურება მხატვრის ინდივიდუალური პიროვნულობის გამოხატვას, არამედ ამავე დროს ახდენს რეციპიენტის ინდივიდუალურობასთან აპელირებას" (იქვე). კიდევ ერთხელ გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ, როგორც ვრწმუნდებით, თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ფარგლებში მხატვრული ტექსტის (და ზოგადაც მხატვრული ფენომენის) კომუნიკაციური ხედვა შერწყმილია მის პერსონალისტურ ხედვასთან. მაგრამ თუ ამავე დროს გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ *ვერბალური* მხატვრული ტექსტი შეუძლებელია არსებობდეს მისი ენობრივი სუბსტრატის გარეშე, ცხადი გახდება ზოგადად დეიქსისის, პირველ რიგში კი, პერსონალური დეიქსისის მთელი მნიშვნელობა მხატვრული ტექსტის ინტერდისციპლინარული კვლევის თვალსაზრისით.

ზემოთ გვქონდა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ თუ გვექნება მხატვრული ტექსტის, კერძოდ კი მხატვრული ნარატივის ინტერდისციპლინარული ხედვა და კვლევა, აუცილებლად უნდა დაისვას კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება დეიქსისის, როგორც ენობრივი ფენომენის, ტრანსპოზია მხატვრულ-ესთეტიკურ სინამდვილეში და თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დეიქსისი მის მთლიანობაში გამოხატავს სამეტყველო აქტის (დისკურსის) განზომილებათა მთლიანობას (ვინ? სად? როდის?), ცხადი გახდება, რომ მხატვრული ვერბალური ნარატიული ტექსტისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომა უნდა

გულისხმობდეს, პირველ რიგში, შემდეგი კითხვის დასმას: თუ, როგორც ითქვა, დეიქსისი წარმოადგენს დისკურსის, როგორც მთლიანის ლინგვისტურ ინტერპრეტაციას, მაშინ მხატვრულ ნარატიულ სივრცეში ამ ფენომენის ზემოთ ხსენებული ტრანსპოზიცია უნდა დაუკავშირდეს ისეთ ლიტერატურათმცოდნეობით კატეგორიას, რომელიც ასევე ახდენს მხატვრული ვერბალური სინამდვილის მთლიან (ინტეგრალურ) ინტერპრეტაციას. ასეთ კატეგორიას კი, როგორც ცნობილია, ლიტერატურათმცოდნეობაში წარმოადგენს *პოეტიკა*. ნაშრომის პირველ თავში, უფრო საფუძვლიანად გვექნება მსჯელობა ამ ორი კატეგორიის – დეიქსისისა და პოეტიკის – ურთიერთმიმართების შესახებ, მხატვრულ-ვერბალური ნარატივის ინტერდისციპლინარული ხედვისა და კვლევის თვალსაზრისით. მაგრამ შესავალში საკმარისად მიგვაჩნია პოეტიკის ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობითი განსაზღვრა, რომ ცხადი გახდეს ჩვენი საკვლევი პრობლემის აქტუალურობა. მოვიყვანოთ პოეტიკის ეს განსაზღვრა, შემდეგ კი კვლავ გავუსვათ ხაზი დეიქსისისა და პოეტიკის ურთიერთმიმართების კვლევის აქტუალურობას.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით, პოეტიკა გაგებულია „როგორც მეცნიერება ლიტერატურულ ნაწარმოებში გამოყენებულ გამომხატველ საშუალებათა სისტემის შესახებ... ფართო გაგებით პოეტიკა ემთხვევა *ლიტერატურის თეორიას*, უფრო ვიწრო გაგებით კი იგი წარმოადგენს თეორიული პოეტიკის ერთ-ერთ დარგს" (გასპაროვი 2001:786). მაგრამ, ჩვენი კვლევითი მიზნების გათვალისწინებით, საინტერესო უნდა იყოს პოეტიკის ცნების ის შინაარსობრივი დაკონკრეტება, რომელსაც იძლევა ზემოთ ციტირებული ავტორი: „რადგან ლიტერატურის ყველა გამომხატველი საშუალება დაიყვანება საბოლოო ანგარიშში ენაზე, პოეტიკა შეიძლება განსაზღვრულ იქნას, როგორც მეცნიერება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მხატვრული მიზნებისთვის ენობრივ საშუალებათა გამოყენება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, თუ რა მიიჩნევა პოეტიკის მიზნად, მაშინ, ჩვენი აზრით, უფრო ცხადი გახდება ჩვენი საკვლევი პრობლემის აქტუალურობაც: „პოეტიკის მიზანს წარმოადგენს ტექსტის იმ *ელემენტთა გამოყოფა* და სისტემატიზაცია, რომლებიც მონაწილეობენ ნაწარმოების მიერ შექმნილი ესთეტიკური შთაბეჭდილების ფორმირებაში (იქვე).

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილმა ციტატებმა ნათლად დაგვანახეს ჩვენთვის საინტერესო ორი კატეგორიის – დეიქსისის ლინგვისტური და პოეტიკის ლიტერატურათმცოდნეობითი კატეგორიის – ინტერდისციპლინარული კვლევის მნიშვნელობა და აქტუალურობა: თუ ვერბალური მხატვრული ნაწარმოების პოეტიკას გავიგებთ, როგორც მასში გამოყენებულ ენობრივ საშუალებათა სისტემას და, თუ პოეტიკის, როგორც ანალიტიკურად გამოსაყენებელი დისციპლინის მიზანი, ასევე დაუკავშირდება ტექსტის ფარგლებში აქტუალიზებულ ენობრივ საშუალებათა გამოყოფას და სისტემაზაციას, მაშინ გარდუვლად ჩნდება კითხვა: რომელია ის ენობრივი ფენომენი, რომელიც ერთ სტრუქტურულ მთლიანად აქცევს (ანუ ტექსტად) ენობრივ საშუალებათა ერთობლიობას? როგორც უკვე ვიცით, ეს ის ფენომენია, რომლის კონცეპტუალიზაციას ახდენს დეიქსისის ლინგვისტური კატეგორია. აქედან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ შემდეგი: თუ ვლაპარაკობთ ენობრივ საშუალებათა გამოყენებაზე მხატვრულ ტექსტში და, შესაბამისად, ეს გამოყენება უნდა გავიგოთ, როგორც ენობრივ საშუალებათა აქტუალიზაცია, მაშინ ისმის კითხვა: არსებობს თუ არა ისეთი ენობრივი ფენომენი, რომელიც ახდენს ენობრივ საშუალებათა სტრუქტურულ ორგანიზაციას ნებისმიერი დისკურსის ფარგლებში და რომელიც, ამ თვალსაზრისით, უნდა წარმოადგენდეს გარკვეულ შუალედურ რგოლს ყველა იმ შემთხვევაში, როცა ხდება დისკურსის ზოგადი სტრუქტურული სქემის აქტუალიზაცია ანუ თუ იმ ფუნქციური სტილის ფარგლებში.

სხვანაირად რომ ვთქვათ, დეიქსისი გაგებულნი უნდა იქნას, როგორც ამგვარი შუალედური რგოლი, ანუ დისკურსის ის ზოგადსტრუქტურული კონსტანტა, რომლის აქტუალიზაციას და, შესაბამისად, ტრანსფორმაციას ახდენს ესა თუ ის ფუნქციური სტილი. ამგვარად, შეგვიძლია უკვე პოეტიკისა და დეიქსისის ურთიერთმიმართების კონტექსტზე დაყრდნობით დავაკონკრეტოთ ჩვენი კვლევის მიზანი, პრობლემის აქტუალურობის თვალსაზრისით: ჩვენი მიზანია იმის კვლევა და დადგენა, თუ როგორ ხდება, მხატვრული ნარატივის ფარგლებში დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენის აქტუალიზაცია მხატვრული დისკურსის ფარგლებში და მისი ტრანსფორმაცია ამ დისკურსის ფუნქციურ-სტრუქტურული სპეციფიკის შესაბამისად და თუ ამავე დროს

გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ თანამედროვე ნარატოლოგიისთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მთხრობელის, ანუ ნარატორის ფენომენი, ხოლო თვით ნარატოლოგია კი ეფუძნება მხატვრული სინამდვილის კომუნიკაციურ გაგებას, მაშინ ცხადი გახდება შემდეგი: მთხრობელის როგორც ნარატიული, ფენომენის კვლევა უნდა დაუკავშირდეს რეციპიენტის როგორც ასევე ნარატიული, ფენომენის კვლევას, დეიქსისის ლინგვისტური კატეგორია კი, *ამ შემთხვევაში*, უნდა დაეფუძნოს დისკურსის ინტერსუბიექტურ ხედვას.

საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებულ კონკრეტულ ამოცანათა ერთობლიობა

ა) ჩვენ მოგვიხდება შემდეგ კონკრეტულ ამოცანათა დასმა და გადაჭრა იმასთან დაკავშირებით, რომ დეიქტიკური ტრიადის ფარგლებში მივყვებით თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების დომინანტურ ტენდენციას და ვახდენთ როლური დეიქსისის პერსონალისტურ ინტერპრეტაციას. ისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ რა შინაარსობრივ ტრანსფორმაციას უნდა განიცდიდეს როლური დეიქსისის ამგვარი ინტერპრეტაციის შედეგად მთელი დეიქტიკური ტრიადა, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორ გავლენას უნდა ახდენდეს ხსენებული ტრიადის ცენტრალური „წევრის“ – როლური დეიქსისის პერსონალისტური გაგება იმავე ტრიადის ორ დანარჩენ „წევრზე“ – დროისა და ადგილის დეიქსისზე? თუ დავეფუძნებით იმ ზემოთ უკვე ხსენებულ ფაქტს, რომ ხდება ენობრივი სუბიექტის ცნების *ენობრივი პიროვნების* ცნებად ტრანსფორმაცია ენობრივი სუბიექტი კი ნებისმიერი დისკურსის ფარგლებში წარმოდგენილი უნდა იყოს, პირველ რიგში, ორი კომუნიკანტით – ადრესანტითა და ადრესატით და ამავე დროს გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მხატვრულ ნარატივში ა) ადრესანტი და ადრესატი ტრანსფორმირდებიან ავტორ-კრეატორად და მკითხველ-რეციპიენტად, აუცილებლად დაისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს მიმართება მხატვრული დისკურსის ამ ორ ძირითად ინსტანციასა და მხატვრული ტექსტის ისეთ ასპექტებს შორის, როგორიცაა:

მხატვრული დრო და *მხატვრული სივრცე*. რა თქმა უნდა, ჩვენი კვლევითი მიზანი არ გულისხმობს ნარატივის ამ ორი ხსენებული ასპექტის კვლევას, მაგრამ ნარატივის ფარგლებში პერსონალური დეიქსისის კვლევა უნდა გულისხმობდეს თვით ხსენებულ პრობლემაზე თუნდაც ადეკვატურ მითითებას;

ბ) როგორი უნდა იყოს მიმართება მხატვრული დისკურსის ორ დასახელებულ ინსტანციასა (ავტორ-კრეატორი და მკითხველ-რეციპიენტი) და ნებისმიერი ნარატივისთვის იმ აუცილებელ კომუნიკაციურ ინსტანციას შორის, რომელიც წარმოდგენილია *პერსონაჟით*. რომელ კომუნიკაციურ ინსტანციასთანაც კი არ უნდა გვქონდეს საქმე, ყველა შემთხვევაში, უნდა ვიგულისხმოთ ამ ინსტანციათა ისეთი ენობრივ-ვერბალური *სუბსტრატი*, როგორცაა პერსონალური დეიქსისი.

კვლევის მეთოდოლოგია

ჩვენი კვლევის მეთოდოლოგია შეიცავს ორ შემდეგ ძირითად ასპექტს:

ა) პირველ რიგში, იგულისხმება, რომ ეს უნდა იყოს *ინტერდისციპლინარული* მეთოდოლოგია, ანუ ისეთი მეთოდოლოგია, რომელიც დაეყრდნობა ერთდროულად ისეთ დისციპლინათა მონაცემებს, როგორებიცაა ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა და კულტუროლოგია. მაგრამ, ამავე დროს, იგულისხმება, რომ კვლევა უნდა იყოს *ლინგვისტურად ცენტრირებული*, რაც ნიშნავს შემდეგს: საკვლევ პრობლემათა აქტუალურობა უნდა ეფუძნებოდეს იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკიდან. მივიჩნევთ, რომ თანამედროვე ლინგვისტური კვლევა უნდა პასუხობდეს ორი პარადიგმის – ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური და ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმების – სინთეზურად დანახულ მოთხოვნებს;

ბ) მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჩვენი კვლევის მეთოდოლოგია უნდა ეფუძნებოდეს არამხოლოდ ლინგვისტურად ცენტრირებულ ინტერდისციპლინარიზმს, არამედ კვლევის იმ პრინციპსაც, რომელიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჰუმანიტარული აზროვნების ნებისმიერი სეგმენტისთვის, ანუ ეფუძნებოდეს *პარადიგმული სინთეზის* პრინციპს. ამ

პრინციპით იგულისხმება, რომ ჰუმანიტარული აზროვნების ნებისმიერი ახალი და დომინანტური პარადიგმა კი არ აუქმებს წინა პარადიგმათა ფარგლებში არსებულ კვლევით შედეგებს, არამედ ახორციელებს ამ შედეგთა ახლებურ ხედვას. ჩვენი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგულისხმება, რომ დეიქსისის ფენომენი დანახული და ინტერპრეტირებული უნდა იქნას, პირველ რიგში, კომუნიკაციურ და ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმებზე დაყრდნობით (რაც თავისთავად გულისხმობს ინტერდისციპლინარულ კვლევას), მაგრამ, ამავე დროს, სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული დეიქსისის იმ კვლევის შედეგები, რომლებიც თან ახლდა ამ ფენომენის სისტემურ-სემიოტიკურ პარადიგმაზე დაფუძნებულ კვლევას. ამავე დროს იგულისხმება, რომ ამგვარად გაგებული პარადიგმული სინთეზი უნდა ნიშნავდეს დეიქსისის კვლევის ისტორიის რეტროსპექტულ და პროსპექტულ ხედვათა შერწყმას.

ამავე დროს იგულისხმება, რომ გარდა მეთოდოლოგიის იმ ასპექტისა, რომელიც ატარებს ერთდროულად როგორც ლინგვისტურ, ისე ზოგად ჰუმანიტარულ ხასიათს, ჩვენს კვლევაში ვიყენებთ ცნებათა და მეთოდთა იმ ერთობლიობას, რომლებიც უკავშირდება საკუთრივ ლინგვისტური აზროვნების განვითარების თანამედროვე ეტაპებს. პირველ რიგში კი - იმ ეტაპს, რომელიც შინაარსობრივად ემთხვევა ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის დომინირებას. მთლიანობაში ვცდილობთ დავეყრდნოთ კვლევის მეთოდოლოგიის ყველა იმ განზომილებას, რომელთა მნიშვნელობას და აუცილებლობას ხაზს ვუსვამთ მოცემულ შესავალში.

კვლევის სიახლე

იქიდან გამომდინარე, რომ დეიქსისის ფენომენი უკვე დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას, უნდა მივიჩნიოთ, რომ დეიქსისის ჩვენეული კვლევის სიახლე ვლინდება ძირითადად ამ ფენომენისადმი *მეთოდოლოგიურად ახლებურ მიდგომაში*.

ვფიქრობთ, ზემოთ ხსენებული სიახლე ვლინდება, პირველ რიგში, იმით, რომ ჩვენს ნაშრომში დეიქსისის, როგორც ენობრივი ფენომენის როგორც

ფუნქციური, ისე სტრუქტურული ასპექტები დანახული და გამოკვლეულია თანამედროვე ლინგვისტიკის მთელი პარადიგმული დინამიკის, ანუ პარადიგმათა ურთიერთმონაცვლეობის გათვალისწინების გზით. სწორედ დეიქსისის ფენომენისადმი ამგვარი მიდგომა ავლენს, ჩვენის აზრით, მის შემდეგ ასპექტებს:

ა) პირველ რიგში ვლინდება დეიქსისის შინაგანი სტრუქტურული იერარქია: იქიდან გამომდინარე, რომ დეიქსისი გადამწყვეტ როლს ასრულებს საკომუნიკაციო აქტში, აუცილებელი ხდება როლური დეიქსისისადმი მეტაკატეგორიალური სტატუსის მინიჭება;

ბ) ამავე დროს ჩვენი კვლევის ფარგლებში პირველად ხდება იმ შინაგანად დინამიკური მიმართების დანახვა და ხაზგასმა, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ ისეთ ურთიერთდაკავშირებულ ცნებებს შორის, როგორცაა, ერთი მხრივ, როლური მეორე მხრივ კი, პერსონალური დეიქსისი. ამავე დროს მხედველობაში მიიღება ის ფაქტიც, რომ როლური დეიქსისიდან პერსონალურზე თეორიულ-კონცეპტუალური გადასვლა უნდა დაუკავშირდეს ენობრივ ფენომენტა როგორც ლინგვისტურ, ისე ინტერდისციპლინარულ ხედვას;

გ) ჩვენს კვლევაში არამხოლოდ ვეყრდნობით როგორც დეიქსისის ფენომენტთან დაკავშირებულ ფუნქციურსა და სტრუქტურულ ტიპოლოგიებს, არამედ პრაქტიკაში შემოგვაქვს მისი ფუნქციურ-სტრუქტურული ტიპოლოგიზაციის სრულიად ახალი ასპექტი, რომელიც უკავშირდება ფუნქციურ სტილთა და შესაბამისად, დისკურსთა ფუნქციურ ტიპოლოგიას. ჩვენ პირველად, ასე დავსვით კითხვა: რა გავლენას ახდენს დეიქსისის ფუნქციონირება ფუნქციურ-სტილისტურად განსხვავებულ დისკურსთა ფარგლებში იმ იერარქიულ ურთიერთმიმართებაზე, რომელსაც, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ხაზი ესმის ამ ფენომენის ჩვენეულ ხედვაში;

დ) წინა პუნქტში ნათქვამთან დაკავშირებით ვლინდება დეიქსისის როლურ და პერსონალურ ტიპებს შორის იმ დინამიკური მიმართების შინაგანი ვექტორიც, რომლის არსებობაც ზემოთ იქნა ხაზგასმული: პირველად ხდება იმის კონსტატაცია, რომ როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად ტრანსფორმირებას ადგილი აქვს, პირველ რიგში და ძირითადად, მხატვრულ დისკურსში და, შესაბამისად, მხატვრულ ტექსტში. აქედან გამომდინარე,

პირველად ხდება მხატვრულ ნარატივთა ტიპოლოგიის დაკავშირება დეიქსისის შინაგან ტიპოლოგიასთან.

საკვლევი მასალის დახასიათება

საკვლევი ენობრივი მასალის ხასიათი და სტრუქტურა უკავშირდება დეიქსისის ფენომენისადმი იმ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მიდგომას, რომლის შესახებაც გვქონდა საუბარი. შესაბამისად, ეს ენობრივი მასალა ჩვენი კვლევის ფარგლებში, იყოფა ორ არათანაბარი მოცულობის მქონე ნაწილად. იქიდან გამომდინარე, რომ ვცდილობთ დავინახოთ როლურ/პერსონალური დეიქსისი ფუნქციურ-სტილისტური თვალსაზრისით ვიკვლევთ დეიქსისის ხსენებულ ფუნქციურ ტიპს, ერთი მხრივ, ფუნქციურ-სტილისტურად განსხვავებულ ტექსტებზე, მეორე მხრივ კი მხატვრულ/ნარატიულ ტექსტებზე დაყრდნობით, თუმცა, როგორც ითქვა, ამ ორი სახის ტექსტებს შორის არა გვაქვს მოცულობითი სიმეტრია: რაკი პერსონალური დეიქსისის როლი აღინიშნება, პირველ რიგში, მხატვრულ ტექსტში, სწორედ იგი ექცევა ჩვენი უფრო სისტემატიზებული კვლევის ობიექტად ნაშრომის მესამე თავში.

დეიქსისის კვლევის პირველი ეტაპის ასახვის ნიმუშად შეიძლება მიჩნეულ იქნას შემდეგი ლინგვისტური ლიტერატურა:

1. К. Бюлер - Теория языка. М., 2001 (თარგმანი გერმანულიდან).
2. В. Виноградов - Дейксис, in: Лингвистический энциклопедический словарь. М., 1990.
3. А. Уфимцева - Типы словесных знаков. М., 1974

დეიქსისის კვლევის მეორე ეტაპი უკავშირდება, ერთი მხრივ, იმ ფაქტს, რომ ლინგვისტური აზროვნების განვითარების ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში დეიქსისის ფენომენი განიხილებოდა რეფერენციის ენობრივი ფენომენის კერძო შემთხვევად, მეორე მხრივ კი, სწორედ ხსენებული ფაქტის გავლენით დეიქსისი უკავშირდება კომუნიკაციური ლინგვისტიკის კონცეპტუალურ ბირთვს, წარმოდგენილს როგორც ლინგვისტური

პარადიგმით, ისე დისკურსის ინტერაქციული კონცეფციითა და ტექსტის ლიგვისტური თეორიით. ხსენებული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად უნდა მიჩნეულ იქნას ის ფაქტი, რომ მოხდა კომუნიკაციური სუბიექტის პიროვნებად აღქმა, ანუ მისი, როგორც კონცეპტის, *პერსონალიზაცია*, რამაც შექმნა საფუძველი როლური დეიქსისის *პერსონალურ დეიქსისად* ტრანსფორმაციისათვის.

კვლევის ხსენებული ეტაპის ამსახველ ლიტერატურად შეიძლება მიჩნეულ იქნას მონოგრაფიათა შემდეგი ერთობლიობა:

1. Ю. Караулов - Русский язык и языковая личность. М., 1987.
2. В. Карасик - Языковой круг: личность, концепты, дискурс. М., 2004.
3. Греймас А., Курте Ж. - Словарь лингвистических терминов, in: Лингвистика XX века: Система и структура языка Часть II. М., 2004. (თარგმანი ფრანგულიდან).
4. გ. ლებანიძე - კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი, 2004.

დეიქსისის, პირველ რიგში კი პერსონალური დეიქსისის კვლევის მესამე ეტაპი, რომლის ერთ-ერთ ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს ჩვენი სადისერტაციო ნაშრომი, ეფუძნება თანამედროვე ლინგვისტიკის და, ზოგადად, თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების შემდეგ პარადიგმულ ტენდენციებს:

ა) ტენდენციას, რომელიც გულისხმობს *კომუნიკაციურობის* ერთიან პრინციპზე დაყრდნობით შექმნას ჰუმანიტარულ ფენომენტთა *ინტერდისციპლინარული* კვლევის საფუძველი. მოცემულ ეტაპზე ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს კითხვა: რა სემანტიკურ ტრანსფორმაციას უნდა განიცდიდეს პერსონალური დეიქსისის კონცეპტი იმ შემთხვევაში, თუ მისი საშუალებით მოხდება ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობისა და კულტუროლოგიის შესაბამის მონაცემთა **სინთეზი**?

ბ) ტენდენციას, რომლის თანახმად ინტერდისციპლინარული კვლევა იმ შემთხვევაში, თუ იგი იქნება ლინგვისტურად ცენტრირებული, შეიძენს *ლინგვოკულტუროლოგიური* კვლევის ხასიათს. შესაბამისად ზემოთ დასმული კითხვა იღებს შემდეგ სახეს: რა შინაარსისა უნდა იყოს პერსონალური დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური კონცეპტი?

გ) ტენდენციას, რომლის თანახმად, თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში ინტერდისციპლინარული კვლევის ლინგვოკულტუროლოგიური

ასპექტი შედეგობრივი თვალსაზრისით ვლინდება ისეთ სინთეზურ ჰუმანიტარულ დისციპლინაში, როგორცაა *ნარატოლოგია*. იმის გათვალისწინებით, რომ ნარატოლოგიის ერთ-ერთ პრინციპს წარმოადგენს ნარატივის ფარგლებში კომუნიკაციურ ინსტანციათა როგორც გამიჯვნა, ისე ურთიერთდაკავშირება, პერსონალურ დეიქსისთან დაკავშირებული ძირითადი კითხვა იღებს შემდეგ სახეს: როგორ უნდა იქნას გაგებული *პერსონალური დეიქსისი*, როგორც *ნარატიული ფენომენი* იმ შემთხვევაში, თუ ამ კონცეპტის საშუალებით მოხდება ამ ფენომენტთან დაკავშირებული ყველა პარადიგმული თვალსაზრისის სინთეზი?

ეს პერსონალური დეიქსისის კვლევის ის ეტაპია, რომლის რეალიზაციასაც მოითხოვს როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, ასევე თანამედროვე ზოგადჰუმანიტარული მნიშვნელობის მქონე სინთეზური დონის ისეთი დისციპლინა, როგორცაა *ნარატოლოგია*.

ნათქვამის შესაბამისად, ზემოთ ჩამოყალიბებული კვლევითი პროგრამის განხორციელებისათვის შესაძლებელია დასახელდეს ლიტერატურა, რომელმაც უნდა შეასრულოს თეორიულ-მეთოდოლოგიური საყრდენის როლი კვლევის შემაჯამებელ ეტაპზე:

1. Л. Филипс, М. Йоргенсен - Дискурс-анализ. (Теория и метод). Харьков, 2004 (თარგმანი ფრანგულიდან).
2. В. Шмид - Нарратология. М., 2008.
3. Б. Успенский - Ego Loquens. Язык и коммуникационное пространство. М., 2007.

თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიურ მეთოდოლოგიასა და ნარატოლოგიაზე დაყრდნობით განვახორციელებთ დეიქსისის, როგორც ენობრივი ფენომენის, იმ ასპექტის ახლებური ინტერპრეტაცია, რომელიც ცნობილია „როლური“ დეიქსისის სახელწოდებით. „როლური“ დეიქსისი გაგებულია, როგორც პერსონალური დეიქსისი, ეს უკანასკნელი კი უკავშირდება მხატვრული ნარატივის კომუნიკაციურ ინსტანციათა ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას.

თემის თეორიული მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, რომ მასში დეიქსისი განხილულია ლინგვოკულტუროლოგიის პარადიგმულ ჭრილში.

თემის პრაქტიკული ღირებულება შეიძლება მნიშვნელოვანი, გამოყენებადი იყოს ლინგვისტიკის ისეთ თეორიული კურსებში, როგორცაა: "ენათმეცნიერების შესავალი", "თანამედროვე ლინგვისტიკის პრობლემები", "თარგმნის თეორია და პრაქტიკა", ასევე სხვადასხვა სემინარებში.

იმისათვის, რომ კვლევა იყოს ბოლომდე დამაჯერებელი თეორიულ-დედუქციურ მეთოდებთან ერთად ვახდენთ მათ ემპირიულ-ინდუქციურ მეთოდებთან ინტეგრირებას. ამისათვის ჩვენი კვლევის შემაჯამებელ ეტაპზე ვახდენთ თანამედროვე ინგლისურენოვანი ნარატივის ნარატოლოგიური ანალიზის პროცესის ილუსტრირებას, რაც თვალნათლივ გვიჩვენებს როგორია პერსონალური დეიქსისის როლი მხატვრული ნარატივის კომუნიკაციური სტრუქტურის შექმნის თვალსაზრისით, და როგორ ხდება ამ შემთხვევაში პერსონალური დეიქსისის ენობრივი, ესთეტიკური და კულტურული ასპექტების ინტეგრირება.

ემპირიულ საილუსტრაციო მასალად გამოყენებული გვაქვს თანამედროვე ინგლისელი და ამერიკელი ავტორების მოთხრობების კრებული. "Short Stories to Read and Discuss" (изд: Менеджер, М., 2010).

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისაგან, სამი თავისგან და დასკვნებისაგან.

პირველ თავში – „დეიქსისი როგორც ფენომენი და კონცეპტი: მისი მიმართება თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკასა და პარადიგმულ სიტუაციასთან“, ზოგადად დეიქსისი, კერძოდ კი, პერსონალური დეიქსისის ფენომენი განხილულია თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკისა და სიტუაციის მიხედვით. დასახულია ხსენებული ფენომენის კვლევის ეტაპობრივი სტრუქტურა;

მეორე თავში – „პერსონალური დეიქსისი და დისკურსთა ფუნქციურ-სტილისტური ტიპოლოგია“, პერსონალური დეიქსისი დანახულია ისეთი ორი თეორიული თვალსაზრისის სინთეზის საფუძველზე, როგორცაა, ერთი მხრივ,

დისკურსთა ფუნქციურ-სტილისტური ტიპოლოგია, მეორე მხრივ კი ტექსტის კომუნიკაციურ-პრაგმატიკული სტრუქტურა.

მესამე თავში – „პერსონალური დეიქსისი და მხატვრული ნარატივი: დეიქსისის ხედვისა და კვლევის ინტერდისციპლინარულ-ლინგვოკულტუროლოგიური საფეხური“, პერსონალური დეიქსისი დანახულია ნარატივის ფარგლებში და ინტერდისციპლინარულად ანუ ლინგვისკის, ლიტერატურათმცოდნეობის და კულტუროლოგიის ერთობლივ მონაცემებზე დაყრდნობით. მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის სია.

თავი I.

დეიქსისი როგორც ფენომენი და კონცეპტი: მისი მიმართება თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკასთან და პარადიგმულ სიტუაციასთან

§1. დეიქსისი როგორც ენობრივი ფენომენი და მისი ეტაპობრივი კვლევის პერსპექტივა

როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში უკვე იყო მინიშნებული, პირველი თავი უნდა წარმოადგენდეს, ერთი მხრივ, „შესავალში“ წარმოდგენილ პრინციპთა და თეზისთა თანმიმდევრულ გაშლას, მეორე მხრივ კი, მის ფარგლებში უნდა მოხდეს მთელი ჩვენი შემდგომი კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველთა დაკონკრეტება. მაგრამ ამავე დროს მინიშნებული იყო ის გარემოებაც, რომლის გათვალისწინების გარეშეც შეუძლებელი იქნებოდა ხსენებული ამოცანის ადეკვატური სახით შესრულება: იმისათვის, რომ გამოვლენილ იქნას პერსონალური დეიქსისის, როგორც ენობრივი ფენომენის, სიღრმისეული მიმართება მხატვრული ნარატივის კომუნიკაციურ-პრაგმატულ სტრუქტურასთან, აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების პარადიგმული სიტუაცია, ხოლო თვით ეს *სიტუაცია* აღქმულ იქნას მთელი მისი შინაგანი *დინამიზმით*, რომელიც დაგვანახებდა საკვლევი ფენომენის, ანუ პერსონალური დეიქსისის, არსებით და სიღრმისეულ მიმართებას არა მხოლოდ მხატვრულ ნარატივთან, არამედ ზოგადად აღქმულ იმ ფენომენტთანაც, რომელიც უნდა მივიჩნიოთ ამგვარი ნარატივის წყაროდ, ანუ *მხატვრულ დისკუსიასთან*.

ზემოთ განსაზღვრული ამოცანის ფონზე, აუცილებლად მიგვაჩნია ლინგვისტური აზროვნების უკვე აღნიშნული პარადიგმული სიტუაცია გავიაზროთ როგორც ამ აზროვნების პარადიგმული დინამიკა, თავად ეს დინამიკა კი - იმ პროცესად, რომელიც, ერთი მხრივ, მოითხოვს, მეორე მხრივ კი, შესაძლებელს ხდის დეიქსისის ფენომენის სემიოესთეტიკურ ინტერპრეტაციას. პარადიგმული სიტუაციას, როგორც პარადიგმული დინამიკის, გააზრება

დეიქსისის ფენომენთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია უკვე იმიტომ, რომ თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში - და არა მხოლოდ ლინგვისტიკაში - შეიძლება აღინიშნოს სწორედ დეიქსისთან დაკავშირებული შემდეგი ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ ეჭვს არ იწვევს ამ ფენომენის ფუნდამენტური სტატუსი ზოგადად ენის სტრუქტურაში და, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა არა მხოლოდ მხატვრულ-ვერბალური ტექსტის, არამედ მთელი ესთეტიკური ფენომენის *სემიოტიზაცია*, ანუ მისი ნიშნობრივი აღქმა, ეს ორი ფენომენი - დეიქსისი და მხატვრული ნარატივი - აღქმულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ეს კი ნიშნავს შემდეგს: მიუხედავად იმისა, რაც უკვე ხაზგასმით ითქვა შესავალში, სახელდობრ კი, მიუხედავად იმ ფუნდამენტური მნიშვნელობისა, რომელიც უნდა მიეწერებოდეს პოეტიკის *ენობრივ ასპექტს*, მხატვრული ტექსტის პოეტიკა განიხილება, როგორც წესი, დეიქსისის, როგორც ფენომენის ექსპლიციტური სახით დასახალებისა და გათვალისწინების გარეშე.

როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ ღიად უნდა ჩაითვალოს კითხვა იმის თაობაზე, თუ რა როლს ასრულებს დეიქსისი, როგორც ენობრივი ფენომენი მხატვრული ტექსტის, პირველ რიგში კი, მხატვრული ნარატივის ფუნქციური არსისა და სიღრმისეული სტრუქტურების თვალსაზრისით ბუნებრივია, რომ ამ ფაქტის უბრალო კონსტატაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის გააზრებას ლინგვოკულტუროლოგიურ და ნარატოლოგიურ პლანში. მოცემული თავის შემდგომ პარაგრაფებში შევეცდებით იმ *თეორიულ-მეთოდოლოგიური კონტექსტის* მოხაზვას, რომლის გათვალისწინება, ჩვენი აზრით, აუცილებელი უნდა იყოს ზოგადად დეიქსისის და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, როლურ პერსონალური დეიქსისის როლის გააზრება მხატვრული ნარატიული დისკურსის, როგორც გენეზისის, ისე სტრუქტურების პლანში. მაგრამ, სანამ შეუდგებით ამ თეორიულ-მეთოდოლოგიური კონტექსტის კონსტრუირებას, საჭიროდ მიგვაჩნია იმის კიდევ ერთხელ ჩვენება, თუ როგორ არის წარმოდენილი თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში როგორც დეიქსისის ზოგადი ფუნქციური არსი, ისე მისი შინაგანი სტრუქტურა. ჩვენთვის, ბუნებრივია მნიშვნელოვანი იქნება იმის ხაზგასმაც, თუ რამდენად არის გათვალისწინებული ხსენებულ ლიტერატურაში დეიქსისის ის ფუნქციური განზომილება, რომელიც უნდა მიუთითებდეს მის ფუნდამენტურ

მნიშვნელობაზე არა მხოლოდ „ჩვეულებრივი“, ანუ ყოველდღიური, არამედ ასევე მხატვრული დისკურსის ფარგლებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნაწილობრივ მაინც მოგვიხდება დავუბრუნდეთ შესავალში უკვე განხილულ ფაქტებს, მაგრამ უკვე ზემოთ მინიშნებული პერსპექტივით: გვსურს დავინახოთ *დეიქსისი მხატვრული-ნარატიული ტექსტის პოეტიკის კონსტიტუირების თვალსაზრისით*. იმისათვის, რომ ზოგადი სახით დეიქსისის ფენომენტთან ამგვარი „დაბრუნება“ გამართლებული იყოს, „მას“ მიეცემა შემდეგი ეტაპობრივი სტრუქტურა:

1) ამ ეტაპზე განვიხილავთ იმას, თუ როგორ არის წარმოდგენილი ხსენებულ ლიტერატურაში დეიქსისი მისი ფუნქციური არის მიხედვით და როგორ ხდება ამ ფუნქციური არსის სტრუქტურირება ვერბალური კომუნიკაციის ფარგლებში (რა თქმა უნდა), იმის დაკონკრეტების გარეშე, თუ რომელ ფუნქციურ სტილს და რომელი ტიპის მეტყველებას - მხატვრულისა თუ არამხატვრულის - ფარგლებში ხდება ხსენებული ფუნქციური არსის გამოვლინება;

2) არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, იმის კონსტატირება, თუ რომელ ენობრივ ელემენტებს „ეკისრება“ ამ ფუნქციური არსის შესრულება და როგორ ხდება ამგვარი ელემენტების ერთობლიობის სტრუქტურირება ენობრივ ელემენტთა ზოგადი სისტემის ფარგლებში.

3) მესამე, მოცემულ დამასრულებელ ეტაპზე. შევეცდებით იმის დანახვას, თუ რამდენად აქვს ადგილი დეიქსისის განახლებულ ხედვას ლინგვისტური აზროვნების თანამედროვე კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესო იქნება დავსვათ კითხვა: ხდება თუ არა ამ პარადიგმის ფარგლებში დეიქსის ისეთი ფუნქციური ინტერპრეტაცია, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ მეთოდოლოგიურ „ხიდად“ მის ინტერდისციპლინარულ-ნარატოლოგიური ხედვისკენ მიმავალ გზაზე? შევეცდებით იმის განხილვას, თუ როგორ გამოიყურება დეიქსის ფენომენი თანამედროვე ლინგვისტიკის ფარგლებში. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ ის, თუ რა წარმოდგენს ჩვენი კვლევის პრობლემას: ჩვენ გვინტერესებს დეიქსისი იმ ფუნდამენტური როლის გათვალისწინებით, რომელსაც პოეტიკის ზემოთ ციტირებული განსაზღვრების მიხედვით უნდა ასრულებდეს მხატვრულ-ვერბალური ტექსტის კონსტიტუირების პროცესში.

შევასრულოთ ეს ამოცანა იმ სამი ეტაპის მიხედვით, რომელთა თანმიმდევრობა ზემოთ იქნა ჩვენ მიერ განსაზღვრული, მაგრამ, ჩვენი აზრით, თვით ამ ეტაპების განხილვისას მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ორი მომენტი:

1) ხსენებული სამი ეტაპი უნდა აღვიქვათ არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, არამედ ერთი დინამიკურად სტრუქტურირებული მთლიანის ნაწილებად გამოთქმით „დინამიკური სტრუქტურირება“ ვგულისხმობთ შემდეგს: დეიქსისის ლინგვისტური კონცეფცია თავისი განვითარების შინაგანი ლოგიკით წარმოგვიდგება ისეთ მოვლენად, რომელიც, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, მიჰყვება თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკას; ეს იმას ნიშნავს, რომ დეიქსისის ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის პროცესი ატარებს არა მხოლოდ ეტაპობრივად დინამიკურ, არამედ შინაგანად **გამიზნულ** ხასიათსაც. ეს გამიზნულობა საბოლოო ანგარიშში, კი უნდა გულისხმობდეს დეიქსისის ისეთ ინტერდისციპლინარულ გააზრებას, რომელიც ერთდროულად უნდა იყოს სემიოესთეტიკურიც, ნარატოლოგიურიც და ლინგვოკულტუროლოგიურიც. მიგვაჩნია, რომ სწორედ დეიქსისის ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის ამგვარი ხედვა უნდა შეესაბამებოდეს პოეტიკის ზემოთ მოცემულ განსაზღვრას;

2) ნათქვამი კი იმას ნიშნავს, რომ ზემოთ ხსენებული ეტაპების განხილვის ხასიათი უნდა შეესაბამებოდეს გამიზნულობის ზემოთ გაგებულ შინაარსს: ყოველი ეტაპი დანახულ უნდა იქნას ორი თვალსაზრისით - იმის გათვალისწინებით, თუ ლინგვისტური პარადიგმის რომელ ეტაპს ასახავს დეიქსისის მოცემული ხედვა და ერთდროულად იმის გათვალისწინებაც, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ეს ხედვა დეიქსისის იმ ინტერდისციპლინარული კონცეფციის თვალსაზრისით, რომლის აგებასაც ვცდილობთ ჩვენი კვლევის პროცესში. ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში დეიქსისი უნდა იქნას დანახული ორ დროით პერსპექტივაში - **რეტროსპექტულადაც** და **პროსპექტულადაც**. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, ზოგადად დეიქსისის და, განსაკუთრებით, **როლურ-პერსონალური დეიქსისის** წარსულში შექმნილი და დღეისათვის არსებული კონცეფციები უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტურ, ანუ მხოლოდ მონოდისციპლინურ პერსპექტივაში - ეს იქნებოდა მხოლოდ რეტროსპექტული

ხედვა, არამედ და, პირველ რიგში, იმის გათვალისწინებით და ხაზგასმით, თუ რისი მოცემა შეუძლიათ ამ უკვე არსებულ კონცეფციებს დეიქსისის სემიოესთეტიკური და ინტერდისციპლინარულ-ნარატოლოგიური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით. თუ დეიქსისის ხედვის ამგვარ სტრუქტურას დავინახავთ თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ სიტუაციასთან კავშირში, მაშინ კვლევის ზემოთ აღნიშნული ეტაპობრივი სტრუქტურა ერთდროულად შეიძენს რეტროსპექტულად და პროსპექტულად სტრუქტურირებულ შინაგან ვექტორს, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს დეიქსისის ზემოთ დეკლარირებულ ინტერპრეტაციამდე. ამავე დროს მიგვაჩნია, რომ დეიქსისის ფენომენისადმი ის მიდგომა, რომელიც დროითი თვალსაზრისით უნდა გულისხმობდეს რეტროსპექტულობისა და პროსპექტულობის ერთი მთლიანი ხედვის ფარგლებში შერწყმას, უნდა მოიცავდეს შემდეგსაც: ამგვარი სინთეზური ხედვა უნდა გავავრცელოთ იმ ენათმეცნიერის კონცეფციაზეც, რომელიც მიიჩნევა დეიქსისის ყველაზე მნიშვნელოვან თეორეტიკოსად. ამიტომ, ჩვენი აზრით, დეიქსისის იმ სამეტაპობრივი განხილვის შემდეგ, რომლის ლოგიკური სქემაც ზემოთ იქნა წარმოდგენილი, შევეცდებით დავინახოთ ხსენებული სამეტაპობრივი ანალიზის შედეგები ისე, რომ ჩვენი საბოლოო სინთეზური, ხედვის ფარგლებში ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, ერთი მხრივ, დეიქსისის ბიულერისეული კონცეფცია მის ახლებურად დანახულ მთლიანობაში, მეორე მხრივ კი, თანამედროვე ნარატოლოგია, დანახული, რა თქმა უნდა სემიოესთეტიკასა და ინტერდისციპლინურობაზე დაყრდნობით. მიგვაჩნია, რომ დეიქსისის თეორიულ-მეთოდოლოგიური ხედვის სწორედ ამ ეტაპზე იქნება შესაძლებელი პერსონალური დეიქსისის ჩვენეული კონცეფციის სრული სახით დაფუძნება.

§2. დეიქსისის რეტროსპექტულ-პროსპექტული ხედვის პირველი ეტაპი: დეიქსისის ხედვა სისტემური ლინგვისტიკის ფარგლებში

ჩვენი აზრით, დეიქსისის არსებული ენციკლოპედიური განსაზღვრა მთელი თავისი შინაარსითა და სტრუქტურით წარმოადგენს იმის უტყუარ მაგალითს, თუ რამდენად შორს არის ამ ფენომენის წმინდა და მხოლოდ სისტემური გაგება იმ გაგებისაგან, რომელიც ამავე ფენომენს შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ ინტერდისციპლინარული კვლევის პერსპექტივაში, არამედ თვით მონოდისციპლინარულ, ანუ მხოლოდ ლინგვისტურ, პერსპექტივაშიც კი, თუ ამ პერსპექტივას დავინახავთ კომუნიკაციური პარადიგმის საფუძველზე. მოვახდინოთ ამ განსაზღვრის ციტირება, შემდეგ კი შევეცადოთ ამ განსაზღვრის ინტერპრეტირებას ხედვის იმ მეთოდოლოგიის თანახმად, რომელიც ფორმულირებული იყო წინა პარაგრაფში, ანუ დავინახოთ დეიქსისის ეს განსაზღვრა რეტროსპექტულობისა და პროსპექტულობის ორმაგი პერსპექტივით.

თვით ენციკლოპედიური განსაზღვრა კი გამოიყურება შემდეგნაირად: „დეიქსისი წარმოადგენს ენობრივი ერთეულის ისეთ ფუნქციას, რომელიც გამოხატავს *მითითებას*, რეალიზებულს ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებით“ (ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი 1990:128).

ამ განსაზღვრის თანახმად, დეიქსისის ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს „ერთის მხრივ სამეტყველო სიტუაციისა, მეორეს მხრივ კი გამონათქვამის დენოტატიური შინაარსის კომპონენტთა აქტუალიზაცია“ (იქვე). რაც შეეხება დეიქსისის მის მთლიანობაში, იგი, იმავე განსაზღვრის მიხედვით, მოიცავს: „მითითებას სამეტყველო აქტის მონაწილეებზე (როლური დეიქსისი,... რომელიც გამოიხატება ნაცვალსახელთა სხვადასხვა სახეობებით (...„მე“, „შენ“, „ჩემი“, „შენი“); მითითებას მეტყველების საგანზე (მესამე პირის ნაცვალსახელები; მითითებას იმაზე, თუ რამდენადაა დაშორებული ჩვენგან გამონათქვამის ობიექტის (ის- დეიქსისი): მითითებას კომუნიკაციის საგნად ქცეული ფაქტის დროით და სივრცით ლოკალიზაციაზე (ქრონოტოპული დეიქსისი)“ და ა.შ.

როგორც ვხედავთ, დეიქსისის იმ კონცეფციაში, რომლის სქემატურ რეფერირებასაც ჩვენ ვახდენთ, ცენტრალური ცნების როლს ასრულებს „*მითითება*“ და სწორედ მას ეფუძნება მთელი კონცეფციის კონცეპტუალური

საფუძვლის როლი. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ამ *კონცეფციის* შემდეგი ასპექტი: მის ფარგლებში „დეიქსისი როგორც რეფერენციის ერთ-ერთი საშუალება უპირისპირდება *ნომინაციას* და ეს დაპირისპირება ნეიტრალიზდება როლურ დეიქსისში" (იქვე).

ჩვენი აზრით, დეიქსისის ზემოთ წარმოდგენილი კონცეფცია ხასიათდება შემდეგი ჩვენთვის მნიშვნელოვანი თეორიული ასპექტებით: ა) მასში გამიჯნულია სამეტყველო აქტის ისეთი ორი განზომილება, როგორებიცაა დეიქსისი და ნომინაცია და, რაც მთავარია, სწორედ ნომინაციასთან დაპირისპირებაშია დეიქსისის ფუნქციური არსი დანახული; ბ) მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ, ამ კონცეფციის მიხედვით, ხსენებული ურთიერთდაპირისპირება "ნეიტრალიზდება *როლურ დეიქსისში*". როგორც უკვე „შესავალში" იქნა აღნიშნული, სწორედ როლური დეიქსისი წარმოადგენს იმ დეიქტიკურ ფენომენს, რომლის სემიოესთეტიკურმა გადააზრებამ უნდა მიგვიყვანოს პერსონალური დეიქსისის კონცეფციამდე.

ა) ზემოთ, კონკრეტულად კი მოცემული პარაგრაფის წინა აზვაცში, უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯი დეიქსისის ფენომენისადმი იმ მეთოდოლოგიური მიდგომის განსახორციელებლად, რომელსაც ჩვენ „რეტროსპექტულ-პროსპექტულ მიდგომა" ვუწოდოთ და ვიფიქროთ, რომ ამ ნაბიჯმა დაგვანახა დეიქსისის უკვე ტრადიციულად ქცეული კონცეფციის შემდეგი ასპექტი: *„როლური დეიქსისი"* უნდა წარმოვიდგინოთ არა მხოლოდ დეიქსისის, როგორც ზოგადი ფენომენის ერთ-ერთ სტრუქტურულ მომენტად, არამედ სწორედ „იმ მომენტად", რომლის ფარგლებში „ნეიტრალიზდება დეიქსისის და ნომინაციის" ურთიერთდაპირისპირება. ეს კი, ჩვენი აზრით, გვიქმნის იმის საფუძველს, რომ „როლურ" დეიქსისს მიენიჭოს ის ცენტრალური სტატუსი დეიქსისის შიდატიპოლოგიურ სქემაში, რომელიც ჰუმანიტარულ აზროვნებაში არსებული ტრადიციის მიხედვით უნდა გავიაზროთ *მეტაკატეგორიალურად*; ეს კი ნიშნავს შემდეგს: უკვე დეიქსისის, როგორც ენობრივი ფენომენის იმ კონცეფციის ფარგლებში, რომელიც ეტაპობრივად ემთხვევა თანამედროვე ლინგვისტიკის სისტემური პარადიგმის დომინირებას. ამ ფენომენის ფარგლებში შეიძლება დავინახოთ სტრუქტურული იერარქიზაციის საფუძველი. მაგრამ, ჩვენი აზრით, სწორედ *ხსენებული საფუძველი* მოითხოვს იმას, რომ იგი აღვიქვათ არა

მხოლოდ რეტროსპექტულობის, არამედ პროსპექტულობის სრული გათვალისწინებით. საქმე ისაა, ზემოთ მოყვანილი ციტატა, რომლის თანახმად, „როლურ დეიქსისში“ ხდება დეიქსისისა და ნომინაციის დაპირისპირების ნეიტრალიზაცია“ თავისი შინაარსით ძირითადად ასახავს ენობრივი ფენომენისადმი *სისტემურ მიდგომას* - თუმცა, როგორც უკვე ვნახეთ, როლური დეიქსისის ამგვარი აქცენტირება იძლევა კომუნიკაციური მიდგომის საფუძველსაც. ამიტომ, თუ შევეცდებით განვახორციელოთ რეტროსპექტულ და პროსპექტულ ხედვათა სინთეზი, როლური დეიქსისი უნდა დავინახოთ ფუნქციური თვალსაზრისით ბევრად უფრო მეტის მომცველად და ვთქვათ: როლური დეიქსისის ფარგლებში ხდება *საკუთრივ დეიქსისის, ნომინაციისა და კომუნიკაციის ნეიტრალიზაცია*. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწორედ როლური დეიქსისი იღებს საკომუნიკაციო აქტის, ანუ დისკურსის, ფარგლებში ენობრივ ფუნქციას მთელი შესაძლო სპექტრის რეალიზაციას. ეს კი, ჩვენის აზრით, არა მხოლოდ იძლევა როლური დეიქსის *პერსონალისტურად* ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, არამედ აუცილებლადაც კი წარმოგვიდგენს მას. შესაბამისად, რეტროსპექტულობისა და პროსპექტულობის სინთეზი უფრო სრული იქნება, თუ დეიქსისის ჩვენეული ხედვა იქნება განხორციელებული, რა თქმა უნდა, პერსპექტივაში: *სემიოესთეტიკურად, ნარატოლოგიურად და ლინგვოკულტუროლოგიურად*. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამგვარი ინტერდისციპლინარული ხედვის საფუძველზე შეიძლება ბოლომდე იქნას დანახული ის როლი, რომელსაც ასრულებს ენა ნარატიული პოეტიკის კონსტიტუირების პროცესში;

ბ) როგორც უკვე ითქვა, ჩვენი კვლევა იმყოფება იმ სტადიაზე, როცა გვსურს აღვიქვათ ზოგადად დეიქსისის, კერძოდ კი როლური დეიქსისის სისტემური კონცეფცია არა მხოლოდ რეტროსპექტულად, არამედ პროსპექტულადაც. ამგვარი სინთეზური მიდგომა კი, როგორც იქნა აღნიშნული პარაგრაფის დასაწყისშივე, მოითხოვს არა მხოლოდ დეიქსისის ზოგად ფუნქციურ განსაზღვრას, არამედ იმ ვერბალურ საშუალებათა სპექტრის სისტემურ განხილვასაც, რომლის გარეშე ვერ შესრულდებოდა ვერცერთი დეიქტიკური ფუნქცია. იმის გათვალისწინებით, რომ დეიქსისისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომა გულისხმობს ამგვარი მიდგომის სემიოესთეტიკურ ასპექტსაც, აუცილებელი ხდება ენის დეიქტიკურ

საშუალებათა სემიოტიკური გააზრება: უნდა მოხდეს დეიქსისის გამომხატველ ვერბალურ საშუალებათა სემიოტიკური თვალსაზრისით *სისტემატიზაცია და ტიპოლოგიზაცია*. იმისათვის, რომ ჯერ რეტროსპექტულად, შემდეგ კი პროსპექტულადაც აღვიქვათ და გავიაზროთ დეიქსისის არა მხოლოდ ფუნქციური, არამედ სტრუქტურული განზომილებაც, აუცილებელი ხდება იმის განხილვაც, თუ როგორ ხდებოდა სისტემურად ორიენტირებული ლინგვისტიკის ფარგლებში დეიქტიკური ფუნქციის მატარებელ ვერბალურ საშუალებათა გამოყოფა და კლასიფიკაცია. თუ გავითვალისწინებთ, რომ სისტემური ლინგვისტიკა ამავე დროს იყო სემიოტიკური ლინგვისტიკაც, ენის დეიქტიკურ ვერბალურ საშუალებათა გამოყოფა-კლასიფიკაცია უნდა განხორციელებულიყო ერთიან სემიოტიკურ პრინციპზე დაყრდნობით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხსენებულ ვერბალურ საშუალებათა კლასიფიკაციაც უნდა ატარებდეს სემიოტიკურ ხასიათს.

სწორედ ამიტომაც, რომ ხსენებული პრობლემისადმი მიძღვნილ ნაშრომში დეიქტიკური ვერბალური საშუალებები დასახელებულია, როგორც „დეიქტიკური ნიშნები“. სხვანაირად რომ ვთქვათ, დეიქტიკური ვერბალური საშუალებები აღიქმება, როგორც ენის ერთიანი სემიოტიკური სისტემის *ქვესისტემა*. ჩვენ უკვე დავრწმუნდით იმაში, რომ დეიქსისის ფუნქციური გააზრებისას შეუძლებელია შემოიფარგლო წმინდა სისტემური თვალსაზრისით, რადგან იმის თქმა, რომ როლურ დეიქსისში, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ხდება დეიქსისისა და ნომინაციის ფუნქციათა ნეიტრალიზაცია, უკვე გარდაუვალად იგულისხმებოდა როლური დეიქსისისადმი მეტაკატეგორიალური სტატუსის მინიჭებას, ამგვარი სტატუსის მინიჭებას კი აუცილებლად მიყვავართ დეიქსისის სისტემური ხედვიდან კომუნიკაციურ ხედვამდე. როგორც ვნახეთ, ჩვენ გავითვალისწინეთ ხედვითი პერსპექტივის ეს გარდუვალი ცვლილება და ხაზი გავუსვით როლური დეიქსისის მეტაკატეგორიალურ სტატუსს იმის საფუძველზე, რომ გამოვთქვით შემდეგი ჰიპოთეზა: როლურ დეიქსისში ხდება დეიქტიკურ, ნომინაციურ და კომუნიკაციურ ფუნქციათა სინთეზური თანხვედრა. ამ ჩვენი ჰიპოთეზის განმეორებით ხაზგასმა კი საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ორი მოსაზრების გამო:

ა) პირველი მოსაზრება ატარებს შინაარსობრივად ფართო ხასიათს და უკავშირდება ჩვენს კვლევით ვექტორს მის მთლიანობაში - გვსურს მოვახდინოთ

იმ შინაგან ტრანსფორმაციათა შინაარსობრივი ექსპლიკაცია, რომლის საფუძველზე შესაძლებელი და აუცილებელიც იქნება როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად წარმოდგენა;

ბ) მაგრამ ამავე დროს რეტროსპექტულ-პროსპექტული ხედვა უნდა გულისხმობდეს პერსონალური დეიქსისის კონცეპტისკენ მიმავალი გზის, კონკრეტულად, მისი ყოველი შესაძლო ეტაპის დასახელებით. ეს სწორედ ის თვალსაზრისია, რომლის თანახმად, ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს დეიქტიკურ ფუნქციათა ის კლასიფიკაცია, რომელიც ზემოთ ხსენებული ნაშრომის ფარგლებში საფუძვლად ედება დეიქტიკურ ენობრივ ნიშანთა კლასიფიკაციას.

სანამ კონკრეტულად შევხებოდეთ ხსენებულ კლასიფიკაციას და ამით გადავდგამდეთ კიდევ ერთ ნაბიჯს პერსონალური დეიქსისის როგორც კონცეპტის კონსტიტუირებისაკენ, საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, თუ როგორ ხდება წიგნის ავტორის აზრით დეიქსისის ფენომენის გააზრება თანამედროვე ლინგვისტიკაში. როგორც მონოგრაფიის ავტორი ამბობს, „დეიქსისის ცნება ლინგვისტიკაში ინტერპრეტირებულია ორნაირად: 1) იმის მიხედვით, თუ როგორია სისტემურ დეიქტიკურ საშუალებათა სემანტიკა და ფუნქცია და როგორ ხდება სამეტყველო აქტთა ფარგლებში, ესე იგი სისტემის მეტყველებაში გადაყვანის დროს ამ საშუალებათა გამოყენება (ბიულერი, ბენვენისტი, ბალი, იაკობსონი, ფრეი და სხვ.), 2) იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხდება სამეტყველო ერთეულთა აღქმა და ინტერპრეტაცია (ფილმორი, კაცი, ფოდორი და სხვ). (უფიმცევა 1974:165). პირველი მიდგომის ვექტორია, ავტორის აზრით, „დეიქტიკური სისტემებიდან მეტველებისაკენ“ და ამ მიდგომას იგი უწოდებს „ლექსიკოცენტრისტულს“, მეორე მიდგომა კი, პირიქით, გულისხმობს ანალიზის მიმართულებას „ტექსტიდან დეიქტიკურ ელემენტთა სემანტიკისკენ“. ეს ის მიდგომაა, რომელსაც ავტორი უწოდებს „ტექსტოცენტრისტულს“ (იქვე).

ჩვენ საჭიროდ მივიჩნით ყოველივე ამის ციტირება იქიდან გამომდინარე, რომ გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი შემდეგ ფაქტს: მაშინაც კი, როცა დომინირებს ენობრივი ფაქტებისადმი სისტემური მიდგომა, შეუძლებელი ხდება დეიქტიკურ ფუნქციათა და შესაბამის ვერბალურ ნიშანთა ისეთი სისტემური განხილვა, რომ ეს სისტემურობა გარდაუვლად არ გადაიზარდოს

დისკურსულში: მართალია, ხსენებულ მონოგრაფიაში გამოიყენებოდა სისტემურ-სემიოტიკური, ანუ ლექსიკოცენტრისტული მიდგომა, მაგრამ დეიქტიკურ ენობრივ საშუალებათა კლასიფიკაცია ხდება ამ საშუალებათა დისკურსულ ფუნქციებზე ექსპლიციტური დაყრდნობით. საჭიროდ მიგვაჩნია კლასიფიკაციის ამ პრინციპთა დასახელება, რადგან, ჩვენი აზრით, ამ დასახელებისას კიდევ ერთხელ იქმნება როლურ პერსონალური დეიქსისისადმი მეტაკატეგორიალური, სტატუსის მინიჭების საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ აქ ლაპარაკია ვერბალურ-დეიქტიკურ საშუალებათა კლასიფიკაციის პრინციპებზე, თვით ამ პრინციპთა სემანტიკა ნათლად მიუთითებს იმაზე, რაც ზემოთ იქნა აღნიშნული: დეიქსისის ფენომენი უნდა გავიაზროთ იერარქიულად, ეს იერარქიულობა კი უნდა ნიშნავდეს „როლური“ დეიქსისისადმი ცენტრალური, ანუ მეტაკატეგორიალური სტატუსის მინიჭებას. ავტორი გამოყოფს მითითების ფუნქციურ-სემანტიკურ ველს, რომელიც რეალიზებულია ლექსიკური საშუალებებით, თვით ეს ველი კი მოიცავს მითითების სამ სფეროს." (უფიმცევა 1974:167). ეს სფეროებია:

I სუბიექტური მითითების საშუალებათა სისტემა, რომელთა სემანტიკა განისაზღვრება სამეტყველო სივრცის შემდეგი სამი განზომილებით: 1) საქმე გვაქვს კომუნიკაციურ თუ არაკომუნიკაციურ პირთან; 2) საგანთა და პირთა ადგილმდებარეობით მეტყველის პირთან მიმართებაში, თუმცა ზოგიერთ ენაში მხედველობაში მიიღება მსმენელი პირიც. პირთა, მოვლენათა და საგანთა განსაზღვრით, იმისდა მიხედვით, თუ რა მიმართებაში იმყოფებიან ისინი მეტყველების მომენტთან; 3) მოვლენათა, პირთა, საგანთა დახასიათება აქტუალურ დროსთან, ანუ მეტყველების მომენტთან, მიმართებით" (იქვე). მითითების სუბიექტური სფეროს ამგვარი სტრუქტურირების შემდეგ ავტორი მიუთითებს იმ ენობრივ ელემენტებზეც, რომლებიც გამოიყენება დეიქსისის სუბიექტურ სფეროში: „პირის ნაცვალსახელები, ჩვენებითი და ნაწილობრივ კუთვნილებითი ნაცვალსახელები, დროისა და ადგილის ნაცვალსახელები ზმნიზედები (მე, შენ, იგი, ჩვენი, მისი, აქ, იქ, ახლა, დღეს, ხვალ, ეს (ახლოს), ის (მოშორებული) და ა.შ.)" (უფიმცევა 1974: 167-168).

II. ობიექტური მითითების (ორიენტაციის) საშუალებათა სისტემა. ავტორის აზრით, დეიქტიკურ ელემენტთა ეს ქვესისტემა შეიცავს ისეთ ენობრივ

ელემენტებს, „რომლებიც ასრულებენ მითითების ფუნქციას მეტყველ სუბიექტთან მიმართების გარეშე... ესენია დროის, ადგილის, სივრცითი მდგომარეობის მაჩვენებელი ზმნიზედები, გადაადგილებისა და მოძრაობის ზმნები, ის წინდებულები და თანდებულები, რომლებიც გამოხატავენ ურთიერთმიმართების ცნებებს (ქვემოთ, ზემოთ, მარჯვნიდან, მარცხნიდან, წინ, უკან, ახლოს, შორს, გამოსვლა, შესვლა, მოსვლა, მოახლოება და ა.შ.).

III. ფარდობითი შიდასტრუქტურული მითითების საშუალებათა სისტემა. ამ შემთხვევაში ავტორი გულისხმობს ისეთ ენობრივ ელემენტებს, რომლებიც გამოხატავენ „არა იმდენად რეალური სინამდვილის საგანთა ურთიერთმდებარეობას, რამდენადაც ახასიათებენ მათ როგორც ჩვენი **აზროვნების საგნებს მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში**“ (უფიმცევა 1974:168). აქ ავტორი გულისხმობს „ფარდობითი მნიშვნელობისა და ჩვენებით ნაცვალსახელებს მათ ანაფორულ ან პრეპარატული ფუნქციით, კითხვითი ზმნიზედები, თანწყობილი და ქვეწყობილი მნიშვნელობის კავშირები...“ (იქვე).

ავტორი შემდგენაირად ახდენს დეიქტიკურ ენობრივ ელემენტთა ამგვარი კლასიფიკაციის რეზიუმირებას და კიდევ ერთხელ ასახელებს საგანთა, პირთა და მოვლენათა შეფარდებითი დახასიათების სამ ტიპს:

I. სუბიექტური მითითებულობა (დახასიათება მეტყველების სუბიექტთან მიმართებით, ანუ საკუთრივ დეიქტიკური საშუალებანი).

II. ობიექტური მითითებულობა (ერთი ობიექტისა, ანუ მოვლენის დახასიათება სხვა ობიექტთან ან მოვლენასთან მიმართებით - როგორ მიმართებაში იმყოფებიან ეს ობიექტები ან მოვლენები ობიექტურ სინამდვილესთან); ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ სიტყვიერ ნიშნებთან, რომელთა სემანტიკა შეიცავს დეიქტიკურ სემას.

III. შიდასტრუქტურული მითითება (ანაფორული, ეპიფორული, კორელაციური და სხვა); ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, როცა ნაწილი მითითებულია მთელთან მიმართებით (წინადადება ფრაზასთან მიმართებით, სიტყვათშეხამებათა წევრები - სიტყვათშეხამებასთან როგორც მთლიანთან მიმართებით და ა.შ.)" (იქვე).

ჩვენი აზრით, თუ ციტირებული ავტორის დეიქტიკურ კონცეფციას აღვიქვამთ იმდეიქტიკური კონცეფციის ფონზე, რომელსაც ჩვენ უკვე გავაცანიც და, რომლის

მიხედვით, მთელი დეიქტიკური სფერო იყოფა სამ ასპექტად (როლური დეიქსისი, ადგილისა და დროის დეიქსისი), აუცილებელი იქნება გამოვყოთ მისი შემდეგი თავისებურებანი:

ა) ავტორი „როლური“ დეიქსისის მაგივრად ლაპარაკობს „სუბიექტურ“ დეიქსისზე, რაც მას საშუალებას აძლევს ამგვარ დეიქსისს დაუპირისპიროს „ობიექტური დეიქსისი“;

ბ) მაგრამ, ამასთანავე, იგი გამოყოფს „სუბიექტური დეიქსისის“ ელემენტებს იმ ნიშნით, რომ, მისი აზრით, სწორედ ისინი უნდა მივიჩნიოთ „საკუთრივ დეიქსისის განმახორციელებელ ენობრივ ნიშნებად“;

გ) ასევე, იგი გამოყოფს ე.წ. „შიდასტრუქტურულ დეიქსისს“ და უპირისპირებს ენობრივ ნიშანთა ამ კლასის პირველ ორს.

§3. დეიქსისის რეტროსპექტულ-პროსპექტული ხედვის მეორე ეტაპი: დეიქსისის კომუნიკაციური ხედვა

როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება დეიქსისის ზემოთ განხილული კონცეფციის მიმართ, თუ, რა თქმა უნდა, ამ დამოკიდებულების საფუძვლად მივიჩნევთ სწორედ მის ზემოთ აღნიშნულ სამ თავისებურებას? იმისთვის, რომ ვუპასუხოთ ჩვენთვის მნიშვნელოვან ამ კითხვას, გავიხსენოთ ჩვენი კვლევის შემდეგი თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები:

ა) როგორც ვიცით, ჩვენი მიზანია არა მხოლოდ მოვახდინოთ დეიქტიკური სფეროს შიდასტრუქტურული იერარქიზაცია, არამედ ხაზი გავუსვათ იმ კონცეპტუალურ პერსპერტივასაც, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს ამ იერარქიზაციის ლოგიკურ გაგრძელებას: თუ მხედველობაში მივიღებთ არა მხოლოდ ლინგვისტიკის, არამედ მთელი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების დღევანდელ მდგომარეობას და, რაც მთავარია, ამ აზროვნების შინაგან კავშირს კომუნიკაციურ და ამავე დროს კულტურულოგიურ პარადიგმასთან, აუცილებლად გვესახება როლური დეიქსისის, როგორც ცნების,

პერსონალიზაცია. სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა მოხდეს ამ ცნების (როლური დეიქსისის ცნების) ტრანსპოზიცია პერსონალურ სიბრტყეში, ხოლო ამგვარი ტრანსპოზიციის ლოგიკურ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ ვერბალური მხატვრული ტექსტის ნარატოლოგიური თეორია;

ბ) ამავე დროს ზემოთ ფორმულირებული ჩვენი მიზნის მეთოდოლოგიურ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ პრობლემისადმი ისეთი *ინტერდისციპლინალური* მიდგომა, რომლის ფარგლებში ნარატოლოგიური თვალსაზრისი ორგანულად იქნება შერწყმული *სემიოესთეტიკურ* თვალსაზრისთან. ვფიქრობთ, რომ მხატვრულ-ვერბალური ტექსტის სემიოესთეტიკური ხედვა უნდა წარმოადგენდეს იმ მიდგომის ლოგიკურ გაგრძელებას, რომლის მიხედვით, ამგვარი ტექსტის სტრუქტურულ საფუძველს წარმოადგენს მისი *ენობრივი სუბსტრატი*. უნდა მივიჩნიოთ, რომ ხსენებული ენობრივი სუბსტრატი მის მთლიანობაში წარმოდგენილია სწორედ *დეიქსისით*.

გ) მაგრამ ზემოთ კიდევ ერთხელ ფორმულირებული მიზნის მისაღწევად, ასევე აუცილებელი უნდა იყოს ჩვენი მეთოდოლოგიის ის ასპექტი, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ დეიქსისის ფენომენის თანამედროვე კონცეფციას *რეტროსპექტულ-პროსპექტული განხილვა*. ჩვენი ამგვარი მეთოდოლოგია არა მხოლოდ წარმოადგენს ინტერდისციპლინარულობის უბრალო „დანამატს“, რაც გულისხმობს შემდეგს: როგორც ვიცით და (როგორც ცნობილია), ჰუმანიტარულ სფეროში აზროვნების ახალი პარადიგმა კი არ „აუქმებს“ წინა პარადიგმით მიღებულ შედეგებს, არამედ ახდენს მათ ახლებურ ინტერპრეტაციას. ეს კი, თავის მხრივ, უნდა გულისხმობდეს, რომ ნებისმიერი *წინა პარადიგმა უკვე შეიცავდა* მომავალი ახალი პარადიგმით ნაგულისხმევი ხედვის ელემენტს.

რა ნიშნით შეიძლება გავაერთიანოთ დეიქსისის ზემოთ განხილული კონცეფციები, თუ მათ აღვიქვამთ თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკის ანუ ამ ლინგვისტიკის პარადიგმათა ურთიერთმონაცვლეობის თვალსაზრისით? ჩვენი აზრით, ეს საერთო ნიშანი უნდა დავინახოთ სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ შემოთავაზებული პროსპექტულ-რეტროსპექტული ხედვის საფუძველზე. თუ თანმიმდევრულად დავეყრდნობით ამგვარ ხედვას, მაშინ ხსენებული საერთო ნიშნის შინაარსობრივი დახასიათება მიიღებს შემდეგ სახეს: ეს კონცეფციები თავისი გენეზისით ეკუთვნიან სისტემურ-სემიოტიკურ

ლინგვისტიკას და, შესაბამისად, მიზნად ისახავენ ენის დეიქტიკურ საშუალებათა *სისტემატიზაციას*. მაგრამ სწორედ ამ სისტემატიზაციის დროს ხდება ის, რაც გარდუვლად სცილდება სისტემური პარადიგმით გათვალისწინებულ მიზნებს: მიუხადავად იმისა, რომ ხსენებული სისტემატიზაცია ექსპლიციტური სახით არ ეყრდნობა ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის მიერ შემუშავებულ კონცეპტუალურ აპარატს, იგი (ეს სისტემატიზაცია), ფაქტობრივად, ითვალისწინებს იმ ფუნქციას, რომელსაც დეიქსისი ასრულებს კომუნიკაციის აქტის ფარგლებში. სწორედ ამაზე მიუთითებს, ჩვენი აზრით, თუნდაც ის ფაქტი, რომ, თუმცა არათანმიმდევრულად, მაგრამ გარკვეული გაგებით აღნიშნება როლური დეიქსისის გარკვეული ფუნქციური *პრიმატი* დროით და სივრცის დეიქსისთა მიმართ იმ შემთხვევაში, როცა ლაპარაკია დეიქტიკურ და ნომინაციათა ფუნქციათა ნეიტრალიზაციაზე. ზუსტად იმავე მომენტზე, ანუ კომუნიკაციური პარადიგმის თითქოს და წინწსწრებით გათვალისწინებაზე, მიუთითებს ის ფაქტიც, რომ, გარდა „სუბიექტური“ და „ობიექტური“ დეიქსისისა, გამოიყოფა აგრეთვე ე.წ. „შიდასტრუქტურული“ დეიქსისი, რომელიც გულისხმობს დეიქსისის მიერ შიდაეტაპობრივ ფუნქციათა შესრულებას. რამდენადაც, როგორც უკვე ვიცით, ჩვენი მიზანია პერსონალური დეიქსისის ნარატოლოგიური კონცეპტის შემუშავება ზემოთ ფორმულირებულ ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, აუცილებლად მიგვაჩნია ბოლომდე გავიაზროთ ზემოთ აღნიშნული ფაქტი - სახელდობრ ის, რომ ფაქტობრივად შეუძლებელია დეიქსისზე მსჯელობა კომუნიკაციის აქტისა თუ პროცესის გათვალისწინების გარეშე.

სწორედ ამ მიზნით გვსურს მივუთითოთ შემდეგ სამ მომენტზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს დეიქსისის ფენომენის კვლევისას:

1) პირველი მომენტი უნდა უკავშირდებოდეს თვით დეიქსისის კონცეპტის თეორიულ გენეზისს, პირველ რიგში, დეიქსისის ფენომენის ბიულერისეულ კონცეფციას. იქედან გამომდინარე, რომ დეიქსისის მთელი თანამედროვე აღქმა ხასიათდება ჩვენ მიერ უკვე აღნიშნული დინამიზმით, საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი კვლევის ფარგლებში კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ხსენებულ კონცეფციას იმ მიზნით, რომ თანამედროვე სემიოესთეტიკური და ლინგვოკულტუროლოგიური აზროვნების პოზიციიდან დავინახოთ მთელი მისი შინაგანი კონცეპტუალური

პოტენცია. *ცენტრალური კითხვა*, რომლის დასმა მოგვიხდება ამ შემთხვევაში, მიიღებს შემდეგ სახეს: რას გვეუბნება დეიქსისის კონცეპტის ბიულერისეული კონცეფცია პერსონალური დეიქსისის კონცეპტის თანმიმდევრული შემუშავების თვალსაზრისით?

2) მეორე მომენტი, ჩვენი აზრით, უნდა გულისხმობდეს ხედვის იმ პროსპექტულ-რეტროსპექტული მეთოდოლოგიის ბოლომდე თანმიმდევრულ გამოყენებას, რომელიც ზემოთ იქნა ფორმულირებული. როგორი უნდა იყოს პროსპექციისა და რეტროსპექციის სინთეზური შერწყმის საბოლოო შედეგი, თუ ამ შედეგს დავინახავთ პერსონალურ-დეიქტიკურ პერსპექტივაში?

3) და ბოლოს: ჩვენი აზრით, თვით ტერმინი „დეიქსისი“ თავისი თავდაპირველი სემანტიკის მთელი შინაგანი არსით უკვე გულისხმობს იმ კონცეპტუალურ საფუძველს, რომელსაც უნდა დაეყრდნოს პერსონალური დეიქსისის ჭეშმარიტად თანამედროვე კონცეპტი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამი მიუთითებს შემდეგზე: ჩვენ მხოლოდ მაშინ გვექნება პერსონალური დეიქსისის ადეკვატური კონცეფცია, როცა მთლიანად განხორციელებულ იქნება ზემოთ ფორმულირებული მეთოდოლოგიური პროგრამა. მაგრამ, სანამ მიღწეულ იქნება ეს მიზანი, აუცილებლად მიგვაჩნია იმის ჩვენებაც, თუ როგორ ხდება დეიქსისის ფენომენის უკვე ტრადიციულად ქცეული და ჩვენ მიერ ანალიტიკურად რეფერირებული კონცეფციის ახლებური, ანუ ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური რეცეფცია-ინტერპრეტაცია. თუმცა, სანამ ამ ამოცანას შევასრულებდეთ გავიხსენოთ ის, რაც უკვე ვთქვით ამ „ტრადიციული კონცეფციის“ დახასიათებისას: მიუხედავად იმისა, რომ ეს კონცეფცია ჩამოყალიბდა სისტემური ლინგვისტიკის ფარგლებში, იგი მაინც - თუმცა კი არაექსპლიციტურად და არათანმიმდევრულად გამოხატავდა დეიქსისის კომუნიკაციურ ფუნქციას. შესაბამისად, სანამ რეტროსპექტულად და (ამავე დროს პროსპექტულად) დავუბრუნდებით დეიქსისის ბიულერისეულ ფუძემდებელ კონცეფციას, ვნახოთ, თუ როგორ ხდება კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში დეიქსისის იმ ასპექტთა ექსპლიციტირება, რომელთა შესახებ უკვე მსჯელობდა ზემოთ ხსენებული ტრადიციული კონცეფცია.

ამ შემთხვევაში შევხებით პრობლემის წმინდა ლინგვისტურ ასპექტს და ჯერ არ ვილაპარაკებთ დეიქსისის იმ ნარატოლოგიურ კონცეფციაზე, რომელიც, ჩვენი

აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს ინტერდისციპლინარულად და რომლის ფარგლებში *მეტაკატეგორიული სტატუსი უნდა შეიძინოს პერსონალურმა დეიქსისმა.*

რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც ვერ შევძლებთ ბოლომდე და სრულად გავიაზროთ დეიქსისის კომუნიკაციური ფუნქცია, რადგან, ჩვენი მეთოდოლოგიის თანახმად, ეს *ფუნქციური არსი შეიძლება დანახულ* იქნას მხოლოდ ინტერდისციპლინარულად.

როგორ ხდება კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში დეიქსისის ფენომენის გააზრება? შეიძლება ითქვას, რომ ეს გააზრება ხდება ორ ძირითად კონცეპტზე დაყრდნობით. ეს კონცეპტებია, ერთი მხრივ, *„ექსტრალინგვისტური კონტექსტის“*, მეორე მხრივ კი *„ენის კომუნიკაციური სივრცის“* კონცეპტები. (შემდგომი კვლევის ფარგლებში დავინახავთ, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ამ კონცეპტთა ნარატოლოგიურ-სემიოესთეტიკური ინტერპრეტაცია. მაგრამ სწორედ ამგვარი ინტერპრეტაციის განსახორციელებლად საჭიროა ამ ეტაპზე უკვე გვექონდეს ეს კონცეპტები მათი საკუთრივ ლინგვისტური შინაარსით).

შევხოთ ჯერ დეიქსისის „ექსტრალინგვისტურ-კონტექსტურალურ“, შემდეგ კი „კომუნიკაციურ სივრცით“ კონცეპციებს.

ა) დეიქსისის კონტექსტუალური გააზრება.

ამგვარი გააზრების არსი შეჯამებულია „Google“-ის შემდეგ დეფინიციაში: „დეიქსისი არის მითითება იმ ენობრივი გამოთქმის საშუალებით, რომლის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია გამონათქვამის ექსტრალინგვიტსტურ კონტექსტზე“, ეს კონტექსტი დაკონკრეტებულია შემდეგნაირად:

- „1) ვინ ლაპარაკობს (მეტყველებს)
- 2) მეტყველების დრო ან ადგილი
- 3) მეტყველი პირის ჟესტები ან
- 4) დისკურსის ფარგლებში გამონათქვამის ლოკაცია მოცემულ მომენტში“.

ავტორს მოჰყავს დეიქტიკურ გამოთქმათა (expressions) შემდეგი მაგალითები:

„ I

You

Now

There

That

The following

Tenses

ნათქვამის საფუძველზე სტატიის ავტორი გამოყოფს შემდეგ სახეობებს:

„დისკურსული დეიქსისი“

„ემფატიკური დეიქსისი“

„პიროვნული დეიქსისი“

„ადგილის დეიქსისი“

„სოციალური დეიქსისი“

„დროის დეიქსისი“; (en.wikipedia.org/wiki/Deixis).

ბ) დეიქსისის ხედვა ენის კომუნიკაციური სივრცის კონცეპციის ფარგლებში.

როგორც დეიქსისის ხედვის XX საუკუნის ისტორია გვიჩვენებს, ეს ხედვა ხასიათდება შემდეგი ორი ნიშნით:

ა) მიუხედავად იმისა, რომ დეიქსისის ხედვის საფუძველს წარმოადგენს სისტემური პარადიგმა და, შესაბამისად, ყურადღების ცენტრი გადატანილია დეიქსისის როგორც ფუნქციურ, ისე სტრუქტურულ ასპექტთა სისტემატიზაციაზე, ეს ხედვა სულ უფრო და უფრო იძენს *კომუნიკაციურ მიმართულებას*;

ბ) მაგრამ ასეთივე სიცხადით გამოირჩევა ამ ხედვის შემდეგი ნიშანთვისება: ზემოთ ჩვენ მიერ აღნიშნული ის ფაქტი, რომ დეიქსისის სისტემური ხედვა ტანსფორმირდება კომუნიკაციურ ხედვად, არ იქცევა თეორიულ-მეთოდოლოგიური რეფლექსიის ობიექტად. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ ამგვარი რეფლექსია აუცილებელია არამხოლოდ დეიქსისის, როგორც ენობრივი ფენომენის არსისა და სტრუქტურის წვდომისათვის - იგი (ეს რეფლექსია), ჩვენი აზრით, აუცილებელია იმისთვისაც, რომ ადეკვატურად იქნას ინტერპრეტირებული მხატვრულ-ვერბალური ნაწარმოების, პირველ რიგში კი, ნარატიული მხატვრული ტექსტის პოეტიკა. ეს უკანასკნელი ჩვენი თეზისის ბოლომდე გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაშიც ამგვარი პოეტიკის არსიც უკავშირდება, უპირატესად, ლიტერატურული ნაწარმოების ენობრივ ასპექტს: „იქიდან გამომდინარე, რომ ლიტერატურაში გამოხატვის ყველა საშუალება დაიყვანება ენამდე, პოეტიკა შეიძლება განსაზღვრულ იქნას, როგორც მეცნიერება ენობრივ

საშუალებათა მხატვრული მიზნით გამოყენების შესახებ" (გასპაროვი 2001:785). როგორც უკვე არაერთხელ იქნა ჩვენ მიერ აღნიშნული, დეიქსისის და, პირველ რიგში, პერსონალური დეიქსისის კვლევას ჩვენ ვახორციელებთ ინტერდისციპლინარულად, რაც, საბოლოო ანგარიშში, უნდა ნიშნავდეს ამ ფენომენის **სემიო-ესთეტიკურ-ნარატოლოგიური** კონცეფციის შემუშავებას. მაგრამ სწორედ ამგვარი კონცეფციის შემუშავების ამოცანა მოითხოვს, ჩვენი აზრით, იმის ბოლომდე გათვალისწინებას, თუ როგორ არის დანახული **ეს** ფენომენი, როგორც მთლიანი - უკვე ლინგვისტიკის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის მიხედვით. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ დეიქსისის ხედვის ის პირველი მომენტი, რომელიც უკავშირდება ამ პარადიგმას, სახელდობრ დეიქსისის **კონტექსტუალურ-კომუნიკაციური** ხედვა. მაგრამ ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებასაც: კომუნიკაციური კონტექსტი უნდა განვიხილოთ ისეთი უფრო ფართო შინაარსის კონცეპტის სტრუქტურულ მომენტად, როგორცაა ენის **კომუნიკაციური სივრცე**. ჩვენი აზრით, ეს სწორედ ის კონცეპტია, რომელიც წარმოადგენს დეიქსისის ფენომენს სისრულის იმ მთელი შესაძლო „ხარისხით“, რომელიც შესაძლებელია მონოდისციპლინურად ანუ ლინგვისტიკის, უფრო ზუსტად კი ლინგვოსემიოტიკის ფარგლებში (ტერმინით „ლინგვოსემიოტიკა“, გვსურს ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ლინგვისტური აზროვნება უკვე არსებითად და მთლიანად სემიოტიკურია და, შესაბამისად, ტერმინები „ლინგვისტიკა“ და „ლინგვოსემიოტიკა“ შეიძლება და აუცილებელიცაა აღვიქვათ, როგორც სინონიმები). მაგრამ ჰუმანიტარული კვლევის ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგია ეფუძნება, თავის მხრივ, იმ თეზისს, რომ ადამიანურ სინამდვილესთან დაკავშირებული ნებისმიერი ფენომენი თუ ფაქტი დანახული და გააზრებულ უნდა იქნას არა მხოლოდ ერთი რომელიმე დისციპლინით წარმოდგენილ ასპექტში, არამედ იმ **სინთეზურ პერსპექტივაში**, რომლის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ინტერდისციპლინარულად. მიგვაჩნია, რომ სწორედ ასეთი, ხედვა უნდა განხორციელდეს დეიქსისის შემთხვევაში. მაგრამ ამავე დროს გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: თანამედროვე ინტერდისციპლინურ მეთოდოლოგიას, რომლის შინაარსობრივ ბირთვად შეიძლება მივიჩნიოთ სემიოესთეტიკურად გაგებული ნარატოლოგია, საფუძვლად უდევს ადამიანური

სინამდვილის ხედვისა და ინტერპრეტაციის *კომუნიკაციური პარადიგმა*. სწორედ ამიტომაც, ჩვენი აზრით, აუცილებელი ბოლომდე მივყვეთ დეიქსისის მონოდისციპლინურ-ლინგვისტური გააზრების იმ ვექტორს, რომლის ბოლო ეტაპი უნდა ნიშნავდეს, როგორც უკვე თქვა, ამ ფენომენის გაგებას *კომუნიკაციური სივრცის*, როგორც ფუძემდებელი კონცეპტის საფუძველზე. სწორედ ხსენებული კონცეპტის საშუალებით შეიძლება ხდება დეიქსისის ნარატოლოგიური ინტერპრეტაცია, რაზეც მეტყველებს ნარატოლოგიის ის განმარტება, რომელსაც იძლევა ჩვენ მიერ უკვე ციტირებული ენციკლოპედია. ამ განმარტების მიხედვით, ნარატოლოგიას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები: „1) ლიტერატურის არსი გაგებული უნდა იქნას კომუნიკაციურად; 2) მხატვრული კომუნიკაციის აქტი კი გაგებული უნდა იქნას, როგორც პროცესი, რომელიც ხდება ერთდროულად რამდენიმე თხრობით დონეზე (იგულისხმება, ერთი მხრივ, კომუნიკაცია ავტორსა და მკითხველს, მეორე მხრივ კი, კომუნიკაცია მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟებს შორის - ვ.ლ.); 3) ნარატოლოგიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს *დისკურსის პრობლემას* (იგულისხმება, ერთი მხრივ, დისკურსის, როგორც საკომუნიკაციო აქტის ზოგადად გაგებული არსი ისე, რა თქმა უნდა, და პირველ რიგში - მხატვრული დისკურსის სპეციფიკა - ვ.ლ.) (ვინოგრადოვი 1990:609).

§4. ნაცვალსახელი როგორც დეიქტიკური ნიშანი და როლური დეიქსისი კომუნიკაციური სივრცის როგორც კონცეპტის ფარგლებში

მიგვაჩნია, რომ სწორედ დეიქსისის ამგვარ კონცეფციასთან გვაქვს საქმე ბ. უსპენსკის მონოგრაფიაში („Ego Loguens. Язык и коммуникационное пространство“). ის ფაქტი, რომ ხსენებულ მონოგრაფიაში მართლაც ხორციელდება დეიქსისის კომუნიკაციური ინტერპრეტაცია, ფორმალური თვალსაზრისით, ცხადი ხდება უკვე ამ მონოგრაფიის პირველი და, შესაბამისად, თავის დასახლებიდან – „დეიქსისი და კომუნიკაცია: „ენა, როგორც ვირტუალური რეალობის

ფორმირების საშუალება". ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანისათვის ვირტუალურად გაგებული რეალობა, ანუ რეალობის ის დონე, რომელიც შეიძლება აქტუალიზებულ იქნას განსხვავებულ ფუნქციურ სტილთა ფარგლებში, შეუძლებელი იქნებოდა დეიქსისის გარეშე. სწორედ ამიტომაც, რომ ხსენებულ მონოგრაფიაში საკომუნიკაციო სივრცე ინტერპრეტირებულია დეიქტიკურად, თვით ეს ინტერპრეტაცია კი ატერებს თანმიმდევრულად ლინგვოსემიოტიკურ ხასიათს. აქედან გამომდინარე, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ამ მონოგრაფიაში ბოლომდე და სრულად განხორციელებულია დეიქსისის გაგება იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი ხდება თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში.

როგორც უკვე ითქვა, ხსენებულ მონოგრაფიას მივიჩნევთ თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის იმ თეორიულ სეგმენტად, რომლის ფარგლებში ხდება დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური ინტერპრეტაცია იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია მონოდისციპლინური მიდგომის ფარგლებში. ამიტომ გვსურს არა მხოლოდ მივუთითოთ ამ მონოგრაფიაში წარმოდგენილი კონცეფციის ძირითად ნიშნებზე, არამედ აღვნიშნოთ ისიც, თუ როგორ უკავშირდება ეს კონცეფცია დეიქსისის ხედვის ჩვენ მიერ უკვე გაანალიზებულ ეტაპებს. იქედან გამომდინარე, რომ, ჩვენი აზრით, სწორედ ამ კონცეფციას უნდა მივანიჭოთ დეიქსისის მონოდისციპლინური ხედვის მიერ განვლილი გზის ბოლო ეტაპის სტატუსი, ხსენებულ ორ მომენტს განვიხილავთ ერთდროულად, რაც მოგვცემს დეიქსისის მონოდისციპლინურ (საკუთრივ და მხოლოდ ლინგვოსემიოტიკური) გაგების რეზიუმირების საშუალებას.

ვფიქრობთ, ხსენებული კონცეფციის ძირითადი ნიშანი, ზემოთ ფორმულირებული თვალსაზრისით, მდგომარეობს შემდეგში: ავტორი დომინანტურ როლს დეიქსისის ფარგლებში ანიჭებს *პირის ნაცვალსახელებს*, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ ლაპარაკობს „როლურ დეიქსისზე“, როგორც დეიქსისის ცალკეულ და განსაკუთრებულ ტიპზე, ესე იგი არ უერთდება დეიქტიკურ ფუნქციას იმ ტიპოლოგიას, რომლის განხილვაც ჩვენ უკვე განვახორციელეთ წინა პარაგრაფებში. ამიტომ ისმის კითხვა: როგორ უნდა შევაფასოთ განსახილველი კონცეფციის ეს თავისებურება, თუ გვსურს ბოლომდე

მიყვებით ჩვენი მეთოდოლოგიის შემდეგ ორ პრინციპულ მოთხოვნას? ეს მოთხოვნებია:

ა) დეიქსისის არსებულ ხედვათა გააზრება უნდა იყოს ერთდროულად ანუ სინთეზურად, რეტროსპექტულიც და პროსპექტულიც;

ბ) უნდა მივიჩნიოთ, რომ ხსენებული სინთეზური ხედვა ამავე დროს უნდა წარმოადგენდეს დეიქსისის მონოდისციპლინური ხედვიდან ინტერდისციპლინურ ხედვაზე გადასვლის თეორიულად ადეკვატურ საშუალებას. სწორედ ამ ორი მეთოდოლოგიური პრინციპის გათვალისწინებით, დეიქსისის უსპენსკისეულ კონცეფციას შეიძლება მიეცეს, ჩვენი აზრით, შემდეგი შეფასება:

ის ფაქტი, რომ დეიქსისის, როგორც ფენომენის, ხაზგასმით *ანთროპოცენტრისტულ კომუნიკაციური* ინტერპრეტაციის ფარგლებში ძირითადი როლი ენიჭება ნაცვალსახელთა სისტემას, წარმოადგენს ჩვენ მიერ წინა პარაგრაფებში ფორმულირებული იმ კვლევითი ჰიპოთეზის ადეკვატურობის დადასტურებას, რომლის არსი გამოიხატება შემდეგნაირად: დეიქსისის საკუთრივ ლინგვისტური ინტერპრეტაციის დომინანტური ვექტორი გულისხმობს როლური დეიქსისისადმი იმდენად დომინანტური როლის მინიჭებას, რომ თანდათანობით გამოიკვეთა კიდევ მისი *მეტაკატეგორიული სტატუსი*: დეიქსისის ისეთი ფუნქციური ტიპების მიმართ, როგორცაა ადგილისა და დროის დეიქსისი. ამავე დროს აღინიშნა ის თეორიული საფუძველიც, რომლის წყალობითაც გამოიკვეთა ხსენებული *მეტაკატეგორიული სტატუსი*: როლურ დეიქსისში ხდება ნომინაციისა და დეიქსისის დაპირისპირებათა ნეიტრალიზაცია. მაგრამ ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ხსენებული ჰიპოთეზა ჩვენ მიერ ფორმულირებულ იქნა რეტროსპექტულ და პროსპექტულ ხედვათა სინთეზის ფარგლებში, რაც უნდა ნიშნავდეს ზემოთ ხსენებული ჰიპოთეზის შემდეგი სახით შინაარსობრივ „დასრულებას“: როლური დეიქსისისადმი *მეტაკატეგორიული სტატუსის* მინიჭების ეს ვექტორი საბოლოო ანგარიშში უნდა გულისხმობდეს იმას, რომ მის ფარგლებში ხდება არა მხოლოდ დეიქსისის და ნომინაციის, არამედ ასევე *კომუნიკაციის ნეიტრალიზაცია*.

პირველი თავის დასკვნები:

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავზე მუშაობამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

1) დეიქსისის, როგორც ენობრივი ფენომენის, კვლევა უნდა ხორციელდებოდეს, ერთი მხრივ, თანამედროვე ზოგად-ჰუმანიტარული, მეორე მხრივ კი თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების პარადიგმული დინამიკის, ანუ პარადიგმათა ურთიერთმონაცვლეობის გათვალისწინებით, რაც ნიშნავს შემდეგს: დეიქსისის ფუნქციური, სტრუქტურული და ტიპოლოგიური ხედვის ინტერდისციპლინური ასპექტი უნდა იქნას ცენტრირებული ხედვის საკუთრივ ლინგვისტური ასპექტით;

2) დეიქსისის ხედვა საკუთრივ ლინგვისტური პარადიგმული დინამიკის ფარგლებში უნდა ატარებდეს ერთდროულად როგორც რეტროსპექტულ, ისე პროსპექტულ ხასიათს, ე.ი. არა მხოლოდ უნდა იქნას დაფიქსირებული დეიქსისის კვლევის კონკრეტულ-პარადიგმული შედეგები, არამედ უნდა განისაზღვროს ამ კვლევათა ერთიანი შინაგანი ვექტორი;

3) დეიქსისის ლინგვისტური კვლევის შინაგანი ვექტორი უნდა განისაზღვროს, ერთი მხრივ ამ ფენომენის შიდა სტრუქტურის იერარქიზაციის, მეორე მხრივ კი, იმის ხაზგასმით, რომ ლინგვისტურ პარადიგმათა ურთიერთმონაცვლეობა წარმოადგენდა ხსენებული იერარქიზაციის დაკონკრეტების პროცესს: იერარქიის თვალსაზრისით, როლურ დეიქსისს „ენიჭება“ მეტაკატეგორიული სტატუსი, იერარქიზაციის კონკრეტული ვექტორის განსაზღვრა კი ნიშნავს შემდეგს: როლური დეიქსისი წარმოადგენს დეიქსისის იმ სახეობას (იმ ტიპს), რომლის ფარგლებში ხდება ჯერ ნომინაციისა და დეიქსისის, შემდეგ კი ნომინაციის, დეიქსისისა და კომუნიკაციის ნეიტრალიზაცია;

4) ლინგვისტური აზროვნებისა და ზოგადჰუმანიტარული აზროვნების პარადიგმული სინთეზი უნდა ნიშნავდეს შემდეგი კითხვის დასმას: როგორ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როლური დეიქსისის მეტაკატეგორიული სტატუსის ფუნქციურ-შინაარსობრივი დინამიკით ნაგულისხმევი შემდგომი ეტაპი, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ ორ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მომენტს: ეს მომენტებია: ა) თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში

დომინირებს სემიოესთეტიკურ, ნარატოლოგიურ და კულტუროლოგიურ პარადიგმათა სინთეზი და ბ) ლინგვისტიკის ფარგლებში კი ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმასთან ერთად დომინირებას იწყებს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, რომელიც მოითხოვს ენობრივ ფენომენტა ინტერდისციპლინურ ინტერპრეტაციას;

5) ყოველი ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, ჩნდება იმის აუცილებლობა, რომ გამოითქვას შემდეგი ჰიპოთეზა: დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენტის შიდასტრუქტურის იერარქიზაციის ფარგლებში უნდა განისაზღვროს ამ პროცესის შემდგომი და მარეზიუმირებელი ეტაპი ისეთ კონცეპტზე დაყრდნობით, როგორცაა *პიროვნების* კონცეპტი. იმ პარადიგმულ სიტუაციაში, რომლის ფარგლებში უნდა ხდებოდეს ლინგვისტურ და ზოგადჰუმანიტარულ პარადიგმათა შეხვედრა-სინთეზი, სწორედ პიროვნების კონცეპტმა უნდა „აილოს თავის თავზე“ ხსენებული სინთეზის რეალიზაცია, მაგრამ, ამავე დროს, ისმის კითხვა: თუ საბოლოო ანგარიშში როლური დეიქსისი აღიქმება პერსონალურ დეიქსისად, როგორ უნდა იქნას დანახული როლურ/პერსონალური დეიქსისის ფუნქციონირება ერთი მხრივ, საკუთრივ ლინგვისტური, მეორე მხრივ კი, ლინგვისტური, ლინგვოკულტურული თვალსაზრისით? Vხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ საკუთრივ ლინგვისტურ თვალსაზრისს დავუქვემდებარებთ ლინგვისტიკის კომუნიკაციურ პარადიგმას, ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას კი შინაგანად დავუკავშირებთ სემიოესთეტიკურ და ნარატოლოგიურ პარადიგმებს.

თავი II. პერსონალური დეიქსისი და დისკურსთა ფუნქციურ-სტილისტური ტიპოლოგია

§1. „პარადიგმული სინთეზის“ მეთოდოლოგია და როლური დეიქსისის როგორც კონცეპტის პერსონალიზაციის პრობლემა

როგორც წინა თავში განხორციელებულმა კვლევამ გვიჩვენა, თანამედროვე ლინგვისტიკის ფარგლებში ხდებოდა არამხოლოდ დეიქსისის, როგორც ენობრივი ფენომენის, გამოვლენა და დადგენა, არამედ მისი შინაგანი ტიპოლოგიზაციაც და იერარქიზაციაც, თუმცა ეს ორი პროცესი ხორციელდებოდა პრინციპულად არაერთგვაროვნად: თუ ტიპოლოგიზაცია ხდებოდა ექსპლიციტურად და ატერებდა როგორც ფუნქციურ, ისე სტრუქტურულ ხასიათს, იერარქიზაცია ხდებოდა ამ პროცესის თანმიმდევრული ექსპლიციტური გააზრების გარეშე, ანუ ატარებდა იმპლიციტურ ხასიათს. როგორც ვნახეთ, ტიპოლოგიზაციის პროცესის შედეგად გამოიყო როლური, ტემპორალური და ლოკალური დეიქსისის ტიპები, რომელსაც მოჰყვა სტრუქტურული ტიპოლოგიზაციაც. მაგრამ, რაც შეეხება იერარქიზაციას, იგი იქნა მხოლოდ მინიშნებული იმით, რომ აღნიშნა შემდეგი ფაქტი: როლური დეიქსისი ახდენს ნომინაციისა და დეიქსისის ფუნქციათა ოპოზიციის ნეიტრალიზაციას. როგორც ნაშრომის პირველ თავში იქნა აღნიშნული, ჩვენ არა მხოლოდ მოვახდინეთ როლური დეიქსისის მანეიტრალიზებელი სტატუსის კონცეპტუალური გააზრება, არამედ მას მივეცით ამ გააზრების ბოლომდე ექსპლიციტური სახე: როლურ დეიქსისს ვანიჭებთ მეტაკატეგორიულ სტატუსს; შემდგომ კი, როგორც გვახსოვს, როლური დეიქსისის მანეიტრალიზებელ ფუნქციას „შემატა“ კომუნიკაციური ფუნქცია.

ბუნებრივია, რომ დაისვას კითხვა: როგორც უნდა იქნას გააზრებული როლური დეიქსისის მეტაკატეგორიული სტატუსის გააზრების შემდგომი ეტაპი? სხვანაირად რომ ვთქვათ: როგორც ვიცით, როლური დეიქსისისადმი ხსენებული სტატუსის მინიჭება ხდებოდა მთლიანად დეიქსისის როგორც ფენომენის შინაგანი სტრუქტურის ფონზე, თვით ამ იერარქიზაციის შინაგანი

ვექტორი კი მოიაზრებოდა მთლიანად საკუთრივ ლინგვისტური პარადიგმული დინამიკის ფარგლებში. მაგრამ გვახსოვს ისიც, რომ კვლევის ჩვენეული მეთოდოლოგია უნდა იყოს ინტერდისციპლინური ერთდროულად ორი გაგებით - როგორც ლინგვისტური, ისე ზოგადჰუმანიტარული თვალსაზრისით და, რაც მთავარია, უნდა ხდებოდეს ამ თვალსაზრისთა *თანმიმდევრული სინთეზი*.

შემდეგი კითხვა კი, რომელიც უნდა დაისვას ზემოთ განსაზღვრული მეთოდოლოგიის გათვალისწინებით და, რა თქმა უნდა, ამის გათვალისწინებითაც, რომ ჩვენ ვმსჯელობთ მეთოდოლოგიაზე არა აბსტრაქტულად, არამედ დეიქსისის, უფრო კონკრეტულად, როლურ/პერსონალურ დეიქსისის ფენომენტან დაკავშირებით, უნდა ჟღერდეს შემდეგნაირად: როგორ უნდა მოხდეს ზემოთ ხსენებული სინთეზი, თუ გვსურს, რომ ეს სინთეზი ნიშნავდეს დეიქსისის ამ ტიპის თვისებრივად ახალ ინტერპრეტაციას? ვფიქრობთ, თვით თანამედროვე ლინგვისტიკის ფარგლებში, უნდა არსებობდეს კონცეპტი, რომელიც შესძლებდა „თავის თავზე აეღო“ ამგვარი სინთეზის განხორციელება. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს ისეთი კონცეპტი, რომელსაც შინაარსობრივად ექნებოდა ორმაგი სტატუსი - როგორც საკუთრივ *ლინგვისტური*, ისე *ზოგადჰუმანიტარული*. სწორედ ამგვარ კონცეპტს დღეისათვის წარმოადგენს *დისკურსი*. ეს ის კონცეპტია, რომელიც დღეისათვის, როგორც ცნობილია, მაინტეგრირებულ ფუნქციას ასრულებს - ექსპლიციტურად თუ ვიტყვიან - ისეთი დისციპლინებისათვის, როგორცაა სემიოტიკა, ლინგვისტიკა და ესთეტიკა, იმპლიციტურად კი - მთელი ჰუმანიტარული აზროვნებისათვის; სწორედ ამ მაინტრიგებელი როლის შესაბამისად, უნდა დაისვას კითხვა: ძალუძს თუ არა დისკურსის კონცეპტს შეასრულოს ზოგადად დეიქსისის, პირველ რიგში კი როლური დეიქსისის ის ახლებური ინტერპრეტაცია, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა „როლურობის“ *პერსონალისტური ტრანსფორმაცია*? იქიდან გამომდინარე, რომ ამ კითხვის დასმით შევეხეთ ჩვენი კვლევის ცენტრალურ პრობლემას, მის დასმას და გადაჭრას კი ვცდილობთ რეტროსპექტულ-პროსპექტული მეთოდოლოგიით, საჭიროდ მიგვაჩნია ზემოთ დასმული კითხვის შემდეგნაირი „კომენტირება“: როლური დეიქსისის შიდალინგვისტურ კონტექსტში განხილვამ გვიჩვენა, თუ როგორ ხდებოდა - როგორც ექსპლიციტურად, ისე იმპლიციტურად -

"როლურობისადმი" მეტაკატეგორიული სტატუსის მინიჭება; და დავრწმუნდით, რომ ამ დეიქსისის შიდასტრუქტურის იერარქიზაცია ხდებოდა ისეთ ენობრივ ფენომენტთა ოპოზიციის ნეიტრალიზაციის გზით, როგორებიცაა თავად დეიქსისი, ნომინაცია და კომუნიკაცია. და თუ კვლევის ამ ეტაპზე შევეცდებით ამგვარად დანახული კონცეპტუალური ვექტორის მეთოდოლოგიური თვალსაზრისით რეზიუმირებას, მაშინ უნდა ითქვას: ზემოთ ხსენებული კონცეპტუალური ვექტორის საკუთრივ ლინგვისტურმა და მხოლოდ ლინგვისტურმა ხედვამ მიგვიყვანა როლური დეიქსისის ისეთ ხედვამდე, რომელიც უნდა მიუთითებდეს მის დომინანტურ სტატუსზე *კომუნიკაციური თვალსაზრისით*. მაგრამ როგორ შეიძლება შინაგანად ტრანსფორმირდეს ეს თვალსაზრისი, თუ მოხდება ის, რაც წარმოადგენს ჩვენი მეთოდოლოგიის უკვე მესამე და არანაკლებად მნიშვნელოვან ასპექტს (როგორც გვახსოვს პირველი ასპექტი გულისხმობდა ინტერდისციპლინურობას როგორც ზოგადჰუმანიტარული, ისე წმინდა ლინგვისტური გაგებით, მეორე კი - განსახილველი ფენომენის რეტროსპექტულ-პროსპექტულ ხედვას), სახელდობრ კი, ზოგადჰუმანიტარულ და ლინგვისტურ პარადიგმულ მონაცემთა სინთეზს („პარადიგმულ სინთეზ“).

მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „პარადიგმული სინთეზი“ იმ შემთხვევაში, თუ დისკურსს განვიხილავთ, როგორც „ინტერდისციპლინურ კონცეპტს“? ეს იმას ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, აუცილებელია შევინარჩუნოთ დისკურსის კონცეპტი როგორც ზემოთხსენებული სინთეზის ინტერდისციპლინარული განზომილების „წარმომადგენელი“ და ამავე დროს მოვუნახოთ მას თავად ლინგვისტიკის ფარგლებში, კონცეპტი, რომელიც მოახდენდა დისკურსის ენობრივი არსის ბოლომდე და ექსპლიციტურად წარმოჩინებას. ვფიქრობთ, ასეთ ლინგვისტურ კონცეპტად შეიძლება მივიჩნიოთ *ფუნქციური სტილის კონცეპტი*: თუ, ერთი მხრივ, ვიცით, რომ ენობრივი სისტემის აქტუალიზაცია მუდამ ნიშნავს სისტემის *დისკურსად* (მეტყველების აქტად) ქცევას, მეორე მხრივ, ასევე, ვიცით, რომ ამგვარად მიღებული დისკურსი მუდამ ეკუთვნის ამა თუ იმ ფუნქციურ სტილს.

როგორც ვხედავთ, ზემოთ განვითარებულმა მსჯელობამ ცხადი გახადა იმ ჩვენი პროგრამის ზოგადმეთოდოლოგიური ასპექტი, რომლის საბოლოო მიზანი უნდა იყოს როლურ დეიქსისად ცნობილი კონცეპტის ისეთი შინაარსობრივი ტრანსფორმაცია, რომლის შედეგად შესაძლებელი და აუცილებელიც უნდა

გახდეს ვილაპარაკოთ **პერსონალურ დეიქსისზე**. როგორც უკვე ხაზგასმით ითქვა, ეს მიზანი გულისხმობს ჩვენს მიერ ფორმულირებულ იმ მეთოდოლოგიური გზის რეალიზაციას, რომელიც ერთდროულად უნდა ნიშნავდეს როგორც დეიქსისის კონცეპტის მიერ განვლილი გზის **რეტროსპექტულ-პროსპექტულ** ხედვას, ისე ამ ხედვის საფუძველზე განხორციელებულ **პარადიგმულ სინთეზს**.

მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ განხორციელებული მსჯელობით მივიღეთ ჩვენს მიერ გასავლელი გზის **ზოგადი** მეთოდოლოგიის ფორმულირება. ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ ზოგად ფორმულირებას უნდა მოჰყვეს მისი (გასავლელი გზის) **ეტაპობრივი სტრუქტურის** ფორმულირებაც.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ითქვა ჩვენი ნაშრომის შესავალში, წინა თავსა და თუნდაც მოცემულ პარაგრაფში, ეს ეტაპობრივი სტრუქტურა უნდა გამოიყურებოდეს შემდეგნაირად:

1) უნდა ითქვას, თუ რა მიმართებაში შეიძლება იყოს პერსონალური დეიქსისის კონცეპტის დაფუძნებასთან ის კონცეპტუალური „წყვილი“, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა, ანუ ფუნქციური სტილისა და დისკურსის „წყვილი“. შესაბამისად კი ამ ეტაპზე აუცილებელი იქნება შევხებით თანმიმდევრულად ორ პრობლემას: ა) უნდა გაეცეს პასუხი კითხვას იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ფუნქციური სტილისა და დისკურსის ჩვენ მიერ ნაგულისხმევი ურთიერთმიმართების ფორმულირება და ბ) უნდა გაეცეს პასუხი კითხვას: რას იძლევა ამ ორი კონცეპტით ნაგულისხმევი შინაარსის სინთეზი პერსონალური დეიქსისის, როგორც კონცეპტის თეორიული დაფუძნებისათვის? თუმცა, ამავე დროს, სწორედ ამ ეტაპზე უნდა განხორციელდეს, ის, რაც, არანაკლებ მნიშვნელოვანია პერსონალური დეიქსისის როგორც კონცეპტის თეორიული დაფუძნებისათვის: ზემოთ აღნიშნულ კონცეპტუალურ წყვილს („ფუნქციური სტილი და დისკურსი“) უნდა „შეუერთდეს“ ისეთი კონცეპტი, როგორიცაა **„ტექსტი“**, რამაც, შესაბამისად, კონცეპტუალური წყვილი „ფუნქციური სტილი-დისკურსი“ უნდა აქციოს კონცეპტუალურ ტრიადად **„ფუნქციური სტილი-დისკურსი-ტექსტი“**. რატომ უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვნად „წყვილის“ „ტრიადად“ ტრანსფორმირების ეს მეთოდოლოგიური ნაბიჯი? იმიტომ რომ, როგორც ქვემოთ ვნახავთ,

პერსონალური დეიქსისის ფუნქციური და სტრუქტურული თავისებურების კვლევის შედეგებით ტექსტის ისეთი ტიპის ფარგლებში, როგორცაა ნარატიული ტექსტი - ნარატიული ტექსტი კი როგორც გენეტიკურად, ისე ფუნქციურ-სტრუქტურულად უკავშირდება, ერთი მხრივ, ენის ლიტერატურულ მხატვრულ სტილს, მეორე მხრივ კი - მხატვრულ დისკურსს;

2) შემდგომ ეტაპზე ვსვამთ კითხვას: როგორ უნდა მოხდეს დისკურსის ფენომენის ტიპოლოგიზაცია და რას იძლევა ეს ტიპოლოგიზაცია როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად ტრანსფორმაციის თვალსაზრისით? როგორც უკვე ითქვა პირველ ეტაპთან დაკავშირებით, პერსონალური დეიქსისის როგორც ფენომენის კვლევას ვუკავშირებთ მხატვრულ დისკურსს; მაგრამ ამგვარი დაკავშირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ტიპის დისკურსს დავინახავთ სხვა ტიპის დისკურსთა ფონზე;

3) მესამე ეტაპზე უნდა გადაიდგას პირველი ნაბიჯი პარადიგმული სინთეზის იმ პროგრამის განხორციელებისაკენ, რომლის კონტურები ზემოთ იქნა მოხაზული. უნდა გამოიკვეთოს პარადიგმული სინთეზის ორი ურთიერთდაკავშირებული ასპექტი: ა) პარადიგმული სინთეზი შეიძლება ატარებდეს წმინდა ლინგვისტურ ხასიათს, ესე იგი პერსონალური დეიქსისის პრობლემა უნდა დაუკავშირდეს შიდა ლინგვისტური პარადიგმული დინამიკის პრობლემას და ბ) მეორე ასპექტად კი უნდა მივიჩნიოთ პარადიგმული დინამიკა ზოგადჰუმანიტარულ დონეზე - რადგან, როგორც ცნობილია, დისკურსის ცნებას, ანუ იმ *wyt,fc*, რომლებიც უნდა იქცეს საყრდენ კონცეპტად ჩვენი კვლევის პროცესში შემენილი აქვს ზოგადჰუმანიტარული სტატუსი. როგორც პირველ თავში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, როლური დეიქსისის მეტაკატეგორიული სტატუსი მაქსიმალური სიცხადით ვლინდება თანამედროვე ლინგვისტიკის ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში, რადგან სწორედ ეს პარადიგმა ახდენს ენის კომუნიკაციური ფუნქციის ისეთ აქცენტირებას, რომელიც შეუძლებელი იქნებოდა იმის გარეშე, რომ როლურ დეიქსისს არ „აეღო თავის თავზე“ არა მხოლოდ დეიქტიკურ და ნომინაციურ ფუნქციათა, არამედ კომუნიკაციური ფუნქციის ნეიტრალიზაცია.

ასევე ცხადად უნდა მივიჩნიოთ შემდეგაც: მხოლოდ ისეთი პარადიგმის ფარგლებში, როგორცაა ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, შეიძლება

გაიცეს პასუხი მთელი ჩვენი კვლევისათვის მნიშვნელოვან კითხვაზე: განიცდის თუ არა შემდგომ შინაგან ტრანსფორმაციას როლური დეიქსისის ის მეტაკატეგორიული სტატუსი, რომლის გამოვლენა შესაძლებელი იყო თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების სისტემური და კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში? და რას იძლევა ამ თვალსაზრისით დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენის უკვე ახლებურად, ანუ კულტურულ ჭრილში აღქმა?

მაგრამ, როგორც ითქვა, დეიქტიკური პრობლემის ამგვარი, ანუ საკუთრივ ლინგვისტური, აქცენტირება შესაძლებელი ხდება კვლევის იმ ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის ფარგლებში, რომელიც დღეისათვის წარმოადგენს უკვე **ზოგადჰუმანიტარულ** პარადიგმულ ტენდენციას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ როლური დეიქსისის პერსონალური ინტერპრეტაცია უნდა ხდებოდეს პარადიგმული სინთეზის უკვე მეორე და, შესაბამისად, უფრო „მაღალ“ დონეზე - ანუ ისეთ დონეზე, როცა ერთმანეთს „ხვდებიან“ ლინგვისტური, ლინგვოკულტუროლოგიური და ზოგადჰუმანიტარული პარადიგმები;

4) ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგიის მეოთხე და, ამავე დროს, გარკვეული თვალსაზრისით, **სინთეზურ ეტაპად** უნდა მივიჩნიოთ ეტაპი, რომლის ფარგლებში ზემოთ დასახელებულ კონცეპტთა ერთობლიობას (ფუნქციური სტილი, დეიქსისი, დისკურსი, ტექსტი, დეიქსისის ტიპთა იერარქია და ა.შ.). უკვე ახლებურად დავუკავშირებთ დეიქსისის ფენომენს. რას უნდა ნიშნავდეს ეს ახლებურობა? თუ გვსურს, რომ ჩვენი მეთოდოლოგიის რეტროსპექტულ-პროსპექტულმა ასპექტმა შეიძინოს შინაგანი სისრულე, უნდა დავუბრუნდეთ დეიქსისის ბიულერისეულ კონცეფციას შემდეგი გაგებით: რაკი მიგვაჩნია, რომ საბოლოოდ დეიქსისის როგორც კონცეპტის საფეხურებრივმა ტრანსფორმაციამ თავის საბოლოო შედეგს უნდა მიაღწიოს **პერსონალური დეიქსისის ცნებაში**, აუცილებელი უნდა იყოს, რომ „შევახვედროთ“ ერთმანეთს ეს ორი მომენტი - დეიქსისის საწყისი ანუ ბიულერისეული კონცეფცია და ის შინაგანი დინამიკა, რომლის პარადიგმულად განპირობებული ეტაპების დადგენასაც შევეცადეთ კვლევის წინა საფეხურებზე. ვფიქრობთ, ამ გზით უფრო რელიეფური და უფრო დამაჯერებელიც გახდება დეიქსისის, როგორც კონცეპტის, მიერ განვლილი გზის ჩვენ მიერ განსაზღვრული ვექტორი - სახელდობრ ის ფაქტი, რომ როლური

დეიქსისის მეტაკატეგორიული სტატუსის გამოკვეთა საბოლოო ანგარიშში უნდა ნიშნავდეს (და ნიშნავს კიდევ) მის *პერსონალიზაციას*.

და ბოლოს გვსურს, მივუთითოთ ჩვენი ნაშრომის მეორე თავის შინაარსის იმ მომენტზეც, რომელსაც ვერ მივიჩნევთ კვლევის ეტაპად ამ სიტყვის ზემოთ ნაგულისხმები მნიშვნელობით, მაგრამ რომელიც, ჩვენი აზრით, აუცილებელია იმისათვის, რომ ბოლომდე გასაგები იყოს ის, თუ რას ვგულისხმობთ გამოთქმით „როლური დეიქსისის პერსონალიზაცია“. ჩვენ მივმართავთ პიროვნების (Persona-ს) იმ ცნებას, რომელიც დღეისათვის ფიგურირებს თანამედროვე აზროვნებაში, პირველ რიგში კი, ისეთ დისციპლინათა ფარგლებში, როგორებიცაა ფილოსოფიური ანთროპოლოგია (მოდერნა ადამიანის შესახებ) და ნარატოლოგია. ვფიქრობთ, ამგვარი კონცეპტუალური ფონის შექმნა უფრო გასაგებს და დამაჯერებელს გახდის, როგორც ჩვენი კვლევის მიზანს, ისე მის შედეგებსაც.

§2. ფუნქციური სტილი და დისკურსი: მათი ურთიერთმიმართება თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკის თვალსაზრისით

როგორც წინა პარაგრაფში ითქვა, პერსონალური დეიქსისის როგორც პრობლემის განხილვას ვუკავშირებთ ისეთ ლინგვისტურ კონცეპტუალურ „წყვილს“, როგორიცაა *ფუნქციური სტილი და დისკურსი*. გვსურს იმის დადგენა, თუ რა მიმართებაში შეიძლება იყოს როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად ტრანსფორმირების პერსპექტივა, ერთი მხრივ, ფუნქციურ სტილთან, მეორე მხრივ კი, დისკურსის ტიპოლოგიასთან.

შეიძლება ითქვას, რომ ისეთ ლინგვისტურ ტერმინთა ურთიერთმიმართება, როგორიცაა „ფუნქციური სტილი“ და „დისკურსი“, გარკვეული თვალსაზრისით ასახავს მიმართებას თანამედროვე ლინგვისტიკის ისეთ ორ პარადიგმას შორის, როგორებიცაა სისტემური და კომუნიკაციური პარადიგმები. რა თქმა უნდა,

სისტემური პარადიგმის ფარგლებში ამ ორი ტერმინის მნიშვნელობათა განსხვავება რამდენადმე ნეიტრალიზებული იყო, რაც ნიშნავდა შემდეგს: როცა ლაპარაკობენ კიდევ განსხვავებულ ფუნქციურ სტილზე, ერთდროულად იგულისხმებოდა ორი რამ: 1) ის, რომ ნებისმიერი ერთი და იმავე ენის სისტემაში შეიძლება არსებობდეს ისეთ ლექსიკურ და გრამატიკულ საშუალებათა ქვესისტემები, რომელთა აქტუალიზაცია ხდება ენის ფუნქციონირებისას (ანუ აქტუალიზაციისას) საზოგადოებრივი სინამდვილის განსხვავებულ სფეროებში და 2) ამავე დროს იმავე ტერმინით, ანუ „ფუნქციური სტილით“ შეიძლებოდა დაგვეხასიათებინა თავად სამეტყველო აქტი, ამ განსხვავებული სფეროების მიხედვით. სწორედ აქედან გამომდინარე ნათქვამია: „ტერმინი ფუნქციური სტილი ზუსტად გამოხატავს იმ ფაქტს, რომ ყოველი სტილის სპეციფიკა დაკავშირებულია მოცემულ სფეროში ენის სპეციფიკურ ფუნქციასთან (ვინოგრადოვი 1990:245) შესაბამისად გამოიყოფა ისეთი ფუნქციური სტილები, როგორებიცაა „მეცნიერული, სალაპარაკო, საქმიანი, პოეტური, ორატორული და პუბლიცისტური. ყოველი მათგანი წარმოადგენს ენის ისეთ ქვესისტემას, რომელიც გამოირჩევა თავისი სპეციფიკური თავისებურებებით ლექსიკაში და ფრაზეოლოგიაში, სინტაქსურ კონსტრუქციებში, ზოგჯერ კი ფონეტიკაშიც“ (იქვე).

იმის შემდეგ, რაც შევხეთ ტერმინ „ფუნქციურ სტილს“ როგორც სისტემური ლინგვისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კატეგორიას და, ზოგადი სახით, მიუთითეთ კიდევ მის ტიპოლოგიაზეც, აუცილებელია შევჩერდეთ ტერმინ „დისკურსზე“, რომელიც, „ფუნქციური სტილისაგან“ განსხვავებით უნდა მივიჩნიოთ უკვე არა იმდენად სისტემური, არამედ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ცენტრალურ კატეგორიად (თუმცა ამავე დროს კიდევ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ როგორც უკვე იქნა აღნიშნული, დისკურსი უნდა მივიჩნიოთ ერთდროულად როგორც ლინგვისტურ, ისე ზოგადჰუმანიტარულ კატეგორიად).

იქედან გამომდინარე, რომ დისკურსის კატეგორიამ ჩვენი კვლევის ფარგლებშიც უნდა შეასრულოს ერთ-ერთი ცენტრალური როლი, გავეცნოთ პირველ რიგში მის ზოგადსემიოტიკურ ფორმულირებას, შემდეგ კი დავუკავშიროთ იგი ფუნქციური სტილის ზემოთ უკვე განხილულ კატეგორიას

და, საბოლოო ანგარიშში, უნდა დავსვათ კითხვა: როგორ ხდება თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში დისკურსის, როგორც ფენომენის, ტიპოლოგიზაცია და რა მიმართება შეიძლება ჰქონდეს ამ ტიპოლოგიზაციას ამავე ფენომენის იმ ლინგვისტურ ტიპოლოგიზაციასთან, რომელიც უკვე იყო ჩვენი განხილვის საგანი.

სანამ უშუალოდ შეუდგებით ზემოთ ფორმულირებული ამოცანის შესრულებას, საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ იმ ფაქტსაც, რომ, მიუხედავად ტერმინ „დისკურსის“ ამგვარი, ანუ ზოგადჰუმანიტარული თვალსაზრისით თითქმის უნივერსალური მნიშვნელობისა, ჯერ კიდევ არ არსებობს მისი ერთიანი და ყველას მიერ აღიარებული განმარტება. როგორც აღნიშნავენ, დისკურსის ანალიზისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის ავტორები: ლ. ფილიპსი და მ. ვ. იორგენსენი, „ამ ბოლო დროს ტერმინი „დისკურსი“ გახდა მოდური. მეცნიერულ ტექსტებში და დებატებში იგი გამოიყენება თვითნებურად, ხშირად ზუსტი განსაზღვრის გარეშე“ (ფილიპსი, იორგენსენი 2002:14) და, ნათქვამის შესაბამისად, „არ არსებობს ერთიანი აზრიც იმის თაობაზე, თუ რა არის დისკურსი. როგორ უნდა იქნას იგი გაანალიზებული“ (იქვე). ბუნებრივია, ჩვენც უნდა მივიღოთ მხედველობაში დისკურსის როგორც ტერმინისა და კატეგორიის, ამგვარი არაერთმნიშვნელოვნება, რაც იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ ჩვენი კვლევითი კონტექსტის გათვალისწინებით მოგვიხდება საკუთარი პოზიციის გამოხატვაც. თუმცა, ამავე დროს, გვსურს მივუთითოთ ციტირებული ავტორების მიერ გამოთქმულ შენიშვნაზეც, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთდროულად მეტყველებს სწორედ ორი კატეგორიის - ფუნქციური სტილისა და დისკურსის - როგორც ერთმანეთთან დაკავშირების, ისე მათ შორის განსხვავების დანახვის აუცილებლობაზე: „ბევრ შემთხვევაში სიტყვა „დისკურსით“ იგულისხმება ის ფაქტი, რომ ენა ორგანიზებულია ისეთი სტრუქტურების შესაბამისად, რომლებიც დამახასიათებელია ადამიანთა გამონათქვამებისათვის სოციალური სინამდვილის სხვადასხვა სფეროში“ (იქვე). თუმცა, როგორც ვხედავთ, ავტორები არ იყენებენ ტერმინ „ფუნქციურ სტილს“, მაგრამ მათ მიერ გამოთქმული აზრის მთელი კონტექსტი ადასტურებს იმას, რომ მხედველობაში აქვთ ამ ტერმინით ნაგულისხმევი რეალობა. ვფიქრობთ, რომ „დისკურსის“ როგორც ტერმინის ჯერ კიდევ ამ მნიშვნელობით გამოყენების ფაქტი მეტყველებს იმაზეც, რაზეც უკვე

გვერდსა საუბარი წინა პარაგრაფში: მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში დღეისათვის დომინირებს კომუნიკაციური პარადიგმა, სისტემური ლინგვისტიკა თავისი პარადიგმული ინერციით გავლენას ახდენს ისეთი შინაგანად და სიღრმისეულად კომუნიკაციური ტერმინის მნიშვნელობაზეც კი, როგორცაა „დისკურსი“.

იმის შემდეგ, რაც აღნიშნულ იქნა დისკურსის არა მხოლოდ ტიპოლოგიზაციის, არამედ თვით დეფინიციის ზოგადად აღიარებული სირთულე, კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ორ მომენტს, რომელთა ბოლომდე გაცნობიერების გარეშე შეუძლებელი იქნება ბოლომდე მივყვეთ პერსონალურ დეიქსისთან დაკავშირებული პრობლემატიკის დაძლევა. ეს ორი მომენტი მდგომარეობს შემდეგში: 1) მიუხედავად ზემოთ აღნიშნული სირთულისა, აუცილებლად გვჭირდება დისკურსის ამოსავალი, ფუძემდებელი დეფინიცია და 2) აუცილებელია, რომ ტექსტის ჩვენეული ხედვა ბოლომდე იყოს შეთანხმებული დისკურსის ამ ამოსავალ ცნებასთან.

სწორედ ამ მიზნით, მივმართავთ ბ. მარტინისა და ფ. რინგჰემის „სემიოტიკის ლექსიკონს“ (ჯერ განვმარტოთ დისკურსის ცნება ამ ლექსიკონის მიხედვით, შემდეგ კი დავურთოთ ამ განმარტებას ჩვენი კომენტარი, რომ დისკურსის ჩვენ მიერ გამოყენებული ცნება არა მხოლოდ ბოლომდე ასახავდეს თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ სიტუაციას, არამედ პასუხობდეს კიდევ ჩვენ მიერ დასახულ კვლევით მიზნებს). დასახელებული ავტორების მიხედვით ტერმინი "დისკურსი" ნიშნავს ენის ან ზოგადად მეტყველების უნარის გამოყენებას იმ შემთხვევაში, როცა საჭირო ხდება ამა თუ იმ საგანზე მსჯელობა ან საერთოდ რაიმეს თქმა" (მარტინი, რინგჰემი 2009:66). ლექსიკონის ავტორები, ეყრდნობიან რა მ. ჰალიდის, წერენ, რომ „ტერმინი „დისკურსი“ მიუთითებს ისეთ ენობრივ ერთეულზე, რომელიც აღემატება წინადადებას და მჭიდროდ არის დაკავშირებული სპეციფიკურ კონტექსტთან" (იქვე). გარდა ამისა, ავტორები ასახელებენ კიდევ დისკურსის განსხვავებულ ტიპებს - ისეთებს, როგორც აკადემიური დისკურსი, სამართლებრივი დისკურსი, მასობრივი ინფორმაციის დისკურსი. დისკურსის ყოველი ტიპი ხასიათდება მისთვის სპეციფიკური ნიშან-თვისებებით" (იქვე).

ავტორთა აზრით, „დისკურსი იგება ენის ორი განზომილების ურთიერთზემოქმედების საშუალებით. ეს განზომილებებია:

1) ფიგურატიული განზომილება, რომელიც უკავშირდება ბუნებრივ სამყაროზე ჩვენს წარმოდგენებს;

2) თემატიური განზომილება, რომელიც უკავშირდება გამონათქვამში აქტუალიზირებულ აბსტრაქტულ ღირებულებებს" (იქვე)

ვფიქრობთ, შეიძლება ზოგადად დავეყრდნოთ დისკურსის აქ წარმოდგენილ კონცეფციას, მაგრამ შემდეგი პუნქტებისაგან შემდგარი კომენტარით:

1) ავტორებს მიაჩნიათ, რომ დისკურსი წარმოადგენს „ენის გამოყენებას“, ჩვენ კი ვთვლით, რომ თანამედროვე ლინგვოსემიოტიკაზე (და ზოგადად სემიოტიკაზე) შეიძლება უფრო ზუსტად და, რაც მთავარია, უფრო შინაარსობრივად განიმარტოს დისკურსის ცნება და ითქვას: დისკურსი გაგებულ უნდა იქნას, როგორც ამა თუ იმ კომუნიკაციურ სიტუაციაში განხორციელებული ენობრივი *სისტემის აქტუალიზაცია*. ვფიქრობთ, ამგვარი განმარტებით ანგარიშს ვუწევთ ენის როგორც ფენომენის დიქტომიურ მოდელსაც და დისკურსის როგორც კონცეპტის კავშირსაც ამ დიქტომიასთან;

2) ასევე მიგვაჩნია, რომ შეუძლებელია განვმარტოთ დისკურსი საკომუნიკაციო აქტის იმ ზოგად მოდელთან დაკავშირების გარეშე, რომელიც შემუშავებული აქვს თანამედროვე ლინგვისტიკას და ზოგად კომუნიკაციის თეორიას. შესაბამისად, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ნებისმიერი დისკურსი არის არა უბრალოდ ამა თუ იმ პირის მიერ "ენის გამოყენება", არამედ *ინტერსუბიექტური ფენომენის* შეიძლება ითქვას, რომ დისკურსის ამ განზომილების ხაზგასმის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა არამც თუ პერსონალურ, არამედ თვით როლურ დეიქსისზე ადექვატური მსჯელობა;

3) და ბოლოს: ავტორების მიხედვით „ტერმინი „დისკურსი“ მიუთითებს წინადადებაზე აღმატებულ ენობრივ ერთეულზე“. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ისეთ ცნებათა აღრევასთან, როგორცაა დისკურსი და ტექსტი. როცა ლაპარაკია ისეთ ენობრივ ერთეულზე, რომელიც, „აღმატება წინადადებას“, თანამედროვე ლინგვისტიკაში ამგვარ ერთეულად მიიჩნევა, როგორც წესი, *ტექსტი* და არა დისკურსი.

როგორც უკვე ითქვა, დისკურსის ჩვენ მიერ ხაზგასმულ ისეთ ნიშან-თვისებებს, როგორცაა ინტერსუბიექტურობა, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიისათვის, რომელსაც მივმართავთ პერსონალური დეიქსისის კვლევის პროცესში, მაგრამ, ამავე დროს მიგვაჩნია, რომ ხსენებული მომენტის მნიშვნელობა ჩვენი კვლევისთვის ბოლომდე გასაგები გახდება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დისკურსის ცნებას დაუკავშირდება ტექსტის ცნება და, შესაბამისად, ფუნქციური სტილისა და დისკურსის კონცეპტუალური წყვილი გადაიქცევა ფუნქციური სტილის, დისკურსისა და ტექსტის ტრიადად.

§3. კომუნიკაციის თეორია და ტრანსლინგვისტიკა: დეიქსისის ინტერდისციპლინური კვლევის ზოგადთეორიული საფუძვლები

როგორც წინა პარაგრაფებში განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარეობს, ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს განზომილებას წარმოადგენს *პარადიგმული სინთეზი*, ანუ სინთეზი, რომლის ფარგლებში ერთ კონცეპტუალურ ფოკუსში უნდა მოექცეს ინტერდისციპლინურობის ორი პარადიგმა - შიდალინგვისტური და ზოგადკუმანიტარული (თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ მეთოდოლოგიის მეორე განზომილებაც, ანუ რეტროსპექციის და პროსპექციის სინთეზი). იმან, რაც ითქვა წინა პარაგრაფში, შეგვიქმნა იმის საფუძველი, რომ დაგვენახა ჩვენი ინტერდისციპლინური *მესამე განზომილება*, სახელდობრ კი, ის კონცეპტი, რომელსაც შეუძლია შეასრულოს მთელი ამ მეთოდოლოგიური სისტემის შინაგანად გამაერთიანებელი *კონცეპტუალური ღერძის* ფუნქცია. ამავე დროს და, ასევე, წინა პარაგრაფის შინაარსიდან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ხსენებული კონცეპტუალური ღერძი უნდა წარმოადგენდეს ამ ტრიადისათვის იმანენტურ კონსტანტას. დავასახელებთ ამ პრინციპს, რის შემდეგ, ალბათ

აუცილებლად გასაგები გახდება მისი ამგვარი მნიშვნელობა ჩვენი კვლევის როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური ასპექტისათვის. ესაა **ინტერსუბიექტურობის პრინციპი**.

რატომ უნდა მიენიჭოს ინტერსუბიექტურობის პრინციპს ასეთი, ანუ გამჭოლი, სტატუსი ჩვენი პარადიგმული სინთეზისა და, რაც მთავარია, პერსონალური დეიქსისის კვლევის ფარგლებში? იმისათვის, რომ ამ კითხვაზე პასუხი ბოლომდე დამაჯარებელი და მისაღები იყოს, განვიხილოთ ხსენებული პრინციპი - ამ ეტაპზე, ბუნებრივია, ჯერ კიდევ მხოლოდ სქემატურად - ჯერ ხსენებულ ტრიადასთან, შემდეგ კი პარადიგმულ სინთეზთან მიმართებაში.

ინტერსუბიექტურობის პრინციპი და კონცეპტუალური ტრიადა „ფუნქციური სტილი, დისკურსი, ტექსტი“

როგორც უკვე ითქვა წინა პარაგრაფებში, ფუნქციური სტილისა და დისკურსის ცნებები განსხვავებულად პრიორიტეტულნი არიან, ერთი მხრივ, დიქტომიური, მეორე მხრივ კი პარადიგმული თვალსაზრისით: დიქტომიური თვალსაზრისით ტერმინი „ფუნქციური სტილი“ მიუთითებს ენის, როგორც სისტემის, გარკვეულ ასპექტზე, ტერმინი „დისკურსი“ კი - სისტემის ხსენებული ასპექტის აქტუალიზაციის შედეგზე; პარადიგმული თვალსაზრისით კი, როგორც ვიცით, ფუნქციური სტილი მიეკუთვნება უპირატესად, სისტემურ პარადიგმას, დისკურსი კი - კომუნიკაციურ პარადიგმას.

რა თქმა უნდა, თანამედროვე სააზროვნო სივრცეში ძნელია ბოლომდე გავავლოთ საზღვარი ამ სივრცის ისეთ ორი სეგმენტს შორის, როგორებიცაა: მონოდისციპლინური და ინტერდისციპლინური აზროვნების სეგმენტები. ამიტომ უნდა ითქვას, რომ ჩვენ მიერ ზემოთ დასახლებული კონცეპტუალური ტრიადა, ფაქტობრივად ეკუთვნის ამ აზროვნების როგორც მონოდისციპლინურ, ანუ საკუთრივ ლინგვისტურ, და ინტერდისციპლინურ სეგმენტსაც; თუმცა, ამავე დროს სწორი იქნება იმის თქმაც, რომ როგორც გენეტიკურად, ისე კონცეპტუალურად იგი მიეკუთვნება, პირველ რიგში, ლინგვისტიკას და

მოითხოვს ლინგვისტურ ინტერპრეტაციას. იქედან გამომდინარე კი, რომ მოცემულ პარაგრაფში ჩვენი ყურადღების ცენტრში ექცევა **ინტერსუბიექტურობის პრინციპი**, ხოლო ეს პრინციპიც ფუნდებდა ერთდროულად მონოდისციპლინურად და ინტერდისციპლინურადაც, ვფიქრობთ, აუცილებელი ხდება თავიდანვე შევუქმნათ ჩვენს ზემოთ უკვე დახასიათებულ მეთოდოლოგიას უფრო მყარი საფუძველი შემდეგი კითხვის დასმის საშუალებით: როგორია ლინგვისტიკის როლი იმ მეთოდოლოგიური სივრცის სტრუქტურების თვალსაზრისით, რომლის ფარგლებში გვიხდება ჩვენი კვლევის განხორციელება?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრებების გამო: ჩვენი კვლევის ობიექტი - როლურ/პერსონალური დეიქსისი - კონცეპტუალურად, როგორც ვიცით, „დაიბადა“ ლინგვისტიკის ფარგლებში, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს სწორედ ის, თუ როგორ ხდებოდა (და ხდება) მისი კონცეპტუალური ტრანსფორმაცია ისეთ ინტერდისციპლინურ სივრცეში, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს ერთობლივად ნარატოლოგიის, კულტუროლოგიისა და სემიოესთეტიკის მიერ. სწორედ, ამ თვალსაზრისით, საინტერესოდ მიგვაჩნია ის, თუ როგორ ხედავს როლან ბარტი ლინგვისტიკის ფუძემდებელ როლს თანამედროვე ინტერდისციპლინური აზროვნების ფორმირების პროცესში. მაგრამ, სანამ მოვიყვანდით შესაბამის ციტატებს რ. ბარტის სტატიიდან „დისკურსის ლინგვისტიკა“, გვსურს თავიდანვე მივუთითოთ მის მიერ გამოყენებულ იმ ტერმინზე, რომელიც უკვე თავისი სემანტიკით პასუხობს ჩვენ მიერ ზემოთ დასმულ კითხვაზე. ესაა ტერმინი **„ტრანსლინგვისტიკა“**. სწორედ ტრანსლინგვისტიკის როგორც ტერმინისა და კატეგორიის ამგვარი მნიშვნელობის დაფუძნების აუცილებლობაზე ლაპარაკობს ბარტი, როცა ამბობს: „ჩვენ შევეცდებით გავაერთიანოთ ერთ კლასიფიკაციურ სისტემაში სემიოტიკის განსხვავებული ტიპები ისე, რომ ეს კლასიფიკაცია დაეფუძნოს ერთ სემიოტიკას - იმას, რომელსაც დავარქმევთ **„დისკურსის ლინგვისტიკას“** ან **„ტრანსლინგვისტიკას“** (ბარტი 2004:456). აგრძელებს რა ციტატაში გამოთქმულ აზრს, რ. ბარტი ამბობს: „ტრანსლინგვისტიკის ობიექტთა უნიფიკაციას საფუძვლად უდევს მათი სუბსტანციის ერთიანობა: ყველა

შემთხვევაში ამ სუბსტანციას წარმოადგენს სიტყვა - დაწერილი ან ზეპირი" (იქვე).

ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია ზემოთნათქვამის გააზრება იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა იქნას განხორციელებული ჩვენი მეთოდოლოგიის ორივე შინაგანი პრინციპი - ა) იგი უნდა იყოს ერთდროულად ინტერდისციპლინურიც და ბ) ამავე დროს ლინგვისტურად ცენტრირებულიც. ვფიქრობთ, თავად ბარტისეული ტერმინი „ტრანსლინგვისტიკა თავისი სემანტიკური სტრუქტურით გვიქმნის ჩვენთვის აუცილებელ მეთოდოლოგიურ ბაზისს: დისკურსის ის ხედვა, რომელსაც იძლევა ლინგვისტიკა, ინარჩუნებს თავის ფუნქციურ არსს მთელ თანამედროვე ჰუმანიტარულ სივრცეში, მაგრამ ამავე დროს განიცდის უწყვეტ ტრანსფორმაციას იმისდა მიხედვით, თუ ამ სივრცის რომელ სეგმენტში განაგრძობს იგი არსებობას და ფუნქციონირებას: „ტრანსლინგვისტური სისტემები აგებულია ბუნებრივი ენის საფუძველზე, ანუ იმ ფენომენის საფუძველზე, რომელსაც იკვლევს ლინგვისტიკა, მაგრამ ამავე დროს ეს სისტემები არ ემთხვევიან ლინგვისტიკას (ბარტი 2004:457). იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი მიზანია ვიკვლიოთ როლურ/პერსონალური დეიქსისი ისეთ ჰუმანიტარულ (და ამავე დროს ტრანსლინგვისტურ) დისციპლინათა მონაცემების სინთეზირების გზით, როგორცაა ნარატოლოგია, სემიოესთეტიკა და კულტუროლოგია ჩვენთვის ფუძემდებელი უნდა იყოს ტრანსლინგვისტიკის ასეთი გაგება. იმავე ავტორის აზრით, „ტრანსლინგვისტიკის ტერიტორია შეიძლება განისაზღვროს ლინგვისტიკიდან გამომდინარე, რადგან ერთი და იგივე რჩება საკვლევი სუბსტანცია" (იქვე). ასევე მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორი უნდა იყოს ტრანსლინგვისტიკის ფარგლებში ობიექტის კვლევა: **„აღწერათა (და არა აღწერის)** სისრულე აუცილებელია ნებისმიერი მეცნიერებისათვის" (ბარტი 2004:459). „აღწერათა სისრულით" ბარტი გულისხმობს იმის აუცილებლობას, რომ ლინგვისტიკურად განსაზღვრული ფენომენი, ანუ დისკურსი, უნდა განიხილებოდეს ერთდროულად ისე, როგორც ეს განხილვა ხდება ლინგვისტიკაში და ამავე დროს იმ ასპექტის გათვალისწინებით, რომელსაც ამგვარად გაგებული დისკურსი „იძენს" ჰუმანიტარული სფეროს ამა თუ იმ სეგმენტში.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია პერსონალური დეიქსისის ინტერდისციპლინარული კვლევა, ჩვენს უპირველეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს იმის განსაზღვრა, თუ როგორია თანამედროვე ლინგვისტიკაში და ზოგადად თანამედროვე სემიოტიკაში იმ ფენომენის ამოსავალი ხედვა, რომელიც საფუძვლად უდევს დეიქსისს და რომელიც, ამავე დროს, თავის მხრივაც შეუძლებელი იქნებოდა დეიქსისის გარეშე. ბუნებრივია, რომ ამგვარ ფენომენად უნდა მივიჩნიოთ **დისკურსი** და დავსვათ კითხვა: რა წარმოადგენს დისკურსის ძირითად დამახასიათებელ ნიშანს ლინგვისტური (და ამავე დროს ტრანსლინგვისტური) თვალსაზრისით?

როგორც ტრანსლინგვისტიკის ზემოთ ფორმულირებული ცნებიდან გამომდინარეობს, დისკურსი უნდა მივიჩნიოთ მის (ანუ ტრანსლინგვისტიკის) გამჭოლ და ერთიან კონცეპტუალურ კონსტანტად - სწორედ იმ „ერთიან სუბსტანციად“, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა თვით ტრანსლინგვისტიკა. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევითი მიზნების თანახმად გვსურს დავინახოთ დეიქსისი იმავე როლში, ანუ როგორც დისკურსისათვის ფუძემდებელი შიდა სტრუქტურა, აუცილებლად მიგვაჩნია შევჩერდეთ დისკურსის **ინტერსუბიექტურობაზე**, რომელიც, ჩვენი აზრით, ასევე უნდა იქნას მიჩნეული დეიქსისისათვის ფუძემდებელ შიდა სტრუქტურად.

მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ თვით ინტერსუბიექტურობის პრინციპი მიეკუთვნება პრაგმატიკის სფეროს, თავად პრაგმატიკა კი როგორც ზოგადსემიოტიკური, ისე საკუთრივ ლინგვისტური გაგებით ეფუძნება კომუნიკაციის თეორიას, ასევე აუცილებლად მიგვაჩნია მივმართოთ ამ თეორიას იმ მიზნით, რომ ინტერსუბიექტურობის პრინციპმა შეიძინოს მაქსიმალურად მყარი თეორიული საფუძველი. აქედან გამომდინარე, ვეყრდნობით პ. ვაცლავიკის, ჯ. ბივინის და დ. ჯექსონის მონოგრაფიას - „ადამიანურ კომუნიკაციათა პრაგმატიკა“, რადგან სწორედ ამ მონოგრაფიაშია მოცემული კომუნიკაციის ის თეორია, რომელიც ეფუძნება პრაგმატიკას, ამ ტერმინის ზოგადსემიოტიკური გაგებით. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ადამიანური კომუნიკაციის ამგვარმა, ანუ სემიოტიკურ-პრაგმატიკულმა გაგებამ შეიძლება შეგვიქმნას იმის წინაპირობა, რომ ტრანსლინგვისტიკის სფეროში დავინახოთ და

განვსაზღვროთ ის, რაც წარმოადგენს ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს - როგორ უნდა ხდებოდეს როლური დეიქსისის, როგორც კონცეპტის ის შინაარსობრივი ტრანსფორმაცია, რომელმაც უნდა მიგვიყვანოს პერსონალურ *დეიქსისამდე* ამ რთული ტერმინის ნარატოლოგიური გაგებით? თუმცა, სწორედ ხსენებული თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმის კიდევ ერთხელ ხაზგასმა, რასაც მოითხოვს ჩვენი კვლევის ინტერდისციპლინური მეთოდოლოგია: იმისათვის, რომ ეს მეთოდოლოგია ცენტრირებული იყოს ლინგვისტურად, აუცილებელია გვქონდეს თავად ნარატოლოგიის *ლინგვოკულტუროლოგიური* ხედვა, მაგრამ რას უნდა გულისხმობდეს ნარატოლოგიის ამგვარი ხედვა, თუ გავითვალისწინებთ ლინგვოკულტუროლოგიის, როგორც კვლევითი პარადიგმის შინაარსობრივ სტრუქტურას: ერთი მხრივ, ლინგვოკულტუროლოგია როგორც *ლინგვისტური* პარადიგმა გულისხმობს იმის სრულ გათვალისწინებას, რაც, კონცეპტუალური თვალსაზრისით მოიტანა წინა პარადიგმებზე, ანუ ლინგვისტიკის სისტემურ და კომუნიკაციურ პარადიგმებზე დაფუძნებულმა კვლევამ, მეორე მხრივ კი, იმის ასევე სრულ გათვალისწინებას, რომ თავად ლინგვისტიკის ამ გზით მოპოვებული კონცეპტუალური სისტემა ორგანულად უნდა დაუკავშირდეს *კულტურის* ფენომენს. ეს კი ნიშნავს შემდეგს: თუ გვსურს გვქონდეს ნარატოლოგიის ლინგვოკულტუროლოგიური ხედვა, ეს ხედვა უნდა იყოს ერთდროულად *სემიოესთეტიკურიც*.

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, დეიქსისის ჩვენეული კვლევის ზემოთ კიდევ ერთხელ ფორმულირებული მეთოდოლოგია აუცილებლად გულისხმობს ერთიან ფუნდამენტს კომუნიკაციის თეორიის სახით, რადგან, როგორც ზემოთ ხსენებული მონოგრაფიის ავტორები ამბობენ, „კომუნიკაცია არის ადამიანის არსებობისა და სოციალური წესრიგის *conditio sine qua non*“ (ბევინი, ჯექსონი 2000:5).

აქედან გამომდინარე ავტორები მიიჩნევენ, რომ ყოველივე ის, რის გარეშეც ეს კომუნიკაცია შეუძლებელია, ანუ მის მარეგულირებელ წესთა ერთობლიობა წარმოადგენს *„ქვაკუთხედს ადამიანური კომუნიკაციის ფუნდამენტში“* (იქვე). ამავე დროს ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ავტორები ხაზს უსვამენ კომუნიკაციის წესთა ერთობლიობის კვლევის ორ აუცილებელ წინაპირობას:

ა) მათი აზრით, ეს კვლევა უნდა ეფუძნებოდეს პრაგმატიკას, როგორც სემიოტიკურ დისციპლინას, თუმცა ამავე დროს აღნიშნავენ იმასაც, რომ „ადამიანური კომუნიკაციის პრაგმატიკა როგორც მეცნიერული დისციპლინა ჯერ მხოლოდ იწყებს განვითარებას" (იქვე) და ბ) ამავე დროს იგივე ავტორები ლაპარაკობენ კომუნიკაციის თეორიის „ინტერდისციპლინურობაზე" (ბევინი, ჯექსონი 2000:6).

§4. დეიქსისი და ტრანსლინგვისტიკა: დისკურსისა და დეიქსისის თეორიათა სინთეზი როგორც პრობლემა და როგორც ამოცანა

როგორც ვხედავთ, ხსენებული ავტორების აზრით კომუნიკაციის ფენომენი შეიძლება შესწავლილ იქნას მხოლოდ ინტერდისციპლინურად, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგია, პირველ რიგში კი, მისი ინტერდისციპლინური ვექტორი შეესაბამება კომუნიკაციის თეორიის ზოგადმეთოდოლოგიურ ვექტორს. ქვემოთ შევეცდებით იმის ჩვენებას, თუ როგორი უნდა იყოს ხსენებული ვექტორის ძირითადი და განმსაზღვრელი ასპექტი, მაგრამ სანამ ამ ასპექტს შევხებოდეთ, ასევე საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ გავუსვათ ხაზი ჩვენი მეთოდოლოგიის მეორე ასპექტსაც, რომელიც განსხვავდება ინტერდისციპლინურობისაგან, თუმცა ჩვენი კვლევის კონტექსტში აქვს არანაკლები მნიშვნელობა: ვგულისხმობთ რეტროსპექციისა და პროსპექციის როგორც მეთოდის, გამოყენების აუცილებლობას ჩვენი კვლევის ფარგლებში. რას გულისხმობს ეს მეთოდი იმ შემთხვევაში, როცა ვეხებით კომუნიკაციის ზოგად თეორიას და გვსურს დავეყრდნოთ მას პერსონალური დეიქსისის როგორც კონცეპტის გააზრების პროცესში? იმისათვის, რომ გავცეთ პასუხი ამ კითხვაზე, აუცილებლად მიგვაჩნია მივუთითოთ შემდეგ ფაქტზე: იმ მომენტამდე, სანამ საჭირო გახდა მიგვემართა კომუნიკაციის ზოგადი თეორიისათვის, ჩვენს კვლევაში უკვე ფიგურირებდა *კომუნიკაცია* როგორც ტერმინი, კატეგორია და

კონცეპტი - მაგრამ ფიგურირებდა არა ავტონომიურად, არა იმ ზოგადი და ფუნდამენტური მნიშვნელობით, როგორც ეს ბუნებრივად ხდება მაშინ, როცა ლპარაკია კომუნიკაციაზე ზემოთ აღნიშნული გაგებით (როგორც "ადამიანის არსებობის... conditio sine qua non...") ჩვენ მოგვიხდა ლპარაკი კომუნიკაციაზე ისეთ კონტექსტში, როცა მასზე მსჯელობა მთლიანად განპირობებული იყო დეიქსისის ფენომენისადმი ჩვენი კვლევითი ინტერესით. რეტროსპექტულად უნდა გავუსვათ ხაზი იმ სპეციფიკურ კონტექსტსაც, რომლის პრიზმითაც დანახული იყო კომუნიკაციის ფენომენი: თუ სისტემური ლინგვისტიკის ფარგლებში ადგილი ჰქონდა - რა თქმა უნდა, კონცეპტუალური გაგებით - დეიქსისისა და ნომინაციის ფუნქციათა ნეიტრალიზაციას როლური დეიქსისის ფარგლებში, კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში როლური დეიქსისის მანეიტრალიზებელმა ფუნქციამ „გადადგა შემდეგი ნაბიჯი“ იმ გაგებით, რომ მის ფარგლებში ერთდროულად განეიტრალდა სამი ენობრივი ფუნქცია - დეიქსისი, ნომინაცია და კომუნიკაცია. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს პერსონალური დეიქსისი და ამავე დროს დეიქსისის ამ ტიპის კვლევას ვუკავშირებთ თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკას, ბუნებრივია, დავსვათ კითხვა: **როგორ უნდა იქნას გაგებული და ინტერპრეტირებული როლური დეიქსისის მანეიტრალიზებელი ფუნქცია**, თუ ამ ფუნქციას დავინახავთ უკვე ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის პრიზმით? გავიხსენოთ, რომ დღეისათვის სწორედ ეს პარადიგმა დომინირებს ლინგვისტურ აზროვნებაში. რა თქმა უნდა, ჩვენი ამოსავალი ჩანაფიქრის თანახმად, გვსურს ვიკვლიოთ დეიქსისი, პირველ რიგში კი როლურ/პერსონალური დეიქსისი ნარატოლოგიურ კონტექსტში, მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე იქნა აღნიშნული, ნარატოლოგიური კონტექსტი თავისთავად გულისხმობს კულტუროლოგიურ და სემიოესთეტიკურ კონტექსტსაც.

როგორც უკვე ვიცით, „რეტროსპექტივა“ როგორც კვლევითი მეთოდი უნდა დავუკავშიროთ „პროსპექტივას“, „პროსპექტივა“ კი კვლევის ამ ეტაპზე ნიშნავს შემდეგს: თუ გვსურს დავინახოთ დეიქსისი ტრანსლინგვისტურად, აუცილებელია მიეთითოს ისეთ მომენტზე, რომლებსაც ერთნაირად ფუნდამენტური როლი უნდა მიეწეროს, ტრანსლინგვისტიკის ქმნადობის თვალსაზრისით. ეს მომენტებია:

ა) პირველი მომენტი თავისთავად ცხადია და, თუ გავიხსენებთ რ. ბარტის მსჯელობას ტრანსლინგვისტიკის რაობის თაობაზე, შეიძლება მივიჩნიოთ აქსიომატურ ფაქტადაც: ტრანსლინგვისტიკა ეფუძნება ლინგვისტიკას და, შესაბამისად, გულისხმობს შემდეგს: ლინგვისტური აზროვნების თანამედროვე პარადიგმული სტრუქტურა უნდა იქნას ტრანსპონირებული მთელ ჰუმანიტარულ სფეროში.

ბ) მაგრამ არსებობს, ჩვენი აზრით, ის მეორე მომენტიც, რომელიც, შეიძლება ითქვას ნაკლებად არის დანახული (ან იქნებ სულაც არ არის დანახული) და მით უმეტეს ხაზგასმული ტრანსლინგვისტიკაზე მსჯელობისას: ტრანსლინგვისტიკის ზემოთ ხსენებული ქმნადობა შეუძლებელი იქნებოდა დეიქსისის, როგორც ფენომენის იმ შინაარსობრივ ტრანსფორმაციათა გარეშე, რომლის შესახებ გვქონდა რეტროსპექტული მსჯელობა.

ადვილია, ალბათ, იმის დანახვა, რომ, ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმული აზრით დეიქსისის ფენომენს უნდა მიეწეროს განსაკუთრებული როლი ტრანსლინგვისტიკის არა მხოლოდ ქმნადობის პროცეში, არამედ ზოგადად მის სტრუქტურაშიც - თუ, რა თქმა უნდა, ბოლომდე გავითვალისწინებთ დისკურსის, როგორც ფენომენის, ცენტრალურ როლს თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ფორმირების თვალსაზრისით. მაგრამ, ჩვენი აზრით, ასევე ცხადია შემდეგი: იმისათვის, რომ დადასტურდეს დეიქსისის ამგვარი, ანუ ტრანსლინგვისტური სტატუსი, აუცილებელია განხორციელდეს ორი ფენომენის - დეიქსისისა და დისკურსის -სინთეზური ხედვა.

მიგვაჩნია რომ, სწორედ ამ ორი ფენომენის კონცეპტუალურ სინთეზს შეუძლია გასცეს პასუხი მთელი ჩვენი კვლევითი კონტექსტით დასმულ კითხვას: როგორ უნდა იქნას გაგებული როლური დეიქსისის ის შინაგანი ფუნქციურ-სტრუქტურული ტრანსფორმაცია, რომლის შედეგად გვექნება საფუძველი ვილაპარაკოთ *პერსონალურ დეიქსისზე?* ვფიქრობთ, სწორედ ამგვარი კითხვის დასმით ვპასუხობთ ჩვენი კვლევითი მეთოდოლოგიის იმ ასპექტს, რომელსაც რეტროსპექციისა და პროსპექციის სინთეზი ვუწოდებთ. ჩვენ უკვე გვქონდა იმის კონცეპტუალური ხედვა, თუ როგორ ტრანსფორმირდებოდა როლური დეიქსისის მეტაკატეგორიული სტატუსი დეიქტიკური ტრიადის ფარგლებში, იმის მიხედვით, თუ როგორ იცვლებოდა თვით ლინგვისტიკის პარადიგმული

სიტუაცია: როლურ დეიქსისში ადგილი ჰქონდა ჯერ დეიქსისისა და ნომინაციის, შემდეგ კი უკვე დეიქსისის, ნომინაციისა და თვით კომუნიკაციის ფუნქციათა ნეიტრალიზაცია. მაგრამ შეუძლებელია არ ვაღიაროთ შემდეგი ფაქტიც: ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა სწორედ ის პარადიგმაა, რომელიც ერთდროულად ასრულებს ორ პარადიგმულ ფუნქციას: ერთი მხრივ, იგი უნდა განვიხილოთ შიდალინგვისტურ პარადიგმად, მეორე მხრივ კი ისეთ პარადიგმადაც, რომელიც უკვე ექსპლიციტურად და ხაზგასმით მოითხოვს ენობრივ ფენომენტა კვლევის ინტერდისციპლინარიზაციას, მაგრამ უკვე განსაზღვრული მიმართულებით, სახელდობრ კი **კულტუროლოგიური** მიმართულებით. შესაბამისად, თუ გავიაზრებთ ზემოთ ნათქვამს ტრანსლინგვისტიკის ბარტისეულ კონცეპტზე დაყრდნობით, მოგვიხდება დავასკვნათ შემდეგი: თუ ტრანსლინგვისტიკის ბარტისეული (თუმცა არა მხოლოდ ბარტისეული, არამედ მთლიანად მეოცე საუკუნოვანი აზროვნების დამახასიათებელი) გაგება ეფუძნებოდა **დისკურსის გამჭოლ სტატუსსა** და მნიშვნელობას, არა მხოლოდ ლინგვისტიკაში, არამედ მთელ ჰუმანიტარულ აზროვნებაში, ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ თვით ლინგვისტიკაში ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის დომინირება ახლებურად უნდა დაგვანახოს ტრანსლინგვისტიკის როგორც ქმნადობა, ისე შინაარსობრივი სტრუქტურა.

შეგვიძლია ვთქვათ: დისკურსისა და დეიქსისის კონცეფციათა ის სინთეზი, რომლის შესახებ ზემოთ გვქონა საუბარი შეიძლება გახდეს ტრანსლინგვისტიკის ახლებური ხედვის საფუძველი. მაგრამ, თუ ამავე დროს რეტროსპექტულად გავიხსენებთ როლურ დეიქსისთან დაკავშირებულ ზემოთ გამოთქმულ ჩვენს მოსაზრებებს, ჩვენი კვლევითი ჰიპოთეზა მიიღებს შემდეგ სახეს: დისკურსისა და დეიქსისის ამგვარი სინთეზის საფუძვლად უნდა იქცეს როლური დეიქსისის **პერსონალისტური ხედვა**.

თუ ზემოთ ფორმულირებული ჩვენი ჰიპოთეზის სტრუქტურას დავეფუძნებთ და ამავე დროს გავითვალისწინებთ, რომ მასში ლაპარაკია დისკურსისა და დეიქსისის კონცეპტთა სინთეზზე, მაშინ, ვფიქრობთ, აუცილებელი გახდება ითქვას შემდეგი: თუ შევადარებთ ერთმანეთს ამ ორი კონცეპტის როგორც ლინგვისტური, ისე ტრანსლინგვისტური განვითარების

ისტორიას, დავინახავთ მათ შორის შემდეგ ასიმეტრიულ მიმართებას: დეიქსისის თეორია თავიდანვე შეიქმნა და ვითარდებოდა დისკურსის როგორც საკომუნიკაციო აქტის საფუძველზე და წარმოუდგენელიც იყო მის გარეშე (რაშიც კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, როცა ჩვენი რეტროსპექციის ფარგლებში კიდევ ერთხელ განვიხილავთ დეიქსისის ბიულერისეულ კონცეფციას), თუმცა, რა თქმა უნდა, ნათქვამი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მსგავს შემთხვევაში ღიად და ექსპლიციტურად გამოიყენებოდა ტერმინი - დისკურსი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით იმავეს იმ შემთხვევაში თუ ასევე გავითვალისწინებთ დისკურსის თანამედროვე თეორიის განვითარების ისტორიას: დეიქსისი როგორც ტერმინი და კონცეპტი ღიად და ექსპლიციტურად არ წარმოადგენდა დისკურსის როგორც ფენომენის კონცეპტუალიზაციის თეორიულ საყრდენს. როგორც ცნობილია, ამგვარ საყრდენს კომუნიკაციის ზოგად თეორიასთან ერთად წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს ერთი მხრივ, ლინგვოსემიოტიკა მის მთლიანობაში, მეორე მხრივ კი ტექსტის ლინგვისტური თეორია. შესაბამისად, ისმის კითხვა: რას იძლევა ეს ექსკურსი ამ ორი კონცეპტის - დისკურსისა და დეიქსისის - შედარებით ისტორიაში ზემოთ ფორმულირებული ჩვენი ჰიპოთეზის პრობლემური ასპექტის დასაკონკრეტებლად? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე უნდა გავცეს შემდეგი პასუხი: თუ ტრანსლინგვისტიკის (ამ ტერმინის ბარტისეული გაგებით) ორგანულ კომპონენტად განვიხილავთ თანამედროვე ნარატოლოგიას და ამავე დროს გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თავად ნარატოლოგიაც უნდა ეფუძნებოდეს მხატვრული კულტურის ზოგად თეორიას, მაშინ აუცილებელი გახდება ის, რასაც მეტაფორულად შეიძლება ვუწოდოთ დეიქსისის ერთგვარი „რევანში“ დისკურსთან მიმართებაში: შეუძლებელია შევინარჩუნოთ ტრანსლინგვისტიკის უკვე არსებული კონცეპტი, თუ არ გავითვალისწინებთ იმ მნიშვნელოვან, მაგრამ ჯერ კიდევ იმპლიციტურად ნაგულისხმევ იმ ფუნდამენტურ როლს, რომელსაც უნდა ასრულებდეს დეიქსისი პირველ რიგში, ნარატოლოგიის, ზოგადად კი, ალბათ მთლიანად ტრანსლინგვისტიკის თეორიულ დაფუძნებაში. მაგრამ, რა თქმა უნდა, ამგვარი თეორიული ვარაუდის წამოყენება უნდა იქნას თეორიულადვე და მეთოდოლოგიურადაც მკაფიოდ დაფუძნებული და, სწორედ ამ მიზნით, გამოვყოფთ ხსენებული დაფუძნების ორ შემდეგ მომენტს:

ა) პირველი მომენტი უნდა ატარებდეს შიდალინგვისტურ ხასიათს და **ბოლომდე** ითვალისწინებდეს როლური დეიქსისის როგორც მეტაკატეგორიის იმ შინაარსობრივ ტრანსფორმაციათა ეტაპებს, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვით, ფაქტობრივად, ემთხვეოდნენ თანამედროვე ლინგვისტიკის შიდაპარადიგმული დინამიკის ეტაპებს: როლურ დეიქსისს მიეწერებოდა ჯერ თავად დეიქსისისა და ნომინაციის, შემდეგ კი ერთდროულად დეიქსისის, ნომინაციის და კომუნიკაციის ფუნქციათა ნეიტრალიზება. ეს კი უნდა ნიშნავდეს შემდეგს: როლური დეიქსისის ფუნქციური არსი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ დეიქსისი მის მთლიანობაში, ნომინაცია და კომუნიკაცია უნდა გულისხმობდნენ ერთმანეთს, ისე და იმდენად, რომ ფუნქციურად უნდა ხდებოდეს მათი ურთიერთდამთხვევა, მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი შემდეგ ფაქტს: როლური დეიქსისის მანეიტრალიზებელი ფუნქციის ამგვარი ხედვა ხორციელდებოდა ორი ლინგვისტური პარადიგმის - სისტემურ და სემიოტიკურ პარადიგმათა ურთიერთმიმართების პლანში. მაგრამ, როგორც ვიცით, თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული სიტუაცია გულისხმობს იმას, რომ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა დღეისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე კომუნიკაციური და, უფრო მეტიც, ეს სწორედ ის პარადიგმაა, რომლის ფარგლებში, როგორც ცნობილია, განიხილება ენის კულტურასთან მიმართება როგორც სისტემის, ისე დისკურსის დონეზე. შესაბამისად, ისმის კითხვა: როგორი უნდა იყოს როლური დეიქსისის, როგორც მეტაკატეგორიის, მანეიტრალიზებელი ფუნქციის ხედვა ამ პარადიგმის დონეზე? იმისათვის, რომ ბოლომდე გასაგები იყოს დასმული კითხვის მნიშვნელობა, საჭიროა ბოლომდე იქნას დანახული ლინგვოკულტუროლოგიის პარადიგმული არსის ის სპეციფიკა, რომელიც მას პრინციპულად განასხვავებს წინა პარადიგმებისაგან: ლინგვოკულტუროლოგია ისევე წარმოადგენს ლინგვისტურ პარადიგმას, როგორც წინა პარადიგმები, მაგრამ **ამავე დროს** იგი პირველად და ბოლომდე ექსპლიციტურად უკავშირდება - როგორც ფუნქციურად, ისე სტრუქტურულად - **კულტურას**, ხოლო კულტურის მეშვეობით კი - მთელ ადამიანურ სინამდვილეს.

ფაქტობრივად, ხდება ის, რაც ძალიან „წააგავს“ იმ როლს, რომელსაც როლური დეიქსისი ასრულებს ენობრივ ფუნქციათა ნეიტრალიზაციის თვალსაზრისით: ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმაში ხდება შიდა-

ლინგვისტურისა და „გარელინგვისტურის“ ის „ნეიტრალიზაცია“, რომელიც ვერ მოხდებოდა წინა პარადიგმების ფარგლებში;

ბ) მაგრამ იმისათვის, რომ ბოლომდე გახდეს გასაგები ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ფუნქციური არსი, ვფიქრობთ, აუცილებელია, განხორციელდეს ამ პარადიგმის არა მხოლოდ შიდალინგვისტური, არამედ *ტრანსლინგვისტური ინტერპრეტაცია*. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხაზი უნდა გაესვას არა მხოლოდ ლინგვისტიკისათვის, არამედ მთელი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნებისათვის მნიშვნელოვან იმ ფაქტს, რომ *კულტურის ფენომენი* და *კონცეპტი* იძენს პარადიგმული როლის შესრულებას როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს *კულტუროცენტრიზმთან*, როგორც ზოგად ჰუმანიტარულ მოვლენასთან, მაგრამ ამავე დროს ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმის ხაზგასმას, რომ კულტუროცენტრიზმს როგორც პარადიგმულ მოვლენას "საქმე აქვს" ტრანსლინგვისტიკასთან, ანუ აზროვნების იმ სფეროსთან, რომელიც, როგორც ვიცით, საბოლოოდ ეფუძნება **დისკურსის ლინგვოსემიოტიკურ ხედვას**.

მაგრამ, რა თქმა უნდა, როგორც ტრანსლინგვისტიკაზე, ისე კულტუროცენტრიზმზე მსჯელობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ შევძლოთ გავცეთ პასუხი ჩვენი კვლევითი მიზნისათვის ყველაზე მნიშვნელოვან კითხვას: რას უნდა ნიშნავდეს როლური დეიქსისის როგორც კონცეპტის როლი და მნიშვნელობა, თუ ამ მნიშვნელობას არსებითად დავუკავშირებთ ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას? მაგრამ იმისათვის, რომ ბოლომდე გააზრებულად ვუპასუხოთ ამ კითხვაზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ ზემოთ ნათქვამი: ლინგვოკულტურული პარადიგმა ამავე დროს უნდა მივიჩნიოთ ტრანსლინგვისტური კულტუროცენტრიზმის ერთ-ერთ ასპექტად. და თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ როლური დეიქსისის *პერსონალიზაციის*, როგორც ფენომენის დანახვას და ტიპოლოგიზაციას ვაპირებთ ნარატიულ სფეროში, გარდაუვალი ხდება შემდეგი დასკვნის გაკეთებაც: შეუძლებელი იქნება ჩვენ მიერ დასახული მიზნის განხორციელება, თუ არ დავეყრდნობით *კულტურის როგორც ფენომენის* თანამედროვე გაგებას.

სანამ შევუდგებოდით იმის გარკვევას, თუ კულტურის როგორც კონცეპტის თანამედროვე ინტერპრეტაციათა რომელ „ვარიანტს“ უნდა მივმართოთ, პერსონალური დეიქსისის ფუნქციურ-სტრუქტურული კვლევის მიზნით, ხაზი გავუსვით შემდეგ გარემოებასაც: ნარატიული სფერო ისევე წარმოადგენს კულტურის ერთ-ერთ განზომილებას, როგორც დისკურსის სფერო; აქედან გამომდინარე კი ცხადი უნდა იყოს: თუ გვსურს განვახორციელოთ დისკურსისა და დეიქსისის თეორიათა ის სინთეზი, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა, ამგვარ ამოცანას საფუძვლად უნდა დაედოს *კულტურის თანამედროვე კონცეპტიც*.

მეორე თავის დასკვნები

1) დეიქსისის ინტერდისციპლინური კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ ორი კონცეპტის - პარადიგმული სინთეზისა და დისკურსის კონცეპტთა - ერთ კვლევით კონტექსტში მოქცევა. ამგვარი მეთოდოლოგიური ნაბიჯის გადადგმას კი მოითხოვს როგორც ჰუმანიტარული აზროვნების თანამედროვე ტრანსლინგვისტური თეორია, ისე დისკურსის როგორც ცენტრალური ტრანსლინგვისტური კონცეპტის მიმართება ლინგვისტიკასთან: მიუხედავად იმ გამჭოლი სტატუსისა, რომელიც დისკურსის კონცეპტს უკავია მთელი ტრანსლინგვისტიკის ფარგლებში, ეს კონცეპტი როგორც შინაარსობრივად, ისე სტრუქტურულად ინარჩუნებს ლინგვისტური კონცეპტის ნიშან-თვისებათა მთელ სპექტრს. აქედან გამომდინარე, უნდა გაკეთდეს ორი შემდეგი დასკვნა:

ა) დისკურსის ფუნდამენტური ტიპოლოგია აგებულ უნდა იქნას ლინგვისტიკაზე დაყრდნობით

ბ) ტრანსლინგვისტიკის ფარგლებში უნდა მოხდეს იმის დადგენა, თუ როგორ ხდება დისკურსის ლინგვისტურად განსაზღვრულ ცალკეულ ტიპთა კონცეპტუალური ტრანსფორმაცია ტრანსლინგვისტიკის, ანუ სემიოტიკურად გააზრებული ჰუმანიტარული სფეროს, განსხვავებულ სეგმენტებში.

2) დისკურსის, როგორც ლინგვისტური კონცეპტის შინაგანად მაკონსტიტუირებელ მომენტად უნდა მივიჩნიოთ მისი არსებითი კავშირი დეიქსისის კონცეპტთან, თუმცა ამავე დროს უნდა იქნას ხაზგასმული ის ფაქტი, რომ როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ისე ტრანსლინგვისტური კვლევის ფარგლებში ეს არსებითი კავშირი არ ყოფილა ადეკვატურად აღქმული და გააზრებული. შესაბამისად, როლურ პერსონალური დეიქსისის, როგორც ფენომენის კვლევა უნდა ნიშნავდეს ამ ორ კონცეპტთა შორის ხსენებული არსებითი კავშირის გამოვლენას. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ საკვლევო პრობლემის გადაჭრა მოითხოვს დისკურსისა და დეიქსისის კონცეპტთა სინთეზს;

3) ზემოთხსენებული სინთეზი შესაძლებელ იქნება იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ იმ ასიმეტრიას, რომელიც არსებობს დისკურსსა და დეიქსისის კვლევათა შორის, ტრანსლინგვისტური თვალსაზრისით. უნდა გამოვთქვათ ჰიპოთეტური მოსაზრება, რომ ტრანსლინგვისტური თვალსაზრისით, დეიქსისის ფენომენი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც დისკურსი;

4) დეიქსისის ტრანსლინგვისტურ სტატუსს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, ნარატოლოგიური თვალსაზრისით, რადგან ჰუმანიტარული აზროვნების სწორედ ამ სეგმენტში ექსპლიციტურად ხდება ნარატივის დისკურსულ და დეიქტიკურ ასპექტთა შერწყმა და ურთიერთშედწევა. შესაბამისად, როლურ/პერსონალური დეიქსისის თეორიული გააზრების ყველა ასპექტი, უნდა დაუკავშირდეს ნარატოლოგიურ პრობლემატიკას.

თავი III

მხატვრული ნარატივი და პერსონალური დეიქსისი

§1. კულტურის თანამედროვე თეორია, დეიქსისის ბიულერისეული კონცეპტი და პერსონალური დეიქსისის კვლევის პერსპექტივა

მიგვაჩნია რომ, თავიდანვე უნდა იქნას აღნიშნული შემდეგი: ჩვენი კვლევის ფარგლებში პირველად ხდება ორი ამოცანის ერთმანეთთან დაკავშირება ესენია: ერთი მხრივ, დისკურსისა და დეიქსისის სინთეზის ამოცანა, მეორე მხრივ კი ხსენებული სინთეზის დაკავშირება კულტურის კონცეპტთან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე ლინგვისტიკის ფარგლებში არ მიმართავენ კულტურის თეორიას და არ ეფუძნებიან მას ენობრივ ფენომენტა კვლევისას, თუმცა, რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია, ენასა და კულტურას შორის მიმართების პრობლემა ჯერ არ ქცეულა დეიქსისის, როგორც ფენომენის, კვლევის საფუძვლად. შესაბამისად, მოცემული პარაგრაფის ფარგლებში ვისახავთ ორ შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ მიზანს: 1) მივიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ თანამედროვე კულტუროცენტრისტული სიტუაციის გათვალისწინებით როგორი უნდა იყოს ჩვენი ზოგადკულტუროლოგიური არჩევანი, ანუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს კულტურის ის კონცეპტი, რომლის ფონზე ვაპირებთ პერსონალური დეიქსისის კვლევას? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას დავეყრდნობით კემბრიჯელ ავტორთა კოლექტიურ მონოგრაფიას „კროს-კულტურული ფსიქოლოგია“ (Cross-Cultural Psychology). მაგრამ, ამავე დროს, აუცილებლად მიგვაჩნია იმ კვლევითი გამოცდილების გათვალისწინებაც, რომელიც არსებობს თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიურ სფეროში. ამ შემთხვევაში უნდა დავინტერესდეთ იმით, როგორ ხდება ლინგვისტიკის სფეროში ხსენებული ორი ფენომენის - ენისა და კულტურის - ერთ პრობლემურ „ფოკუსში“ მოქცევა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას კი დავეყრდნობით ანა ვეჟბიციკას ცნობილ მონოგრაფიას - „კულტურათა შეპირისპირება ლექსიკასა და პრაგმატიკაზე დაყრდნობით“. ვფიქრობთ, ვეჟბიციკას მიერ ჩატარებული ლინგვოკულტუროლოგიური კვლევა შეიძლება

გამოყენებულ იქნას ნიმუშად ჩვენს შემთხვევაშიც, ანუ იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე ეხება დეიქსისის ასევე ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევას.

თუმცა, იმავე დროს, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: ის კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც ვეჭბიცა იკვლევს ენისა და კულტურის ურთიერთმიმართებას, მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენეული კვლევის კონტექსტისაგან. ამიტომ გასაგები უნდა იყოს ისიც, რომ ჩვენთვის ენისა და კულტურის ვეჭბიცასეული „ვარიანტი“ იქნება არა მხოლოდ ნიმუში, არამედ გარკვეული კრიტიკის ობიექტიც. მიგვაჩნია, რომ ჰუმანიტარული კვლევის დღევანდელი, ინტერდისციპლინარული, პარადიგმის სიტუაციაში შეუძლებელია:

ა) ერთმანეთს დააშორო კვლევის ლინგვისტური, თეორიულ-კულტურული, სემიოესთეტიკური და ნარატოლოგიური კონტექსტები;

ბ) მაგრამ, ვფიქრობთ, ასევე მნიშვნელოვანია შემდეგი მომენტიც: როგორც უკვე ვნახეთ, როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მთელი თანამდეროვე ჰუმანიტარული სფერო უნდა წარმოვიდგინოთ **ტრანსლინგვისტიკად**. ეს კი, ჩვენი აზრით, ნიშნავს შემდეგს: ტრანსლინგვისტიკას როგორც არსებითად ერთიან სფეროს, აქვს *ვერტიკალური განზომილება* დაფუძნებული *დისკურსის კონცეპტზე*. მაგრამ ამავე დროს შესაძლებლად და აუცილებლადაც მიგვაჩნია აღვიქვათ ტრანსლინგვისტიკის ხსენებული ვერტიკალური განზომილება ვერტიკალურ *ვექტორადაც*. ამით ვგულისხმობთ შემდეგს: სწორედ დისკურსის ლინგვოსემიოტიკურმა მოდელმა უნდა იქონიოს გამჭოლი მნიშვნელობა ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების განხილვისას (თუმცა ამავე დროს, ასევე აუცილებლად მიგვაჩნია იმის ხაზგასმით განმეორებაც, რაც ითქვა წინა პარაგრაფში: თვით დისკურსის თეორია და, პირველ რიგში, დისკურსის ამოსავალი მოდელი საჭიროებს იმას, რომ განხორციელდეს დეიქსისის თეორიასა და მოდელთან მისი ექსპლიციტური ინტეგრაცია. ბუნებრივია, ჩვენ შევეცდებით განვახორციელოთ დისკურსისა და დეიქსისის თეორიული სინთეზი ამ კონტექსტში, რომელიც მიგვაჩნია ტრანსლინგვისტიკის ცენტრალურ სეგმენტად, ვგულისხმობთ სინთეზს პირველდაწყებით, ანუ ჯერ კიდევ სქემატურ დონეზე, მაგრამ ამგვარ სინთეზზე მსჯელობა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა დადგენილ იქნება ჩვენი ზოგადკულტუროლოგიური ორიენტაცია).

რატომ არის ჩვენთვის ასე მნიშვნელოვანი იმის განსაზღვრა, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი კულტუროლოგიური ორიენტაცია? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ ორ თვალსაზრისზე დაყრდნობით:

ა) პირველი თვალსაზრისი მთლიანად ეფუძნება ჩვენ მიერ უკვე გავლილ კვლევით გზას. როგორც ვნახეთ, ჩვენ მიერ მეტაკატეგორიალურად მიჩნეული როლური დეიქსისი იცვლიდა თავის ფუნქციურ არსს იმის მიხედვით, თუ რომელი ლინგვისტური პარადიგმის პოზიციიდან ხდებოდა ამ არსის დანახვა. მაგრამ საქმე ისაა, რომ, როგორც ცნობილია, თანამედროვე ლინგვისტიკაში დღეისათვის დომინირებს *ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა*, ანუ ისეთი პარადიგმა, რომელიც მოითხოვს ენობრივ და კულტურულ ფენომენტა სინთეზურ ხედვას. როგორ უნდა იყოს გაგებული როლური დეიქსისის მანეიტრალიზებელი ფუნქცია ამ პარადიგმულ დონეზე, თუ ამავე დროს არ იქნება დავიწყებული წინა პარადიგმათა მონაცემები? ეს ის კითხვაა, რომელზეც, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს პასუხი დეიქსისისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში. (თუმცა, ალბათ, უფრო სწორი იქნებოდა იმის ხაზგასმა, რომ ასეთი კითხვა არც არის დასმული ექსპლიციტური სახით);

ბ) მაგრამ წინა პარაგრაფში განხორციელებულმა მსჯელობამ დაგვანახა ის ორგანული კავშირიც, რომელიც უნდა ვიგულისხმოთ ლინგვისტურ ლინგვოკულტუროლოგიასა და ზოგადად გაგებულ კულტუროცენტრიზმს შორის. მიუხედავად იმისა, რომ კულტუროცენტრიზმი შეიძლება მიჩნეულ იქნას მეთოდოლოგიურ პარადიგმად მთელ ჰუმანიტარულ სფეროში, არ არსებობს თვით „კულტურის“ როგორც ფენომენის ერთიანი გაგება. ეს სწორედ ისაა, რასაც ხაზს უსვამს ვეჟბიკა: „სხვადასხვა ავტორი ტერმინ „კულტურას“ იყენებს სხვადასხვა გაგებით და ამიტომ სანამ ვილაპარაკებთ „კულტურებზე“, კარგი იქნებოდა გაგვერკვია, თუ რა მნიშვნელობით უნდა გამოვიყენოთ ეს ტერმინი“ (ვეჟბიკა 1997:43). სწორედ ამ პრობლემიდან გამომდინარე, მივმართავთ კემბრიჯელ ავტორთა ზემოთ ხსენებულ კოლექტიურ მონოგრაფიას იმისათვის, რომ გვქონდეს კულტურის, როგორც ფენომენის, თუნდაც სქემატური, მაგრამ მაინც გარკვეული ზოგადი გაგება. ავტორები განიხილავენ კულტურის ისეთ დეფინიციებს, როგორებიცაა აღწერითი, ისტორიული, ნორმატიული, სტრუქტურული და გენეტიკური დეფინიციები და ამ განხილვის შემდეგ

ამბობენ: „კულტურა შედგება არა მხოლოდ ისეთ ქმედებებისაგან და არტეფაქტებისაგან, რომლებიც უშუალოდ შეიძლება აღქმულ იქნენ, არამედ იმ სიმბოლოებისგანაც, ღირებულებებისგანაც და მნიშვნელოვნებისგანაც, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ქმედებებსა და არტეფაქტებს" (ბერი, სიგალი 2002:251). ავტორთა აზრით, კულტურის თეორიამ გაიარა თავისი განვითარების შემდეგი ორი ეტაპი:

1) პირველ ეტაპზე „კულტურა განიხილებოდა როგორც რაღაც ისეთი, რაც არსებობს ჩვენ გარეშე და ამავე დროს როგორც რაღაც ისეთი, რაც არსებობს ჩვენ გარეშე და ამავე დროს როგორც რაღაც ისეთი, რაც ხასიათდება ობიექტური რეალობით და სტაბილურობის მაღალი დონით" (ბერი, სიგალი 2002:251);

2) მაგრამ, ავტორთა აზრით, 70-იანი წლებიდან მოყოლებული პირველ პლანზე გამოდის ის სიმბოლური მიახლოებული თვალსაზრისი, რომლის მიხედვით კულტურა არსებობს როგორც ინდივიდთა შიგნით, ისე მათ შორის" (იქვე). როგორც ავტორები წერენ, „ამ ახალი მიდგომის შედეგად მეტი ყურადღება ეთმობა კოგნიტურ ასპექტთა კვლევას" (იქვე).

როგორც მოცემულ პარაგრაფში, ისე წინა პარაგრაფებში განხორციელებული მსჯელობის შედეგად შეგვიძლია გამოვკვეთოთ ჩვენი კვლევის ის გადამწყვეტი მომენტი, რომელიც მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ეფუძნება *პარადიგმულ სინთეზს*, თეორიული თვალსაზრისით კი გულისხმობს შემდეგი კითხვის ექსპლიციტურად დასმას: როგორ უნდა წარმოვიდგინოთ დეიქსისის ის შინაარსობრივი ტრანსფორმაცია, რომელსაც მოითხოვს ხსენებული პარადიგმული სინთეზი და რომელიც უნდა გულისხმობდეს როლური დეიქსისის მანეიტრალიზებული ფუნქციის სრულიად ახლებურ ხედვას, ანუ ისეთ ხედვას, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს პარადიგმული სინთეზის განხორციელების სრულიად ახალ ეტაპს? როგორც ვიცით, ეს ახალი ტიპი ატარებს, როგორც შიდალინგვისტურ, ისე ზოგადჰუმანიტარულ ხასიათს. რადგან მის ფარგლებში ხდება ლინგვოკულტუროლოგიისა და კულტუროცენტრიზმის შეხვედრა და კონცეპტუალური შერწყმა. ითქვა ისიც, რომ ხსენებულ ეტაპზე სრულიად განსაკუთრებულად უნდა ხდებოდეს ორი ფენომენის - დისკურსისა და დეიქსისის ურთიერთმიმართების განსაზღვრა: თუ წინა პარადიგმათა დონეზე დეიქსისი აქსიომატურად და იმპლიციტურად განიხილებოდა დისკურსის

სტრუქტურულ კომპონენტად და შესაბამისად, არც იყო ექსპლიციტურად დასმული ამ ორი ფენომენის ურთიერთმიმართების პრობლემა, ლინგვოკულტუროლოგიურ-კულტუროლოგიურ პარადიგმულ სიტუაციაში სწორედ ხსენებული ურთიერთმიმართება უნდა იქცეს *ექსპლიციტურად დასმულ პრობლემად*.

რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანი ვერ იქნება ზემოთ ფორმულირებული პრობლემის დასმა და გადაჭრა მთელ იმ ჰუმანიტარულ სივრცეში, რომელსაც რ. ბარტის მიხედვით შეიძლება „ტრანსლინგვისტიკა“ ეწოდოს, რადგან, როგორც ბარტმა გვიჩვენა მთელი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნება საბოლოო ანგარიშში ეფუძნება დისკურსის ლინგვისტურ ხედვას და წარმოადგენს კიდევ ამ ხედვის მრავალასპექტიან ტრანსფორმაციას. ჩვენი მიზანია განვიხილოთ ტრანსლინგვისტის, როგორც შინაგანად დინამიური სფეროს ის სეგმენტი, რომელიც, ერთი მხრივ, სცილდება ენის როგორც ლინგვისტიკის ობიექტის საზღვრებს, მაგრამ, მეორე მხრივ, სრულად ინარჩუნებს ვერბალურობის, ანუ ენობრიობის იმ განზომილებას, რომლის ფარგლებში შესაძლებელი უნდა იყოს ზემოთ ფორმულირებული კითხვის ექსპლიციტური სახით დასმა: ვგულისხმობთ ნარატივს როგორც კულტურის ექსპლიციტურად ვერბალურ განზომილებას და, შესაბამისად, ნარატოლოგიას როგორც ამ სეგმენტის კონცეპტუალიზაციის სფეროს. ჩვენი აზრით, სწორედ ნარატივის კვლევამ უნდა გაგვცეს პასუხი კითხვაზე: როგორ გამოიყურება როლური დეიქსისის მანეიტრალიზებული ფუნქცია, თუ ამ ფუნქციას დავინახავთ არა ისე, როგორც იგი დაინახებოდა აქამდე მოქმედ ლინგვისტურ პარადიგმათა დონეზე, არამედ უკვე იმ დონეზე, როცა ენა მის მთლიანობაში (და, შესაბამისად, დისკურსიც და დეიქსისიც) განიხილება **კულტურასთან** შინაგან და ორგანულ კავშირში. თუ განვიხილავთ ამ ახალ პარადიგმულ დონეს გავიაზრებთ მთელი თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკის ფონზე, შეიძლება ითქვას შემდეგი: ლინგვისტიკის ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, წარმოადგენს ზოგადჰუმანიტარული კულტუროცენტრიზმის ერთ-ერთ გამოვლინებას, უარს ამბობს ლინგვისტური იმანენტიზმის იმ პრინციპზე, რომელიც მეტ-ნაკლები სისრულით რეალიზდებოდა წინა პარადიგმებში, ეს კი, ჩვენი კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე, ნიშნავს შემდეგს: თუ აქამდე


როლური დეიქსისის მანეიტრალიზებელი ფუნქცია აღიქმებოდა იმანენტისტურად, ანუ მხოლოდ ენის შიდა სტრუქტურულ განზომილებრივ სივრცეში, ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით როლური დეიქსისის იგივე ფუნქცია უნდა აღქმულ იქნას უკვე არა „წმინდა ენობრივი“, არამედ ენობრივ-კულტურულ, ანუ პრინციპულად სინთეზურ სივრცეში - შეიძლება ითქვას ტრანსლინგვისტური სივრცის იმ ვერბალურ სეგმენტში, რომელსაც „ნარატივი“ ეწოდება.

იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის მესამე და დასკვნით თავში მოგვიხდება კვლევის ჩვენ მიერ დეკლარირებული მეთოდოლოგიის უკვე ანალიტიკური გზით ვერიფიცირება და, შესაბამისად, ნარატიულ ტექსტთა, „დეიქტიკური ანალიზი“, აუცილებლად მიგვაჩნია კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ხსენებული მეთოდოლოგიის იმ ასპექტს, რომელსაც რეტროსპექციისა და პროსპექციის ერთიანობა ვუწოდეთ. წინა თავებში რეტროსპექციისა და პროსპექციის ეს პრინციპი რეალიზებულ იქნა თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკასთან მიმართებით: ვნახეთ, თუ როგორ უნდა გააზრებულიყო დეიქსისი, როგორც ფენომენი და კონცეპტი იმის მიხედვით, თუ რომელ პარადიგმაზე დაყრდნობით იქნებოდა იგი განხილული. ამავე დროს, რა თქმა უნდა, მხედველობაში ვიღებდით დეიქსისის, როგორც ფენომენის დღეისათვის არსებულ ხედვას (სახელდობრ მის ტრადიულ სტრუქტურას), მაგრამ, სწორედ ამ პარადიგმული დინამიკის გათვალისწინებით უნდა დაისვას კითხვა: რით განსხვავდება აქამდე ჩვენ მიერ განხილული ორი ლინგვისტური პარადიგმა - სისტემური და კომუნიკაციური - ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, თუ ამ განსხვავებას დავუკავშირებთ ყოველივე იმას, რაც უკვე ითქვა წინა პარაგრაფში. წინა პარაგრაფში კი ხაზგასმით აღინიშნა, რომ დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური ხედვა უნდა დაუკავშირდეს ამ ფენომენის ტრანსლინგვისტურ-კულტუროცენტრისტულ ხედვას. სწორედ დეიქსისის ფენომენის აღქმაში ამ პრინციპული სიახლის შეტანა გვიქმნის იმის საფუძველს, რომ დავინახოთ ეს ფენომენი არა მხოლოდ იმ პარადიგმათა პოზიციებიდან, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ თანამედროვე ლინგვისტიკაში, არამედ იმ *მთლიანობაში*, რომელიც უნდა არსებულიყო კარლ ბიულერთან - თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ ფუძემდებელთან. როგორც წინა პარაგრაფში ითქვა,

დეიქსისის ჩვენებულმა კვლევამ მიგვიყვანა იმის აუცილებლობამდე, რომ უნდა განხორციელდეს დისკურსისა და დეიქსისის თეორიათა სინთეზი. მაგრამ, სანამ ჩვენ განვახორციელებდეთ ამგვარ სინთეზს, აუცილებლად მიგვაჩნია ბოლომდე მივიყვანოთ რეტროსპექციისა და პროსპექციის სინთეზის მეთოდოლოგიური პრინციპი შემდეგი გაგებით: დავინახოთ დეიქსისის ფენომენი იმ სახით როგორც იგი იყო წარმოდგენილი კ. ბიულერთან. ვფიქრობთ, ეს აუცილებელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბიულერი მიიჩნევა დეიქსისის თანამედროვე კონცეპტის ფუძემდებლად, არამედ იმიტომაც, რომ მის ზოგად ლინგვისტურ კონცეფციაში უკვე - თუმცა არა ექსპლიცირებული სახით, არამედ იმპლიციტურად უკვე ნაგულისხმევა დისკურსისა და დეიქსისის ჩვენი კვლევისთვის აუცილებელი სინთეზი.

იქედან გამომდინარე, რომ, როგორც უკვე ვთქვით, აუცილებლად მიგვაჩნია დისკურსისა და დეიქსისის თეორიათა სინთეზი და ამავე დროს მივიჩნიეთ, რომ იმპლიციტურად ამგვარი სინთეზი განხორციელებულია კ. ბიულერთან, აუცილებლად მიგვაჩნია სქემატურად მაინც მოვახდინოთ დეიქსისის ბიულერისეული კონცეფციის რეფერირება. რა თქმა უნდა, ხსენებული კონცეფცია ასახული იყო დეიქსისის იმ ტრიადულ სტრუქტურაში, რომელსაც ჩვენ აქამდეც ვეყრდნობოდით; მაგრამ სწორედ იქედან გამომდინარე, რომ დეიქსისის თანამედროვე კონცეპტი ეფუძნება ენის ბიულერისეულ თეორიას, საჭიროდ მიგვაჩნია არა მხოლოდ ხაზი გავუსვათ ბიულერისეული თეორიის *ფუძემდებლურ* მნიშვნელობას დეიქსისის როგორც ფენომენის გააზრებისათვის, არამედ დავუბრუნდეთ ამ თეორიას შემდეგი მიზნით: პირველ რიგში იმიტომ, რომ ამით ჩვენ უფრო თანმიმდევრულად განვახორციელებთ რეტროსპექციის და პროსპექციის ჩვენს მეთოდოლოგიურ პრინციპს და, გარდა ამისა, დავინახავთ დისკურსისა და დეიქსისის თეორიათა სინთეზის აუცილებლობასაც.

ზემოთ ნათქვამის შესაბამისად, მოვიყვანოთ ბიულერისეული გრაფიკული სქემა, რომელიც, მისივე მტკიცებით, წარმოადგენს ენობრივი სუბიექტის „ორიენტაციის სისტემას“, გამოხატულს ფორმულით „აქ-ახლა-მე“. (ბიულერი 1993:8).



ავტორისვე მიხედვით „ეს სქემა უნდა წარმოადგენდეს ადამიანური ენის მითითებით ველს, რაც სქემის ფარგლებში ნიშნავს შემდეგს: „პოზიცია O-ში უნდა მოვათავსოთ სამი მიმთითებელი (ჩვენებითი) სიტყვა, სახელდობრ კი „აქ-ახლა-მე“ (იქვე), როგორც ავტორი აღნიშნავს, „ამა თუ იმ კონკრეტულ სამეტყველო ეპიზოდში ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, ფუნქციონირებენ განსხვავებულად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მკაფიოდ ფიქსირებული სახით (იქვე). მისივე სიტყვებით მოცემული სქემა წარმოადგენს „სუბიექტური ორიენტაციის“ ისეთ სისტემას, რომელსაც დაექვემდებარება ურთიერთობის ყველა მონაწილე“ (ბიულერი 1993:95).

იქედან გამომდინარე, რომ ჩვენ აქამდეც ვეყრდნობოდით ბიულერის თეორიაზე დაფუძნებულ დეიქსისის თანამედროვე კონცეფციას, არ მიგვაჩნია აუცილებლად იმ კომენტარის დეტალურად ციტირება, რომელიც თან ახლავს ენობრივი კომუნიკაციის ზემოთ წარმოდგენილ მოდელს, მაგრამ იმისათვის, რომ განვახორციელოთ ჩვენ მიერ დასახული ამოცანა და მოვახდინოთ პერსონალური დეიქსისის კონცეპტუალიზაცია ზემოთ ფორმულირებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ბიულერისეული კონცეფციის შემდეგი ასპექტები:

1) მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად (ვგულისხმობთ თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკას) არ ემთხვევა ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის დომინირებას, ენა როგორც ფენომენი დანახულია სწორედ კომუნიკაციური თვალსაზრისით;

2) თამამად შეიძლება ითქვას, რომ დეიქსისის აქ მოყვანილ მოდელსა და ფორმულას აქვს შინაგანი პრეტენზია, რომ მათი საშუალებით სრულად იქნას წარმოდგენილი ის, რასაც თავად ავტორი უწოდებს ადამიანურ ენას.

3) მაგრამ, რა თქმა უნდა, ზემოთ ჩვენ მიერ დასახული პროგრამის თანახმად, მთავარია დავინახოთ დეიქსისის ბიულერისეული კონცეპტი დისკურსის თანამედროვე თეორიის ფონზე. ჩვენი აზრით, სწორედ ამ ორი კონცეპტის შეპირისპირება უნდა შეგვიქმნას პერსონალური დეიქსისის კონცეფციის ჩამოყალიბების საკუთრივ ლინგვისტური საფუძველი. ამგვარი შეპირისპირება, ჩვენი აზრით, იძლევა შემდეგი დასკვნის საფუძველს:

ა) ბიულერთან ხაზგასმულია ენის კომუნიკაციური ფუნქციონირების სუბიექტური ასპექტი. შეიძლება ითქვას: ის ფაქტი, რომ ზემოთ ხსენებული დეიქტიკური ტრიადის ფარგლებში როლურ დეიქსისს მივანიჭეთ მეტაკატეგორიული სტატუსი, მთლიანად პასუხობს ბიულერისეული კონცეფციის შინაგან ლოგიკას;

ბ) მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბიულერთან არა გვაქვს, ყოველ შემთხვევაში, ესქპლიციტური სახით, ხაზგასმული ის პრინციპი, რომელიც ფუძემდებლურია დისკურსის თანამედროვე თეორიისთვის, ანუ ინტერსუბიექტურობის პრინციპი.

როგორც უკვე არა ერთხელ იქთვა, დეიქტიკური ფენომენის ლინგვისტური ასპექტის ცენტრისებულად წარმოდგენა უნდა მივიჩნიოთ ჩვენი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის არსებით ნიშნად, ამიტომ შეგვიძლია მთელი ჩვენი შემდგომი მსჯელობის ფარგლებში არა მხოლოდ განვახორციელოთ დისკურსისა და დეიქსისის თეორივათა სინთეზი, არამედ ამ სინთეზის განხორციელებისას დავეყრდნოთ ბიულერის ფუძემდებლურ კონცეფციას. ვფიქრობთ, რომ ხსენებული სინთეზი უნდა დაეფუძნოს დისკურსისა და დეიქსისის ფენომენტა გააზრებისათვის დამახასიათებელ შემდეგ ფაქტს: მიუხედავად იმისა, რომ დეიქსისის თეორიას აქვს გამართლებული პრეტენზია სრულიად წარმოადგინოს ვერბალური კომუნიკაცია, მას აკლია ის, რაც არსებითია დისკურსის თეორიისათვის - კომუნიკაციის ინტერსუბიექტურობის პრინციპი. მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას დისკურსის შესახებ: მას აკლია ის ასპექტი, რომელიც არსებითი დეიქსისის თეორიისათვის, რომელიც პრინციპულ მნიშვნელობა იძენს ვერბალურ მხატვრულ ნარატივში. - სინამდვილის ესთეტიკური წარმოსახვის ის პრინციპი, რომლის მიხედვით ვერბალურად წარმოდგენილი ესთეტიკური სინამდვილე ეფუძნება სუბიექტის, დროისა და სივრცის განუყოფელ შინაგან ერთიანობას. რა თქმა უნდა, ტრადიციული ლიტერატურათმცოდნეობა, როგორც წესი, გამოხატავდა ხსენებულ ერთიანობას ისეთ ლიტერატურათმცოდნეობით კატეგორიებზე დაყრდნობით, როგორიცაა „მთხრობელი“, მხატვრული დრო“ და „მხატვრული სივრცე“, რა თქმა უნდა, იმ მხატვრული ფორმის დახასიათებისას, რომელსაც თანამედროვე ტერმინოლოგიით „ნარატივი“ ეწოდება. მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ითქვა,

ჩვენი მიზანია დავინახოთ დეიქსისი მის მთლიანობაში და პირველ რიგში როლურ-პერსონალური დეიქსისი ისეთ კონცეპტუალურ სივრცეში, რომელიც, ერთის მხრივ, უნდა ატარებდეს ინტერდისციპლინარულ ხასიათს „ინტერდისციპლინარულობის ტრანსლინგვისტური გაგებით“, მეორე მხრივ კი, შეიცავს ისეთ კონცეპტუალურ ცენტრს, როგორც თანამედროვე ნარატოლოგია. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სწორედ ნარატოლოგია უნდა მივიჩნიოთ ტრანსლინგვისტიკის ამგვარ ცენტრად სწორედ იმიტომ, რომ მის ფარგლებში ენის ფენომენი აღქმულია *კულტუროცენტრისტულად*.

§2. კომუნიკაციის თეორია და ტრანსლინგვისტიკა: დისკურსისა და დეიქსისის თეორიათა სინთეზი, როგორც პრობლემა და ამოცანა

როგორც მოცემული თავის დასაწყისშივე განვითარებული მსჯელობა გვიჩვენებს, ჩვენი კვლევითი მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი ხდება, ერთი მხრივ, **ზოგადჰუმანიტარული კულტუროცენტრიზმისა და ლინგვისტური ლინგვოკულტუროლოგიის სინთეზი**, მეორე მხრივ კი სწორედ ამ სინთეზის ფარგლებში დეიქსისის *ნარატოლოგიური ხედვის განსაზღვრა*. თავისთავად ცხადია, რომ სწორედ ამ მიზნის მიღწევას უნდა „ემსახურებოდეს“ დისკურსისა და დეიქსისის როგორც კონცეპტთა ის სინთეზი, რომლის შესახებ ვიმსჯელებთ წინა პარაგრაფში.

ამგვარად ნაგულისხმევი კონცეპტუალური სფერო იმდენად დიდი და ყოვლისმომცველია, რომ მისი სრულად წარმოდგენის ამოცანა, ბუნებნივია, უნდა სცილდებოდეს ჩვენს კვლევით მიზნებს. მაგრამ, ამავე დროს, ვიღებთ რა მხედველობაში ჩვენი მეთოდოლოგიის პრინციპებსა და სტრუქტურას, საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ ამ მეთოდოლოგიის იმ *სამ საპექტზე*, რომელთა

განსაზღვრა წინ უნდა უსწრებდეს დეიქსისის ანალიტიკურ კვლევას უკვე კონკრეტული მხატვრული ნარატივის ფაგრლებში. ხსენებული სამი ასპექტია:

ა) როგორც ზოგადჰუმანიტარულ კულტუროცენტრიზმზე, ისე ამ კულტუროცენტრიზმზე საკუთრივ ლინგვისტურ გამოვლინებაზე (ვგულისხმობთ ლინოვოკულტუროლოგიას) მსჯელობისას აუცილებელია გვექონდეს *კულტურის* როგორც ფენომენის *ისეთი განსაზღვრა*, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ტიპურად და რეპრეზენტატიულად თანამედროვე აზროვნებისათვის.

ამ მიზნით დავეყრდნობით კემბრიჯელი ავტორების მონოგრაფიას. ამ მონოგრაფიის მიხედვით უნდა განვასხვავოთ „კულტურის განსაზღვრის ისეთი ტიპები, როგორებიცაა აღწერითი, ისტორიული, ნარატიული, ფსიქოლოგიური, სტრუქტურული და გენეტიკური ტიპები" (ბერი, სიგალი 2007:248-251). მაგრამ ჩვენი კვლევითი მიზნებისათვის მთავარია ის საბოლოო და ზოგადი დასკვნა, რომელთანაც მიდიან ავტორები კულტურის განსაზღვრათა ამ ერთობლიობის მიმოხილვის შემდეგ. ვფიქრობთ, ეს დასკვნა მოიცავს კულტურის თანამედროვე გაგების იმ კონცეპტუალურ ბირთვს, რომელსაც დავეყრდნობით ჩვენც ჩვენს მთელ შემდგომ მსჯელობაში. ავტორები მიიჩნევენ, რომ XX საუკუნის „70-იან წლებში დომინანტური გახდა კულტურის გაგების ტენდენცია, რომელიც ახლოა სიმბოლურ პოზიციასთან და რომლის მიხედვით კულტურა ერთდროულად მოცემულია, როგორც ინდივიდთა შიდა განზომილებაში, ისე ინდივიდთა შორის" (ბერი, სიგალი 2007:252). აქედან გამომდინარე კი, ავტორთა მიხედვით „კულტურა აღიქმება, როგორც რაღაც უფრო სუბიექტური, როგორც „კულტურა ადამიანთა ცნობიერებაში“, ან როგორც „ისეთ მნიშვნელობათა ისტორიულად გადმოცემული პატერნი, რომლებიც ფიგურირებენ სიმბოლოთა სახით" (იქვე).

რა თქმა უნდა, ჩვენი კვლევისთვის ამოსავალი უნდა იყოს არა მხოლოდ კულტურის როგორც ფენომენის ეს ზოგადი გაგება, არამედ კულტურის ის განზომილებაც, რომელსაც უშუალოდ ეკუთვნის მხატვრული ნარატივი, ანუ კულტურის მხატვრულ-ესთეტიკური განზომილება. მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, რომ კულტურის სიმბოლური არსის ის ხაზგასმა, რომელსაც შეიცავდა ავტორთა მსჯელობა, უკვე მიუთითებს კულტურის მხატვრულ-ესთეტიკურ ასპექტზე;

ბ) მაგრამ ამავე დროს, ჩვენი აზრით, ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ყოველი ის მცდელობა, რომლის მიზანია ისეთი ორი ფენომენის ურთიერთდაკავშირება, როგორებიცაა კულტურა და ენა, რადგან დეიქსისი, როგორც ვიცით, გენეტიკურად ენობრივი მოვლენაა, ხოლო მხატვრული ნარატივი მიეკუთვნება სწორედ კულტურის სფეროს. შესაბამისად, ვერ ავუვლით გვერდს ა. ვეჟბიკას მიერ კვლევით პრაქტიკაში შემოტანილ ისეთ ცნებას, როგორიცაა კულტურული სცენარების (cultural scripts) ცნება. ამასთან დაკავშირებით ავტორი წერს: „ის სამეტყველო სტრატეგიები, რომლებიც ტიპურია მოცემული ენობრივი კოლექტივისათვის, ვერ იქნება ადეკვატურად აღწერილი წმინდა „ქცევითი ტერმინებით“; სინამდვილეში ეს სამეტყველო სტრატეგიები წარმოადგენენ „კულტურულ წესთა“ ფარული სისტემის გარეგამოხატულებას ანუ „კულტურულ სცენარებს“ (ვეჟბიკა 2001:159).

ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ თუ კი მისაღები იქნება „კულტურული სცენარების“ ვეჟბიკისეული ტერმინი, მას უნდა მიენიჭოს პირველ რიგში ნარატიული მნიშვნელობა, რადგან, ჩვენი აზრით, სწორედ ნარატივი წარმოადგენს ენისა და კულტურის შერწყმული არსებობისა და ფუნქციონირების ძირითად სფეროს. შესაბამისად, შემდგომი მსჯელობის ფარგლებში დავსვამთ კითხვას: როგორ უნდა იქნას გააზრებული დეიქსისის, როგორც ენობრივი ფაქტის ის „კულტურული სცენარი“, რომელიც ასახულია მხატვრულ ნარატივში?

გ) და ბოლოს: იქედან გამომდინარე, რომ ზოგადად დეიქსისის, პირველ რიგში კი, პერსონალური დეიქსისის კულტუროცენტრისტულ-ლინგვოკულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას ვახდენთ ნარატივის სფეროში, ხოლო ნებისმიერი ნარატივისათვის, როგორც ცნობილია, პრინციპული მნიშვნელობა აქვს მის ისეთ ასპექტს, როგორიცაა point of view (ანუ რაც პრინციპულად იგივეა - ფოკალიზაცია), ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს იმ „პლან-ფაქტორების“ დასახელება, რომელსაც იძლევა ვ. შმიდი თავის ნარატოლოგიაში. ეს პლან-ფაქტორებია:

- „1. პერცეფციული თვალსაზრისი (point of view);
2. იდეოლოგიური თვალსაზრისი;
3. სივრცითი თვალსაზრისი;
4. დროითი თვალსაზრისი;

5. ენობრივი თვალსაზრისი" (შმიდი 2008:122).

როგორც ვხედავთ შმიდის მიერ დასახელებული „პლან ფაქტორები“ როგორც ექსპლიციტურად, ისე იმპლიციტურად მოიცავენ დეიქსისის ფენომენით ნაგულისხმევ მთელ ტრიადულ სტრუქტურას: დრო და სივრცე პირდაპირ (ექსპლიციტურად) არის დასახელებული, ხოლო თვით თვალსაზრისის (point of view) ცნება კი იმპლიციტურად, მაგრამ მთელი სიცხადით მიუთითებს დეიქსისში ნაგულისხმევ კომუნიკანტზე (ანუ პიროვნებაზე ამ სიტყვის კომუნიკაციური გაგებით).

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სწორედ ნარატიულ „პლან-ფაქტორთა“ ის კომპლექსი, რომლის სქემასაც იძლევა ვ. შმიდი, სტრუქტურული თვალსაზრისით შეესაბამება დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენის ბიულერისეულ მოდელს. პერცეფციული თვალსაზრისი შეესაბამება კომუნიკანტს (ადრესანტის როლში), სივრცითი და დროითი თვალსაზრისები კი - დეიქსისის სივრცით და დროით ასპექტებს. ამ პარალელის გავლებით ვგულისხმობთ შესაბამისობას ბიულერისეულ და შმიდისეულ მოდელებს შორის, ვფიქრობთ, დავამყარეთ კონცეპტუალური კავშირი ჩვენი მეთოდოლოგიის რეტროსპექტულ და პროსპექტულ ასპექტებს შორის, მაგრამ ამავე დროს შმიდისეული კომპლექსის ფარგლებში ვხედავთ ორ ისეთ ასპექტს (ორ ისეთ პლან-ფაქტორს), რომლებსაც ვერ ვუპოვეთ პირდაპირ ანალოგიას ბიულერთან. ესენია: „იდეოლოგიური თვალსაზრისი“ და „ენობრივი თვალსაზრისი“. იქედან გამომდინარე, რომ მიუხედავად ჩვენი მეთოდოლოგიური ინტერდისციპლინარული ხასიათისა, ეს მეთოდოლოგია, როგორც უკვე იქნა ხაზგასმული, უნდა იყოს ლინგვისტურად ცენტრირებული, საჭიროდ მიგვაჩნია სპეციალურად შევჩერდეთ ამ ორ შმიდისეულ პლან-ფაქტორზე - „იდეოლოგიურსა“ და „ენობრივზე“. მიგვაჩნია, რომ ამ პლან-ფაქტორთა გამოყოფით და მათი მნიშვნელობის ხაზგასმით ჩვენ ვახდენთ ჩვენი რეტროსპექტულ-პროსპექტული მეთოდოლოგიის უკვე მეორე განზომილების, ანუ პროსპექტულობის რეალიზაციას. და რაკი ზოგადი სახით რეტროსპექციაზე უკვე გვქონდა მსჯელობა, ამ ეტაპზე აუცილებელი ხდება სწორედ პროსპექციის როგორც ჩვენი მეთოდოლოგიის განუყოფელი ასპექტის სრული დაკონკრეტება, სხვანაირად რომ ვთქვათ, უნდა გავცეთ პასუხი შემდეგ სამ კითხვაზე: 1) როგორ

უნდა იქნას გაგებული შმიდისეული „იდეოლოგიური“ თვალსაზრისი? 2) როგორ უნდა იქნას გაგებული შმიდისეული „ენობრივი“ თვალსაზრისი? და 3) როგორ უნდა დავუკავშიროთ ერთმანეთს ეს ორი ჩვენ მიერ გამოყოფილი პლან-ფაქტორი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემით შევძლებთ არა მხოლოდ ჩვენი კვლევითი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის სრულიად შენარჩუნებას, არამედ ამ მეთოდოლოგიის საკუთრივ პარადიგმული ასპექტის ადეკვატურ ინტერპრეტაციასაც. როგორ უნდა მოხდეს დეიქსისის ფენომენის ნარატოლოგიური ინტერპრეტაცია, თუ ეს ინტერპრეტაცია ერთდროულად უპასუხებს, როგორც ზოგადჰუმანიტარულ კულტუროცენტრიზმს, ისე ლინგვოკულტუროლოგიის როგორც ლინგვისტური პარადიგმის მოთხოვნებს? თუ გავცემთ პასუხს ამ კითხვებზე, შევძლებთ ჩვენი კვლევის ანალიტიკურ ასპექტზე გადასვლას, ანუ შევძლებთ მოვახდინოთ დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია კონკრეტულ ნარატიულ რეალობაზე დაყრდნობით.

მოცემულ პარაგრაფში შევეცდებით გავცეთ პასუხი ზემოთ დასმულ პირველ კითხვაზე: როგორ უნდა იქნას გაგებული შმიდისეული „იდეოლოგიური თვალსაზრისი“? (რაც შეეხება მეორე და მესამე კითხვას, მათზე პასუხის გაცემას შევეცდებით შემდგომ პარაგრაფში). ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას კი გავითვალისწინებთ ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ორ კონცეფციას - **კულტურის**, როგორც ფენომენის კემბრიჯისეულ ინტერპრეტაციას და „კულტურულ სცენართა“ ვეჰბიკისეულ კონცეპტს: 1) მიგვაჩნია, რომ შმიდის მიერ გამოყენებული ტერმინი „იდეოლოგია“ უნდა შეიცვალოს ტერმინით „კულტურა“. ამით, ჩვენი აზრით, არ დაიკარგება ის, რასაც გულისხმობს ავტორი „იდეოლოგიური თვალსაზრისით“, მაგრამ ამავე დროს თვით იდეოლოგიას“ აღვიქვამთ ისე, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე კულტუროცენტრიზმი. იდეოლოგიას განაპირობებს ის კულტურა, რომელსაც ეკუთვნის ამა თუ იმ იდეოლოგიის მატარებელი სუბიექტი. შესაბამისად, ნარატიული იდეოლოგია მოექცევა „კულტურის“ როგორც ისეთი სუბიექტური ფენომენის ფარგლებში, რომელიც, როგორც კემბრიჯელი ავტორები ამბობენ, „ერთდროულად მოცემულია როგორც ინდივიდთა შიდა განზომილებაში, ისე ინდივიდთა შორის“.

ვფიქრობთ, მოცემული პარაგრაფი უნდა დავასრულოთ ორი ისეთი დასკვნით, რომლებიც, ერთი მხრივ, ხაზს გაუსვამენ ორი ზემოთგანხილული ტერმინის - „კულტურის“ და „კულტურულ სცენართა“ მნიშვნელობათა ერთიანობას, მეორე მხრივ კი ხაზი გაესმის კულტურის როგორც კონცეპტის ჩვენთვის მნიშვნელოვან განზომილებრივ სტრუქტურას.

ა) პირველი დასკვნა მდგომარეობს შემდეგში: როცა ვეჭბიცა მსჯელობს „კულტურულ სცენარებზე“, იგი გულისხმობს პირველ რიგში იმ განსხვავებებს, რომლებიც არსებობს კულტურულ და ენობრივ ფაქტორთა ურთიერთზემოქმედების ფარგლებში განსხვავებულ ეროვნულ კულტურებს შორის (ასე, მაგალითად, იგი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურება ამა თუ იმ სოციალური მოვლენის გამომხატველი კულტურული სცენარი გერმანულ და ანგლოსაქსურ ენობრივ სფეროებში (ვეჭბიცა 2001:165, 176). ჩვენ კი, პირიქით, ვანიჭებთ ვეჭბიცასეულ ამ ტერმინს, ერთი მხრივ, ზოგადკულტურულ, მეორე მხრივ კი ნარატოლოგიურ მნიშვნელობას და მივიჩნევთ, რომ სწორედ ნარატოლოგია წარმოადგენს ენობრივ და კულტურულ ფაქტორთა ურთიერთმოქმედების უნივერსალურად ღირებულ *„კულტურულ სცენარს“*. რას უნდა გულისხმობდეს ამ შემთხვევაში ამგვარად გაგებული *ნარატოლოგიურ-კულტურული „სცენარი“*? უნდა გულისხმობდეს იმ შინაგანი ერთიანი „მექანიზმის“ არსებობას, რომლის საფუძველზე დეიქსისი როგორც ლინგვო-სემიოტიკურად აღქმული ფენომენი ტრანსფორმირდება ლინგვოკულტუროლოგიურად აღსაქმელ ფენომენად. რა თქმა უნდა, დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია უნდა ნიშნავდეს არა ჩვენ მიერ უკვე განხილული ლინგვოსემიოტიკური ასპექტების იგნორირებას, არამედ ამ ასპექტებისათვის ახალი, საკუთრივ კულტურული განზომილების მინიჭებას.

ბ) სწორედ ამიტომ, ე.ი. დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიურად ადეკვატურად გააზრების თვალსაზრისით, აუცილებლად მიგვაჩნია გამოვიტანოთ მეორე დასკვნაც: თუ გვსურს შევინარჩუნოთ ჩვენი კვლევის თავიდანვე არსებული ვექტორი, ესე იგი განვახორციელოთ როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად კონცეპტუალური ტრანსფორმირება, აუცილებელია შევჩერდეთ კულტურის როგორც ფენომენის იმ ორ ასპექტზე, რომელთა გათვალისწინების გარეშე,

ჩვენის აზრით, შეუძლებელი უნდა იყოს ზემოთ ნახსენები მიზნის ადეკვატური სახით მიღწევა. ეს ორი ასპექტია:

1) პიროვნულობის როგორც პრინციპის და პიროვნების როგორც კონცეპტის ის გაგება, რომელიც დამახასიათებელია დასავლური კულტურისათვის და რომლის გარეშე, ჩვენი აზრით, შეუძლებელი უნდა იყოს როლური დეიქსისის *პერსონალურ დეიქსისად* აღქმა და

2) იმის გათვალისწინება, თუ როგორ გამოიყურება კულტურის მხატვრულ-ესთეტიკური განზომილების თანამედროვე, ანუ სემიოტიკური ინტერპრეტაცია იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ხსენებული (ანუ მხატვრულ-ესთეტიკური) განზომილების ნარატოლოგიურ ასპექტს.

ჩვენი ნაშრომის მესამე თავში უშუალოდ დავუკავშირებთ ერთმანეთს ორ ისეთ ფენომენს, როგორცაა, ერთი მხრივ, დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური აღქმა, მეორე მხრივ კი მხატვრული ნარატივის ტიპოლოგია. მაგრამ იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ორი ფენომენის ამგვარად დაკავშირება, აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, თუ რას წარმოადგენს ვერბალური მხატვრული ფენომენის სემიოტიკური კონცეფცია, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, რას წარმოადგენს თანამედროვე სემიოესთეტიკა.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის საფუძველზე შეგვიძლია მივიღოთ ორი შემდეგი დასკვნა: 1) იმის ბოლომდე გაგებისა და განსაზღვრისათვის, თუ როგორ უნდა იქნას კონცეპტუალურად გააზრებული დეიქტიკური ტრიადა მის მთლიანობაში და, პირველ რიგში, ამ ტრიადის მეტაკატეგორიულ განზომილება (როლური/პერსონალური დეიქსისი) ისეთი პარადიგმის ფარგლებში, როგორცაა ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, აუცილებელია დაისვას კითხვა: როგორ ტრანსფორმირდება დეიქსისის *ბიულერისეული მოდელი* დეიქსისის *ნარატოლოგიურ მოდელად*? ამ კითხვის დასმა ბუნებრივად გულისხმობს, რომ დეიქსისი როგორც ენობრივი ფენომენი ერთი მხრივ, მთლიანად შენარჩუნდება მხატვრული ნარატივის ფარგლებში, მეორე მხრივ კი ხდება მისი სრული ფუნქციური ტრანსფორმაცია, რომლის შედეგად იგი (დეიქსისი) იძენს არა უბრალოდ ენობრივ, არამედ სემიოესთეტიკურ ფუნქციას.

როგორც წინა პარაგრაფში ითქვა, დეიქსისის ხსენებულ ნარატიულ სემიოესთეტიკურ ფუნქციას დავუკავშირებთ ნარატივის ტიპოლოგიას. მაგრამ

სწორედ იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს დეიქსისის ამგვარი ფუნქციის ადეკვატური ანალიტიკა, აუცილებელია მივმართოთ, ერთი მხრივ, პიროვნების (Persona-ს) იმ კონცეპტს, რომელიც არსებითია დასავლური კულტურისათვის, მეორე მხრივ კი დავინახოთ ის შინაგანი კავშირი, რომელიც უნდა არსებობდეს პიროვნების ამ კონცეპტსა და მხატვრული ნარატივის იმ კონცეფციას შორის, რომელსაც უნდა ეწოდოს მისი სემიოესტეტიკური კონცეფცია. იმის შემდეგ კი, როცა შევასრულებთ ამ ამოცანას დავუბრუნდებით ნარატიული ფოკალიზაციის უკვე განხილულ მოდელს და მასზე დაყრდნობით განვახორციელებთ მხატვრული ნარატივის დეიქტიკურ ინტერპრეტაციას.

მოცემული პარაგრაფის დასასრულს უნდა განვსაზღვროთ ამ სამ ზემოთ დასახელებულ თეორიულ თვალსაზრისთა თანმიმდევრობა, რომელთა მონაცემების სინთეზურმა ხედვამ უნდა შეგვაძლებინოს პერსონალური დეიქსისის როგორც ლინგვოკულტუროლოგიური კატეგორიის (და კონცეპტის) ადეკვატური ინტერპრეტაცია. როგორც უკვე ვიცით, უნდა ვიგულისხმოთ *კულტუროლოგიური, სემიოესტეტიკური* და *პერსონალური* თვალსაზრისები. ვფიქრობთ, მთელი ჩვენი კვლევითი კონცეპტის გათვალისწინებით ხსენებული თანმიმდევრობა უნდა გამოიყურებოდეს შემდეგნაირად: 1) პირველ რიგში აუცილებელია განვიხილოთ როლური დეიქსისის პერსონალურად ტრანსფორმირების პერსპექტივა *სემიოესტეტიკური* თვალსაზრისით და ამგვარ „პირველობას“ საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი მოსაზრება: ჩვენ უკვე განვიხილეთ დეიქსისი როგორც ენობრივი ფენომენი თანამედროვე ლინგვისტიკის სისტემურ და კომუნიკაციურ პარადიგმებზე დაყრდნობით და ორივე შემთხვევაში ამ განხილვის თეორიულ საფუძველს წარმოადგენდა ენის *ლინგვოსემიოტიკური ხედვა* და თვით დეიქსისიც განხილულ იქნა ლინგვოსემიოტიკურად. შესაბამისად, თუ გვსურს ბოლომდე შევინარჩუნოთ დეიქსისის ხსენებული ლინგვოსემიოტიკური ხედვა და ამავე დროს „მოვაქციოთ“ ეს ხედვა ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ფარგლებში, საჭირო იქნება პარადიგმათა ურთიერთკავშირის შემდეგნაირად გააზრება: რა თქმა უნდა, ჩვენი საბოლოო მიზანია დეიქსისის ზოგადად, პირველ რიგში კი, როლურ/პერსონალური დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური ხედვა, მაგრამ აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ეს ხედვა ვერ იქნება მიღწეული

დეიქსისის იმ *ესთეტიკური* ფუნქციის განხილვის გარეშე, რომელსაც ეს ენობრივი ფენომენი უნდა ასრულებდეს *ვერბალური* მხატვრული შემოქმედების ფარგლებში. რა თქმა უნდა, ჩვენი კვლევითი პროგრამის თანახმად ჩვენი ძირითადი მიზანია დეიქსისის ამგვარი, ანუ ესთეტიკური ფუნქციის დანახვა მხატვრულ ნარატივში, მაგრამ თეორიული თვალსაზრისით შეუძლებელია არ მივიჩნიოთ მხატვრული ნარატივი ესთეტიკური ფენომენის ერთ-ერთ ასპექტად. აქედან გამომდინარე, ცხადი უნდა იყოს, თუ რატომ უნდა უსწრებდეს დეიქსისის პერსონოლოგიურ და საბოლოოდ ლინგვოკულტუროლოგიურ განხილვას მისი სემიოესთეტიკური განხილვა.

დეიქსისის ამ, ანუ სემიოესთეტიკური თვალსაზრისის განხილვა დაგვარწმუნებს, რომ სემიოესთეტიკის ფარგლებში გარდაუვალი ხდება როლური დეიქსის *პერსონალისტურ*, ანუ პიროვნების კონცეპტთან დაკავშირება, რაც ბუნებრივია მოითხოვს *პიროვნების*, როგორც თეორიული კონტექსტის განხილვას; და ბოლოს მოგვიხდება ყოველივე იმის ლინგვოკულტუროლოგიურად გააზრება, რაც მოგვცა დეიქსისის სემიოესთეტიკურმა და პერსონოლოგიურმა განხილვამ. ვფიქრობთ, მხოლოდ ამგვარი თეორიული გზის გავლის შემდეგ შევძლებთ იმის ადექვატურად დანახვას და გააზრებას, თუ როგორ უნდა ხდებოდეს როლური დეიქსისის არა მხოლოდ პერსონალისტურად, არამედ ნარატოლოგიურადაც გააზრება (კონცეპტუალიზაცია).

§3. პერსონალური დეიქსისი სემიოესთეტიკური თვალსაზრისით:

პიროვნების ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური კონცეპტი და მისი მიმართება

როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად აღქმის პრობლემასთან

დეიქსისის და, როგორც არაერთხელ იქნა ხაზგასმული, როლური დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური გააზრებისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ თანამედროვე ლინგვისტიკის ფარგლებში ლინგვოკულტუროლოგიური

პარადიგმა უშუალოდ მოსდევს *კომუნიკაციურ* პარადიგმას, რაც გარდაუვლად უნდა ნიშნავდეს შემდეგს: ლინგვოკულტუროლოგიურმა პარადიგმამ უნდა შეინარჩუნოს ენის არა მხოლოდ სემიოტიკური, არამედ კომუნიკაციური ხედვა, მაგრამ ამავე დროს უნდა განახორციელოს ამ ხედვის (ანუ კომუნიკაციური ხედვის) ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია.

შესაბამისად, თუ გვსურს განვხორციელოთ როლური დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური და, ამავე დროს, ნარატოლოგიური ინტერპრეტაცია, ანუ როლურობის უკვე *პერსონალისტური* გააზრება, აუცილებელი ხდება წინა პარაგრაფში გამოკვეთილი პროგრამის თანახმად, მივმართოთ ჯერ თანამედროვე სემიოესთეტიკას, რათა პირველ რიგში შევძლოთ იმის კონცეპტუალურად გააზრება, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს მხატვრული დისკურსი იმ შემთხვევაში, თუ იგი მთლიანად შეინარჩუნებს დისკურსიულობის როგორც კომუნიკაციური ფენომენის ძირითადი ატრიბუტს - *ინტერსუბიექტურობას*. სწორედ ინტერსუბიექტურობა, ჩვენი აზრით, პირველ რიგში უნდა იქნას გააზრებული პერსონალისტურად, თუ გვსურს გადავჭრათ პრობლემა, რომელსაც წინა პარაგრაფებში ვუწოდეთ დისკურსისა და დეიქსისის ფენომენთა სინთეზი.

სწორედ ამგვარი სინთეზისკენ მიმავალი გზა გვკარნახობს თანმიმდევრულად გადავდგათ ის ორი მეთოდური ნაბიჯი, რომლებსაც თავისი შინაგანი სტრუქტურით გულისხმობს და მოითხოვს *სემიოესთეტიკის* კონცეპტი - გავიაზროთ მხატვრული დისკურსი როგორც სემიოტიკურად, ისე ესთეტიკურად. მაგრამ ზემოთ გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ანუ იმის გათვალისწინებით, რომ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა უშუალოდ მოსდევს კომუნიკაციურს, ჩვენც ჯერ ა) განვიხილავთ მხატვრულ დისკურსს საკუთრივ კომუნიკაციური, ანუ ინტერსუბიექტური თვალსაზრისით, შემდეგ კი, ბ) გავაღრმავოთ ხსენებული ინტერსუბიექტურობა ესთეტიკაზე დაყრდნობით.

ა) მხატვრული დისკურსი, *ინტერსუბიექტურ-კომუნიკაციური* თვალსაზრისით.

თანამედროვე სემიოესთეტიკურად ორიენტირებულ ლიტერატურაში მხატვრული დისკურსი დახასიათებულია შემდეგნაირად: იგი მოიცავს „კომუნიკაციური ხდომილების სამ ისეთ მხარეს, რომელთა მანიფესტაცია ხდება ტექსტობრივად: *კრეაციული*, ანუ კომუნიკაციური ინიციატივის სუბიექტი:

(ავტორი), *რეფლენციური*, ანუ ინტენციონალური კომუნიკაციური ობიექტი (გამონათქვამის საგნობრივ-აზრობრივი ასპექტი) და *რეცეფციული*, ანუ ადრესატის ის აუცილებელი ფიგურა, რომელიც ფლობს კომუნიკაციური კომპეტენტურობის გარკვეულ ხარისხს" (ტიუპა 2001:24). ამასთან გასათვალისწინებელია მხატვრული დისკურსის ამგვარი ხედვით გამოწვეული ის ძვრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა (და დღემდე აქვს) თანამედროვე ესთეტიკაში (ანუ მხატვრული დისკურსის ზოგად თეორიაში): „კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული მხატვრული ტექსტის კრეაციულ სტრუქტურასა და მხატვრულობის აღქმის რეცეფციულ სტრუქტურას შორის, კავშირი იქცა მეოცე საუკუნის ლიტერატურისა და ესთეტიკის ძირითად თეორიულ პრობლემად. ხსენებული ფაქტის შედეგი კი მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნა ამ თეორიის ისეთ ორ ვარიანტს შორის, რომელთა ერთ მთლიანობაში მოქცევა ძნელდება - ვგულისხმობთ წერის (იგულისხმება წერის როგორც მხატვრული ვერბალური შექმნის პროცესი - ვ.ლ.) „კრეაციული ესთეტიკა" და კითხვის (იგულისხმება მხატვრული ვერბალური ტექსტის კითხვა - ვ.ლ.) „რეცეფციული ესთეტიკა". (ტიუპა 2001:25).

ბ) როგორც ზემოთ ითქვა, ასევე მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენთვის მხატვრული დისკურსის არა მხოლოდ კომუნიკაციურ-ინტერსუბიექტური, არამედ საკუთრივ *ესთეტიკური*, ანუ მის მხატვრულობასთან დაკავშირებული ასპექტის გააზრება. ბუნებრივია, ჩვენი კვლევითი მიზნების ფარგლებში ვერ შევძლებთ მთელი თანამედროვე ესთეტიკური პრობლემატიკის მიმოხილვას და ამიტომ ამ პრობლემატიკიდან გამოვყოფთ იმ ორ მომენტს, რომლებსაც უნდა მიენიჭოს, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენივე კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე. ეს მომენტებია:

1) ჩვენ მიერ გამოყოფილ მომენტთაგან პირველი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში ხაზი გაესმის მხატვრული დისკურსის კომუნიკაციურ და ინტერსუბიექტურ ხასიათს, მაგრამ უკვე ამ ხასიათის ესთეტიკური სპეციფიკის გათვალისწინებით: „მხოლოდ მეოცე საუკუნეში იქნა გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მხატვრული ნაწარმოები როგორც მთლიანი მუდამ მიმართულია მეტად თუ ნაკლებად შორეული ადრესატისაკენ..." (ტიუპა 1999:465) და სწორედ ამგვარი კომუნიკაციურობიდან გამომდინარე მხატვრული ტექსტი შეიცავს „იმ

შინაგან თვალსაზრისს, რომელიც მიმართულია მკითხველ-ადრესატისადმი და რომლის ფარგლებში იგი გამოხატავს თავის თავს მთელი სისავსით" (იქვე);

2) ვფიქრობთ, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენთვის მხატვრული დისკურსის (და შესაბამისად მხატვრული ტექსტის) მეორე მომენტი: „მხატვრული ქმნილების ორიგინალურობა არა მხოლოდ ემსახურება მხატვრის, როგორც ინდივიდუალური პიროვნების თვითგამოხატვას, არამედ ახდენს კიდევ აპელირებას რეციპიენტის ინდივიდუალურობაზე" (ტიუპა 1999:466).

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე ციტირებული ავტორი ლაპარაკობს მხატვრული დისკურსისათვის დამახასიათებელ „ინტერსუბიექტურ სივრცეზე" (ტიუპა 2001:23) და, რაც მთავარია, გამოყოფს და ასახელებს დისკურსის ხსენებული ტიპის იმ „სამ ასპექტს", რომლებიც უნდა გამოვლენილ იქნას ნებისმიერ მხატვრულ ტექსტში: *კრეაციული* ასპექტი - კომუნიკაციური ინიციატივის სუბიექტი (ავტორი), *რეფერენტული* - ინტენციონალური კომუნიკაციური ობიექტი (გამონათქვამის საგნობრივ-აზრობრივი ასპექტი), *რეცეფციული* - ადრესატის ის აუცილებელი ფიგურა, რომლისთვისაც დამახასიათებელია კომუნიკაციური კომპეტენციის გარკვეული ხარისხი (ტიუპა 2001:24).

იმდენად, რამდენადაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული დეიქსისის ფენომენი და, პირველ რიგში, როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად ტრანსფორმირების ფაქტი, მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმის ხაზგასმაც, თუ როგორ არის დანახული თანამედროვეობის ფარგლებში ის მიმართება, რომელიც არსებობს მხატვრული დისკურსის კრეაციულ და რეცეფციულ ასპექტებს შორის. ხსენებული მიმართება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ, როგორც ვიცით, როლური თუ პერსონალური დეიქსისი მთელ თავის ფუნქციურ დანიშნულებას ავლენს დეიქსისის ლოკალურ და ტემპორალურ ასპექტთან მიმართებაში და სწორედ აქედან გამომდინარე ციტირებული ავტორი ხაზს უსვამს თანამედროვე ესთეტიკისათვის დამახასიათებელ შემდეგ ფაქტს: ეს ესთეტიკა „იყოფა ისეთ ორ განშტოებად, რომელთა შორის ძნელდება ხოლმე კავშირის დამყარება - ესაა წერის „კრეაციული ესთეტიკა" და კითხვის „რეცეფციული ესთეტიკა" (ტიუპა 2001:25).

შეიძლება ითქვას: იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის მიზანია განვახორციელოთ ორი ასეთი თანმედროვე თეორიის სინთეზი, უნდა მივიჩნიოთ, რომ პერსონალური დეიქსისის ჩვენეულმა კონცეპტმა უნდა შესძლოს იმ მიმართების ასახვაც, რომელიც იგულისხმება მხატვრული დისკურსის და, შესაბამისად, მხატვრული ტექსტის კრეაციულ და რეცეფციულ ასპექტებს შორის. მაგრამ ამავე დროს მიგვაჩნია, რომ ხსენებული ამოცანის რეალიზაცია შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ მხატვრული დისკურსისა და ტექსტის ესთეტიკური კონცეფცია დაუკავშირდება კულტურის იმ კონცეფციას, რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა და რომლის სპეციფიკაც მდგომარეობს კულტურის სუბიექტთან, ანუ ადამიანთან არსებობისა და ურთიერთობის შინაგან და გარეგან ასპექტთა ხაზგასმაში. მაგრამ, ასევე, მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, იმის ხაზგასმაც, რომ მხატვრული დისკურსის კულტუროლოგიური ინტერპრეტაცია უნდა გულისხმობდეს ამ დისკურსის შინაგან კავშირს ადამიანის როგორც კომუნიკანტის, *პერსონალისტურ* კონცეფციასთან. როგორც გვახსოვს, წინა პარაგრაფებში ჩვენ ჩამოვაცალიბეთ დეიქსისის ჩვენეული ინტერპრეტაციისათვის ის პროგრამა, რომელიც გულისხმობდა კულტუროლოგიურ, სემიოტიკურ და პერსონოლოგიურ ასპექტთა სინთეზს. შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მოცემულ პარაგრაფში უკვე განვახორციელეთ ხსენებული პროგრამის იმ სეგმენტის რეალიზაცია, რომელიც ატარებდა *ესთეტიკურ* ხასიათს: უკვე ვიცით, თუ როგორ გამოიყურება მხატვრულ-ესთეტიკურ სფეროში დისკურსის ის უნივერსალური განზომილება, რომელსაც *ინტერსუბიექტურობის* პრინციპი ეწოდება. მაგრამ იმავე ჩვენი პროგრამის თანახმად აუცილებელი ხდება, რა თქმა უნდა, რომ შევებოთ ადამიანის როგორც კომუნიკანტის ამ ასპექტსაც, რომელიც განპირობებული უნდა იყოს მისი როგორც *პიროვნების* აღქმით, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანის *პერსონალისტური* გაგებით. ვფიქრობთ, ცხადი უნდა იყოს ხსენებული ასპექტის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი კვლევისათვის: ჩვენი მიზანია იმის დადგენა და ჩვენება, თუ როგორ უნდა ტრანსფორმირდეს როლური დეიქსისი პერსონალურ დეიქსისად იმ შემთხვევაში, თუ გვსურს განვახორციელოთ დეიქსისის *ლინგვოკულტუროლოგიური* ხედვა, რომელიც არსებითად უნდა განსხვავდებოდეს ამ ფენომენის ხედვისაგან წინა

ლინგვისტური პარადიგმების ფარგლებში. როგორც ზემოთ ითქვა, დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური ხედვა, რომლის ფარგლებშიც მოხდება როლური დეიქსისის პერსონალურად ტრანსფორმირება, მოითხოვს არა მხოლოდ მხატვრული ტექსტის სემიოესთეტიკურ, არამედ *პერსონოლოგიურ* განხილვასაც. მაგრამ, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ განვახორციელებთ პერსონოლოგიური თვალსაზრისის რეალიზაციასაც, აუცილებელი იქნება შემდეგი ორი წინაპირობის გათვალისწინება: ა) პიროვნების ის კონცეფცია, რომელსაც დავეყრდნობით, უნდა შეესაბამებოდეს კულტურის ზემოთ განხილულ კონცეფციას, რაც უნდა ნიშნავდეს შემდეგს: პიროვნების ჩვენეული ხედვა უნდა ნიშნავდეს როგორც ადამიანის შინაგანი სამყაროს გათვალისწინებას, ისე იმ სიტუაციის გათვალისწინებასაც, რომლის ფარგლებში უნდა ხდებოდეს ამ შინაგანი სამყაროს გამოვლენა. ბუნებრივია, მივიჩნიოთ, რომ, ჩვენი კვლევითი კონტექსტიდან გამომდინარე ასეთ სიტუაციად გვევლინება *კომუნიკაციური* სიტუაცია: ადამიანი, როგორც პიროვნება - როგორც *პერსონა* - უნდა დანახულ იქნას, როგორც კომუნიკანტი, და ბ) ამავე დროს პიროვნების ჩვენეული კონცეფცია უნდა შეესაბამებოდეს ზემოთ განხილულ სემიოესთეტიკურ კონცეფციას, რაც ნიშნავს შემდეგს: პიროვნება უნდა იქნას დანახული, როგორც კრეატორი და რეციპიენტი. მაგრამ იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ორი წინაპირობის რეალიზაცია, საჭირო იქნება კვლავ დავუბრუნდეთ მხატვრული ტექსტის (და საერთოდ მხატვრული სინამდვილის) ორ შემდეგ ასპექტს:

1) პირველი ასეთი ასპექტი გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს მხატვრულ სფეროში *ინტერსუბიექტურობის* ის პრინციპი, რომლის გარეშე არ არსებობს დისკურსი, როგორც ფენომენი. ზემოთ ციტირებულ ავტორზე დაყრდნობით ხსენებულ ასპექტს უნდა ვუწოდოთ „მხატვრული ტექსტის შინაგანი გამისამართებულობის კანონი“ (ტიუპა 1999:465). როგორც ავტორი ამბობს, „მხოლოდ XX საუკუნეში გახდა ცხადი, რომ მხატვრული ნაწარმოები, როგორც მთლიანი, მუდამ წარმოადგენს გზავნილს შორეული ადრესატისათვის“ (იქვე). ჩვენი კვლევითი კონტექსტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმის განსაზღვრას, თუ როგორ გამოიხატება მხატვრული ტექსტის შიდა სტრუქტურაში გზავნილობის ზემოთ ხაზგასმული ფაქტი: ამ ტექსტის

ფარგელში „მუდამ არსებობს“ ის ავტორისეული შინაგანი თვალსაზრისი (ანუ point of view - ვ. ლ.), რომელიც განკუთვნილია მკითხველ-ადრესატისთვის“ (იქვე). როგორც ვხედავთ, მხატვრული ტექსტის კომუნიკაციური ხედვა შინაგანად უკავშირდება ფოკალიზაციის იმ კონცეფციას, რომელიც დამახასიათებელია როგორც თანამედროვე ნარატოლოგიის, ისე ზოგადად სემიოესთეტიკური პარადიგმისათვის და რომლის შესახებ უკვე ვიმსჯელებთ ვ. შმიდზე დაყრდნობით;

2) ასევე მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, მხატვრული სინამდვილის იმის ასპექტის ხაზგასმაც, რომლის მიხედვით მხატვრულ ტექსტში ასახული ადამიანური სინამდვილე შეესაბამება იმ სინამდვილის ეგზისტენციულ ხედვას. ციტირებული ავტორის მიხედვით მხატვრულ ტექსტში „გამოვლენილია ადამიანის როგორც ფენომენის ის სპეციფიკური მთლიანობა, როგორსაც წარმოადგენს „მე-სამყაროში“, ანუ, თუ ვიტყვით, თანამედროვე ფილოსოფიის ერთ ეგზისტენცია, ე.ი. არსებობის სპეციფიკურად ადამიანური ტიპი“ (ტიუპა 1999:467). იმისათვის, რომ ბოლომდე ცხადი გახდეს ეგზისტენციის როგორც ტერმინის, ზოგადი მნიშვნელობა და, რაც მთავარია, მისი მნიშვნელობა დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური ხედვისათვის დავეყრდნოთ ამ ტერმინის იმ განსაზღვრასაც, რომელსაც იძლევა ოტო ფრიდრიხ ბოლნოვი: მისი აზრით, ამ ტერმინით გამოიხატება „ადამიანის სიღრმისეული ბირთვი“ (ბოლნოვი 1999:36).

ვფიქრობთ, ამ ყოველივემ მოგვცა იმის საშუალება, რომ არამხოლოდ განვიხილოთ პიროვნების თანამედროვე ცნება, არამედ მოვაქციოთ კიდევ ეს ცნება იმ კულტუროლოგიურ-სემიოესთეტიკურ კონტექსტში, რომელიც აუცილებელია როლური დეიქსისის პერსონალური ინტერპრეტაციისათვის.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეგვიძლია შემდეგი პარაგრაფი მთლიანად მივუძღვნათ პიროვნების კონცეპტს და, რაც მთავარია, იმის განხილვას, თუ როგორ შეიძლება ამ კონცეპტზე დაყრდნობა ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაციისათვის.

წინა პარაგრაფების შინაარსმა დაგვანახა ჩვენ მიერ საკვლევი პრობლემის შემდეგი ორი ასპექტის შინაგანი კავშირი:

ა) თუ გვსურს ბოლომდე მივყვეთ დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენის იმ ინტერპრეტაციის იმ ვექტორს, რომელსაც გვკარნახობს, ერთი მხრივ,

თანამედროვე ლინგვისტიკის, მეორე მხრივ კი მთელი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების პარადიგმული დინამიკა, *აუცილებელია კვლევის დაფუძნება ინტერდისციპლინარულ მეთოდოლოგიაზე*;

ბ) ამავე დროს ასევე აუცილებელია ინტერდისციპლინარულად ჩატარებული კვლევის შედეგი ინტერპრეტირებულ იქნას *ნარატოლოგიურად*, რადგან სწორედ ნარატოლოგია აღიქმება იმ *მაინტეგრირებელ* დისციპლინად, რომელსაც ძალუძს განახორციელოს ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიით ნაგულისხმევი სინთეზი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, დავუბრუნდებით ნარატოლოგიური სინთეზის ზემოთ ხსენებულ პრობლემას, მაგრამ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა რამდენადმე მაინც შესრულებულ იქნება წინა პარაგრაფის დასასრულს ხსენებული და ხაზგასმული ამოცანა - გვექნება პიროვნების, ანუ **Persona-ს** ის კონცეპტი, რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია დანახულ იქნას განსხვავება დეიქსისის მხოლოდ *„როლურად“* და *„პერსონალისტურად“* გააზრებულ ვარიანტებს შორის. შესაბამისად, მოცემული პარაგრაფი უნდა მიემდგინას სწორედ იმის განმარტებას, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ტერმინით „პიროვნების (Persona-ს)“ თანამედროვე კონცეპტი. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ისმის კითხვა: სად ვეძებთ პიროვნების ხსენებული კონცეპტი იმის გათვალისწინებით, რომ, ერთი მხრივ, ცხადი გახდა მისი (ამ კონცეპტის) აუცილებლობა, მეორე მხრივ კი ასევე ცხადად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ფაქტი: ვერც ერთი იმ ზემოთ დასახელებული დისციპლინათაგან, რომლებიც „მონაწილეობენ“ ჩვენს ინტერდისციპლინარულ კვლევაში, ვერც კულტუროლოგია, ვერც სემიოესთეტიკა, ვერც დისკურსის თეორია და, რა თქმა უნდა, ვერც ლინგვისტიკა თავისი უშუალოდ ნაგულისხმევი შინაარსით ვერ გაგვცემს პასუხს კითხვაზე: როგორ გავიგოთ პიროვნების კონცეპტი? რა თქმა უნდა, ამ დისციპლინის შინაარსობრივი თვალსაზრისით შეფასებისას შეიძლება გაგვიჩნდეს მოსაზრება, რომ იგი (ეს დისციპლინა) სიღრმისეულად საჭიროებს პიროვნებს ფუძემდებლურ კონცეპტს, მაგრამ თვით პიროვნების როგორც ფენომენის კონცეპტუალიზაციას იგი ვერ ახდენს. შესაბამისად, უნდა მივიჩნიოთ, რომ აუცილებელი ხდება ამ შემთხვევაში, დავეყრდნოთ იმ დისციპლინას, რომელიც სწორედ თავისი უშუალო შინაარსის თანახმად „ვალდებულია“ განახორციელოს პიროვნების როგორც ფენომენის

კონცეპტუალიზაცია. ასეთ დისციპლინად უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე ფილოსოფიური ანთროპოლოგია, რადგან სწორედ ამ დისციპლინის ფარგლებში ხდება ადამიანის, როგორც პიროვნების გაგება. ქვემოთ, რა თქმა უნდა, ჩვენ ექსპლიციტურად დავყვართ პიროვნების ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ განსაზღვრას, მაგრამ გვსურს წინასწარ გავუსვათ ხაზი ამ განსაზღვრით ნაგულისხმევ იმ დეტალს, რომელიც, ჩვენი აზრით, უშუალოდ მიემართება იმასთან, თუ როგორ უნდა იქნას დანახული განსხვავება დეიქსისის „როლურ“ და „პერსონალურ“ ინტერპრეტაციათა შორის. როგორც ვნახავთ, ფილოსოფიური ანთროპოლოგია პრინციპულად განასხვავებს ერთმანეთისაგან ინდივიდსა და პიროვნების ცნებებს; ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ განსხვავებას (ანუ ინდივიდსა და პერსონას შორის განსხვავებას), უნდა დაეფუძნო ჩვენი კვლევის მნიშვნელოვანი განსხვავება როლურ და პერსონალურ გაგებათა შორის. რატომ? ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ იმის შემდეგ, რაც გვექნება პიროვნების კონცეპტის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური განმარტება.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ადამიანის როგორც პიროვნების ხედვა ეფუძნება იმ განსხვავებას, რომელიც იგულისხმება ინდივიდსა და პიროვნებას შორის. სწორედ ამ განსხვავების შესახებ თანამედროვე ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში ნათქვამია შემდეგი: „ინდივიდი არის მთლიანის ნაწილი და არსებობს როგორც ამგვარი ნაწილი, იმ დროს როცა პიროვნება შედარებით დამოუკიდებელია მთლიანისაგან. ინდივიდი არსებობს სამყაროსათვის, სამყარო კი-პიროვნებისათვის. ინდივიდი დახშული არსებაა, პიროვნება კი - გახსნილი“ (ვალვერდე 2001:38) აქედან გამომდინარე კი, თავად პიროვნება, ე.ი. ყოველი ადამიანი, დანახული როგორც *პიროვნება* და არამხოლოდ როგორც ინდივიდი, განსაზღვრულია ურთიერთდაპირისპირებულ თვისებათა იმ ერთიანობის გათვალისწინებით, რომელსაც ეწოდება „პიროვნულობის პარადოქსული ატრიბუტიკა“ ეს ატრიბუტიკა კი კონკრეტულად გამოიყურება შემდეგნაირად:

ა) „ერთი მხრივ, პიროვნება ექვემდებარება მატერიის, სივრცისა და დროის კანონებს, მეორე მხრივ კი, აღემატება მატერიას, დროსა და სივრცეს იმიტომ, რომ ტრანსცედენტულია მათ მიმართ“;

ბ) სომატიკური (სხეულებრივი) თვალსაზრისით პიროვნება შედის სიმწიფის ასაკში, ანუ თავისი არსებობის იმ ეტაპში, როცა შეიძლება ითქვას, რომ მისი

განვითარება მთლიანად დასრულებულია. მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რომელიც გულისხმობს სხეულისა და სულის სიმბიოზს (შერწყმულად ერთად ყოფნას), ... მისი განვითარება არასდროს არ სრულდება. მთელი ცხოვრების განმავლობაში, იქამდე, სანამ პიროვნება ინარჩუნებს თავის ნიშან-თვისებებს, იგი ქმნის თავის თავს და თვითშემოქმედების ეს პროცესი თავისი არსით უსასრულოა..." (ვალვერდე 2001:40).

§4. ქრონოტოპის ცნება, დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაციის პრობლემა და მხატვრული ნარატივული ტექსტის პრაგმატიკულ-რეფერენტული სტრუქტურა

რატომ მივიჩნით აუცილებლად იმაზე ყურადღების შეჩერება, თუ როგორ გაიგება ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში პიროვნება, ანუ Persona როგორც ტერმინი? ამ კითხვაზე, ჩვენი აზრით, შეიძლება გაიცეს შემდეგი სამი განსხვავებული, მაგრამ შინაგანად ერთიანი, პასუხი.

1) პირველი პასუხი უშუალოდ უკავშირდება იმ ჩვენ შინაგანად ჯერ კიდევ ექსპლიციტურად გაუანალიზებელ, მაგრამ იმპლიციტურად ნაგულისხმევ ვარაუდს, რომ დეიქსისის როგორც ფენომენის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია უნდა განსხვავდებოდეს ისეთ ლინგვისტურ პარადიგმებზე დაფუძნებული ინტერპრეტაციებისაგან, როგორცაა სისტემური და კომუნიკაციური. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად დეიქსისის, კერძოდ კი როლური, ანუ ჩვენ მიერ მეტაკატეგორიად აღიარებული დეიქტიკური ინსტანციის დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია ეფუძნება **წმინდა პარადიგმულ** თვალსაზრისს: რაკი დავრწმუნდით იმაში, რომ იცვლებოდა დეიქსისის ფუნქციური ინტერპრეტაცია განსხვავებულ ლინგვისტურ პარადიგმათა ფაგრლებში, თუმცა უცვლელი რჩებოდა როლური დეიქსისის მეტაკატეგორიალური სტატუსი, ბუნებრივია დაისვას კითხვა: ხომ არ უნდა ნიშნავდეს სრულიად ახალი, ანუ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის დომინირება თანამედროვე

ლინგვისტიკაში იმის აუცილებლობას, რომ კვლავაც განხორციელდეს (და გარკვეული თვალსაზრისით გაგრძელდეს) დეიქსისის ფენომენის ახლებურად ინტერპრეტაციის პროცესი? თუმცა, ამავე დროს, ამ კითხვის დასმისას აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ შემდეგ მომენტთა გათვალისწინება:

ა) როგორც უკვე ვიცით, ერთი პარადიგმიდან მეორეზე გადასვლა ჰუმანიტარულ სფეროში ზოგადად და კერძოდ ლინგვისტიკაში უნდა ნიშნავდეს არა წინა პარადიგმების ფარგლებში მიღწეულ კვლევით შედეგთა გაუქმებას, არამედ მათ ახლებურ ინტერპრეტაციას. ვიცით ისიც, რომ დეიქსისის პარადიგმული ხედვის შენარჩუნებისა და ახლებური ინტერპრეტაციის ეს პროცესი დაკავშირებულია დეიქსისის ფუნქციური *ნეიტრალიზაციის* ფენომენტთან: ჯერ გვქონდა საქმე დეიქსისსა და ნომინაციის, შემდეგ კი დეიქსისისა და კომუნიკაციის ისეთ ნეიტრალიზაციასთან, რომლის ფარგლებში მთლიანად შენარჩუნებული იყო ნეიტრალიზაციის წინა (ნომინაციური) ეტაპი. რას უნდა ნიშნავდეს ხსენებული თვალსაზრისით დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია?

ბ) ამავე დროს, ასევე გასათვალისწინებელია ის *პრინციპული სიახლეც*, რომელიც ასევე პარადიგმული თვალსაზრისით, თან ახლავს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის დამკვიდრებას თანამედროვე ლინგვისტიკის დინამიკის ფარგლებში: ეს პარადიგმა ნიშნავს იმ მეთოდოლოგიური პარადიგმის დასასრულს, რომელსაც **ლინგვისტური იმანენტიზმი** ეწოდება. ეს სწორედ ის მეთოდოლოგიური ნიშან-თვისებაა, რომელიც მკვეთრად განასხვავებს ერთმანეთისაგან, ერთი მხრივ, სისტემურ და კომუნიკაციურ ლინგვისტურ პარადიგმებს, მეორე მხრივ კი ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას: პირველი ორი პარადიგმის ფარგლებში ყურადღების ცენტრში ექცევა ენის შიდა სტრუქტურა და ნაკლებად არის გათვალისწინებული მისი გარე სტრუქტურა, ანუ მიმართებათა ის სისტემა, რომელიც მას (ენას) აკავშირებს სხვა სოციალურ და უფრო ფართოდ კი - ადამიანურ ფენომენტთან; ამ ორი პარადიგმის საპირისპიროდ კი ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა მოითხოვს, რომ ენა მის მთლიანობაში, ანუ როგორც სისტემა და როგორც დისკურსიც, უნდა შეისწავლებოდეს ისეთ ფენომენტთან კავშირში, როგორც **კულტურაა**, რაც, რა თქმა უნდა, უკვე ნიშნავს

იმანენტისმის პრინციპულ გადალახვას (თუმცა, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმ მოცემულობათა იგნორირებას, რომლებიც მოპოვებულ იქნა იმანენტისტური პარადიგმების ფარგლებში). ეს, რა თქმა უნდა, ზოგადად ასეა; მაგრამ ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებას: ლინგვოკულტუროლოგიის ამგვარ სტატუსს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ შემთხვევაში, როცა ვიკვლევთ დეიქსისის ფენომენს და, შესაბამისად, ვსვამთ კითხვას: როგორი უნდა იყოს დეიქსისის ფუნქციურ-სტრუქტურული ხედვა ამ პარადიგმის მიხედვით, თუ ამავე დროს შენარჩუნებული, მაგრამ *ახლებურად* იქნება დანახული ყოველივე ის, რითაც ხასიათდებოდა დეიქსისის ჩვენული ხედვა წინა პარადიგმებზე დაყრდნობით?

2) იმისათვის, რომ გაიცეს სრული პასუხი პარაგრაფის დასაწყისში დასმულ კითხვაზე, აუცილებელია ზემოთ განხილული წმინდა პარადიგმული თვალსაზრისის გარდა გათვალისწინებულ იქნას დეიქსისთან როგორც ფენომენთან უშუალოდ დაკავშირებული შემდეგი პრობლემა: როგორც ჩვენი კვლევის განვლილ ეტაპებზე იქნა გადაწყვეტილი, არ არის საკმარისი - როგორც ეს ხდება არსებულ ლინგვისტურ ლიტერატურაში - დავინახოთ დეიქსისი მხოლოდ ტრიადულად, ანუ ასეთ ფენომენად, რომელიც შედგება შემდეგი *სამი* ელემენტისაგან - დროის დეიქსისი, ადგილის დეიქსისი და როლური დეიქსისი. ჩვენ თავიდანვე მივიჩნიეთ, რომ აუცილებელი იყო ამ ტრიადული სტრუქტურის იერარქიზაცია და, შესაბამისად, როლურ დეიქსისს მივანიჭეთ *მეტაკატეგორიული სტატუსი*. ვნახეთ ისიც, თუ რა მოდიფიკაციებს განიცდიდა დეიქსისის ინტერპრეტაცია წინა პარადიგმების ფარგლებში; თუმცა კვლევის ამ ეტაპზე აღსანიშნავია შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ სისტემური და კომუნიკაციური პარადიგმების ფარგლებში ვლაპარაკობდით დეიქსისის ნეიტრალიზაციის განსხვავებულ მოდუსებზე, უცვლელად რჩებოდა ხსენებული *მეტაკატეგორიის*, ანუ როლური დეიქსისის ჩვენული აღქმა: როლური დეიქსისი რჩებოდა როლურად. რა თქმა უნდა, თვით ეს ტერმინი - „როლი“ რამდენადმე მაინც განსხვავებულად უნდა იქნას გაგებული იმის მიხედვით, თუ რომელი იმანენტისტური პარადიგმის ფარგლებში ხდება დეიქსისის როგორც ფენომენის ინტერპრეტაცია: უნდა ვიგულისხმოთ, რომ როგორც დეიქსისისა და ნომინაციის, ისე დეიქსისისა და კომუნიკაციის შემთხვევებში როლური დეიქსისი თავისი

მეტაკატეგორიული სტატუსის წყალობით თავის თავზე იღებდა ნეიტრალიზაციის ორივე ზემოთ ხსენებული ფუნქციის შესრულებას; პირველ შემთხვევაში სუბიექტი როგორც ამა თუ იმ სიტუაციის ნომინანტი, არის ამავე დროს ამ სიტუაციისთვის დამახასიათებელი სივრცითი და დროითი ასპექტების ნომინანტი, ხოლო კომუნიკაციური თვალსაზრისით კომუნიკანტი, როგორც ადრესანტი, ადრესატს გარდაუვლად ამცნობს არა მხოლოდ ამა თუ იმ სიტუაციათა-ფაქტს, არამედ ამ სიტუაცია-ფაქტის დროით და სივრცით ასპექტებსაც. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რაც, როგორც ზემოთ ითქვა, ორივე შემთხვევაში სუბიექტი, როგორც კომუნიკანტი დანახული იყო მხოლოდ ენობრივად, ანუ სწორედ ისე, რასაც გულისხმობს ტერმინი ლინგვისტური იმანენტიზმი. როგორ უნდა იქნას აღქმული იგივე როლური დეიქსისი იმ შემთხვევაში, თუ კომუნიკანტი (ადრესანტი თუ ადრესატი) დანახული იქნება არა - მხოლოდ ლინგვისტურად, არამედ კულტუროლოგიურადაც, ანუ ისე, როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე ლინგვისტიკის ლინგვოკულტუროლოგიური, ანუ პრინციპულად არაიმანენტისტური პარადიგმა? ეს სწორედ ის კითხვაა, რომელზე პასუხის გაცემით უნდა მოვახდინოთ არა მხოლოდ როლური დეიქსისის სრულიად ახლებური (არაიმანენტისტური) ინტერპრეტაცია, არამედ, ამავე დროს, იმ ინტერპრეტაციათა პრინციპული შენარჩუნება, რომლებიც თან ახლდა წინა პარადიგმებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, როლური დეიქსისის და ზოგადად დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაცია უნდა ნიშნავდეს როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილ ისეთ დეიქტიკურ მომენტთა სრულ შენარჩუნებას, როგორცაა დრო, სივრცე, როლი და ნეიტრალიზაცია, ისე ამ მომენტთა სრულიად ახლებურ ხედვას. როგორ უნდა მოხდეს ეს? სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავცეთ ორი დარჩენილი პასუხი პარაგრაფის დასაწყისში დასმულ მთავარ კითხვაზე: რატომ მივიჩნიეთ აუცილებლად იმაზე ყურადღების შეჩერება, თუ როგორ გაიგება ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში პიროვნება, ანუ Persona როგორც ტერმინი?

2) როგორც მოცემულ პარაგრაფში, ისე წინა პარაგრაფებში ნათქვამის შესაბამისად ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხი უნდა ნიშნავდეს იმის მინიშნებას, თუ როგორი უნდა იყოს დეიქსისის ხედვა ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ფარგლებში - თუ, რა თქმა უნდა, არ

დავივიწყებთ იმის ხაზგასმასაც, რომ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, როგორც საკუთრივ ლინგვისტური ფენომენი წარმოადგენს ამავე დროს ზოგადჰუმანიტარული კულტუროცენტრიზმის ერთ-ერთ გამოვლინებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კულტუროცენტრიზმის როგორც პარადიგმის ნებისმიერი „ვარიანტის“ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება შემდეგი: როგორი უნდა იყოს მიმართება, ერთი მხრივ, კულტურას შორის, მეორე მხრივ კი იმ ფენომენს შორის, რომელსაც იკვლევს მოცემული ჰუმანიტარული დისციპლინა? ჩვენს შემთხვევაში კი, რა თქმა უნდა, ეს კითხვა დაკონკრეტდება შემდეგნაირად: როგორ უნდა იქნას გაგებული მიმართება, ერთი მხრივ, *კულტურასა* და მეორე მხრივ კი, საკუთრივ ენობრივ ასპექტს შორის, დეიქსისის, როგორც ენობრივი ფენომენის, ფარგლებში? თუმცა, ალბათ, ამ შემთხვევაში უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა დეიქსისის როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენის ფარგლებში? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა დავეყრდნოთ სწორედ პიროვნების (Persona-ს) იმ გაგებას, რომელსაც, როგორც უკვე ვიცით, გვთავაზობს თანამედროვე ფილოსოფიური ანთროპოლოგია, კერძოდ კი პიროვნების „პარადოქსული ატრიბუტიკის“ ის ასპექტი, რომლის მიხედვით, პიროვნება, უბრალოდ ინდივიდისაგან განსხვავებით ხასიათდება შემდეგი ნიშანთვისებით: „ერთის მხრივ პიროვნება ექვემდებარება მატერიის, სივრცისა და დროის კანონებს, მეორეს მხრივ კი აღემატება მატერიას, დროსა და სივრცეს, იმიტომ რომ, ტრანსცენდენტულია მათ მიმართ“.

თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, ყოველივე ზემოთ ნათქვამს და ამავე დროს დეიქსისთან დაკავშირებული პრობლემატიკის იმ ასპექტებსაც, რომელთა შესახებ გვქონდა მსჯელობა ჩვენი კვლევის წინა ეტაპებზე, მაშინ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომელიც მოახდენდა აქამდე ჩატარებული ჩვენი კვლევის რეზიუმირებას როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. იმ კონცეპტად, რომელიც მოგვცემდა როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად გააზრების საშუალებას, უნდა მივიჩნიოთ *ქრონოტოპის* კონცეპტი, ანუ ის კონცეპტი, რომელიც XX საუკუნის პირველ ნახევარში ჰუმანიტარული კვლევის პრაქტიკაში შემოიტანა მიხაილ ბახტინმა და რომელიც ამჟამადაც ასრულებს სრულიად განსაკუთრებულ როლს ვერბალური მხატვრული სინამდვილის კვლევისას. ქვემოთ ჩვენ შევეცდებით იმის დასაბუთებას, თუ რატომ უნდა

მიენიჭოს ჩვენი კვლევის ფარგლებში *ქრონოტოპის* კონცეპტს ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაგრამ, სანამ განვიხილავთ მას ამ თვალსაზრისით, მივუთითოთ მისი როგორც ტერმინის სემანტიკურ სტრუქტურაზე. ვფიქრობთ, უკვე ამ სტრუქტურის გააზრების შედეგად ცხადი უნდა გახდეს ქრონოტოპის როგორც ცნება-კონცეპტის შინაგანი კავშირი დეიქსისის ფენომენტთან: ბერძნული წარმოშობის ტერმინი ქრონოტოპი წარმოადგენს კომპოზიტს, რომელიც შედგება ორი ფუძისაგან - „ქრონოს“ (დრო) და „ტოპოს“ (ადგილი). როგორც ვხედავთ, თავისი სემანტიკური სტრუქტურით ეს ტერმინი გულისხმობს იმ ორ ფენომენტს - დროსა და სივრცეს - რომლებსაც გულისხმობს „დეიქსისიც“ როგორც ტერმინი; თუმცა, რა თქმა უნდა, დეიქსისის როგორც ცნება-კონცეპტი გულისხმობს არა მხოლოდ დროსა და სივრცეს, არამედ სუბიექტსაც, რომელიც ასახელებს დროსა და სივრცეს კომუნიკაციის აქტის ფარგლებში, ანუ გულისხმობს როლურ დეიქსისსაც. შესაბამისად, კიდევ ერთხელ უნდა დავსვათ კითხვა: რა შეესაბამება ქრონოტოპის კონცეპტში იმას, რასაც გულისხმობს როლური დეიქსისის ცნებაც?

ტერმინ „ქრონოტოპის“ სემანტიკური ანალიზის შემდეგ აუცილებლად მიგვაჩნია იმის ჩვენება და დადასტურებაც, თუ რატომ უნდა მივანიჭოთ ამ ტერმინით ნაგულისხმევ კონცეპტს ზემოთ ხაზგასმული მარეზიუმირებელი როლი. ამ მიზნით შევხებით ამ ტერმინ-კონცეპტთან დაკავშირებულ შემდეგ თეორიულ მომენტებს:

1) შევხებით იმას, თუ როგორ გაიგება ქრონოტოპი თანამედროვე ენციკლოპედიურ და ინტერნეტულ სივრცეში. ვფიქრობთ, ამ ასპექტის მიმოხილვა უკვე შეგვიქმნის საკმარის საფუძველს იმის დასადასტურებლად, თუ რატომ უნდა შეასრულოს ქრონოტოპმა ზემოთ ხსენებული როლი ჩვენი კვლევის ფარგლებში. ხსენებული სივრცის ამ თვალსაზრისით მიმოხილვისას მოვიქცევით შემდეგნაირად: ჯერ გავითვალისწინებთ ამ სივრცის ინტერნეტულ სეგმენტს, შემდეგ კი დავუკავშირებთ ამ სეგმენტის ფარგლებში მიღებულ შედეგს ფართოდ ცნობილი და ავტორიტეტული ენციკლოპედიის მონაცემს.

„ვიკიპედიის“ მიხედვით, „ქრონოტოპი“ არის მ. ბახტინის მიერ შემოღებული და მისი მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: „იგი გვიჩვენებს იმას, თუ როგორ ხდება ენის მიერ დროსა და სივრცის აღნიშვნა და, კერძოდ, თუ როგორ არის წარმოდგენილი ეს აღნიშვნა ლიტერატურაში,“

(en.wikipedia.org/wiki/Chronotope). ქრონოტოპის ცალკეული სახეები შეესაბამებიან მეტყველების გარკვეულ ან შედარებით სტაბილურ სახეობებს, ანუ ჟანრებს, ეს ჟანრები კი წარმოადგენენ გარკვეულ მსოფლმხედველობებს ან იდეოლოგიებს. შესაბამისად, ქრონოტოპი წარმოადგენს ერთდროულად ენის როგორც კოგნიტიურ, ისე ნარატიულ ნიშან-თვისებას."

სანამ შევეხებოდეთ იმას, თუ როგორ ხდება ტერმინ „ქრონოტოპის“ ექსპლიცირება ინტერნეტული სივრცის სხვა სემანტიკებში საჭიროდ მიგვაჩნია „ვიკიპედის“ მიერ წარმოდგენილი განმარტების შემდეგნაირად კომენტირება: ჩვენი აზრით, ეს განმარტება მოიცავს შემდეგ ჩვენთვის მნიშვნელოვან სამ მომენტს: 1) ქრონოტოპი მიჩნეულია *ენობრივ* ფენომენად და თანაც ისეთ ფენომენად, რომელიც უკავშირდება დროსა და სივრცეს, მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, დეიქსისიც წარმოადგენს ამგვარ ფუნქციის მატარებელ ენობრივ ფენომენს. შესაბამისად, ისმის კითხვა, რომელსაც აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი: როგორ გავიგოთ მიმართება ამ ორ კატეგორიას შორის, თუ არ დაგვაფიქვდება მათ გენეზისთან დაკავშირებული შემდეგი ორი ფაქტი: პირველი კატეგორია, ანუ დეიქსისი, რომელიც, მართალია, არსებობდა ბიულერამდე, თეორიულად ძირითადად დამუშავებულია მის მიერ და რაზეც უკვე გვქონდა მსჯელობა. ბიულერის მიხედვით, დეიქსისი წარმოადგენს ისეთ ენობრივ ფენომენს, რომლის გარეშე წარმოუდგენელია სამეტყველო ფაქტი; მაგრამ, როგორც იგივე „ვიკიპედია“ გვეუბნება, ქრონოტოპიც უნდა იქნეს აღქმული *ენობრივ ფაქტად*. სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, მიმართება ამ ორ კატეგორიას შორის უნდა გააზრებულ იქნას სრულიად ახლებურად - ისე, როგორც უკვე იქნა მინიშნებული წინა პარაგრაფებში, სახელდობრ კი, *პარადიგმულად*. რაც უნდა ნიშნავს შემდეგს: 1. ენობრივი ფენომენი გააზრებულია ორი იმანენტისტური პარადიგმის ფარგლებში, კერძოდ კი, სისტემური და კომუნიკაციური პარადიგმების ფარგლებში. ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის მიხედვით კი დეიქსისი წარმოადგენს უკვე *ქრონოტოპს*; 2. მაგრამ ამავე დროს კი ქრონოტოპი დანახულია მისი არა მხოლოდ კოგნიტიური, არამედ *ნარატიული* ფუნქციის მიხედვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქრონოტოპის ფუნქცია დანახული უნდა იქნას ნარატოლოგიაზე დაყრდნობით; 3. ასევე ნაგულისხმევია ისიც, რომ ქრონოტოპის სტრუქტურული თავისებურება ნებისმიერ შემთხვევაში მიუთითებს

იმ სუბიექტის *მსოფლხედვასა* და *იდეოლოგიაზე*, რომელიც მეტყველების პროცესში ახორციელებს დროსა და სივრცის ნომინაციას;

2) რეზიუმირების პირველი ასპექტის ბოლო პუნქტიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ ზოგადად დეიქსისის, პირველ რიგში კი, როლური↔ „პერსონალური“ დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიურ კულტუროცენტრისტული ინტერპრეტაცია უნდა ატარებდეს პირველ რიგში, **ნარატოლოგიურ** ხასიათს, რადგან სწორედ ნარატოლოგია უნდა მივიჩნიოთ მხატვრულ-ესთეტიკური კულტურის იმ სფეროდ, რომელთან მიმართებაშიც სრულად და თანმიმდევრულად განხორციელდა *კომუნიკაციური* მიდგომა, თუმცა, ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა: ნარატოლოგია გაგებულ უნდა იქნას იმ სფეროდ, რომლის ფარგლებში ხდება ისეთი ორი მეთოდოლოგიური პარადიგმის შეხვედრა-სინთეზი, როგორებიცაა, ერთი მხრივ, კულტუროცენტრისტული, მეორე მხრივ კი კომუნიკაციური პარადიგმა. ბუნებრივია, ჩვენი კვლევის ფარგლებში არ შეგვიძლია განვიხილოთ სრულად და მთლიანად ყოველივე ის, რასაც უნდა გულისხმობდეს ამ ორი პარადიგმის სინთეზური ხედვა. მაგრამ, სამაგიეროდ, აუცილებლად მიგვაჩნია დავუკავშიროთ რეზიუმირების წინა ასპექტში ნათქვამი ნარატოლოგიურად გაგებული ფოკალიზაციის იმ ხუთ პლან-ფაქტორს, რომელთა შესახებ უკვე გვეონდა ლაპარაკი გავიხსენოთ ეს პლან-ფაქტორები:

1. პერცეფციული პლან-ფაქტორი (Point of view);
2. იდეოლოგიური პლან-ფაქტორი;
3. სირვცითი პლან-ფაქტორი;
4. დროითი პლან-ფაქტორი;
5. ენობრივი პლან-ფაქტორი.

ერთი მხრივ, ქრონოტოპის ვიკიპედიასეულ განმარტებაზე, მეორე მხრივ კი, ამ განმარტების იმ ჩვენეულ კომენტარზე დაყრდნობით, რომელიც წინა პუნქტში იყო მოცემული, შეგვიძლია მოვახდინოთ ზემოთ ხსენებულ პლან-ფაქტორთა მთელი სისტემის ისეთი ლინგვოკულტუროლოგიური *გააზრება*, რომელიც გვიჩვენებდა შემდეგს: შესაძლებელი და აუცილებელიც არის პლან-ფაქტორთა ნარატოლოგიური სისტემის სიღრმისეულად ქრონოტოპული არსის გამოვლენა. ვფიქრობთ, ამისათვის საკმარისია მივუთითოთ ჯერ ისეთ პლან-ფაქტორთა

არსებობაზე, როგორებიცაა დრო და სივრცე, შემდეგ კი დავსვათ კითხვა იმ მიმართების თაობაზე, რომელიც უნდა არსებობდეს დრო-სივრცესა და მათგან განსხვავებულ პლან-ფაქტორებს შორის. ჩვენი აზრით, ამ კითხვაზე უნდა გაეცეს შემდეგი პასუხი: ყველა ის პლან-ფაქტორი, რომელიც არ ატარებენ დროით და სივრცით ხასიათს მიუთითებენ (ბუნებრივია, იმპლიციტურად) ნარატიული დისკურსის **სუბიექტზე**: ასე, მაგალითად, პერცეფცია ანუ აღქმა, როგორც ცნობილია მუდამ გულისხმობს ამ აღქმის სუბიექტს და შეუძლებელია მის გარეშე; იგივე ითქმის იდეოლოგიაზე, რომელიც ასევე გულისხმობს გარკვეულ სუბიექტს, როგორც ამ იდეოლოგიის მატარებელს; და რაც შეეხება **ენობრივ პლან-ფაქტორს**: ეს ის პლან-ფაქტორია, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ნარატივზე როგორც ვერბალურ ტექსტზე და ამიტომ უნდა ვიფიქროთ: ეს სწორედ ის პლან-ფაქტორია, რომელიც გამოხატავს ნარატივის ვერბალურობას და მას უნდა ჰქონდეს ისეთი ენობრივი სტრუქტურა, რომელიც „დაიტევდა“ თავის თავში როგორც **დრო-სივრცეს**, ისე **სუბიექტურობას**.

დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას: მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა ნარატოლოგიურ „პლან-ფაქტორთა“ სისტემის შემომთავაზებელ ავტორთან იმ სიღრმისეული კავშირის გაცნობიერება და ექსპლიციტირება, რომელიც არსებობს ამ სისტემასა და ქრონოტოპის კონცეპტებს შორის, ის სიღრმისეული კავშირი არამხოლოდ ცხადია - იგი (ანუ ეს სიღრმისეული კავშირი) იმასაც თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ორივე ამ კონცეპტის (ვგულისხმობთ ქრონოტოპისა და პლან-ფაქტორთა კონცეპტს) გენეტიკურ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ **დეიქსისის ენობრივი ფენომენი**. რატომ? იმიტომ, რომ სწორედ დეიქსისის ლინგვისტურ კონცეფციაში ექსპლიციტურად ხაზგასმულია არსებითი კავშირი, ერთი მხრივ, დრო-სივრცესა და, მეორე მხრივ კი ვერბალური დისკურსის სუბიექტს შორის. ამ ფაქტთან დაკავშირებით გვსურს ხაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებას: შინაგანი სტრუქტურის თვალსაზრისით დეიქსისის ლინგვისტური კონცეფცია ბევრად უფრო სრულია, ვიდრე პლან-ფაქტორთა და ქრონოტოპის კონცეპტუალური სტრუქტურა. სწორედ იმიტომ, რომ გვიჩვენებს დროსა და სივრცის ნომინაციურ კავშირს დისკურსის სუბიექტთან, ანუ როლურ დეიქსისთან.

რაზე მეტყველებს ყოველივე ის, რაც ითქვა წინა აბზაცში? მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ მიერ დასახელებული სამი კონცეპტუალური სტრუქტურა, ანუ დეიქსისი, ნარატიულ პლან-ფაქტორთა სისტემა და ქრონოტოპი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან **ტრანსფორმირებული** მიმართებით: ქრონოტოპი წარმოადგენდა დეიქსისის კონცეპტის ტრანსფორმაციას, თუმცა ეს ტრანსფორმაციული კავშირი არ ყოფილა გაცნობიერებული და თემატიზებული, თუმცა, როგორც ვნახეთ, ამ შემთხვევაში ხსენებულმა ტრანსფორმაციამ წინა პლანზე გამოიტანა ორი მნიშვნელოვანი მომენტი: ა) ქრონოტოპის კონცეპტში ხაზი გაესვა არა მხოლოდ იმ შინაგან კავშირს, რომელიც არსებობს დროსა და სივრცეს შორის, არამედ მოხდა კიდევ ამ შინაგანი კავშირის *იერარქიზაცია* იმდენად, რამდენადაც სივრცითობა დაექვემდებარა დროითობას; ბ) ამავე დროს კი, მოხდა მეორე არანაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტი: ქრონოტოპი პირდაპირ და უშუალოდ დაუკავშირდა მხატვრულ ტექსტს, უფრო სიღრმისეულადაც კი - იმ კულტურას, რომელსაც ეს ტექსტი ეკუთვნის.

რაც შეეხება „*პლან-ფაქტორებს*“ როგორც ნარატოლოგიურ კონცეპტს: ეს კონცეპტი არ გვიჩვენებს, ყოველ შემთხვევაში ექსპლიციტურად მაინც, შინაგან კავშირს დროსა და სივრცეს შორის, მაგრამ, სამაგიეროდ გვიჩვენებს კავშირს პლან-ფაქტორებსა და ნარატიული ტექსტის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს შორის, როგორცაა *ფოკალიზაცია*.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი კვლევითი მიზნებიდან გამომდინარე ჩვენთვის მაინც მთავარია იმის ბოლომდე ექსპლიციტირება, თუ როგორ უნდა მოხდეს დეიქსისის ფენომენის ახლებური ხედვა - ინტერპრეტაცია ისეთი ლინგვისტური პარადიგმის ფარგლებში, როგორცაა „*ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა*“; იმისათვის, რომ ბოლომდე გავიაზროთ ის მარეზიუმირებელი როლი, რომელსაც, ჩვენი აზრით, უნდა ასრულებდეს ქრონოტოპის ბახტინისეული კონცეპტი მთელი ჩვენი კვლევითი კონტექსტისათვის, საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ამ კონცეპტის (ქრონოტოპის) თანამედროვე ინტერპრეტაციის იმ ასპექტს, რომლის მიხედვით ქრონოტოპი უნდა მივაკუთნოთ არა მხოლოდ მხატვრული კულტურის ვერბალურ განზომილებას, არამედ მხატვრულ კულტურას მის *მთლიანობაშიც*. თუმცა, ამავე დროს ისმის კითხვა: რატომ უნდა იყოს ჩვენთვის მნიშვნელოვანი ქრონოტოპის

როგორც კონცეპტის ინტერპრეტაციის ხსენებული ასპექტი? ვფიქრობთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევძლებთ ჩვენ მიერ უკვე განვლილი კვლევითი გზის შემდეგ ორ მომენტზე დაყრდნობით: ა) პირველი მომენტი მდგომარეობს შემდეგში: წინა აბზაცში, სადაც მსჯელობა გვქონდა ქრონოტოპის ჩვენს კონტექსტში მარეზიუმირებელი ფუნქციის მეორე ასპექტზე, ხაზი გაესვა იმის აუცილებლობას, რომ ისეთ კონცეპტთა ურთიერთმიმართება დეიქსისი, ნარატოლოგიური პლან-ფაქტორები და ქრონოტოპი უნდა გაგებულ იქნას, როგორც *ტრანსფორმაციული* ურთიერთმიმართება - თუ, რა თქმა უნდა, ეს ურთიერთმიმართება გააზრებულ იქნება პარადიგმულად. ამ მომენტის ხაზგასმა კი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ბოლომდე გასაგები გახდეს მეორე და, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი მომენტიც: როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენის ჩვენეული ინტერპრეტაცია გულისხმობს, საბოლოო ანგარიშში იმის აუცილებლობას, რომ ბოლომდე და სრულად იქნას განსაზღვრული ის შინაგანი იერარქიულობა, რომელიც ჩვენი გაგებით თავიდანვე თან ახლდა ლინგვისტურად ინტერპრეტირებულ დეიქსისის ფენომენს, მაგრამ არ ყოფილა ადეკვატურად დანახული და კონცეპტუალიზებული. შესაბამისად, ხსენებული იერარქიის სრული კონცეპტუალიზაცია უნდა ნიშნავდეს - ჩვენი კვლევის ლოგიკით - როლური დეიქსისის, როგორც ხსენებული იერარქიით ნაგულისხმევი მეტაკატეგორიის სრულ ინტერპრეტაციას როგორც ინტერდისციპლინარული, ისე საკუთრივ ლინგვისტური პარადიგმული სიტუაციის მიხედვით; ხსენებული სიტუაცია კი, როგორც უკვე ვიცით, ერთდროულად გულისხმობს კულტუროცენტრიზმს ფართო ჰუმანიტარული გაგებით და ლინგვოკულტუროლოგიას ლინგვისტური გაგებით. და სწორედ ამიტომ, ანუ მთელი ამ ფართო პარადიგმული კონტექსტს გათვალისწინებით მივიჩნიეთ, რომ როლური დეიქსისი, აღქმული და გააზრებული მხატვრულ-ნარატიულ კონტექსტში უნდა გაგვეგო როგორც პერსონალური. სწორედ „როლურის“ პერსონალურად ინტერპრეტაციის მიზნით დავეფუძნეთ პიროვნების (Persona-ს) იმ კონცეპტს, რომელსაც გვთავაზობს თანამედროვე ფილოსოფიური ანთროპოლოგია.

მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, გვსურს ვილაპარაკოთ ქრონოტოპის თანამედროვე კონცეფციაზე არა მხოლოდ ინტერნეტულ, არამედ

ენციკლოპედიურ სივრცეზე დაყრდნობითაც. იქედან გამომდინარე, რომ ქრონოტოპის თანამედროვე კონცეპტი ასრულებს ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მარეზიუმირებელ ფუნქციას, აუცილებლად მიგვაჩნია დავინახოთ ეს კონცეპტი მთელი მისი მნიშვნელობით. სწორედ ამიტომ მივმართავთ მეცლერის ცნობილ ლექსიკონს. ამ ლექსიკონში ხაზგასმულია ქრონოტოპის როგორც კონცეპტის ის ფუნქცია, რომელიც გულისხმობს „ტექსტის ტემპორალურ და სივრცით ასპექტთა ერთ მთლიან შინაარსობრივ სტრუქტურაში ინტეგრაციის“ (მეცლერი 2001684). მაგრამ, ამავე დროს, ხაზგასმულია ქრონოტოპის ის ასპექტიც, რომელიც გულისხმობს „მხატვრულ ტექსტში გადმოცემული სამყაროს იმ განზომილების მნიშვნელობას, რომლის ფარგლებში ავტორი და მკითხველი ისტორიულად ერთიანდებიან“ (იქვე);

3) ჩვენ მიერ ზემოთ განხორციელებული მსჯელობის თანახმად, დავრწმუნდით შემდეგში: ქრონოტოპის თანამედროვე კონცეპტი უნდა განვიხილოთ როგორც ენობრივი ფენომენის *ტრანსფორმი*, როგორცაა დეიქსისი. მაგრამ, როგორც არა ერთხელ იქნა ხაზგასმული, ჩვენი მიზანია დავადგინოთ შემდეგიც: როგორია ტრანსფორმაციის ის სახე, რომელსაც განიცდის დეიქსისის მეტაკატეგორია, ანუ როლური დეიქსისი. ჩვენი კვლევითი ჰიპოთეზა გულისხმობდა იმას, რომ როლური დეიქსისი ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის დონეზე უნდა აღქმულ იქნას *პერსონალურ* დეიქსისად, რაც უშუალოდ გამომდინარეობს უკვე იმ ფაქტიდან, რომ ხსენებული ლინგვისტური პარადიგმა აღარ წარმოადგენს ენის იმანენტისტურ ხედვას.

მოცემულ პარაგრაფში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ რატომ უნდა მივიჩნიოთ *ქრონოტოპის* თანამედროვე კონცეპტი იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საშუალებად, რომელზე დაყრდნობითაც შევძლებდით პერსონალური დეიქსისის როგორც თეორიული კონტექსტის ადეკვატურ დასაბუთებას. როგორც ვნახეთ, ამ დასაბუთების პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ჩვენი ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის *პარადიგმული ასპექტი*: დავრწმუნდით, ალბათ, იმაში, რომ დეიქსისის, ნარატოლოგიურ პლან-ფაქტორთა და ქრონოტოპის ურთიერთმიმართებათა ტრანსფორმაციული გაგება შესაძლებელი გახდა ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის როგორც არაიმანენტისტური პარადიგმის აღქმის გზით. და სწორედ

ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის არაიმანენტისტური არსის ხაზგასმა მოითხოვს ჩვენგან იმ მომენტის ბოლომდე გააზრებასაც, რომელსაც ასევე აქვს პარადიგმული ხასიათი, მაგრამ უკავშირდება უკვე არა მხოლოდ ლინგვისტიკის შიდაპარადიგმულ დინამიკას, არამედ მთელი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების პარადიგმულ დინამიკასაც; ამ უკანასკნელის მიხედვით კი, დომინანტურ პარადიგმას დღეისათვის წარმოადგენს *კულტუროცენტრიზმი*, ანუ მთელი ჰუმანიტარული აზროვნებისათვის დამახასიათებელი შემდეგი ტენდენცია: დავუკავშიროთ კვლევის საგანი კულტურას როგორც ფენომენს.

მაგრამ, რა თქმა უნდა ისმის კითხვა: რატომ იყო აუცილებელი იმის ხაზგასმა, რომ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა საბოლოო ანგარიშში სხვა არაფერია, თუ არა ზოგადჰუმანიტარული კულტუროცენტრიზმის გამოვლინება ლინგვისტიკის სფეროში? ამის ხაზგასმა, ჩვენი აზრით, აუცილებელი იყო შემდეგი მოსაზრების გათვალისწინებით: თუ გვსურს ბოლომდე და არსებითად გავაზროთ *პერსონალური* დეიქსისის ფენომენი და კონცეპტი, აუცილებელია, როგორც უკვე ითქვა, დავუკავშიროთ დეიქსისის პერსონალურობა პიროვნების (Persona-ს) ცნება-კონცეპტს. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა არა მხოლოდ ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაზე, არამედ ასევე კულტურის იმ კონცეფციაზე დაყრდნობის გარეშე, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა მსჯელობა.

როგორც უკვე ითქვა, მოცემულ პარაგრაფში, ქრონოტოპის ცნება-კონცეპტმა უნდა შეასრულოს მთელი იმ ჩვენ მიერ განვლილი თეორიულ-მეთოდოლოგიური გზის შემაჯამებელი (მარეზიუმირებელი) როლი, რომლის მიზანი იყო როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად ინტერპრეტაცია. მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჩვენი კვლევითი მიზნის მისაღწევად არანაკლებ მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმის ხაზგასმაც, რომ პერსონალური დეიქსისის როგორც ფენომენის გაანალიზებას ჩვენ ვაპირებთ არა მხოლოდ თეორიულად (ვფიქრობთ, ჩვენ უკვე შევასრულეთ ხსენებული თეორიული ამოცანა), არამედ იმ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობითაც, რომელსაც წარმოადგენს ნარატიული მხატვრული ტექსტი. რა თქმა უნდა, ჩვენ უკვე გარკვეული თვალსაზრისით დავუკავშირეთ ერთმანეთს ჩვენი კვლევითი მიზანი (ანუ როლური დეიქსისის პერსონალისტური ინტერპრეტაცია) თანამედროვე ნარატოლოგიას იმ შემთხვევაში, როცა ვილაპარაკეთ ნარატიულ პლან-ფაქტორებზე და მათთან

დაკავშირებულ ფოკალიზაციის ფენომენზე. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ჩვენი კვლევის ხსენებული ნარატოლოგიური მომენტიც უკავშირდებოდა მსჯელობის საკუთრივ თეორიულ ასპექტს.

შესაბამისად, ისმის კითხვა: საკმარისია თუ არა მოცემულ პარაგრაფში ქრონოტოპის როგორც კონცეპტის მოშველიებით რეზიუმირებელი თეორიული გზა იმისათვის, რომ მოხდეს ხსენებული გზის ადეკვატურობის ვერიფიკაცია? ვფიქრობთ,, დასმულ კითხვაზე უნდა გაიცეს შემდეგი პასუხი: იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი თეორიული მოსაზრების ადეკვატურობა უნდა დადასტურდეს ნარატიულ ტექსტზე დაყრდნობით და, რაც არანაკლებად მნიშვნელოვანია, ნარატიული ტექსტის ჩვენეული ანალიზი უნდა ატარებდეს *ლინგვისტურ* ხასიათს, აუცილებელი ხდება ისეთ კონცეპტუალურ კომპლექსზე დაყრდნობაც, რომელიც უშუალოდ დაუკავშირდება ერთი მხრივ ტექსტის ლინგვისტურ თეორიას, მეორე მხრივ კი,, მხატვრული ნარატივის ლინგვისტური ანალიზის უკვე არსებულ გამოცდილებას.

რა თქმა უნდა, მხატვრული ნარატივის ის ანალიზი, რომელმაც უნდა მოახდინოს მთელი ჩვენი თეორიული მსჯელობის ადეკვატურობის ვერიფიკაცია უნდა ეყრდნობოდეს ერთდროულად როგორც ქრონოტოპის ზემოთ განვითარებულ კონცეფციას, ისე ტექსტის ლინგვისტურ თეორიასთან დაკავშირებულ იმ კონცეპტუალურ კომპლექსებს, რომლებსაც ვგულისხმობდით წინა აბზაცში და, რაც მთავარია, უნდა გულისხმობდეს ჩვენი მსჯელობის ამ ორი ასპექტის *სინთეზს*. მაგრამ, სანამ ამგვარი სინთეზი შესაძლებელი გახდება, მოვახდინოთ ჩვენი ყურადღების კონცენტრირება ტექსტის ლინგვისტური თეორიის ნაგულისხმევ კონცეპტუალურ კომპლექსზე.

ქრონოტოპის როგორც თანამედროვე კონცეპტის გააზრებასისას ლაპარაკი გვქონდა იმის შესახებ, თუ რატომ უნდა მივანიჭოთ ხსენებულ კონცეპტს მთელი ჩვენი აქამდე განხორციელებული თეორიული მსჯელობის მარეზიუმირებელი როლი. ვფიქრობთ, რომ უკვე გავეცით პასუხი ამ პრობლემასთან დაკავშირებულ კითხვებზე. მაგრამ ამავე დროს გამოიკვეთა კვლევის ის პრობლემური ასპექტიც, რომელსაც თავიდანვე გულისხმობდა ჩვენ მიერ გამოყენებული ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის *ლინგვისტურად ცენტრირებულობა*: ჯერ კიდევ არ იყო ცხადი, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ქრონოტოპის

კონცეპტით ნაგულისხმევი პერსონალური დეიქსისი ვერბალურ მხატვრულ ნარატივში. იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, პასუხი გავცეთ ამ კითხვაზე, მეორე მხრივ კი, ბოლომდე მზად ვიყოთ მხატვრული ნარატივის დეიქტიკურად ორიენტირებული ანალიზისათვის, საჭიროა დავასახელოთ ის ლინგვისტურად ორიენტირებული კონცეპტუალური კომპლექსი, რომელიც დაასრულებდა ჩვენს მეთოდოლოგიურ კვლევით სისტემას როგორც საკუთრივ ინტერდისციპლინარული თვალსაზრისით, ისე ლინგვისტურად ცენტრირებულ ასპექტში.

ვფიქრობთ, ჩვენი კვლევისათვის აუცილებელ კონცეპტუალურ კომპლექსს უნდა წარმოადგენდეს სწორედ ის კომპლექსი, რომელიც ნაგულისხმევი მოცემული პარაგრაფის სათაურით: მხატვრული ნარატიული ტექსტის პრაგმატიკულ-რეფერენტული სტრუქტურა. სანამ ბოლომდე ცხადი გახდება ამ კომპლექსის როლი ნარატივის ამ გაანალიზების პროცესში, რომელიც უნდა განვახორციელოთ ჩვენი აზრით, ნათელ კავშირზე, რომელიც უნდა არსებობდეს ამ კომპლექსსა და ჩვენს კვლევით მიზანს შორის: თუ პერსონალური დეიქსისი, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი რეალიზდება მხატვრულ ნარატივში და მისი ეს რეალიზაცია ეფუძნება ნარატივის ქრონოტოპულ სტრუქტურას, მაშინ ხსენებული ფაქტი გარდუვალად უნდა იყოს მოცემული ნარატიული ტექსტის რეფერენტულ ასპექტში (ანუ მის რეფერენტულ სტრუქტურაში). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზემოხსენებული ჩვენეული ანალიზი ასევე გარდუვალად უნდა ნიშნავდეს მხატვრული ნარატივის ამ ასპექტის ანალიზს - რა თქმა უნდა, დეიქტიკურ-ქრონოტოპული თვალსაზრისით. და სწორედ იმისათვის, რომ ასეთი ანალიზი შესაძლებელი გახდეს, საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ იმ ორ შრომაზე, რომელთა ფარგლებში შესრულებული იქნა ჩვენი კვლევისთვისაც მნიშვნელოვანი ორი შემდეგი ამოცანა: ა) შესწავლილ იქნა პრაგმატიკა და რეფერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი, ანუ განხორციელდა ორი ისეთი ენობრივი ფენომენის არსებითი დაკავშირება, როგორებიცაა: ერთი მხრივ *რეფერენცია* და მეორე მხრივ კი *ტექსტი*; ბ) მეორე კვლევით ამოცანას წარმოადგენდა არა ზოგადად ტექსტის, არამედ ნარატიული ტექსტის პრაგმატულ-რეფერენტული სტრუქტურის განსაზღვრა. შესაბამისად, ჩვენს მიზანს კვლევის მოცემულ ეტაპზე უნდა წარმოადგენდეს ჯერ ხსენებულ კვლევათა

რეფერირება, შემდეგ კი ამ ორი კვლევის შედეგთა ის სინთეზი, რომელიც უნდა პასუხობდეს ჩვენს კვლევით მიზნებს.

მაგრამ სწორედ იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მხატვრული ნარატიული ტექსტის დეიქტიკურ-ქრონოტოპული ანალიზი და ეს ანალიზი დაეყრდნოს რეფერენტული სტრუქტურის კონცეპტს, საჭიროა, მივუთითოთ ზოგადად ტექსტის ლინგვისტიკის იმ ცნებაზე, რომელსაც, საბოლოო ანგარიშში, უნდა დაეფუძნოს მხატვრული ნარატივის პრაგმატიკულ-რეფერენტული სტრუქტურის კონცეპტი. რატომ უნდა მივიჩნიოთ აუცილებლად, რომ სწორედ *ტექსტის ლინგვისტიკამ* (ამ ტერმინის ფართო გაგებით) უნდა შეასრულოს კონცეპტუალური *მედიატორის* როლი, როგორც იმ თეორიულ კომპლექს შორის, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული დეიქსისისა და ქრონოტოპის კონცეპტებთან, ასევე, მხატვრული ნარატივის რეფერენტულ სტრუქტურასთან? საქმე ისაა, რომ პერსონალური დეიქსისის ფენომენისა და კონცეპტისადმი ჩვენ, ვახორციელებთ პარადიგმულ მიდგომას, პარადიგმული მიდგომა კი ჩვენი კვლევის ფარგლებში გულისხმობდა იმის დადგენას, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ინტერპრეტირებული დეიქსისის ფენომენი განსხვავებულ ლინგვისტურ პარადიგმათა ფარგლებში: განვიხილეთ დეიქსისი პირველ რიგში სისტემური პარადიგმის ფარგლებში, შემდეგ კომუნიკაციურ პარადიგმასთან დაკავშირებით და ბოლოს იმ პარადიგმის ფარგლებში, რომელიც დღეისათვის დომინირებს ლინგვისტიკაში და ამავე დროს არსებითად უკავშირდება ენობრივ ფენომენტა ნარატოლოგიურ ხედვასაც, ანუ *ლინგვოკულტუროლოგიური* პარადიგმის ფარგლებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ლინგვოკულტუროლოგიურს, დომინანტურ როლს ასრულებს ერთი მხრივ *ტექსტის*, მეორე მხრივ კი *პრაგმატიკის* ცნებები.

სწორედ იმისათვის, რომ კვლევის მოცემულ ეტაპზეც ბოლომდე შევინარჩუნოთ ხსენებული პარადიგმული ვექტორი, აუცილებელი ხდება ნარატივის პრაგმატიკულ-რეფერენტული სტრუქტურის განხილვას წინ წაუმიღვაროთ სწორედ ის კონცეპტუალური კომპლექსი, რომელიც უკავშირდება კომუნიკაციურ პარადიგმას; ხსენებული კომპლექსი კი, როგორც ზემოთ უკვე

იქნა მინიშნებული, შედგება ორი ცნება-კონცეპტისაგან: ესაა *ინტერსუბიექტურობა* და *რეფერენტული სიტუაციის* ცნება-კონცეპტები.

კიდევ ერთხელ გვსურს გავუსვათ ხაზი ტექსტის ლინგვისტიკის იმ მედიატორულ ფუნქციას, რომელიც მან უნდა შეასრულოს პერსონალური დეიქსისის როგორც ფენომენისა და კონცეპტის განსაზღვრისათვის. როგორც წინა პარაგრაფში და მოცემულ პარაგრაფებში იყო ნათქვამი, პერსონალური დეიქსისის ამგვარი განსაზღვრისათვის ერთნაირად აუცილებელია როგორც ნარატივის ლიტერატურათმცოდნეობითი კონცეპტის, ისე თანამედროვე ნარატოლოგიისათვის აუცილებელ იმ ლინგვისტურ კონცეპტთა გათვალისწინება, რომელთა გარეშე ვერ შედგებოდა თვით ეს ნარატოლოგია - ზოგადად კი, როგორც უკვე იქნა ხაზგასმული ამგვარ სინთეზურ მიდგომას მოითხოვს ჩვენი პარადიგმული მეთოდოლოგია როგორც ლინგვისტური, ისე ზოგადჰუმანიტარულ-ნარატოლოგიური გაგებით. იქედან გამომდინარე კი, რომ თვით დეიქსისის ცნება გენეტიკურად უკავშირდება ლინგვისტიკას (ისევე როგორც ქრონოტოპი ლიტერატურათმცოდნეობას), უნდა მივიჩნიოთ, რომ დეიქსისის ნარატოლოგიურ ანალიზს წინ უნდა უსწრებდეს სწორედ ტექსტის ლინგვისტიკასთან დაკავშირებულ კომპლექსზე დაყრდნობა. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ კომპლექსისათვის ფუძემდებელია ერთი მხრივ *ინტერსუბიექტურობის პრაგმატიკული*, მეორე მხრივ კი *ექსტრალინგვისტური სიტუაციის სემანტიკური ცნება*. შესაბამისად, სანამ განვიხილავდეთ მხატვრული ნარატივის იმ ასპექტებს, რომელთა დონეზე უნდა ხორციელდებოდეს ზემოთხსენებული დეიქტიკურ-ქრონოტოპული სინთეზი, საჭიროდ მიგვაჩნია თვით ამ სინთეზის ლინგვისტური დაფუძნება. ამ მიზნით, დავეყრდნობით გ. ლებანაძის უკვე ციტირებულ ნაშრომს. ამ ნაშრომის მიხედვით, განვიხილავთ ინტერსუბიექტურობის, შემდეგ კი „ექსტრალინგვისტური სიტუაციის“ ცნებებს.

ა) ინტერსუბიექტურობა, როგორც დისკურსის პრაგმატიკული ასპექტი

რატომ არის ჩვენთვის საჭირო ინტერსუბიექტურობის როგორც დისკურსის პრაგმატიკული ასპექტის ხაზგასმა? იმიტომ, რომ ამგვარ ხაზგასმას მოითხოვს ერთი მხრივ დეიქსისის ლინგვისტური, მეორე მხრივ კი ქრონოტოპის ლიტერატურათმცოდნეობითი ცნებაც: ლინგვისტური თვალსაზრისით

ინტერსუბიექტურობა უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს როლურ დეიქსისს, ანუ დეიქსის იმ ასპექტს, რომელსაც ჩვენ მივანიჭეთ მეტაკატეგორიული სტატუსი და რომელიც ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ფარგლებში, ჩვენი აზრით, უნდა იქნას ინტერპრეტირებული როგორც პერსონალური დეიქსისი; ლიტერატურათმცოდნეობითი ანუ ნარატოლოგიური თვალსაზრისით კი, როგორც უკვე ვიცით, ქრონოტოპის ცნებაში ხდება მხატვრული დისკურსის დროით და სივრცით მომენტთა სინთეზი, თუმცა, რა თქმა უნდა, დროითი მომენტისათვის უპირატესობის მინიჭების ნიშნით.

ჩვენი კვლევითი კონტექსტის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს ორი ცნების - ერთი მხრივ, სუბიექტისა, მეორე მხრივ კი ინტერსუბიექტურობის ცნებათა დაკავშირება. იმის ხაზგასმა, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს დისკურსის პრაგმატიკასთან. როგორც ხსენებულ ნაშრომში აღინიშნება, „თუ დასაწყისში პრაგმატიკა ნიშნავდა კავშირს სუბიექტსა და ნიშნებს შორის, დღეს კი აუცილებელია ვიგულისხმოთ უკვე მინიმუმ ორი სუბიექტი, ე.ი. გვაქვს უკვე არა მარტო სუბიექტურობა, არამედ ინტერსუბიექტურობა“ (ლებანიძე 2004:253). იქვე ნათქვამია ისიც, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული ინტერსუბიექტურობა კომუნიკაციური თვალსაზრისით, სახელდობრ როგორც ადრესანტსა და ადრესატს შორის მიმართება: „კომუნიკაციის ყოველ აქტში გვაქვს არა მარტო ორი სუბიექტი, არამედ გვაქვს ურთიერთმიმართება მათ შორის, ანუ *ინტერსუბიექტურობა*“ (ლებანიძე 2004:254). ბუნებრივია, რომ ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით, ინტერსუბიექტურობაც უნდა იქნას გაგებული ისე, როგორც ამას მოითხოვს ხსენებული პარადიგმა: მიმართება ადრესანტსა და ადრესატს შორის უნდა ხდებოდეს გარკვეული კულტურის ფარგლებში და, შესაბამისად, როგორც ადრესანტი ისე ადრესანტიც უნდა წარმოადგენდნენ არა მხოლოდ ენობრივ, არამედ აგრეთვე, *კულტურულ სუბიექტებსაც*;

ბ) „ექსტრალინგვისტური სიტუაცია“, როგორც დისკურსის სემანტიკური ასპექტი

მაგრამ როგორც ვიცით, დეიქსისის ლინგვისტური ცნება გულისხმობს არა მხოლოდ როლურ დეიქსისს, არამედ დროსა და ადგილის დეიქსისსაც.

შესაბამისად, უნდა ვიგულისხმოთ, თუ როლური დეიქსისი თავისი დისკურსული სტატუსით ეკუთვნის პრაგმატიკას, ექსტრალინგვისტური სიტუაცია, რომელიც თემატურად ასახულია გამონათქვამში, უნდა განიხილებოდეს, როგორც დისკურსის სემანტიკური ასპექტი. ხსენებული ნაშრომის მიხედვით ექსტრალინგვისტური სიტუაცია შეიძლება გაგებულ იქნას ორნაირად - როგორც *რეფერენტული* და როგორც *კომუნიკაციური*. იქედან გამომდინარე, რომ ზემოთ უკვე ვიმსჯელებთ კომუნიკაციურ სიტუაციაზე და განვიხილეთ იგი ინტერსუბიექტურობის (და, შესაბამისად, პრაგმატიკული) ნიშნით, მოცემულ ეტაპზე აუცილებელი ხდება იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული რეფერენტული სიტუაცია. ხსენებულ ნაშრომში რეფერენტული სიტუაცია გაგებულია შემდეგნაირად: „რეფერენტული სიტუაცია - ანუ სინამდვილის ის სემენტი, ის მონაკვეთი, რომელიც უშუალოდ ასახულია გამონათქვამში, - გამონათქვამის რეფერენტი. ვინაიდან იმას, რაც ასახულია გამონათქვამში, მუდამ სიტუაციის სახე აქვს, ამიტომ გამონათქვამის რეფერენტს წარმოადგენს სიტუაცია. ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში რეფერენტულ სიტუაციას წარმოადგენს თვით ამინდი. ტექსტის შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ რეფერენტულ სივრცეზე: რეფერენტული სივრცე შედგება რეფერენტული სიტუაციებისაგან იმისათვის, რომ ექსპლიციტური მნიშვნელობიდან იმპლიციტურზე გადავიდეთ, უნდა დავეყრდნოთ რეფერენტულ სიტუაციას. მაგრამ, თუ გვსურს გავითვალისწინოთ უფრო ღრმა მნიშვნელობა, უნდა დავეყრდნოთ რეფერენტულ სივრცეს“ (ლებანიძე 2004:232).

თუმცა ამავე დროს, ჩვენი კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე მაინც უნდა ითქვას შემდეგი: ტერმინი „სიტუაცია“ ლინგვისტიკის ფარგლებში გაიგება ორნაირად - როგორც „ინტრალინგვისტური“ და როგორც „ექსტრალინგვისტური“. პირველ შემთხვევაში იგულისხმება ის, რაც „ხდება“ ტექსტში ამა თუ იმ დისკურსის დროს; მეორე შემთხვევაში კი იგულისხმება ორი ერთმანეთთან დაკავშირებული მომენტი: *ვის და ვის* შორის ხდება დისკურსი (ანუ რომელ ორ სუბიექტს შორის ხდება ენობრივი სისტემის აქტუალიზაცია) და *რა*, ანუ ენის გარეშე სინამდვილის რომელი (ან როგორი) სიტუაცია აისახება მოცემული დისკურსით „დაბადებულ“ ტექსტში.

მაგრამ იმისათვის, რომ ტექსტის ლინგვისტიკამ მართლაც და ბოლომდე შეასრულოს ზემოხსენებული „მედიატორული როლი“, ე.ი. დეიქსისის ლიგვისტური კონცეფციისა და ქრონოტოპის ლიტერატურათმცოდნეობითი კონცეფციის დამაკავშირებელი როლი, აუცილებლად მიგვაჩნია იმის გახსენებაც, თუ როგორ ხდება ერთი მხრივ ტექსტის ლინგვისტურ თეორიაში, მეორე მხრივ კი ლინგვისტურად ორიენტირებულ ნარატოლოგიაში სიტუაციის ზემოთ განხილული დიქტომიური ტიპოლოგიის ინტერპრეტაცია. სწორედ ამ მიზნით, მივმართავთ ამ მიმართულებით შესრულებულ იმ კვლევას, რომელიც განხორციელებულია ტექსტის ლინგვისტიკის და ნარატოლოგიის ქართულ სივრცეში, კერძოდ კი ქ. დოღონაძისა და ლ. ონიანის ნაშრომებს. ვფიქრობთ, ხსენებულ შრომებზე დაყრდნობა საშუალებას მოგვცემს უფრო თანმიმდევრულად გამოვიყენოთ ჩვენი აქამდე განხორციელებული თეორიული მსჯელობა ინგლისურენოვანი მხატვრული ნარატივის დეიქტიკურ-ქრონოტოპული ანალიზის პროცესში.

ეყრდნობა რა რეფერენციის კატეგორიას, მაგრამ ამავე დროს განიხილავს რა მას ნარატოლოგიური თვალსაზრისით, ლ. ონიანი საუბრობს მხატვრული „ნაწარმოების სამყაროს“ შესახებ და, ამასთანავე ახდენს ხსენებული ცნების დიქტომიზაციას. „რაკი ნარატიული მხატვრული მეტყველება აუცილებლად წარმოდგენილია ორი პრაგმატიკული დონით, ანუ შიდა ტექსტური დონით (კომუნიკაცია პერსონაჟებს შორის) და გარე ტექსტური დონით კომუნიკაცია ადრესანტი-ავტორს და ადრესატი-მკითხველს შორის), შესაბამისად, ნაწარმოების სამყაროც შინაგანად დიქტომიზირებულ უნდა იქნას ორ ურთიერთდაკავშირებულ, მაგრამ ამავე დროს განსხვავებული განზომილებებით“. (ონიანი 2008:57).

ხსენებულ განზომილებებს ავტორი ახასიათებს შემდეგნაირად:


„ა) სამყარო, დანახული ისე, როგორც მას ხედვას ადრესანტი-ავტორი და როგორსაც იგი უშუალოდ, ანუ პერსონაჟებისაგან მეტად თუ ნაკლებად დამოუკიდებლად აქცევს ადრესატი-მკითხველისადმი მიმართულ კომუნიკატად;

ბ) სამყარო, დანახული ისე, როგორც მას ხედავენ ნარატივის პერსონაჟები და რა სახითაც იგი (ეს სამყარო) როგორც შიდატექსტობრივი კომუნიკატი ფიგურირებს დიალოგებში, ანუ მეტყველების პერსონაჟისეულ პარტიებში. რა

თქმა უნდა, შეუძლებელია და არც არის საჭირო ნაწარმოებისეული სამყაროს ამ ორი განზომილების ერთი მეორისაგან იზოლაცია, ზუსტად ისევე, როგორც ორი პრაგმატიკული დონის დიქტომიზაციაც არ უნდა ნიშნავდეს ამ დონეთა ურთიერთიზოლაციას, რადგან ნებისმიერ შემთხვევაში მხატვრული სინამდვილე მუდამ წარმოადგენს ერთ ორგანულ მთლიანობას; მაგრამ, როგორც ცნობილია, მთლიანობის დანახვამ და აღიარებამ არ უნდა შეგვიშალოს ხელი მის ანალიტიკურ კვლევაში, ანუ - ამ შემთხვევაში - მთლიანის დიქტომიზაციაში. ჩვენთვის, ბუნებრივია, მთელი ამ მსჯელობის მნიშვნელობა საბოლოოდ მდგომარეობს შემდეგში: თუ ნარატიულ ტექსტში წარმოდგენილი მხატვრული სამყარო შინაგანად დიქტომიზირებულია ორ განზომილებად, მაშინ ასევე დიქტომიზირებულად უნდა იქნას დანახული და გამოკვლეული მისი (ანუ ნარატიული ტექსტის) რეფერენტული სტრუქტურაც" (ონიანი 2008:59). მაგრამ ამავე დროს ავტორი ამყარებს კავშირს ხსენებულ ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიასა და იმ ლიტერატურათმცოდნეობით კატეგორიას შორის, რომელიც ცნობილია „ნაწარმოების სამყაროს" სახით (იქვე).

ჩვენი კვლევითი მიზნებისათვის, ასევე მნიშვნელოვანია კვლევა, რომელიც შესრულებული აქვს ქ. დოლონაძეს იმ კავშირის დასადგენად, რომელიც არსებობს რეფერენტისა და ტექსტობრიობის ფენომენტა შორის. მაგრამ ამავე დროს ხსენებული ავტორი ლაპარაკობს ტექსტის კომპოზიციურ სტრუქტურაზე და სწორედ ამ თვალსაზრისით ახორციელებს „ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის დიქტომიურ მოდელირებას. რამდენადაც, ჩვენის აზრით, ვერ ვილაპარაკებთ დეიქსისისა და ქრონოტოპის კატეგორიათა ურთიერთმიმართების შესახებ *ტექსტის* ამგვარი ვერტიკალური სტრუქტურის გათვალისწინების გარეშე, საჭიროდ მიგვაჩნია მოვახდინოთ ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურის დოლონაძისეული მოდელის ციტირება. ხსენებული მოდელი გამოიყურება შემდეგნაირად:

ტექსტის ვერტიკალური სტრუქტურა



(დოლონაძე 2010:24).

რა თქმა უნდა, ორივე ეს კონცეპტი, რომელთა შინაარსობრივი სინთეზი აუცილებად მიგვაჩნია ჩვენი კვლევითი მიზნების განსახორციელებლად - ვგულისხმობთ **ქრონოტოპისა** და **ტექსტის** ცნებებს - ერთნაირად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევძლოთ ბოლომდე გააზრება იმისა, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ფარგლებში ზოგადად დეიქსისი და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დეიქსისის კატეგორიალური სტრუქტურა. ჩვენ განვახორციელებთ ამ სტრუქტურის იერარქიული ხედვა და ამ ხედვის ფარგლებში როლურ დეიქსისს მივანიჭებთ მეტაკატეგორიის სტატუსი თუმცა ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმული დინამიკის შემდეგი მომენტი: ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას დროითი და შინაარსობრივი თვალსაზრისით უსწრებს ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმა, რომლის ფარგლებში წინა პლანზე გამოდის საკომუნიკაციო აქტის, ანუ დისკურსის, **ინტერსუბიექტური სტრუქტურა**. თუ

შევეცდებით ამ ინტერსუბიექტურობის დეიქტიკური პრიზმით დანახვას, ცხადი გახდება, რომ ინტერსუბიექტურობის პრინციპთან ერთად წინა პლანზე გამოდის სწორედ როლური დეიქსისი, რითაც მართლდება ჩვენ მიერ მისდამი მეტაკატეგორიული სტატუსის მინიჭება. ბუნებრივია მივიჩნიოთ შემდეგი: ლინგვოკულტუროლოგიურმა პარადიგმამ უნდა შეინარჩუნოს როლური დეიქსისის ეს სტატუსი და ამავე დროს ახლებურად გაიაზროს იგი. ისმის რა თქმა უნდა, კითხვა: როგორი უნდა იყოს შენარჩუნებისა და ახლებური გააზრების ეს სინთეზი? ცხადია, რომ სწორედ ამ კითხვაზე პასუხს ემსახურება მთელი ის კვლევითი გზა, რომელიც ჩვენ გავიარეთ ჩვენი ნაშრომის თავებსა და პარაგრაფებში. ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი უნდა „მონაწილეობდეს“ ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის ფორმირებაში. მაგრამ, თუ ამავე დროს გვსურს გამოვხატოთ ეს პასუხი ერთი თეზისის სახით, მაშინ უნდა ვთქვათ: ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ფარგლებში როლური დეიქსისი უნდა იქნას ინტერპრეტირებული ისე, როგორც ამას მოითხოვს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის არაიმანენტისტური შინაარსი;

შესაბამისად დისკურსის სუბიექტი (როგორც ადრესანტი, ისე ადრესატი) უნდა იქნას აღქმული ერთდროულად როგორც ლინგვისტურად, ისე კულტუროლოგიურად, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც ენობრივი და კულტურული სუბიექტი - უფრო სწორედ კი, როგორც სუბიექტურობის ამ ორი ასპექტის სინთეზი.

რატომ იყო საჭირო ჩვენი ძირითადი კვლევითი მიზნის ამგვარი, ანუ კონცენტრირებული სახით კიდევ ერთხელ ხაზგასმა? იმიტომ რომ, ვიმყოფებით კვლევის პრინციპულად ახალ ეტაპზე: თეორიულ-მეთოდოლოგიურმა მსჯელობამ ადგილი უნდა დაუთმოს მხატვრული ნარატივის ნიმუშთა დეიქტიკურ-ქრონოტოპულ ანალიზს. მაგრამ, თუ ბოლომდე გავითვალისწინებთ მოცემული პარაგრაფის შინაარსს და, ამასთან ერთად, კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს ჩვენი კვლევის მეთოდოლოგიურ ასპექტს, მაშინ ცხადი გახდება შემდეგიც: ის, რასაც თანამედროვე ნარატოლოგიაზე დაყრდნობით ვუწოდებთ „მხატვრულ ნარატივს“, ტრადიციული (კლასიკური) ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით, როგორც ცნობილია, ეწოდება „ეპიკური გვარის“ ნაწარმოები. ვფიქრობთ, პარადიგმული მეთოდოლოგიის ის კონცეფცია, რომელსაც

ვეყრდნობით კვლევის პროცესში, უნდა გულისხმობდეს ლიტერატურათმცოდნეობის როგორც მეცნიერული დისციპლინის გათვალისწინებას, რადგან სხვაგვარად ვერ იქნება მიღწეული პარადიგმული მეთოდოლოგიის ის ინტერდისციპლინარული ხედვა, რომელიც საფუძვლად უნდა ედოს დეიქსისის ჩვენეულ კვლევას. შესაბამისად, აუცილებლად მიგვაჩნია შევჩერდეთ ერთი მხრივ ეპიკური გვარის იმ სტრუქტურულ მომენტებზე, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნარატოლოგიური თეორიის ფორმირება, მეორე მხრივ კი კვლავ გავუსვათ ხაზი ჩვენი კვლევითი კონტექსტის შემდეგ მომენტს: ვიკვლევთ დეიქსისის ენობრივ ფენომენს იმ როლისა და ფუნქციის დადგენის მიზნით, რომელსაც ეს ფენომენი ასრულებს მხატვრული ნარატივის ფარგლებში.

ამ უკანასკნელი მომენტის ხაზგასმა კი თავისთავად უნდა გულისხმობდეს ლიტერატურათმცოდნეობის იმ ასპექტის გათვალისწინებას, რომელსაც პოეტიკა ეწოდება. შემდეგ პარაგრაფში შევეცდებით არა მხოლოდ უფრო ვრცლად წარმოვადგინოთ მხატვრული ნარატივის (ეპიკური გვარის ნაწარმოების) პოეტიკის ხსენებული ასპექტი, არამედ მეტი კონცეპტუალური სრულყოფილებით დავუქვემდებაროთ ეს ასპექტი ჩვენს დეიქტიკურ კვლევას.

§5. ეპიკური ნაწარმოების კომუნიკაციური სტრუქტურა, კვლევის ფარგლებში აქტუალიზირებული ინტერდისციპლინარული კომპლექსი და პერსონალური დეიქსისის პრობლემა

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ჩვენი მეთოდოლოგია უნდა ატარებდეს ინტერდისციპლინარულ და ამავე დროს ლინგვისტურად ცენტრირებულ (შეიძლება ითქვას ლინგვისტურ) ხასიათს. სწორედ ამგვარმა მეთოდოლოგიამ გახადა აუცილებელი ისეთი ორი ფენომენის ერთ თეორიულ ჭრილში მოქცევა, როგორებიცაა ერთი მხრივ დეიქსისი, მეორე მხრივ კი ქრონოტოპი. მაგრამ ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ თავისი წარმოშობით და შინაარსით

„ქრონოტოპი“ როგორც ტერმინი და კონცეპტი ეკუთვნის არა ნარატოლოგიას, არამედ იმ მეცნიერულ დისციპლინას, რომლის თეორიულ „მემკვიდრეს“ წარმოადგენს ნარატოლოგიაც, ანუ ლიტერატურათმცოდნეობას; ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით კი ის, რასაც ნარატოლოგიაზე დაყრდნობით ვუწოდებთ „ნარატივს“, წარმოადგენს ეპიკური გვარის ნაწარმოებს. მაგრამ ამასთანავე ჩვენი მეთოდოლოგია უნდა ატარებდეს, როგორც არაერთხელ იქნა ხაზგასმული, **სინთეზურ** ხასიათს, სინთეზი კი პარადიგმული თვალსაზრისით, როგორც უკვე ვიცით გულისხმობს **რეტროსპექტულ და პროსპექტულ ხედვათა შერწყმას.**

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია დავუკავშიროთ ერთმანეთს ორი შემდეგი კითხვა: ა) როგორია ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით ეპიკური გვარის ნაწარმოებში ორი თვალსაზრისის ტექსტგარეშე (ექსტრატექსტუალური) და შიდატექსტობრივ (ინტრატექსტუალურ) განზომილებათა ურთიერთმიმართება? იქედან გამომდინარე, რომ ნებისმიერ შემთხვევაში საქმე გვაქვს ვერბალურად არსებულ მხატვრულ ნაწარმოებთან აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის ფენომენი, რომელიც ნაგულისხმევია ტერმინით „ქრონოტოპი“ როგორ გამოიყურება ქრონოტოპი ეპიკური გვარის ნაწარმოებში თუ დავეყრდნობით ზემოთ აღნიშნულ განზომილებათა ურთიერთმიმართებას?

ბ) იმის შემდეგ, როცა გაცემული გვექნება პასუხი ზემოთ დასმულ კითხვაზე, ასევე აუცილებელი იქნება დაისვას მეორე და ჩვენი კვლევისათვის უფრო მნიშვნელოვანი კითხვა: რას უნდა ნიშნავდეს ზემოთ ხსენებულ ექსტრატექსტუალურ და ინტრატექსტუალურ განზომილებათა შორის ურთიერთმიმართება **დეიქტიკური** თვალსაზრისით? ვფიქრობთ, ეს კითხვა შეიძლება იქნას ფორმულირებული შემდეგნაირადაც: თუ, როგორც უკვე ვიცით, ქრონოტოპი წარმოადგენს ტრანსფორმირებულ დეიქსისს, მაშინ უნდა იქნას დადგენილი ის, თუ რა როლს ასრულებს ეპიკური ქრონოტოპის სტრუქტურირებისას როლური დეიქსისი; ხომ არ ნიშნავს დეიქსისის ქრონოტოპად ტრანსფორმირება იმ ფაქტსაც, რომ ამ შემთხვევაში როლური დეიქსისიც გარდუვალად უნდა ტრანსფორმირდეს პერსონალურ დეიქსისად?

ამ ორი კითხვის ამგვარად ფორმულირება და, რაც მთავარია, მათი ამგვარად ურთიერთდაკავშირება უნდა ნიშნავდეს, ჩვენი აზრით, ჩვენი კვლევითი პრობლემის პრინციპულ გადაჭრას.

შევეცადოთ თანმიმდევრულად გავცეთ პასუხი ზემოთ დასმულ ორ კითხვას:

ა) რაც შეეხება *ექსტრატექსტუალურ* და *ინტრატექსტუალურ* თვალსაზრისითა ურთიერთმიმართებას ეპიკური გვარის ნაწარმოებში (იმავე „მხატვრულ ნარატივში“), თუ „მხატვრულ ნაწარმოებს“ ნარატოლოგიურად აღვიქვამთ):

ჩვენი აზრით, დეიქსისისა და ქრონოტოპის ურთიერთმიმართების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის განსხვავება, რომელიც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის მიხედვით არსებობს ისეთ ორ ცნებას შორის, როგორცაა ერთს მხრივ, *ავტორი*, მეორე მხრივ კი *მთხრობელი*. როგორც გერმანელი თეორეტიკოსი კ. გიგლი აღნიშნავს, „ამ ორი ცნების აღრევა დაუშვებელია იმ შემთხვევაშიც კი, როცა მთხრობელი რაღაცას ყვება პირველ პირში“ (გიგლი 2008:7) ხსენებული თვალსაზრისით ჩვენთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს ის, თუ როგორ, თუ რა ნიშან-თვისებებზე დაყრდნობით განასხვავებს ციტირებული ავტორი ჯერ ავტორსა და მთხრობელს, შემდეგ კი მთხრობელის ისეთ ორ ტიპს, როგორებიცაა მთხრობელი პირველ პირში („მე-მთხრობელი - Ich Erzähler“) და მთხრობელი მესამე პირში („ის-მთხრობელი - Er/Sie - Erzähler“). არ ვაპირებთ ხსენებულ „ფიგურათა“ ყველა იმ ნიშან-თვისების ხაზგასმას, რომელთა შესახებ ლაპარაკობს ავტორი, მაგრამ აუცილებლად მიგვაჩნია ძირითად ნიშან-თვისებათა გამოყოფა. შესაბამისად, პირველი და ჩვენთვის მნიშვნელოვანი ოპოზიცია გამოიყურება შემდეგნაირად:

ავტორი	მთხრობელი
<ul style="list-style-type: none"> რეალურად არსებული პიროვნება 	<ul style="list-style-type: none"> ავტორის მიერ გამოგონილი ფიგურა (რომელიც ხშირად არ სახელდება)
<ul style="list-style-type: none"> იდენტურია ნაწარმოების შემქმნელ მწერალთან 	<ul style="list-style-type: none"> განიხილება როგორც ტექსტის შემადგენელი ნაწილი და გადმოსცემს მოთხრობილ ამბავს თავისი თვალთახედვიდან გამომდინარე

<ul style="list-style-type: none"> • გამოხატავს თავის ღირებულებით წარმოდგენებს, გრძნობებს, სიმპატიებსა და ანტიპატიებს 	<ul style="list-style-type: none"> • მისი ღირებულებითი წარმოდგენები, გრძნობები, სიმპატიები და ანტიპატიები არ უნდა გავაიგივოთ ავტორის ანალოგიურ ნიშანთვისებებთან" (იქვე).
--	---

ვფიქრობთ, ავტორსა და მთხრობელს შორის ზემოთ წარმოდგენილი განსხვავება - ოპოზიცია იძლევა საკმარის საფუძველს იმისათვის, რომ ჩვენ მიერ უკვე ფორმულირებული თეორიულ და მეთოდოლოგიურ სისტემაზე დაყრდნობით დადგენილ იქნას ძირითადი კონტურები იმისა, თუ როგორ ტრანსფორმირდება დეიქსისი ქრონოტოპად.

მაგრამ, როგორც ვიცით, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა ხასიათდება არა მხოლოდ ავტორისა და მთხრობელის, არამედ თვით მთხრობელის ფარგლებში ოპოზიციური მიმართების დანახვითა და ხაზგასმით. უკვე ციტირებულ ავტორთან ეს უკანასკნელი ოპოზიცია გამოიყურება შემდეგნაირად:

<p>„მე მთხრობელი (მთხრობელი პირველ პირში)</p>	<p>ის მთხრობელი (მთხრობელი მესამე პირში)</p>
<ul style="list-style-type: none"> • ავტონომიური ფიგურა, რომელიც ასე თუ ისე მონაწილეობს მოთხრობილ ისტორიაში 	<ul style="list-style-type: none"> • მთხრობელის ფიგურა, რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს მოთხრობილი ისტორიის მონაწილეთა რიცხვს, მაგრამ შეიძლება არც ეკუთვნოდეს
<ul style="list-style-type: none"> • მთხრობელის თვალსაზრისი შემოფარგლულია მისი თვალთახედვით 	<ul style="list-style-type: none"> • როცა მთხრობელი განეკუთვნება ტექსტის გარეშე სინამდვილეს, მას შეუძლია ე. წ. „ყოვლისმცოდნე“ პერსპექტივიდან გამომდინარე შეგვატყობინოს მხოლოდ მის მიერ ნაფიქრალი..." (გიგლი 2008:9)

როგორც ვნახეთ, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა დაგვენახა ის განსხვავება, რომელიც ლიტერატურის (და, შესაბამისად, მხატვრული ტექსტის) სფეროში არსებობს ტექსტობრივ და ტექსტგარეშე რეალობებს შორის. ვფიქრობთ, ეს სწორედ ის განსხვავებაა, რომელიც უნდა იქცეს ამოსავალ მომენტად იმისათვის, რომ დავინახოთ და განვსაზღვროთ როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად ტრანსფორმირების ფაქტი - რა თქმა უნდა, ქრონოტოპის კონცეფციაზე დაყრდნობით. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ ლიტერატურათმცოდნეობა წარმოადგენს იმ ინტერდისციპლინარული კომპლექსის მხოლოდ ერთ სეგმენტს, რომელიც უკვე იქნა ჩვენ მიერ დასახელებული და განსაზღვრული ჩვენს კვლევით კონტექსტთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე აუცილებელი ხდება კვლავ მივმართოთ ხსენებულ კომპლექსს იმის გათვალისწინებით, რომ უნდა მოხდეს ზემოთ განხილული ლიტერატურათმცოდნეობითი მონაცემების ამ კომპლექსში ინტეგრირება.

შეიძლება აღინიშნოს, რომ იმ ოპოზიციაზე მითითება, რომლებთაც, როგორც ზემოთ ითქვა, ხასიათდება თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა, ჩვენ ამოვწურეთ კონცეპტუალურ მონაცემთა ის ერთობლიობა, რომელიც აუცილებელი იყო ჩვენი კვლევითი მიზნის მისაღწევად. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ დავეყრდნობოდი თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ისეთ ცალკეულ სფეროებს, როგორებიცაა ფილოსოფიური ანთროპოლოგია, სემიოესთეტიკა, კულტუროლოგია და ა. შ., რაც ნიშნავდა ჩვენ მიერ ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიის გამოყენებას, მეორე მხრივ კი, უწყვეტად მივუთითებდით ჩვენი კვლევის ძირითად მიზანზე - ინტერდისციპლინურად მოძიებულ კონცეპტთა სისტემა გვჭირდებოდა იმისათვის, რომ გაგვეხორციელებინა ლინგვისტურად ცენტრირებული კვლევითი მიზანი, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: უნდა დაგვედგინა თუ როგორ ხდება მხატვრულ ნარატივში დეიქსისის ქრონოტოპად ტრანსფორმირება და, შესაბამისად, როგორ ტრანსფორმირდება ამ ტიპის ნარატივში როლური დეიქსისი პერსონალურ დეიქსისად. ასევე უწყვეტად ესმოდა ხაზი ამ კვლევითი მიზნის პარადიგმულ ასპექტს: როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად

ტრანსფორმირების ფაქტი უნდა იქნას ინტერპრეტირებული თანამედროვე ლინგვისტიკის ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმაზე დაყრდნობით.

ხოლო იქედან გამომდინარე, რომ ჩვენ, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, დავასრულეთ ჩვენი კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური სეგმენტი და გვსურს ჩვენს კვლევით ჰიპოთეზათა ანალიტიკურ მასალაზე დაყრდნობით ვერიფიცირება, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგნაირად მოვახდინოთ მთელი ჩვენი აქამდე ჩატარებული მსჯელობის რეზიუმირება: როგორც გვახსოვს, ჩვენს კვლევით პოზიციას განსაზღვრავდა შემდეგი სამი მეთოდოლოგიური თვალსაზრისის სინთეზი:

- ა) ეს პოზიცია უნდა ყოფილიყო ინტერდისციპლინური;
- ბ) იგი უნდა დაყრდნობოდა პარადიგმულ სინთეზს და
- გ) მას უნდა სრულად გაეთვალისწინებინა ის პრინციპული განსხვავება, რომელიც არსებობს ლინგვოკულტუროლოგიურსა და წინა ლინგვისტურ პარადიგმებს შორის: ამ უკანასკნელის ფარგლებში ადგილი აქვს ლინგვისტური იმანენტიზმის გადალახვას.

მაგრამ ჩვენი მსჯელობის ამგვარი მეთოდოლოგიური რეზიუმირება მოითხოვს ლოგიკურ დასრულებას თეორიული რეზიუმირების სახით. კონკრეტულად კი ვგულისხმობთ შემდეგს: ზემოთ კიდევ ერთხელ ხაზგასმული მეთოდოლოგიის გამოყენებამ დაგვანახა, თუ როგორ ხდებოდა დეიქსისის ხედვათა ურთიერთმონაცვლეობა პარადიგმიდან პარადიგმაზე გადასვლისას: თუ სისტემური პარადიგმის ფარგლებში ხდებოდა დეიქსისის, ნომინაციისა და კომუნიკაციის ნეიტრალიზაცია, მაშინ უნდა გაეცეს პასუხი კითხვას იმის თაობაზე, თუ რა უნდა შეესაბამებოდეს ნეიტრალიზაციას ამ პარადიგმულად განპირობებულ ვექტორს ლინგვოკულტუროლოგიური, ანუ უკვე არაიმანენტური პარადიგმის დონეზე? სანამ პირდაპირ გავცემდით პასუხს დასმულ კითხვაზე, გავიხსენოთ კიდევ ერთხელ ის, რაც მნიშვნელოვანია პარადიგმული თვალსაზრისით: ახალმა პარადიგმამ არა მხოლოდ უნდა შეინარჩუნოს წინა პარადიგმის ძირითადი „მონაპოვარი“, არამედ მოახდინოს კიდევ მისი კონცეპტუალური განახლება. ჩვენს კვლევით კონტექსტში ეს ბოლო თეზისი კონკრეტდება შემდეგნაირად: თუ კომუნიკაციური პარადიგმის დონეზე ცენტრალურ კონცეპტად გვევლინებოდა ენობრივი სუბიექტი, როგორც

დისკურსის კომუნიკანტი (როგორც ადრესანტი, ისე ადრესატი), ლინგვოკულტუროლოგიურმა პარადიგმამ უნდა შეინარჩუნოს სუბიექტის როგორც კომუნიკანტის კონცეპტი, მაგრამ ასევე უნდა მოახდინოს მისი განახლებული ხედვა. რას უნდა ნიშნავდეს ხედვის ეს განახლება? ხსენებული პარადიგმის არსის გათვალისწინებით იგი უნდა ნიშნავდეს სუბიექტის ორი ხედვის, სახელდობრ, **ენობრივ და კულტურულ ხედვათა** ოპოზიციის ნეიტრალიზაციის და სუბიექტის ამ ორი ხედვის სინთეზს. რაკი ეს სინთეზი უნდა ხდებოდეს იმანენტიზმის გადალახვით, ბუნებრივია ვიკითხოთ: რომელია ჩვენ მიერ განხილული ინტერდისციპლინარული კომპლექსის ფარგლებში ის დისციპლინა, რომელსაც შეუძლია მოახდინოს თავის თავში ჩვენს მიერ ახლახან ფორმულირებული პრობლემატიკის ფოკუსირება? ვფიქრობთ, ასეთ დისციპლინად უნდა მივიჩნიოთ ფილოსოფიური ანთროპოლოგია, რადგან სწორედ მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენს, რა თქმა უნდა, ფართო გაგებით - ადამიანი როგორც **სუბიექტი** და როგორც ვნახეთ, ამ ფილოსოფიური დისციპლინისათვის მთავარია ერთი მხრივ ინდივიდსა და პიროვნებას შორის განსხვავების დანახვა, მეორე მხრივ კი იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს პიროვნების (ინდივიდისაგან განსხვავებით) ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რომელსაც ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ჩვენ მიერ ციტირებული ავტორი უწოდებს „პიროვნების პარადოქსულ ატრიბუტიკას“. არ გავიმეორებთ ამ ატრიბუტიკას მის მთლიანობაში, მაგრამ გამოვყოფთ იმას, რომელიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ჩვენი კვლევითი მიზნებისათვის. ეს ატრიბუტი კი გამოიყურება შემდეგნაირად: „ერთი მხრივ, პიროვნება ექვემდებარება მატერიის, სივრცისა და დროის კანონებს, მეორეს მხრივ კი აღემატება მატერიას, დროსა და სივრცეს, იმიტომ რომ, ტრანსცედენტულია მათ მიმართ“.

სანამ უშუალოდ შევხებოდეთ პრობლემას, რომელიც ნაგულისხმევია მოცემული პარაგრაფის სათაურით, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, სანამ დავსვამდით კითხვას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული მიმართება ერთი მხრივ ფილოსოფიურ ანთროპოლოგიასა, მეორე მხრივ კი ინტერდისციპლინური კომპლექსის სხვა კომპონენტებს შორის, დავსვათ კითხვა იმის თაობაზე თუ როგორ უნდა იქნას გაგებული **ინდივიდისა და პიროვნების**

ურთიერთმიმართება იმ ლინგვისტურ პარადიგმათა ფარგლებში, რომელთა მიხედვით ვმსჯელობთ დეიქსისის ფენომენზე და სწორედ გვსურს გამოვთქვათ შედმეგი მოსაზრება იმ ლინგვისტური პარადიგმების ფარგლებში, რომლებსაც ჩვენ ვუწოდებთ იმანენტისტურ პარადიგმებს, არ არის მნიშვნელოვანი იმ განსხვავების დანახვა და ხაზგასმა, რომელიც იგულისხმება ინდივიდსა და პიროვნებას შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დეიქსისის წმინდა ლინგვისტური თეორიის ფარგლებში ხდება, როგორც უკვე იქნა ჩვენ მიერ აღნიშნული, ისეთ ენობრივ ფენომენტთა, როგორც ოპოზიციის, ისე ნეიტრალიზაციის ხედვა და ხაზგასმა, როგორცაა ნომინაცია და დეიქსისი, დეიქსისი და კომუნიკაცია. მაგრამ იმანენტისტური პარადიგმების ფარგლებში ვერ ხდება და (ვერც მოხდებოდა) იმ ოპოზიციის ვერც ხაზგასმა და ვერც ნეიტრალიზაცია, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, პრინციპულად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმისთვის, რადგან მისთვის მთავარია სწორედ იმანენტიზმის გადალახვა და, შესაბამისად, ენის კულტურასთან (და სხვა ადამიანურ მოვლენებთან) არსებითად დაკავშირება.

ზემოთ აღნიშნული ჩვენი მოსაზრება გულისხმობს შემდეგს: თანამედროვე ლინგვისტიკის იმ პარადიგმათა ფარგლებში, რომლებიც ატარებენ იმანენტისტურ ხასიათს, არ არის რელევანტური, როგორც უკვე ითქვა ის განსხვავება, რომელიც არსებობს ინდივიდსა და პიროვნებას შორის და, რომელსაც ხაზს უსვამს ფილოსოფიური ანთროპოლოგია. მაგრამ ამავე დროს, ჩვენი აზრით, კიდევ უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკას მივყავართ ენობრივი სუბიექტის როგორც ლინგვისტური კონცეპტის სულ უფრო და უფრო მზარდი მნიშვნელობისაკენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, ლინგვისტიკა, თეორიული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით სულ უფრო და უფრო ხდება ანთროპოცენტრისტული (ამიტომაც, რომ კომუნიკაციური პარადიგმა, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებს ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას, ასევე იწოდება ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმად).

შესაბამისად, უნდა დავასკვნათ: გამოიკვეთა სუბიექტის ცნება, მაგრამ იგი იქნა დანახული მხოლოდ ენობრივად, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლინგვოსემიოტიკურად. სწორედ ამიტომაც, რომ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში დომინანტური ხდება ენობრივი ნიშნის ის განზომილება, რომელიც

საფუძვლად უდევს ლინგვისტურ პრაგმატიკას. როგორც გ. ლებანიძე აღნიშნავს, „ლინგვისტური პრაგმატიკა წარმოადგენს კომუნიკაციური ლინგვისტიკის იმ ბირთვს, რომელიც განსაზღვრავს კომუნიკაციურ-ლინგვისტურ თვალსაზრისს დანარჩენ დარგებში. ტერმინები „კომუნიკაციური ლინგვისტიკა“ და „ლინგვისტური პრაგმატიკა“ რამდენადმე ფარავენ კიდევ ერთმანეთს“ (ლებანიძე 2004:213).

იმის შემდეგ, როცა უკვე ხაზი გაესვა იმანენტისტურ ლინგვისტურ პარადიგმათა ამგვარ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნეიტრალურ თუ „ინდიფერენტულ“ დამოკიდებულებას იმ განსხვავების მიმართ, რომელიც ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ ინდივიდსა და პიროვნებას შორის, გვსურს დავუბრუნდეთ პრობლემას, რომელიც ხაზგასმულია მოცემული პარაგრაფის სათაურში და რომლის მიმართაც უკვე გამოვხატეთ ზოგადი სახით ჩვენი დამოკიდებულება: ვთქვით, რომ ჩვენი კვლევითი კონტექსტი ნაგულისხმევი ინტერდისციპლინური კომპლექსის ფარგლებში დომინანტური როლი უნდა მივანიჭოთ ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას.

ამავე დროს კვლავ უნდა გავუსვათ ხაზი შემდეგ ფაქტს: მთელი ჩვენი მსჯელობის ლოგიკა ერთნიშნად გვეუბნება იმას, რომ ვერ შევძლებთ როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად ინტერპრეტირებას იმ შემთხვევაში, თუ არ დავეყრდნობით სწორედ ოპოზიციას „პიროვნება vs ინდივიდი“ (Persona vs Individuum). ეს გარემოება კი, ვფიქრობთ, აუცილებლად ხდის ჩვენს მიერ შემდეგი კვლევითი ნაბიჯის გადადგმას: ვთქვათ უფრო კონკრეტულად, თუ როგორ მჟღავნდება ფილოსოფიური ანთროპოლოგიის დომინანტური სტატუსი ჩვენი ინტერდისციპლინარული კომპლექსის სხვა კომპონენტების მიმართ, თუ მივიჩნევთ, რა თქმა უნდა, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ზემოთ კიდევ ერთხელ ხაზგასმული ოპოზიცია - **პიროვნება vs ინდივიდი**. ამ მიზნით გავიხსენოთ თანმიმდევრული ციტირების საშუალებით ჩვენ მიერ რელევანტურად მიჩნეული ყველა დისციპლინა და ამავე დროს განვმარტოთ, როგორ უნდა იქნას გაგებული როლური დეიქსისი პერსონალურ დეიქსისად ინტერპრეტირების თვალსაზრისით - რა თქმა უნდა, პიროვნებასა და ინდივიდს შორის განსხვავების გათვალისწინებით.

1) ტრანსლინგვისტიკა და პერსონალური დეიქსისის პრობლემა

როგორც გვახსოვს, რ. ბარტზე დაყრდნობით გათვალისწინებულ იქნა რომ, როგორც ითქვა მოცემული თავის §1-ში, მთელი თანამედროვე ჰუმანიტარული სფერო უნდა წარმოვიდგინოთ ტრანსლინგვისტიკად, ეს კი, ჩვენი აზრით, ნიშნავს შემდეგს: ტრანსლინგვისტიკას როგორც არსებითად ერთიან სფეროს აქვს ვერტიკალური განზომილება, დაფუძნებული დისკურსის კონცეპტზე..." და შემდეგ: სწორედ დისკურსის ლინგვოსემიოტიკურმა მოდელმა უნდა იქონიოს გამჭოლი მნიშვნელობა ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების განხილვისას" ყოველივე ამის შემდეგ კი დავასკვნით: თვით დისკურსის თეორია და, პირველ რიგში, დისკურსის ამოსავალი მოდელი საჭიროებს იმას, რომ განხორციელდეს დეიქსისის თეორიასთან და მოდელთან მისი ექსპლიციტური ინტეგრაცია. ვფიქრობთ, ამგვარი თვითციტირება საშუალებას გვაძლევს კიდევ ერთხელ დავინახოთ ის შინაგანი კავშირი, რომელიც უნდა არსებობდეს ლინგვოკულტუროლოგიურ და კომუნიკაციურ პარადიგმებს შორის: ლინგვოკულტუროლოგია მთლიანად ინარჩუნებს სუბიექტის იმ ცნებასა და სტატუსს, რომელიც შემუშავებული აქვს კომუნიკაციურ ლინგვისტიკას და რომელიც ტრანსლინგვისტური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მთელი ჰუმანიტარული აზროვნებისათვის კერძოდ კი ნარატოლოგიისათვისაც. მაგრამ, ამავე დროს, როგორც ვხედავთ, სუბიექტის დისკურსულ ცნებას აქვს ვერტიკალური განზომილება (და ვერტიკალური ვექტორიც), რაც უნდა გულისხმობდეს სუბიექტის ცნების როგორც შენარჩუნებას, ისე ტრანსფორმირებასაც. მაგრამ დავრწმუნდით იმაშიც, რომ **სუბიექტის დისკურსული ცნების** ტრანსფორმირება შესაძლებელი და აუცილებელია სწორედ **პიროვნების** იმ კონცეპტზე დაყრდნობით, რომელსაც გვთავაზობს ფილოსოფიური ანთროპოლოგია;

2) როგორც გვახსოვს, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ჩვენი კვლევისათვის შეიძინა **კულტურის** ცნებამ, რადგან ეს ცნება, ბუნებრივია, ენის ცნებასთან ერთად, საფუძვლად უდევს თვით ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ცნებას, შესაბამისად კი მივმართეთ კულტურის იმ კონცეფციას, რომელსაც გვთავაზობენ ჩვენ მიერ უკვე ციტირებული კემბრიჯელი ავტორები: „კულტურა

შედგება არა მხოლოდ ისეთი ქმედებებისაგან და არტეფაქტებისაგან, რომლებიც უშუალოდ შეიძლება აღქმულ იქნენ, არამედ იმ სიმბოლოებისგანაც, ღირებულებებისგანაც და მნიშვნელობებისგანაც, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ქმედებებსა და არტეფაქტებს" და შემდეგ იმავე პარაგრაფში ავტორები გამოხატავენ კრიტიკულ დამოკიდებულებას კულტურის იმ თეორეტიკოსების მიმართ, რომელთა მიხედვით კულტურა არსებობს მხოლოდ ობიექტურად, ანუ ჩვენ გარეშე და ჩვენგან დამოუკიდებლად. ამგვარი პოზიციის საპასუხოდ ისინი ამბობენ: „კულტურა არსებობს როგორც ინდივიდთა შიგნით, ისე მათ შორის“. კულტურა განიხილებოდა როგორც რაღაც ისეთი, რაც არსებობს ჩვენ გარეშე და ამავე დროს როგორც რაღაც ისეთი, რაც ხასიათდება ობიექტური რეალობით და სტაბილურობის მაღალი დონით“. ვფიქრობთ, თვით ციტირების მოცემული ფრაგმენტიც ნათლად გვიჩვენებს, რომ მხოლოდ პიროვნების (Persona-ს) ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ ცნებას ძალუმს „აითვისოს“ ყოველივე ის, რასაც გულისხმობს კულტურის მოცემული კონცეფცია. და თუ ამავე დროს განვახორციელებთ სუბიექტის დისკურსული და ამავე დროს ტრანსლინგვისტური ცნების კულტუროლოგიურ ინტერპრეტაციას, მაშინ კიდევ უფრო ცხადი გახდება პიროვნების ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური კონცეპტის მნიშვნელობა როლური დექსისის პერსონალისტური ინტერპრეტაციისათვის;

3) მაგრამ გვახსოვს ისიც, რომ როლური დექსისის პერსონალურ დექსისად ინტერპრეტირებისათვის აუცილებლად მივიჩნიეთ **ნარატიული** კონტექსტის გათვალისწინებაც, ხოლო თვით ეს კონტექსტი დანახულ იქნა ლინგვისტიკის, ტრანსლმინგვისტიკისა და კულტუროლოგიის სინთეზური ხედვის საფუძველზე. სწორედ ამგვარ ხედვას გამოხატავდა ნარატივის ცნებასთან დაკავშირებული ჩვენი ნათქვამი: „ჩვენი მიზანია განვიხილოთ ტრანსლინგვისტიკის როგორც შინაგანად დინამიკური სფეროს ის სეგმენტი, რომელიც, ერთი მხრივ, სცილდება ენის როგორც ლინგვისტიკის ობიექტის საზღვრებს, მაგრამ მეორე მხრივ სრულიად ინარჩუნებს ვერბალურობის ანუ ენობრიობის, იმ განზომილებას, რომლის ფარგლებში შესაძლებელი უნდა იყოს ზემოთ ფორმულირებული კითხვის ექსპლიციტური სახით დასმა: ვგულისხმობთ ნარატივს, როგორც კულტურის ექსპლიციტურად ვერბალურ განზომილებას და,

შესაბამისად, ნარატოლოგიას როგორც ამ სემინტის კონცეპტუალიზაციის სფეროს".

მაგრამ, როგორც გვახსოვს, კულტურაზე როგორც ფენომენზე მსჯელობისას ჩვენ ვეყრდნობოდით არა მხოლოდ ხსენებულ კემბრიჯელ ავტორებს, რომლებიც გვთავაზობენ კულტურის ზოგად კონცეფციას არამედ ისეთი ავტორის ლინგვოკულტუროლოგიურ კონცეფციას, როგორცაა ა. ვეჟბიკა. მეცნიერი გვთავაზობს „კულტურულ სცენართა“ კონცეფციას, რომელზე დაყრდნობითაც ცდილობს გააშუქოს კულტურასა და ენის ლექსიკურ სისტემას შორის არსებული კავშირები. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიკვლევთ დეიქსისის ფენომენს და ვუკავშირებთ როლური დეიქსისის პერსონალურად ტრანსფორმირების მოვლენას თანამედროვე ლინგვისტიკის პარადიგმულ დინამიკას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სავსებით შესაძლებელია კულტურულ სცენართა ვეჟბიკასეული კონცეპტის გამოყენება ჩვენს კვლევით კონტექსტშიც: „ჩვენ მიგვაჩნია რომ, თუკი მისაღები იქნება „კულტურული სცენარების“ ვეჟბიკასეული ტერმინი, მას უნდა მიენიჭოს პირველ რიგში ნარატიული მნიშვნელობა, რადგან, ჩვენი აზრით, სწორედ ნარატივი წარმოადგენს ენისა და კულტურის შერწყმული არსებობისა და ფუნქციონირების ძირითად სფეროს. შესაბამისად შემდგომი მსჯელობის ფარგლებში დავსვამთ კითხვას: როგორ უნდა იქნას გააზრებული დეიქსისის როგორც ენობრივი ფაქტის ის „კულტურული სცენარი“, რომელიც ასახულია მხატვრულ ნარატივში? როგორც ვხედავთ, ჩვენ ამ სიტყვებით ვცდილობთ განვაზოგადოთ „კულტურულ სცენართა“ ცნების მნიშვნელობა და ამ გზით გამოვიყენოთ იგი ჩვენი კვლევითი მიზნებისათვის. თუ ასე მოვიქცევით, მაშინ უნდა მივიჩნიოთ: ზოგადად გაგებული „კულტურული სცენარი“ უნდა გულისხმობდეს როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად ტრანსფორმირებას იმ შემთხვევაში, თუ დეიქსისს გავიაზრებთ ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ფარგლებში;

4) როგორც გვახსოვს, ჩვენ მოგვიხდა იმაზე მსჯელობაც, რომ აუცილებელია განხორციელდეს ორი ისეთი კონცეფციის სინთეზი, როგორებიცაა, ერთი მხრივ, დეიქსისის, მეორე მხრივ კი დისკურსის კონცეფცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზოგადად დეიქსისის, კერძოდ კი როლური დეიქსისის პარადიგმულ ჭრილში განხილვისას უნდა დავყრდნობოდით პრინციპს, რომელიც ფუძემდებლურია

დისკურსის ფენომენისათვის, ანუ ინტერსუბიექტურობის პრინციპს. სწორედ ამ მიზნით ჩვენ მივმართეთ იმ თეორიას, რომლის ფარგლებში ხდება ესთეტიკის და სემიოტიკის სინთეზი, ანუ მივმართეთ სემიოესთეტიკას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო არა ზოგადად ესთეტიკურ ფენომენტა სემიოტიკური ხედვა, არამედ იმ ესთეტიკურ ფენომენტზე ჩვენი ყურადღების კონცენტრირება, რომელიც წარმოადგენს ესთეტიკურ **ვერბალურ** ფორმას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ დაგვანტერესა მხატვრული ვერბალური ტექსტის იმ სპეციფიკამ, რომელიც შინაგანად უკავშირდება სწორედ ინტერსუბიექტურობის პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით კი მხატვრულ ვერბალურ ტექსტს საფუძვლად უნდა ედოს ერთი მხრივ **კრეაციის**, მეორე მხრივ **რეცეფციის** ფენომენტები: „კითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული კავშირი მხატვრული ტექსტის კრეაციულ სტრუქტურასა და მხატვრობის აღქმის რეცეფციულ სტრუქტურას შორის იქცა მეოცე საუკუნის ლიტერატურისა და ესთეტიკის ძირითად თეორიულ პრობლემად. ხსენებული ფაქტის შედეგი კი მდგომარეობს იმაში, რომ შეიქმნა კავშირი ამ თეორიის ისეთ ორ ვარიანტს შორის, რომელთა ერთ მთლიანობაში მოქცევა ძნელდება - ვგულისხმობთ წერის (იგულისხმება წერის როგორც მხატვრული ვერბალური შექმნის პროცესი - ლ.ლ.) „კრეაციული ესთეტიკა“ და კითხვის (იგულისხმება მხატვრული ვერბალური ტექსტის კითხვა - ლ.ლ.) „რეცეფციული ესთეტიკა“ (ტიუპა 2001:25).

მაგრამ ამავე დროს ჩვენს ინტერდისციპლინარულ კომპლექსში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს, როგორც უკვე ვიცით, თანამედროვე ნარატოლოგია, რომელიც ნარატივის ფარგლებში გამოყოფს ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ „პლან-ფაქტორებს“ - პერცეფციულს, იდეოლოგიურს, სივრცითს, დროითს და ენობრივს. ნარატოლოგიის განსაკუთრებული „ადგილი“ ამ კომპლექსში აიხსნება იმით, რომ მასზე დაყრდნობით ვამყარებთ კონცეპტუალურ კავშირს ჩვენი მეთოდოლოგიის რეტროსპექტულ და პროსპექტულ ასპექტებს შორის“.

5) ამავე დროს მნიშვნელოვანი ხდება იმის აღნიშვნაც, თუ რამდენად შეიძლება დავუკავშიროთ ხსენებული „პლან-ფაქტორები“ დეიქსისის ბიულერის მიერ გამოყოფილ ასპექტებს. იმ პრობლემასთან კავშირში კი ნათქვამი გვაქვს: „შმიდისეული (ანუ ნარატოლოგიური კომპლექსის ფარგლებში ვხედავთ ორ ისეთ ასპექტს (ორ ისეთ „პლან-ფაქტორს“, რომლებსაც ვერ ვუპოვეთ პირდაპირ

ანალოგიას ბიულერთან; ესაა „იდეოლოგიური თვალსაზრისი“ და „ენობრივი თვალსაზრისი“. იქედან გამომდინარე, რომ მიუხედავად ჩვენი მეთოდოლოგიის ინტერდისციპლინარული ხასიათისა, ეს მეთოდოლოგია, როგორც უკვე იქნა ხაზგასმული, უნდა იყოს ლინგვისტურად ცენტრირებული, საჭიროდ მიგვაჩნია სპეციალურად შევჩერდეთ ამ ორ შმიდისეულ პლან-ფაქტორზე - „იდეოლოგიურზე“ და „ენობრივზე“. მიგვაჩნია, რომ ამ პლან-ფაქტორთა გამოყოფით და მათი მნიშვნელობის ხაზგასმით ვახდენთ ჩვენი რეტროსპექტულ-პროსპექტული მეთოდოლოგიის უკვე მეორე განზომილების, ანუ პროსპექტულობის რეალიზაციას“. ხსენებული თვალსაზრისით კი მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ გაგვეხორციელებინა შმიდის მიერ ვერ გამოყოფილი ისეთი ორი პლან-ფაქტორის ისეთი კონცეპტუალური გარდაქმნა, როგორსაც, ჩვენი აზრით, მოითხოვს ერთი მხრივ კულტუროცენტრისტული აზროვნება, მეორეს მხრივ კი იმის აუცილებლობა, რომ განხორციელდეს დეიქსისისა და დისკურსის თეორიათა სინთეზი (როგორც უკვე იყო ხაზგასმული, ამგვარი სინთეზის გარეშე დეიქსისის, როგორც ენობრივი ფენომენის თანამედროვე ინტერპრეტაცია ვერ იქნებოდა სრული). სწორედ აქედან გამომდინარე მივიჩნიეთ, რომ შმიდისეული „იდეოლოგიური პლან-ფაქტორი“ უნდა იქნას გაგებული როგორც *კულტურული* პლან-ფაქტორი, ხოლო „ენობრივი“ პლან-ფაქტორი კი, თუ მასაც გავიაზრებთ კულტუროლოგიურ პლანში, უნდა ნიშნავდეს *დეიქსისისა და დისკურსის სინთეზურად აღქმას*. ამ აღქმის ფარგლებში კი როლური დეიქსისი უნდა იქნას ინტერპრეტირებული კულტუროცენტრიზმზე დაყრდნობით, საბოლოო ანგარიშში კი - *პერსონალისტურად*;

6) ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ინტერდისციპლინარული კომპლექსის ის კომპონენტი, რომელიც ფიგურირებდა ჩვენს ბოლო პარაგრაფებში, სახელდობრ, მხატვრული ნარატივის ლიტერატურათმცოდნეობითი ხედვა. ხსენებულ მომენტს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კვლევითი მიზნებისათვის თუნდაც იმიტომ, რომ წმინდა დენოტაციური თვალსაზრისით ლიტერატურათმცოდნეობითი „ეპიკური გვარი“ ემთხვევა ნარატოლოგიურ „ნარატივს“. აქედან გამომდინარე კი როლური დეიქსისი, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მხატვრული დისკურსის სუბიექტი

შეიძლება დანახულ იქნას განსხვავებულად იმისდა მიხედვით, ეკუთვნის იგი უშუალოდ ტექსტს თუ უნდა იქნას გააზრებული მის გარეთ: პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს მთხრობელთან, მეორე შემთხვევაში კი - ავტორთან. ცხადია ისიც, რომ საბოლოოდ მთხრობელის არსებობა მთლიანად დამოკიდებულია ავტორის არსებობასა და შეიძლება აღქმულ იქნას როგორც მისი წარმომადგენელი. თუმცა ამავე დროს იგივე შეიძლება ითქვას იმ მიმართებაზე, რომელიც არსებობს მთხრობელსა და ნარატივის პერსონაჟებს შორის. რაზე მეტყველებს ყოველივე ეს? იმაზე, რომ მხატვრული ვერბალური შემოქმედება შეიძლება წარმოვიდგინოთ დონეებრივად (საფეხურებრივად), როგორც სტრუქტურული მთლიანი, რომლის უმაღლეს საფეხურზე იმყოფება ავტორი, უფრო „დაბალ“ საფეხურებზე კი, როგორც მთხრობელი, ისე ნებისმიერი პერსონაჟთაგანი. მაგრამ ასევე ცხადია ისიც, რომ ყველა მსგავს შემთხვევაში საქმე გვაქვს დეიქტიკურად სტრუქტურირებულ მხატვრულ დისკურსთან. ამ დისკურსის სუბიექტი ხასიათდება ზემოთ ხსენებული მრავალსახეობით. მრავალსახეობის შესაძლებლობა კი ნიშნავს სწორედ იმას, რასაც გულისხმობს პიროვნების (Persona-ს) პრინციპული განსხვავება ინდივიდისაგან; როგორც უკვე ვიცით, ინდივიდი „მიბმულია“ რომელიღაც ერთ რეალობაზე, პიროვნება კი განასახიერებს ამ ერთი რეალობისგან თავისუფლებას. ჩვენი აზრით, აუცილებელია გავიხსენოთ კულტურის ის კონცეპტი, რომელსაც გვთავაზობენ კემბრიჯელი ავტორები და ცხადი გახდება: შეუძლებელია ინდივიდის ცნებამ „დაიტოს“ თავის თავში ყოველივე ის, რაც იგულისხმება კულტურის ამ კონცეპტით. ამავე დროს გასათვალისწინებელია, ალბათ, ის გარემოებაც, რომ ტერმინი „პერსონალური დეიქსისი“ წარმოადგენს არა მხოლოდ კონცეპტუალურ, არამედ წმინდა ტერმინოლოგიურ სიახლესაც. აქედან გამომდინარე კი გვსურს მკაფიოდ გამვიჯნოთ ხსენებული ტერმინი იმ ტერმინისაგან, რომელიც დიდი ხანია გამოიყენება ლიტერატურათმცოდნეობაში - ვგულისხმობთ ტერმინს „პერსონიფიკაცია“. ამ ტერმინის დეფინიცია „ჟღერს“ შემდეგნაირად: „უსულო საგანთა ან აბსტრაქტულ იდეათა პიროვნებად წარმოდგენა“ (სკოტი 1979:217). როგორც ვხედავთ, ამ ორ ტერმინს აქვს საერთო ძირი, მაგრამ პრინციპულად განსხვავებული მნიშვნელობა: პირველი („პერსონიფიკაცია“) მიუთითებს გარკვეულ მხატვრულ სტილისტურ საშუალებაზე. „პერსონალური დეიქსისი“ კი

მიუთითებს იმ კონცეპტუალურ ტრანსფორმაციაზე, რომელიც უნდა განიცადოს როლურმა დეიქსისმა ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ფარგლებში. ასე რომ, ზოგადად შეიძლება ითქვას: „პერსონიფიკაცია“ არის წმინდა *სტილისტური* „პერსონალური დეიქსისი“ *პარადიგმული* შინაარსის ტერმინი.

მთლიანობაში კი შეიძლება ითქვას იმისათვის, რომ დაგვეჩვენა როლური დეიქსისის პერსონალურ დეიქსისად ტრანსფორმირება, საჭირო გახდა არა მხოლოდ მთელ იმ ინტერდისციპლინარულ კომპლექსზე დაყრდნობა, რომლის კომპონენტები მოცემულ პარაგრაფში კიდევ მიმოვიხილეთ, არამედ მთელი ამ კომპლექსის ისე გააზრება, როგორც ამას სმოითხოვს *ველის* კონცეპტი: რა თქმა უნდა, ყოველ ზემოხსენებულ კომპონენტს (ანუ ამა თუ იმ ჰუმანიტარულ დისციპლინას, ჰქონდა თავისი როლი და ადგილი ამ კომპლექსში, მაგრამ კომპლექსის კონცეპტუალურ ცენტრს წარმოადგენდა ფილოსოფიური ანთროპოლოგია.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთ ნათქვამი იძლევა იმის გაგებისა და დასაბუთების საფუძველს, თუ რატომ უნდა მივანიჭოთ ხსენებულ დისციპლინას ასეთი როლი. მაგრამ ამავე დროს, კვლავ უნდა გაესვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ინტერდისციპლინური კომპლექსის ამგვარ გამოყენებას მოითხოვდა კვლევის პარადიგმული *მეთოდოლოგია*. ლინგვოკულტუროლოგიურმა პარადიგმამ მოითხოვა როლური დეიქსისის ახლებური ხედვა მაგრამ იგივე პარადიგმული მეთოდოლოგია მოითხოვს იმასაც, რომ ხსენებული ახლებური (ანუ პერსონალური) ხედვა უნდა ნიშნავდეს აქამდე არსებული, ე.ი. წინა პარადიგმული ხედვის შენარჩუნებასაც: ტერმინი „პერსონალური“ თავისი კონცეპტუალური მნიშვნელობით კი არ აუქმებს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ტერმინ „როლურს“, არამედ მთლიანად ინარჩუნებს მას, თუმცა ამავე დროს ანიჭებს მას მნიშვნელობათა მთელ იმ სპექტრს, რომელიც თან ახლავს ტერმინ „ქრონოტოპს“. აქედან გამომდინარე შეიძლება მივიჩნიოთ: როლური ქრონოტოპი ასევე ინარჩუნებს იმ მეტაკატეგორიულ სტატუსს, რომელიც მას ჰქონდა დეიქსისის წმინდა ლინგვისტურ კონცეფციაში, მაგრამ ამავე დროს ვხედავთ, რომ ხსენებული სტატუსი ქრონოტოპის სახით იძენს - ენობრივთან ერთად კულტურულ სტატუსსაც.

ვფიქრობთ, თეორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მიღწეულია მიზანი, რომელიც დეკლარირებული იყო როგორც სადისერტაციო ნაშრომის სათაურში, ისე მის „შესავალშიც“ მაგრამ ამავე დროს გვსურს მეტი სისრულე შევძინოთ ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევას და ამ მიზნით მისი თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტი შევავსოთ ანალიტიკური ასპექტით, შესაბამისად, მოვახდინოთ თეორიული მსჯელობით მიღებულ შედეგთა ანალიტიკურ-ტექსტობრივი ილუსტრაცია. თუმცა ამავე დროს უნდა ითქვას შემდეგაც: თუ ჩვენი კვლევის შედეგი ადეკვატურია მის მართებულობაზე უნდა მეტყველებდეს კულტურის მთელი სეგმენტი, რომელსაც ეწოდება „მხატვრული ვერბალური შემოქმედება“ თუნდაც იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევითი კონტექსტის ორივე „მოქმედ პირს“ - როგორც დეიქსისს, ისე ქრონოტოპს - აქვთ უნივერსალური სტატუსი (დეიქსისს წმინდა ენობრივი, ქრონოტოპს კი - კულტურულ-ესთეტიკური გაგებით). შესაბამისად შეიძლება ითქვას: ნარატიულ ტექსტთა ანალიზს, რომელსაც ქვემოთ ექნება ადგილი, შეიძლება ჰქონდეს წმინდა საილუსტრაციო ხასიათი.

საილუსტრაციო მასალად ვირჩევთ თანამედროვე ინგლისურენოვან ორ მხატვრულ ნარატიულ ტექსტს - ისეთ ტექსტებს, რომლებიც ლიტერატურათმცოდნეობაში ხასიათდებიან როგორც „short stories“.

სწორედ ლიტერატურათმცოდნეობაზე დაყრდნობით, როგორც ვიცით, უნდა გავმიჯნოთ ერთიმანეთისაგან ორი ცნება, სახელდობრ, **ავტორისა** და **მთხრობელის** ცნებები. რაც შეეხება მთხრობელს, იმ შემთხვევაში, როცა თხრობა მიმდინარეობს პირველ პირში თვით მთხრობელი: (ნარატორი) შეიძლება იყოს მოთხრობილი ისტორიის უშუალო მონაწილეც, ანუ ერთადერთი იმ პერსონაჟთაგანი, რომელთა ურთიერთობაზე მოგვითხრობს სიუჟეტი. იმ შემთხვევაში, როცა თხრობა მიმდინარეობს მე-3 პირში, მთხრობელი არ არის დასახელებული, თუმცა, რა თქმა უნდა, აუცილებლად იგულისხმება იმიტომ, რომ შეუძლებელია გვქონდეს თხრობა მთხრობელის გარეშე. ტრადიციის მიხედვით ამ შემთხვევაში, როგორც წესი, არ დასახელებულ მთხრობელს აიგივებენ ხოლმე უშუალოდ ავტორთან, თუმცა როგორც უკვე ითქვა ჩვენ მიერ ციტირებულ გერმანელ ავტორზე დაყრდნობით, მსგავსი გაიგივება არ უნდა

მივიჩნით ადეკვატურად, რადგან არდასახელებული მე-3 პირში მოლაპარაკე მთხრობელიც ეკუთვნის ტექსტს.

პირველი "short story", რომლის გაანალიზებასაც ვაპირებთ, ეს არის ინგლისურენოვანი ავტორის (A. Philips) ა. ფილიპსის ნარატივი "Loist in the Post". ჩვენი კვლევითი კონტექსტის შესაბამისად ჩვენი მიზანი უნდა იყოს ჩვენება, თუ როგორ ხდება ასეთი ტიპის მხატვრულ ნარატივში ისეთი ენობრივი ფენომენის მიერ ქრონოტოპული ფუნქციის შექმნა, როგორცაა დეიქსისი (როცა ვლაპარაკობთ ამგვარი ტიპის ნარატივზე ვგულისხმობთ იმას, რომ თხრობა მიმდინარეობს პირველ პირში და მთხრობელი ამავე დროს არის არა მხოლოდ სიუჟეტის განვითარების მონაწილე ერთ-ერთი პერსონაჟი, არამედ ცენტრალური პერსონაჟი ანუ პროტაგონისტი).

ჩვენი თეორიული და მეთოდოლოგიური პოზიციის თანახმად, დასახელებული ნარატივის ანალიზისას გამოვიყენებთ ორ მეთოდს - საკუთრივ ანალიტიკურსა და სინთეზურს. „საკუთრივ ანალიტიკური“ მიდგომით ვგულისხმობთ შემდეგს: რაკი ჩვენი კვლევის ობიექტის, ანუ როლური დეიქსისის განხილვისას თანმიმდევრულად ვეყრდნობოდით განსხვავებულ დისციპლინებს, საჭიროდ მიგვაჩნია ხსენებული ნარატივი დავინახოთ ჯერ ლინგვისტური, შემდეგ ლიტერატურათმცოდნეობითი და ბოლოს - კულტუროლოგიური თვალსაზრისით. რაც შეეხება ჩვენი ინტერდისციპლინური კომპლექსის ისეთ კომპონენტებს როგორებიცაა ტრანსლინგვისტიკა, სემიოესთეტიკა და ნარატოლოგია: ვფიქრობთ, რომ არამც თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა უშუალოდ დავუკავშიროთ ეს კომპონენტები უკვე დასახელებულ სამ დისციპლინას. მივიჩნით, რომ ტრანსლინგვისტიკა წარმოადგენს ლინგვისტიკის როგორც მეცნიერული დისციპლინის როლისა და ფუნქციის გაღრმავებას და იგივე ითქმის ნარატოლოგიაზე: იგიც შეიძლება მივიჩნით ლიტერატურათმცოდნეობის როგორც დისციპლინის გაღრმავებულად გააზრების მცდელობად; რაც შეეხება სემიოესთეტიკას, იგი შეიძლება მივაკუთნოთ კულტუროლოგიას, თუ რა თქმა უნდა, თვით კულტუროლოგიას აღვიქვამთ იმ სიღრმითა და სიფართოვით, რომლითაც მას გვთავაზობენ ჩვენ მიერ ციტირებული კემბრიჯელი ავტორები. ამავე დროს ჩვენი ანალიზის დასკვნით ნაწილში გვსურს განვახორციელოთ იმ შედეგთა სინთეზი, რომელთა

შესახებ გვექნება საუბარი ლინგვისტურ, ლიტერატურათმცოდნეობით და კულტუროლოგიურ ასპექტებში. ბუნებრივია, რომ ხსენებული სინთეზი უნდა ეფუძნებოდეს ლინგვისტური გაგებით *ლინგვოკულტუროლოგიურ*, ზოგად ჰუმანიტარული გაგებით კი- *კულტუროცენტრისტულ* პარადიგმას.

Lost in the Post

by A. Philips

Ainsley, a post-office sorter, turned the envelope over and over in his hands. The letter was addressed to his wife and had an Australian stamp.

Ainsley knew that the sender was Dicky Soames, his wife's cousin. It was the second letter Ainsley received after Dicky's departure. The first letter had come six months before, he did not read it and threw it into the fire. No man ever had less reason for jealousy than Ainsley. His wife was frank as the day, a splendid housekeeper, a very good mother to their two children. He knew that Dicky Soames had been fond of Adela and the fact that Dicky Soames had years back gone away to join his and Adela's uncle made no difference to him. He was afraid that some day Dicky would return and take Adela from him.

Ainsley did not take the letter when he was at work as his fellow-workers could see him do it. So when the working hours were over he went out of the post-office together with his fellow workers, then he returned to take the letter addressed to his wife. As the door of the post-office was locked, he had to get in through a window. When he was getting out of the window the postmaster saw him. He got angry and dismissed Ainsley. So another man was hired and Ainsley became unemployed. Their life became hard; they had to borrow money from their friends.

Several months had passed. One afternoon when Ainsley came home he saw the familiar face of Dicky Soames. "So he had turned up," Ainsley thought to himself.

Dicky Soames said he was delighted to see Ainsley. "I have missed all of you so much," he added with a friendly smile.

Ainsley looked at his wife. "Uncle Tom has died," she explained "and Dicky has come into his money".

"Congratulation," said Ainsley, "you are lucky."

Adela turned to Dicky. "Tell Arthur the rest," she said quietly. "Well, you see," said Dicky, "Uncle Tom had something over sixty thousand and he wished Adela to have half. But he got angry with you because Adela never answered the two letters I wrote to her for him. Then he changed his will and left her money to hospitals. I asked him not to do it, but he wouldn't listen to me!" Ainsley turned pale. "So those two letters were worth reading after all," he thought to himself. For some time everybody kept silence. Then Dicky Soames broke the silence, "It's strange about those two letters. I've often wondered why you didn't answer them?" Adela got up, came up to her husband and said, taking him by the hand. "The letters were evidently lost." At that moment Ansley realized that she knew everything.

1. ანალიზის ლინგვისტური ასპექტი

როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენი მიზანია გავანალიზოთ აქ მოყვანილი ნარატივი იმ ენობრივ ფენომენზე დაყრდნობით, რომელსაც დეიქსისი ეწოდება. ამავე დროს კი დეიქსისი უნდა დავინახოთ არა მხოლოდ ლინგვისტურად, არამედ ზემოთხსენებულ იმ დისციპლინებზე დაყრდნობით, რომლებმაც უნდა შეინარჩუნონ დეიქსისის ენობრიობა, მაგრამ ამავე დროს დავგანახოს იგი განსხვავებულად - სახელდობრ კი იმის გათვალისწინებით, თუ რა ახალ სახეს იღებს დეიქსისი იმ შემთხვევაში, როცა იგი ფუნქციონირებს მხატვრული დისკურსის (შესაბამისად მხატვრული ტექსტის) ფარგლებში. დეიქსისის ჩვენეული ხედვა, როგორც უკვე ვიცით, ეფუძნება არამხოლოდ ინტერდისციპლინურ, არამედ ასევე პარადიგმულ მეთოდოლოგიას. შესაბამისად, ანალიზის ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი უნდა იყოს დავინახოთ დეიქსისი: ა) ლინგვისტურად და ბ) იმ ლინგვისტური პარადიგმების მიხედვით, რომლებიც ენობრივ მოვლენებს ექსპლიციტურად ჯერ არ უკავშირებენ კულტურას.

თუ დავინახავთ მოცემულ ნარატივს დეიქტიკურად და ზემოთ ფორმულირებული პოზიციის მიხედვით, მაშინ ნარატივის როგორც მხატვრული დისკურსის დეიქტიკური სტრუქტურა დანახული უნდა იქნას შემდეგნაირად:

ადგილის დეიქსისი, მოცემული ნარატივის ფარგლებში ატარებს კომპლექსურ ხასიათს: ერთი მხრივ, მოთხრობილი ისტორია ვითარდება, როგორც ჩანს, თანამედროვე ბრიტანეთის როგორც ერთიანი გეოგრაფიული სივრცის ორ წერტილში - ერთ-ერთ საფოსტო განყოფილებასა და ერთ-ერთ

ბრიტანულ ოჯახში. მაგრამ ამავე დროს ადგილის დეიქსისი ექსპლიციტურად გულისხმობს მეორე გეოგრაფიული სივრცის - ავსტრალიის გარკვეულ წერტილსაც. როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ადგილის დეიქსისის რთულ, შინაგანად იერარქიულ სტრუქტურასთან;

რაც შეეხება **დროის დეიქსისს**: თუ მას წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით დავინახავთ, მაშინ იგი გამოხატულია წმინდა გრამატიკულად, იმ დროითი მონაკვეთის ექსპლიციტურად დასახელების გარეშე, რომლის ფარგლებში ვითარდება მოთხრობილი ისტორია;

რაც შეეხება **როლურ დეიქსისს**, არ არის საკმარისი ითქვას, რომ დეიქტიკური როლის შემსრულებელი აქ ექსპლიციტურად დასახელებულია. მთავარია იმის აღნიშვნა, რომ იგი ასრულებს წამყვან როლს ორი გაგებით: არა მხოლოდ როგორც იმ ქმედებათა სუბიექტი, რომლებზეც მიუთითებენ ტექსტში შემავალი წინადადებები, არამედ მეორე გაგებითაც: სწორედ მას უნდა მივაწეროთ ადგილისა და დროის დეიქსისის კომპლექსურ-იერარქიული ურთიერთმიმართება, რომლის შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი.

რა შეიძლება ითქვას დეიქსისის ფენომენზე იმდენად, რამდენადაც ეს ფენომენი ვლინდება მოცემულ ტექსტში? როგორც ვნახეთ, სავსებით შესაძლებელი იყო იმის გამოყოფა და დახასიათება, რასაც ჩვენ მოცემული ნარატივის „დეიქტიკური სტრუქტურა“ ვუწოდებთ. მაგრამ ამავე დროს ცხადი გახდა შემდეგიც: დეიქსისი იმ გაგებით, როგორც იგი იქნა შემოტანილი ლინგვისტურ აზროვნებაში, ნაკლებად ესადაგება ენობრივი გამონათქვამის იმ დონეებრივ ხედვას, რომელსაც ტექსტოცენტრიზმი ეწოდება: დეიქსისი როგორც ტერმინი და კატეგორია, მისი თავდაპირველი გაგებით მიესადაგება გამონათქვამის როგორც წინადადების გაგებას. ეს არც არის გასაკვირი, რადგან დეიქსისის საკუთრივ ლინგვისტური კონცეფცია ვითარდებოდა ძირითადად სისტემური (და არა კომუნიკაციური) ლინგვისტიკის ფარგლებში. შესაბამისად, დეიქსისი ამ თავდაპირველი და წმინდა ლინგვისტური გაგებით (ადგილი, დრო, როლი) როგორც მოცემულ ტექსტში, ისე ნებისმიერი ტიპის სხვა ტექსტშიც უნდა გამოყოფილი იყოს წინადადებათა დონეზე. რაც შეეხება ტექსტობრივ დონეს: რა თქმა უნდა, ამ დონეზეც ვხედავთ დეიქსისის ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა ადგილის, დროისა და როლის, მაგრამ ისინი ატარებენ უაღრესად

სქემატურ ხასიათს და საჭიროებენ განხილვას დისკურსის იმ ტიპის გათვალისწინებით, რომელთანაც ამ შემთხვევაში რეალურად გვაქვს საქმე, ამ შემთხვევაში კი, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ მხატვრულ დისკურსს. სხვანაირად რომ ვთქვათ: დეიქსისი რჩება, მაგრამ საჭიროებს *ხედვას* და *განსაზღვრას სხვა დონეზე*;

2. ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტი

ჩვენი ანალიტიკური ჩანაფიქრის მიხედვით ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტი წარმოადგენს შუალედურ საფეხურს ლინგვისტურსა და კულტუროლოგიურს შორის. რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა მოცემული ნარატივის ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი იმ სქემის მიხედვით, რომელიც შემუშავებული აქვს ამ დისციპლინას, თუ, რა თქმა უნდა, წინა პლანზე არ იქნებოდა წამოყენებული დეიქსისის პრობლემა.

ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ეპიკური გვარის ისეთ ჟანრთან, როგორცაა „short story“. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ შემთხვევაში თხრობა მიმდინარეობს არა საგანგებოდ წარმოდგენილი მთხრობელისაგან, არამედ იმ სუბიექტისაგან, რომელიც ტრადიციულად გაიგივებული იყო ავტორთან: როგორც ვიცით, ამ ტიპის ნაწარმოებთა განხილვისას გაიმიჯნებოდა ხოლმე ავტორისეული და პერსონაჟისეული მეტყველება. რაც შეეხება იმას, თუ რა შეესაბამება ამგვარ ჟანრში დეიქსისის ფენომენს, პასუხი, ჩვენი აზრით, შეიძლება იყოს მხოლოდ ასეთი: ადგილისა და დროის დეიქსისი აქ წარმოდგენილია *მხატვრული სივრცითა და მხატვრული დროით*; რაც შეეხება როლურ დეიქსისს, იგი შეიძლება წარმოდგენილ იქნას მხოლოდ იმ როლით, რომელიც უნდა მიეწეროს ავტორთან ძალიან მოახლოებულ „ყოვლისმცოდნე“ მთხრობელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქმე გვაქვს ენობრივ გამონათქვამთან, მაინც გამართლებულად წარმოგვიდგენია დაისვას კითხვა: რა შეესაბამება ამ ენობრივ გამონათქვამში (რომელიც ამავე დროს არის ეპიკური ჟანრის ნაწარმოები) დეიქსისს როგორც ენობრივ ფენომენს?

როგორც ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარეობს, ზემოთ დასმულ კითხვაზე უნდა გაიცეს შემდეგი პასუხი: დეიქსისს ამ და ნებისმიერ მხატვრულ ნარატივშიც შეესაბამება *ქრონოტოპის* ფენომენი. რაც შეეხება ქრონოტოპის იმ

კონცეპტს, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს როგორც ესთეტიკურ, ისე ლიტერატურათმცოდნეობით აზროვნებაში - ამის შესახებ უკვე გვექონდა მსჯელობა. ამ ეტაპზე კი აუცილებელია ვთქვათ: პირდაპირ და უშუალოდ ქრონოტოპის კონცეპტი მიუთითებს მხატვრულ ნაწარმოებში წარმოდგენილ ადგილსა და დროზე, რაც უნდა მივიჩნიოთ *პირადაპირ ანალოგიად* დეიქტიკურ ადგილსა და დროსთან; მაგრამ ამავე დროს გაშუალებულად და ირიბად ქრონოტოპი, როგორც კონცეპტი მიუთითებს იმ *კულტურულ ეპოქაზე* (ან კულტურის იმ დროით მონაკვეთზე), რომელსაც მიეკუთვნება ნაწარმოებში ასახული სამყარო. ჩვენ მიერ საილუსტრაციოდ შერჩეულ ნარატივში ეს სამყარო წარმოდგენილია როგორც *თანამედროვეობა*, რადგან ამაზე მეტყველებს როგორც ნარატივის პერსონაჟთა მთელი სისტემა, ისე ის საგნობრივი რეალობა, რომელიც განსაზღვრავს მათს ურთიერთობას: მოთხრობის პროტაგონისტი (poster officer) ისევე, როგორც მასთან დაკავშირებული პირები, წარმოადგენენ სწორედ თანამედროვეობის ცივილიზაციურ სტრუქტურას და იგივე ითქმის საგნობრივ რეალობაზეც: ამ რეალობას წარმოადგენენ *წერილები*, რომლებიც, ასევე ეკუთვნიან ხსენებულ ცივილიზაციას, მაგრამ ამავე დროს ქრონოტოპის კონცეპტი მთელი თავისი შესაძლო შინაარსით სცილდება იმას, რასაც უნდა ეწოდოს ნაწარმოებში წარმოდგენილი ცივილიზაცია და მიუთითებს ასევე ამ ცივილიზაციის *კულტურულ* ასპექტზეც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქრონოტოპის კონცეპტი უნდა განვიხილოთ ჩვენი ნარატოლოგიური ანალიზის იმ ასპექტშიც, რომელსაც კულტუროლოგიური ასპექტი ვუწოდეთ. როგორც თეორიულად, ისე ანალიტიკურადაც ქრონოტოპის კონცეპტი ასრულებს თითქოსდა „*კონცეპტუალური შუამავლის*“ როლს - იგი გვაკავშირებს ერთდროულად როგორც ლიტერატურათმცოდნეობასთან, ისე კულტუროლოგიასთანაც. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს ის როლიც, რომელსაც უნდა ასრულებდეს ქრონოტოპის კონცეპტი ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტთან მიმართებაში - ამ ობიექტს კი წარმოადგენს ის ტრანსფორმაცია, რომელსაც დეიქსისი უნდა განიცდიდეს, როგორც *ენობრივი* ფენომენი ისეთი *ენობრივი* ფენომენის ფარგლებში, როგორიცაა მხატვრული ნარატივი. როგორც ვნახეთ, გამოიკვეთა შინაგანი კავშირი დეიქსისის ისეთ ელემენტებს შორის, როგორებიცაა ერთი მხრივ ადგილი და დრო, მეორე მხრივ კი ლიტერატურათმცოდნეობითი

კატეგორიები: მხატვრული სივრცე და მხატვრული დრო. ეს სწორედ ის შინაგანი კავშირია, რომელსაც გამოხატავს ქრონოტოპის კონცეპტი, მაგრამ, როგორც ვიცით, დეიქსისის ფენომენი გულისხმობს მესამე ელემენტსაც - „როლურ“ დეიქსისს, ანუ ენობრივი გამონათქვამის სუბიექტს ამ ტერმინის ზოგადი გაგებით. ვფიქრობთ, ჩვენი ანალიზის მესამე, კულტუროლოგიური ასპექტი დაგვანახებს ქრონოტოპის ფენომენს ამ თვალსაზრისითაც.

3. კულტუროლოგიური ასპექტი

იმისათვის, რომ დავინახოთ ქრონოტოპის ფენომენის კულტუროლოგიური ასპექტი, უნდა გავიხსენოთ კულტურის ის კონცეფცია, რომელსაც გვთავაზობენ კემბრიჯელი ავტორები. აღარ გავიმეორებთ ამ კონცეფციის ფორმულირებას, მაგრამ მივუთითებთ მის ისეთ ორ მომენტზე, რომლებიც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ჩვენი ნარატივის სიუჟეტში: პირველი მომენტი მდგომარეობს იმაში, რომ კულტურის ამ კონცეფციის მიხედვით *კულტურა* როგორც ფენომენი არსებობს როგორც ადამიანის გარეთ, ისე მის შიგნით; მეორე მომენტი კი, როგორც გვახსოვს, კულტურას აკავშირებს მოვლენათა *სიმბოლურ მნიშვნელობასთან*. როცა წინა, ანუ ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტის განხილვისას ვლაპარაკობდით ამ ნაწარმოებში ასახულ სამყაროზე, აღვნიშნეთ მისი ორი ასპექტი - საკუთრივ *ადამიანური*, პერსონაჟებით წარმოდგენილი და *საგნობრივი* ასპექტი - წარმოდგენილი იმ ცივილიზაციური გარემოთი, რომელშიც ვითარდება სიუჟეტი. პირველ ასპექტად გამოვყავით პროტაგონისტი, Ainsley, a post - office sorter, მეორეში კი - წერილი, როგორც საგნობრივი ფენომენი და რაც შეეხება ამ ნარატივში განვითარებულ სიუჟეტს, როგორც კულტურულ ფენომენს, იგი წარმოადგენს სწორედ ხსენებულ გარეგან და შინაგან ასპექტთა ერთიანობას. რაც შეეხება *შინაგან ასპექტს*, იგი გამოხატულია პროტაგონისტის სულიერი მდგომარეობით: ერთი მხრივ თითქოს მას არ უნდა ჰქონოდა ცოლთან დაკავშირებით ეჭვიანობის საბაბი: „No man ever had less reason for jealous than Ainsley. His wife was frank as the day, a splendid housekeeper, a very good mother to their two children.“ მაგრამ, ამგვარი საბაბის უქონლობის მიუხედავად, იგი მაინც ეჭვიანობდა: „He knew that Dick soames had been fond of Adela and the fact that Dicky

Soames had years back gone away to join his and Adela's uncle made no difference to him. He was afraid that some day Dicky would return and take Adela from him".

აღსანიშნავია, რომ კულტურის ისეთი მოცემულობა, როცა საქმე გვაქვს ერთდროულად ყველა მის ასპექტთან, ატარებს არა სტატიკურ, არამედ დინამიკურ ხასიათს, ე.ი. ახდენს პირდაპირ გავლენას სიუჟეტის განვითარებაზე: ენსლის მიერ ეჭვიანობის გამო იგნორირებული წერილები იძენენ როგორც პირადად მისთვის, ისე მთელი მისი ოჯახისათვის საბედისწერო და, ამავე დროს, სიმბოლურ მნიშვნელობას, ანუ იქცევიან (წერილები) ჩვენი არსებობის შინაგან და გარეგან ასპექტთა ერთიანობის სიმბოლოდ. სიუჟეტის ეს უკანასკნელი ფინალური ეპიზოდი გამოხატულია შემდეგნაირად: ავსტრალიიდან დაბრუნებული ის პიროვნება, რომლის გამო ენსლი ეჭვიანობდა, ეუბნება მას „დაკარგული წერილების“ თაობაზე: „Uncle Tom had something over sixty thousand and he wished Adela to have half. But he got angry with you because Adela never answered the two letters I wrote to her for him. Then he changed his Will and left her money to hospitals. I asked him not to do it, but he wouldn't listen to me!" Ainsley turned pale."

თუ გავაკეთებთ ყურადღების კონცენტრირებას სიუჟეტის კულტურულ ასპექტზე, დავინახავთ, ჩვენი აზრით, სწორედ ნარატიული დროისა და სივრცის ქრონოტოპულ ერთიანობას: მხატვრული სივრცე, ანუ სიუჟეტის განვითარების ადგილი, აქ ერთდროულად პოლარიზებულიცაა (ბრიტანეთი-ავსტრალია) და შინაგანად ერთიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ადგილი ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე იგი უშუალოდ სახელდებულია (საფოსტო განყოფილება და ენსლის ოჯახში). რაც შეეხება სიუჟეტურ დროს: ეს დროც პოლარიზებულია (წარსული და აწმყო) და ამავე დროს შინაგანად ერთიანი. მაგრამ ვხედავთ იმასაც, რომ მოთხრობილი ისტორიის ადგილი დაქვემდებარებულია დროისადმი და ვხედავთ იმასაც, რომ ეს დრო ეკუთვნის არა მხოლოდ მოქმედ პირებს, არამედ თანამედროვეობას, როგორც ეპოქას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ეკუთვნის გარკვეულ კულტურულ ქრონოტოპს.

სიუჟეტის ლინგვოკულტუროლოგიური ხედვა როგორც ნარატივის
სინთეზური ინტერპრეტაცია

როგორც უკვე ითქვა, ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმაზე დაყრდნობამ უნდა მოგვცეს ამ ნარატიული სიუჟეტის *სინთეზური ხედვა* (სინთეზი კი უნდა გავიგოთ ისე, როგორც ნათქვამია ფრანგი ავტორის დ. ჟულიას „ფილოსოფიურ ლექსიკონში“ - „როგორც მთლიანის განსხვავებულ ელემენტთა გაერთიანება..“ (ჟულია 2000:401).

როგორც მთელი ჩვენი აქამდე განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარეობს, ჩვენ მიზანია დავინახოთ როლური დეიქსისი, როგორც *პერსონალური*, თანამედროვე ლინგვისტიკის იმ პარადიგმაზე დაყრდნობით, რომელსაც ეწოდება ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა. მისი მიზანია დაინახოს ენა როგორც ფენომენი ისეთ ფენომენტთან შინაგან კავშირში, როგორც კულტურა. მაგრამ ხსენებული პარადიგმის ამგვარი განსაზღვრისას არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ ნებისმიერმა ახალმა (ამ შემთხვევაში ლინგვოკულტუროლოგიამ) უნდა მთლიანად შეინარჩუნოს წინა პარადიგმის კონცეპტუალური მონაპოვარი და ამავე დროს განაახლოს იგი. წინა პარადიგმა კი, როგორც ვიცით, ეს არის კომუნიკაციური პარადიგმა. მის ძირითად მონაპოვარს წარმოადგენს დისკურსის ინტერსუბიექტური ხედვა: თუ ინტერსუბიექტურობა გულისხმობდა ენობრივი გამონათქვამის პრაგმატიკულ ასპექტს, იგი, როგორც ვიცით, ნიშნავდა გამონათქვამის *სუბიექტის* წინა პლანზე წამოწევას (თუმცა ამავე დროს მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინტერსუბიექტურობა გულისხმობს სუბიექტის ორგვარ სტატუსს) - იგი შეიძლება იყოს როგორც ადრესანტი, ისე ადრესატი).

ზემოთ ნათქვამის შესაბამისად, ხდება იმის თქმა, რა უნდა იქნას მიჩნეული იმ ახლებურ ხედვად, რომელიც მოაქვს ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას ერთი მხრივ ლინგვისტური, მეორე მხრივ ზოგადჰუმანიტარული გაგებით: მხატვრული ტექსტი, რომლის შესახებ აქამდე ვმსჯელობდით ლინგვისტური გაგებით წარმოადგენს დისკურსის იმ ტიპის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც ზოგადად *„მხატვრული დისკურსი“* ეწოდება. ეს კი დისკურსის ზოგადი თეორიიდან გამომდინარე ნიშნავს იმას, რომ იგი (ანუ მოცემული ნარატივი როგორც ტექსტი) წარმოადგენს გზავნილს (კომუნიკატს), რომელსაც ერთი სუბიექტი უგზავნის მეორეს. იმავე თეორიის თანახმად პირველი სუბიექტი არის ადრესანტი, მეორე კი ადრესატი. თუ დავეყრდნობით დისკურსთა ტიპოლოგიას

და გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქმე გვაქვს მხატვრულ დისკურსთან და, შესაბამისად, მხატვრულ ტექსტთან, მაშინ დისკურსის მოცემულ ტიპს უნდა შევხედოთ სემიოესთეტიკური თვალსაზრისით: ადრესანტი (ავტორი) უნდა მივიჩნიოთ *კრეატორად*. ადრესატი (მკითხველი) კი - *რეციპიენტად* და ეს სწორედ ის ხედვაა, რომელსაც გულისხმობს თანამედროვე *ტრანსლინგვისტიკა*: ყოველი ვერბალური გამონათქვამი უნდა გააზრებულ იქნას, როგორც დისკურსის გარკვეული ტიპი. როგორც ვიცით, კვლევის ჩვენი მეთოდოლოგია გულისხმობს არა მხოლოდ პარადიგმულ ასპექტს, არამედ ინტერდისციპლინარულსაც. ანალიზის წინა ეტაპზე ჩვენ გამოვყავით ინტერდისციპლინარული ასპექტები და მივიჩნიეთ რომ ლინგვოკულტუროლოგიურ ხედვას შეუძლია ამ ასპექტთა გამთლიანება. გამთლიანება კი მდგომარეობს შემდეგში: ა) მოცემული დისკურსის ადრესანტი - სუბიექტი *ერთდროულად* არის როგორც ენობრივი, ისე კულტურული სუბიექტი; ბ) თუ გავითვალისწინებთ ლიტერატურათმცოდნეობით ასპექტს, მაშინ ეს ასპექტი უნდა დავინახოთ ნარატოლოგიურად, რაც გულისხმობს შემდეგს: როგორც უკვე ითქვა, ნარატიული პლან-ფაქტორების განხილვისას ისინი უნდა აღვიქვათ ერთი მხრივ კულტურული, მეორე მხრივ კი იმ თვალსაზრისით, რომელსაც გულისხმობს ფოკალიზაციის თანამედროვე კონცეფცია (უნდა ვიგულისხმოთ, რომ „ფოკალიზაცია“ როგორც ტერმინი ეფუძნება ისეთ ლიტერატურათმცოდნეობით კატეგორიას, როგორცაა point of view; მაგრამ ამავე დროს ხაზს უსვამს მის ნარატოლოგიურ გაგებას: point of view - იძენს კომუნიკაციურ მნიშვნელობას).

მაგრამ, რა თქმა უნდა, ნარატივის ლინგვოკულტუროლოგიური ხედვა პირველ რიგში უნდა ნიშნავდეს იმას, თუ როგორ უნდა იქნას დანახული დისკურსის ინტერსუბიექტურობა იმ შემთხვევაში, თუ დისკურსის სუბიექტები - ადრესანტი, ადრესატი - იქნებიან ერთდროულად აღქმულნი როგორც ენობრივი, ისე კულტურული თვალსაზრისით. ჩვენი კვლევითი მიზნების თანახმად, ჩვენთვის ხსენებული პრობლემა, რა თქმა უნდა, საინტერესოა იმდენად რამდენადაც უნდა გაეცეს პასუხი კითხვას: რა ტრანსფორმაციას განიცდის როლური დეიქსისი იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ენობრივ და კულტურულ ასპექტთა ისეთ შერწყმასთან, რომელსაც ადგილი აქვს მხატვრულ ვერბალურ დისკურსში, სახელდობრ კი, მხატვრულ ნარატივში? ვფიქრობთ, ამ

კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, როგორც ჩვენს თეორიულ მსჯელობაზე, ისე ნარატიულ ტექსტზე დაყრდნობით. თუ დავეყრდნობით უკვე ნათქვამს და ნარატივის ავტორს დავინახავთ როგორც *კრეატორს*, მაშინ ცხადი ხდება ის, რაც მუდამ იგულისხმებოდა მხატვრული შემოქმედების გაგებისას, მაგრამ რაც ამავე დროს მოითხოვს ახლებურად დანახვას დისკურსის თეორიაზე დაყრდნობით: ის სინამდვილე, რომელიც წარმოდგენილია ნარატივში როგორც სივრცითი, ისე დროითი გაგებით, ანუ ქრონოტოპული გაგებით და ის სამყარო თავისი ადამიანური და საგნობრივი შემადგენლობით, რომელიც წარმოდგენილია მხატვრულ ნარატივში, არ არის ის სინამდვილე, რომელშიც ავტორს უხდება არსებობა, როგორც ინდივიდს.

ეს სინამდვილე სცილდება ავტორის როგორც სუბიექტის არსებობის ინდივიდუალურ ასპექტს და მიეკუთვნება იმ კულტურას რომელიც თავისი დროითი, სივრცითი, ადამიანური და საგნობრივი ასპექტებით, წარმოდგენილია მხატვრულ ტექსტში; გასაგებია რომ ავტორი როგორც ადრესანტი-კრეატორი ელის რომ მკითხველი როგორც ადრესატ-რეციპიენტი ასევე აღიქვამს მის მიერ წარმოდგენილ სინამდვილეს. ეს ის არის, რასაც გვეუბნება როგორც მოცემული, ისე ნებისმიერი მხატვრული ნარატივი. ყოველივე ის, რასაც უშუალოდ გვეუბნება მხატვრული სინამდვილე, მოითხოვს *თეორიულ გააზრებას*, ეს კი უნდა გულისხმობდეს იმის ბოლომდე ხაზგასმას, თუ რა ტრანსფორმაციას განიცდის როლური დეიქსისი ამ შემთხვევაში: ჩვენი აზრით, ხსენებული ტრანსფორმაცია დანახულ უნდა იქნას სუბიექტის იმ ზოგად გაგებაზე დაყრდნობით, რომელსაც გვთავაზობს ჩვენ მიერ უკვე განხილული ფილოსოფიური ანთროპოლოგია: ლინგვოკულტუროლოგიურად დანახული სუბიექტი წარმოადგენს ისეთ სუბიექტს, რომლისთვისაც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს განსხვავება ინდივიდსა და პიროვნებას (Persona-ს) შორის.

როლური დეიქსისი იძენს პერსონალური დეიქსისი სახეს: ავტორს როგორც კომუნიკანტს გადალახული აქვს ადგილი და დრო ამ სიტყვათა ინდივიდუალური გაგებით და გვევლინება კულტურის როგორც ერთი მთლიანის სუბიექტად, ანუ პიროვნებას.

ნარატული მემორე

Success Story

by J. G. Gozzens

I met Richards ten or more years ago when I first went down to Cuba. He was a short, sharp-faced, agreeable chap, then about 22. He introduced himself to me on the boat and I was surprised to find that Panamerica Steel was sending us both to the same

Richards was from some not very good state university engineering school. Being the same age myself, and just out of technical college I saw at once that his knowledge was rather poor. In fact I couldn't imagine how he had managed to get this job.

Richards was naturally likable, and I liked him a lot. The firm had a contract for the construction of a private railroad. For Richards and me it was mostly an easy job of inspections and routine paper work. At least it was easy for me. It was harder for Richards, because he didn't appear to have mastered the use of a slide rule. When he asked me to check his figures I found his calculations awful. "Boy," I was at last obliged to say, "you are undoubtedly the silliest white man in this province. Look, stupid, didn't you overtake arithmetic? How much are seven times thirteen?" "Work that out," Richards said, "and let me have a report tomorrow."

So when I had time I checked his figures for him, and the inspector only caught him in a bad mistake about twice. In January several directors of the United Sugar Company came down to us on business, but mostly pleasure; a good excuse to 'get south on a vacation. Richards and I were to accompany them around the place. One of the directors, Mr. Prosser was asking a number of questions. I knew the job well enough to answer every sensible question — the sort of question that a trained engineer would be likely to ask. As it was Mr. Prosser was not an engineer and some of his questions put me at a loss. For the third time I was obliged to say, "I'm afraid I don't know, sir.

We haven't any calculations on that".

When suddenly Richards spoke up.

"I think, about nine million cubic feet, sir", he said. "I just happened to be working this out last night. Just for my own interest".

"Oh," said Mr. Prosser, turning in his seat and giving him a sharp look. "That's very interesting, Mr. Richards, isn't it? Well, now, maybe you could tell me about".

Richards could. Richards knew everything. All the way up Mr. Prosser fired questions on him and he fired answers right back. When we reached the head of the rail, a motor was waiting for Mr. Prosser. He nodded absent-mindedly to me, shook hands with Richards. "Very interesting, indeed," he said. "Good-bye, Mr. Richards, and thank you."

"Not, at all, sir," Richards said. "Glad if I could be of service to you."

As soon as the car moved off, I exploded. "A little honest bluff doesn't hurt; but some of your figures...!"

"I like to please," said Richards grinning. "If a man like Prosser wants to know something, who am I to hold out on him?"

"What's he going to think when he looks up the figures or asks somebody who does know?"

"Listen, my son," said Richards kindly. "He wasn't asking for any information he was going to use. He doesn't want to know these figures. He won't remember them. I don't even remember them myself. What he is going to remember is you and me." "Yes," said Richards firmly. "He is going to remember that Panamerica Steel has a bright young man named Richards who could tell him everything, he wanted, — just the sort of chap he can use; not like that other fellow who took no interest in his work, couldn't answer the simplest question and who is going to be doing small-time contracting all his life."

It is true. I am still working for the Company, still doing a little work for the construction line. And Richards? I happened to read in a newspaper a few weeks ago that Richards had been made a vice-president and director of Panamerica Steel when the Prosser group bought the old firm.

1. ანალიზის ლინგვისტური ასპექტი

იქედან გამომდინარე, რომ წინა ნარატივის ანალიზისას უკვე იქნა ნაჩვენები, თუ როგორ უნდა მოხდეს კვლევის ჩვენ მიერ შემუშავებულ პრინციპთა აქტუალიზაცია, მეორე ნარატივის ანალიზის პროცესში აქცენტი იქნება გაკეთებული მხოლოდ იმ ტიპოლოგიურ განსხვავებაზე, რომელიც აღინიშნება ამ ორ ნარატივს შორის; ეს განსხვავება კი ატარებს პირველ რიგში ლიტერატურათმცოდნეობით ხასიათს: თუ პირველ ნარატივში თხრობა ხორციელდებოდა მესამე პირში, აქ თხრობა ხდება პირველ პირში. ეს კი, როგორც ვიცით, გულისხმობს შემდეგს: მეორე ნარატივში საქმე გვაქვს არა იმ „ყოვლისმცოდნე“ მთხრობელთან, რომელიც, რა თქმა უნდა, ავტორის „დავალეობით“ მოგვითხრობს წარსულში მომხდარ ისტორიას, არამედ საქმე გვაქვს პირველ პირში წარმოდგენილ ისეთ მთხრობელთან (ნარატორთან), რომელიც ამავე დროს წარმოადგენს პროტაგონისტს, ანუ მთავარ მოქმედ პირს - ცენტრალურ პერსონაჟს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი მიზანია არა

ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზის გაღრმავება და გაფართოება, არამედ იმის ჩვენება, თუ როგორ არის წარმოდგენილი დეიქსისის ფენომენი მოცემულ ნარატივში. როგორც წინა ნარატივის ანალიზისას, ამ შემთხვევაშიც დავეფუძნებით დეიქსისის იმ სტრუქტურას, რომელიც გამოყოფილი და ხაზგასმულია ლინგვისტიკაში; შესაბამისად, აქაც უნდა შევხვით ჯერ დეიქსისის სივრცით, დროით და, ბოლოს, როლურ ასპექტებს.

ადგილის დეიქსისი მოცემულ ნარატივში თავისი სტრუქტურით ნაკლებად კომპლექსურია, ვიდრე წინა ნარატივში: სიუჟეტი ვითარდება თანამედროვე ამერიკის ერთ-ერთი კომპანიის ფარგლებში, რაც მეტყველებს შემდეგზე: როგორც წინა შემთხვევაში, აქაც სიუჟეტი ვითარდება არა უბრალოდ გეოგრაფიულ, არამედ *ცივილიზაციურ სივრცეში*. გეოგრაფიული ამ შემთხვევაშიც ტრანსფორმირებულია ცივილიზაციურ სივრცედ.

მაგრამ ვხედავთ იმასაც, რომ გეოგრაფიული სივრცის ცივილიზაციურად ტრანსფორმირება აქ წარიმართება სხვა ნიშნით: თუ წინა ნარატივში თანამედროვე ცივილიზაცია წარმოდგენილი იყო კონტინენტთა შორის საფოსტო კავშირით, აქ იგივე ცივილიზაცია წარმოდგენილია ინდუსტრიალური ნიშნით. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ნარატივის ამ ტიპშიც სიუჟეტი ისევეა ლოკალიზებული სივრცითი თვალსაზრისით, როგორც პირველ ნარატივში: ადგილის დეიქსისი ტრანსფორმირებულია ისე როგორც ამას მოითხოვს სიუჟეტი, მაგრამ ამავე დროს შენარჩუნებულია მთლიანად;

რაც შეეხება *დროის დეიქსისს*: ზუსტად იგივე ითქმის დეიქსისის ამ სტრუქტურულ ასპექტზე, თუმცა, რა თქმა უნდა, შემდეგი განსხვავებით: თუ ადგილი გამოხატული იყო ნარატივში წარმოდგენილი რეფერენტული სივრცით და, შესაბამისად, ამ სივრცის წარმოდგენისას ძირითად როლს ასრულებდა *არსებითი სახელი*, დროის დეიქსისი, ბუნებრივია წარმოდგენილია ძირითადად *ზმნით* და ამ ზმნის გრამატიკული ფორმით. სწორედ ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ის, თუ როგორ ახდენს ერთი და იგივე გრამატიკული დრო, სახელდობრ, Simple Past სიუჟეტური, ანუ მხატვრული დროის სტრუქტურირებას. ეს სიუჟეტური დრო დაყოფილია შემდეგ ოთხ ეტაპად:

პირველი ეტაპი, როცა პროტაგონისტი გვეუბნება: 1) I met Richards ten or more years ago when I first went down to Cuba. He was a short, sharp-faced, agreeable chap, then about 22. He introduced himself to me on the boat and I was surprised to find that Panamerica Steel was sending us both to the same job. Richards was from some not very good state university engineering school.

მეორე ეტაპი გულისხმობს სიუჟეტური დროის იმ ეტაპს, როცა რიჩარდსი უკვე საქმიანობდა მოცემულ კომპანიაში. The firm had a contract for the construction of a private railroad. For Richards and me it was mostly an easy job of inspections and routine paper work. At Least it was easy for me. It was harder for Richards, because he didn't appear to have mastered the use of a slide rule..." So when I had time I checked his figures for him";

მესამე ეტაპი კი წარმოდგენილია სიუჟეტის იმ მონაკვეთით, როცა ჩნდება ფირმის ერთ-ერთი დირექტორი, სახელად მისტერ პროსეტი (Mr. Prosser) და როცა შესაბამისად ადგილი აქვს მის ურთიერთობას რიჩარდსთან: "One of the directors, Mr. Prosser was asking a number of questions. I knew the job well enough to answer every sensible question- the of question that a trained engineer would be likely to ask. As it was Mr. Prosser was not an engineer and some of nhis questions put me at loss. For the third time I was obliged to saym "I'm afraid I don't know, sir. We haven't any calculations on that". When suddenly Richards spoke up. "Oh," said Mr. Prosser, turning in his seat and giving him a sharp look. "That's very interesting, Mr. - er-Richards, isn't it? Well, now, maybe you could tell me about", "Richards could. Richards knew everything".

სიუჟეტური დროის **ბოლო ეტაპი**, როდესაც რიჩარდს ვხედავთ ფირმაში ვიცე-პრეზიდენტად. "It is a rule. I am still working for the construction line. And Richards? I happened to read in a newspaper a few weeks ago that Richards had been made a vice-president and director of Panamerica Steel when the Prosser group bought the old firm".

რა შეეხება **როლურ დეიქსისს**, მისი სტრუქტურა მოცემულ ნარატივში განისაზღვრება ორი შემდეგი ურთიერთდამაკავშირებელი, მაგრამ ამავე დროს განსხვავებული მომენტით.

ა) როგორც უკვე ითქვა, თხრობა აქ ხდება პირველ პირში, რადგან პირველი ნარატივისაგან განსხვავებით თხრობის სუბიექტი არის არა ე.წ. „ყოვლისმცოდნე მთხრობელი“, არამედ პროტაგონისტი-ნარატორი. შესაბამისად, როლური

დეიქსისი ტრანსფორმირებულია პირველ პირში წარმოდგენილი ნარატორის დეიქსისად, რომელზედაც პირდაპირ და უშუალოდ მიუთითებს ნაცვალსახელი „I“. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ თხრობა მიმდინარეობს პირველ პირში, ხსენებული „I“ მთელი ტექსტის ფარგლებში წარმოდგენილია ორნაირად - **ექსპლიციტურად**, ანუ ტექსტის დონეზე და **იმპლიციტურად** - ანუ ქვეტექსტურად. ექსპლიციტურად იგი წარმოდგენილია თხრობის დასაწყისში და მის დასასრულს: "I met Richards ten or more years ago when I first went down to Cuba. He was a short, sharp-faced, agreeable chap, then about 22", "It is a rule. I am still working for the construction line. And Richards? I happened to read in a newspaper a few weeks ago that Richards had been made a vice-president and director of Panamerica Steel when the Prosser group bought the old firm". როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც როლური დეიქსისი როგორც დეიქსისის მეტაკატეგორიული ელემენტი, ერთი მხრივ, შენარჩუნებულია, მეორე მხრივ კი ტრანსფორმირებულია იმ ენობრივი საშუალებების გამოყენებით, რომლებიც ფიგურირებენ არა იმდენად წინადადების, არამედ პირველ რიგში ტექსტის მასშტაბით;

ბ) სწორედ იმიტომ, რომ ნარატივი ეკუთვნის თხრობის პირველ პირში განხორციელებულ ტიპს და, შესაბამისად, პროტაგონისტის გარდა საქმე გვაქვს პერსონაჟთა ისეთ *სისტემასთან*, რომელიც ხასიათდება იერარქიული სტრუქტურით როლური დეიქსისი წარმოდგენილია ორ დონეზე - ნარატორ-პროტაგონისტისა და სხვა პერსონაჟთა დონეზეც. თუმცა, როგორც ითქვა ამ თვალსაზრისით საქმე გვაქვს იერარქიასთან: პროტაგონისტის როგორც ნარატორის როლური სტატუსი ატარებს ტექსტობრივად გამჭოლ სტატუსს და სწორედ ამიტომაც, რომ იგი (ნარატორი) შეიძლება იყოს წარმოდგენილი, როგორც უკვე ვიცით, როგორც ექსპლიციტურად, ისე იმპლიციტურად. რაც შეეხება სხვა პერსონაჟებს, (ესენი არიან რიჩარდსი და პროსეტი), მათი როგორც მხოლოდ მესამე პირში ნახსენებ სუბიექტთა როლური სტატუსი წარმოდგენილია შემდეგი განსხვავებით: ა) იქედან გამომდინარე, რომ რიჩარდსი წარმოადგენს მოყოლილი ისტორიის რიგით მეორე მოქმედ პირს, რომელსაც უკავია შუალედური სტატუსი ნარატორ-პროტაგონისტსა და მისტერ პროსეტს შორის, იგი მთელი ნარატივის ფარგლებში დასახელებულია პირდაპირ (როგორც

რიჩარდსი) და მხოლოდ ერთ შემთხვევაში პირის ნაცვალსახელით: "I think, about nine million cubic feet, sir, he said". "I just happened to be working this out last night"...

რაც შეეხება მისტერ პროსტს, იგი თანმიმდევრულად წარმოდგენილია როგორც სახელით, ისე შესაბამისი პირის ნაცვალსახელით: "He nodded absent-mindedly to me...", "very interesting, indeed, he said"...

როგორც ვხედავთ, პირდაპირ, ანუ საკუთარი სახელით ძირითადად წარმოდგენილია რიჩარდსი.

დასკვნის სახით რა შეიძლება ითქვას: მოცემული ნარატივის ანალიზის საკუთრივ **ლინგვისტურ** ასპექტზე? დასკვნას წარმოვადგენთ შემდეგ სამ პუნქტში:

1) როგორც ნებისმიერ ვერბალურ გამონათქვამში, ისე მხატვრულ ნარატივშიც, დეიქსისი როგორც ენობრივი სტრუქტურა მთლიანად შენარჩუნებულია, მაგრამ ამავე დროს განიცდის იმ ტრანსფორმაციას, რომლის ხასიათი დამოკიდებულია დისკურსის ტიპზე: როგორც ვნახეთ, ამ შემთხვევაში დეიქსისი მთლიანად - რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა - როლური დეიქსისი განიცდის ისეთ ტრანსფორმაციას, რომელიც განპირობებულია როგორც დისკურსის მხატვრულობით, ისე ნარატივის ტიპით;

2) ამასთან დავრწმუნდით შემდეგშიც: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მსჯელობა როგორც თეორიულ, ისე ანალიტიკურ პლანში ცენტრირებული უნდა იყოს ლინგვისტურად, შეუძლებელია განხორციელდეს წმინდა ლინგვისტური ანალიზი იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს არა ყოველდღიურ და, რაც მთავარია, მხატვრულ დისკუსთან: საკუთრივ ლინგვისტური ასპექტი გამოიყოფა მხოლოდ ინტერდისციპლინარული ხედვის ფონზე. ანალიზის მოცემულ ეტაპზე ხსენებული ფონი წარმოდგენილი იყო *ლიტერატურათმცოდნეობით*;

3) ასევე გამოიკვეთა ანალიზის იგივე დინამიურ-ეტაპობრივი სტრუქტურა, რომელიც გვქონდა წინა შემთხვევაში: ანალიზს ვიწყებთ ლინგვისტური ასპექტით, ვაგრძელებთ ლიტერატურათმცოდნეობითი და კულტუროლოგიური ასპექტებით, ბოლოს კი ვუბრუნდებით ლინგვისტურ ასპექტს ლინგვოკულტუროლოგიური ხედვის ფარგლებში.

2. ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტი

ანალიზის დასაწყისში უკვე შევხებით ჩვენი ნარატივის ლიტერატურათმცოდნეობით ასპექტს, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო ლინგვისტური ასპექტისთვის. ანალიზის ამ ეტაპზე კი აუცილებლად მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტის შემდეგ მომენტებს: ა) მომენტს, რომელიც უკავშირდება თხრობის სუბიექტის ტექსტის შიდა და ტექსტის გარეშე მოცულობას; ბ) დეიქსისის იმ სტრუქტურულ ელემენტებს, რომლებსაც აქვთ სივრცითი და დროითი ხასიათი; გ) იმ ლიტერატურათმცოდნეობით ასპექტს, რომელმაც უნდა გამოავლინოს ყველა დასახელებული შინაარსობრივი ასპექტი კვლავ ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით.

თხრობის სუბიექტი ტექსტში და ტექსტგარეშე თვალსაზრისით

უკვე გვქონდა მსჯელობა ნარატივის ამ ასპექტზე იმასთან დაკავშირებით, რომ სწორედ მას ეფუძნება ნარატივთა ტიპოლოგია. ამ ეტაპზე კი გვსურს ხაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებას: რაკი ხსენებული ასპექტი პირდაპირ უკავშირდება პერსონალური დეიქსისის თემას, მისი სრული განსაზღვრა უნდა მოხდეს ანალიზის მარეზიუმირებელ ანუ ლინგვოკულტუროლოგიურ ეტაპზე;

ადგილისა და დროის დეიქსისი ნარატივში

ლინგვისტური თვალსაზრისით ამ ასპექტზეც გვქონდა მსჯელობა. ამჟამად კი საჭიროდ მიგვაჩნია შევავსოთ ნათქვამი შემდეგი სახით:

1) დროის და სივრცის მხატვრულობის თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, მხატვრული ტექსტის ფარგლებში უნდა ვილაპარაკოთ არა უბრალოდ დროსა და სივრცეზე, არამედ *მხატვრულ* დროზე და სივრცეზე. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია სრულად დავახასიათოთ ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც მონაწილეობენ დეიქსისის ელემენტთა ამგვარად ტრანსფორმირებაში;

2) ასევე, არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომ მხატვრული დრო და სივრცე თანამედროვე აზროვნებაში გაიაზრება ქრონოტოპის კონცეპტზე დაყრდნობით. ხსენებულ კონცეპტს თავის მხრივ აქვს, როგორც უკვე ვიცით, ორი ასპექტი - საკუთრივ ლიტერატურათმცოდნეობითი და კულტუროლოგიური. შესაბამისად დავუბრუნდებით ამ კონცეპტს ანალიზის კულტუროლოგიური ასპექტის ფარგლებში;

3) მოცემულ ნარატივის, ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით გამთლიანების პლანი;

როგორც წინა შემთხვევაში ამგვარ გამთლიანებას ვაღწევთ ორი ისეთი ლიტერატურათმცოდნეობითი კონცეპტის შერწყმული ხედვით, როგორცაა, ერთი მხრივ, „ნაწარმოების სამყარო“, მეორე მხრივ კი *სიუჟეტი*. ნაწარმოების სამყარო ისევე როგორც წინა შემთხვევაში - გულისხმობს *საგნობრივ* და ადამიანურ ასპექტებს. ჩვენ უკვე ვიცნობთ აქ წარმოდგენილი სამყაროს *ადამიანურ* ასპექტს, საგნობრივი ასპექტი კი - ისევე როგორც წინა შემთხვევაში წარმოდგენილია ეპოქის ცივილიზაციური რაობით (ინდუსტრიალური კომპანია თავისი ატრიბუტიკით). რაც შეეხება ამ სამყაროს ენობრივ ასპექტს, იგი როგორც უკვე ვიცით, წარმოდგენილია ტექსტის რეფერენტული სივრცით.

დავუბრუნდებით, რა თქმა უნდა, ლიტერატურათმცოდნეობით ასპექტს ანალიზის შემაჯამებელ ეტაპზე.

3. კულტუროლოგიური ასპექტი

ამ შემთხვევაშიც, ბუნებრივია, ვეყრდნობით კულტურის იმ კონცეფციას, რომელიც ფიგურირებდა ჩვენი კვლევის თეორიულ ასპექტში და გულისხმობდა ერთი მხრივ კულტურის *სიმბოლურ* მნიშვნელობას, მეორე მხრივ კი, კულტურის სუბიექტთა გარეგან და შინაგან ასპექტთა ერთიანობას. ტექსტში წარმოდგენილი კულტურის სიმბოლურ ასპექტად, რომელსაც საბედისწერო მნიშვნელობა აქვს პერსონაჟთა მომავლისათვის, უნდა გავიაზროთ ინდუსტრიული საქმიანობის რაოდენობრივ-გამოთვლითი ასპექტი, წარმოდგენილი სიტყვით "calculation". რაც შეეხება შინაგან ასპექტს, მასზე მიუთითებს მთელი სიუჟეტი, განსაკუთრებით კი მისი ფინალი: "It is a rule. I am still working for the construction line. And Richards? I happened to read in a newspaper a few weeks ago that Richards had been made a vice-president and director of Panamerica Steel when the Proset group bought the old firm".

მაგრამ, მოცემული ნარატივის კულტუროლოგიური ხედვა უნდა დაეფუძნოს, ჩვენი აზრით, იმ პოტენციურად ინტერდისციპლინარულ კატეგორიას, რომელსაც *ქრონოტოპი* ეწოდება. ანალიზის წინა მონაკვეთში უკვე

ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ როგორ აერთიანებს ქრონოტოპის კონცეპტი თავის შინაარსობრივ სტრუქტურაში მხატვრული ნარატივის ისეთ ასპექტებს, როგორცაა მხატვრული დრო და მხატვრული სივრცე. მაგრამ, ითქვა ისიც, რომ „ქრონოტოპი“ იმ თავისი შინაარსობრივი სტრუქტურით, რომელიც ატარებს იერარქიულ ხასიათს, ერთნიშნად მიუთითებს ნარატივის მიმართებაზე კულტურასთან. ეს მიმართება კი, როგორც უკვე ვიცით, მდგომარეობს შემდეგში: „ქრონოტოპი“ ნიშნავს არა უბრალოდ დროის და სივრცის ურთიერთდაკავშირებას, არამედ იმასაც, რომ მხატვრულ ნარატივში სივრცე ექვემდებარება დროს; და ექვემდებარება იმდენად, რომ „ტოპოს“ (ანუ ადგილი სივრცეში) ტრანსფორმირდება ადგილად დროში, ეს „ადგილი დროში“ კი, თავის მხრივ, უნდა გაგებულ იქნას როგორც კულტურული დროის ის სეგმენტი, რომლის წიაღში ადგილი აქვს მხატვრულ შემოქმედებას, ანუ როგორც „ეპოქა“ ამ ტერმინის მხატვრულ-ესთეტიკური გაგებით.

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმ კულტურის შიდა ასპექტზე, რომელიც სიმბოლიზებულია სიტყვით calculation და ვგულისხმობთ, რომ მას აქვს ერთდროულად ორი რეფერენტი - გარე სამყაროში, სადაც იგი მიუთითებს არსებულ ცივილიზაციურ სივრცეზე და რეფერენტი პერსონაჟთა შიდა| მენტალურ სივრცეში: მათი მენტალობაც ექვემდებარება სიმბოლოდ ქცეულ კალკულაციას. შესაბამისად, ვხედავთ თუ რა შინაგანი კავშირია ერთი მხრივ ქრონოტოპის, მეორე მხრივ კი კულტურის სიმბოლურ ასპექტს შორის.

სიუჟეტის ლინგვოკულტუროლოგიური ხედვა, როგორც ნარატივის სინთეზური ინტერპრეტაცია

ვფიქრობთ, წინა ნარატივის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაციის ფარგლებში საკმაოდ იყო ნაჩვენები ამ ლინგვისტური (და ამავე დროს ზოგადჰუმანიტარულად კულტუროცენტრისტული) პარადიგმის მაინტეგრირებელი და მასინთეზირებელი როლი ინტერპრეტაციის მთლიანი პროცესის ფარგლებში. შესაბამისად, ანალიზის ამ ეტაპზე ჩვენთვის

მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმ განსხვავებაზე მითითება, რომელიც უნდა არსებობდეს ამ ორ ნარატივს შორის საკუთრივ დეიქტიკური თვალსაზრისით.

თუ ორივე შემთხვევაში ჩვენი თეორიული ვარაუდის თანახმად უნდა ხდებოდეს ერთდროულად როგორც დეიქსისის შენარჩუნება, ისე ტრანსფორმირება, მაშინ ისმის კითხვა: რით განსხვავდება შინაარსობრივი თვალსაზრისით მეორე ნარატივის ფარგლებში არსებული პერსონალური დეიქსისი იმ პერსონალური დეიქსისისაგან, რომლის შესახებაც გვქონდა მსჯელობა პირველ შემთხვევაში?

მაგრამ რომელია ნარატივის ის სტრუქტურული მომენტი, რომელზე დაყრდნობითაც უნდა გაეცეს პასუხი ამ კითხვაზე? ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ სტრუქტურულ მომენტზე მიუთითებს ამ ორ ნარატივს შორის არსებული ტიპოლოგიური განსხვავება: პირველისაგან განსხვავებით მეორე ნარატივში თხრობა მიმდინარეობს პირველ პირში, რაც თავის მხრივ გულისხმობს შემდეგს: მთხრობელი წარმოდგენილია არა როგორც აბსტრაქტული და „ყოვლისმცოდნე“ სუბიექტი, არამედ როგორც სიუჟეტის განვითარებაში უშუალოდ ჩართული ნარატორ-პროტაგონისტი.

თუ გავითვალისწინებთ როგორც უშუალოდ ნათქვამს, ისე მთელს ჩვენს უკვე ფორმულირებულ თეორიულ პოზიციას, მაშინ ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხი უნდა მდგომარეობდეს შემდეგში.

მეორე ნარატივი განსხვავდება პირველისაგან იმით, თუ რას წარმოადგენს ამ შემთხვევაში პერსონალური დეიქსისის როგორც ენობრივ-კულტურული კატეგორიის ფორმირების „შიდა მექანიზმი“. ეს „შიდა მექანიზმი“, ჩვენი აზრით, წარმოადგენს ორი შემდეგი შინაარსობრივი მომენტის შერწყმას: პირველი მომენტი უკვე ვახსენეთ წინა აბზაცში და იგი, როგორც ითქვა, მდგომარეობს ნარატივის ტიპოლოგიაში, ანუ იმ განსხვავებაში, რომელიც უნდა არსებობდეს მესამე პირსა და პირველ პირში თხრობათა შორის. მეორე მომენტი კი უნდა გულისხმობდეს იმას, თუ როგორ ხდება ამ შემთხვევაში *ინდივიდსა* და *პერსონას* შორის იმ განსხვავების გამოვლენა, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს როლური დეიქსისის პერსონალიზაციის წყაროსა და საფუძველს: რა თქმა უნდა, მხატვრული დისკურსი მუდამ გულისხმობს ავტორ-კრეატორის ყოფითი, ანუ ინდივიდუალურად განპირობებული დრო-სივრცისაგან

გათავისუფლების და, შესაბამისად, მის კულტურულ ქრონოტოპში „მოქცევას“, მაგრამ მოცემულ ნარატივში (როცა თხრობა ხდება პირველ პირში), ზემოთ ჩვენ მიერ აღნიშნული „მექანიზმი“, ჩვენი აზრით, მოქმედებს შემდეგნაირად: დისკურსის ადრესანტი, ანუ ავტორ-კრეატორი „ჯერ“ უნდა ტრანსფორმირდეს „ყოვლისმცოდნე მთხრობელად“ იმისთვის, რომ „გადააბაროს“ მის მიერ „მიტოვებული“ ინდივიდუალურობა პირველ პირში მთხრობელ პერსონაჟ-პროტაგონისტს. რა თქმა უნდა, ნებისმიერი პერსონაჟი - როგორც პროტაგონისტი, ისე არაპროტაგონისტი - თავისი მენტალიტეტით და ქცევით წარმოადგენს გარკვეულ კულტურას, მაგრამ, ავტორ-კრეატორისაგან განსხვავებით ეს მისი მხრიდან არ გულისხმობს შემოქმედებით აქტს.

ბუნებრივია, რომ როლური დეიქსისის ამგვარი პერსონალიზაცია გულისხმობს ამ პერსონალიზაციის საკუთრივ *ენობრივ* გამოხატვასაც, როგორც წინა ნარატივის ანალიზისას, ამ შემთხვევაშიც უნდა აღნიშნულ იქნას არამხოლოდ ის ფაქტი, რომ *ყოველდღიური* დრო-სივრცე ტრანსფორმირებულია *მხატვრულ* დრო-სივრცედ. ეს დრო-სივრცე კი წარმოადგენს ქრონოტოპს მთელი თავისი მნიშვნელობით. ასავე ვხედავთ, რომ ამ ქრონოტოპის შექმნაში მონაწილეობს ენის მთელი „რეფერენტული პოტენციალი“ თავისი ნომინალური და ვერბალური ასპექტებით.

როგორც ვხედავთ, მოცემული ნარატივის ლინგვოკულტუროლოგიურმა ხედვამ მოგვცა იმის საშუალება, რომ გაგვეხორციელებინა *წინა ანალიტიკური ასპექტების სინთეზი*; ეს სწორედ ის სინთეზია, რომელიც უნდა იგულისხმებოდეს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ფუნქციური არსით.

დასკვნები

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნებამდე:

1) დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენის კვლევა უნდა ხორციელდებოდეს, ერთი მხრივ, თანამედროვე ზოგად-ჰუმანიტარული, მეორე მხრივ კი თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების პარადიგმული დინამიკის, ანუ პარადიგმათა ურთიერთმონაცვლეობის გათვალისწინებით, რაც ნიშნავს შემდეგს: დეიქსისის ფუნქციური, სტრუქტურული და ტიპოლოგიური ხედვის ინტერდისციპლინარული ასპექტი უნდა იქნას ცენტრირებული ხედვის საკუთრივ ლინგვისტური ასპექტით;

2) დეიქსისის ხედვა საკუთრივ ლინგვისტური პარადიგმული დინამიკის ფარგლებში უნდა ატარებდეს ერთდროულად როგორც რეტროსპექტულ, ისე პროსპექტულ ხასიათს, ე.ი. არა მხოლოდ უნდა იქნას დაფიქსირებული დეიქსისის კვლევის კონკრეტულ-პარადიგმული შედეგები, არამედ უნდა განისაზღვროს ამ კვლევათა ერთიანი შინაგანი ვექტორი;

3) დეიქსისის ლინგვისტური კვლევის შინაგანი ვექტორი უნდა განისაზღვროს ერთი მხრივ ამ ფენომენის შიდა სტრუქტურის იერარქიზაციის, მეორეს მხრივ კი იმის ხაზგასმით, რომ ლინგვისტურ პარადიგმათა ურთიერთმონაცვლეობა წარმოადგენდა ხსენებული იერარქიზაციის დაკონკრეტების პროცესს: იერარქიის თვალსაზრისით როლურ დეიქსისს ენიჭება მეტაკატეგორიალური სტატუსი, იერარქიზაციის კონკრეტული ვექტორის განსაზღვრა კი ნიშნავს შემდეგს: როლური დეიქსისი წარმოადგენს დეიქსისის იმ სახეობას (იმ ტიპს), რომლის

ფარგლებში ხდება ჯერ ნომინაცია და დეიქსისი, შემდეგ კი ნომინაციის, დეიქსისის და კომუნიკაციის ნეიტრალიზაცია;

4) ლინგვისტური აზროვნებისა და ზოგადჰუმანიტარული აზროვნების პარადიგმული სინთეზი უნდა ნიშნავდეს შემდეგი კითხვის დასმას: როგორ უნდა იქნას ინტერპრეტირებული როლური დეიქსისის მეტაკატეგორიული სტატუსის ფუნქციურ-შინაარსობრივი დინამიკით ნაგულისხმევი შემდგომი ეტაპი, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ ორ თეორიულ-მეთოდოლოგიურ მომენტს: ა) თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში დომინირებს სემიო-ესთეტიკურ და ნარატოლოგიურ და კულტუროლოგიურ პარადიგმათა სინთეზი და ბ) ლინგვისტიკის ფარგლებში კი ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციურ პარადიგმასთან ერთად დომინირებას იწყებს ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა, რომელიც მოითხოვს ენობრივ ფენომენტა ინტერდისციპლინარულ ინტერპრეტაციას;

5) ყოველი ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით ჩნდება იმის აუცილებლობა, რომ გამოითქვას შემდეგი ჰიპოთეზა: დეიქსისის როგორც ენობრივი ფენომენტის შიდა სტრუქტურის იერარქიზაციის ფარგლებში უნდა განისაზღვროს ამ პროცესის შემდგომი და მარეზიუმირებელი ეტაპი ისეთ კონცეპტზე დაყრდნობით როგორცაა **პიროვნების** კონცეპტი. იმ პარადიგმულ სიტუაციაში, რომლის ფარგლებში უნდა ხდებოდეს ლინგვისტურ და ზოგად-ჰუმანიტარულ პარადიგმათა შეხვედრა-სინთეზი, სწორედ პეიროვნების კონცეპტმა უნდა „აიღოს თავის თავზე“ ხსენებული სინთეზის რეალიზაცია, მაგრამ ამავე დროს ისმის კითხვა: თუ საბოლოო ანგარიშში როლური დეიქსისი აღიქმება პერსონალურ დეიქსისად, როგორ უნდა იქნას დანახული როლურ/პერსონალური დეიქსისის ფუნქციონირება ერთის მხრივ საკუთრივ ლინგვისტური, მეორეს მხრივ კი ლინგვოკულტურულ ლინგვისტურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით იმ შემთხვევაში, თუ საკუთრივ ლინგვისტურ თვალსაზრისს დაუქვემდებარებთ ლინგვისტიკის კომუნიკაციურ პარადიგმას და ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას კი შინაგანად დაუკავშირებთ სემიო-ესთეტიკურ და ნარატოლოგიურ პარადიგმებს.

6) დისკურსის როგორც ლინგვისტური კონცეპტის შინაგანად მაკონკრეტირებელ მომენტად უნდა მივიჩნიოთ მისი არსებითი კავშირი

დეიქსისის კონცეპტთან, თუმცა ამავე დროს უნდა იქნას ხაზგასმული ის ფაქტი, რომ როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ისე ტრანსლინგვისტური კვლევის ფარგლებში ეს არსებითი კავშირი არ ყოფილა ადეკვატურად აღქმული და გააზრებული. შესაბამისად, როლურ-პერსონალური დეიქსისის როგორც ფენომენის კვლევა უნდა ნიშნავდეს ამ ორ კონცეპტთა შორის ხსენებული არსებითი კავშირის გამოვლენას. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ საკვლევო პრობლემის გადაჭრა მოითხოვს დისკურსისა და დეიქსისის კონცეფციათა სინთეზს;

7) ზემოთხსენებული სინთეზი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ის ასიმეტრია, რომელიც არსებობს დისკურსსა და დეიქსისის კვლევათა შორის ტრანსლინგვისტური თვალსაზრისით: უნდა გამოვქვათ ჰიპოთეტური მოსაზრება, რომ ტრანსლინგვისტური თვალსაზრისით დეიქსისის ფენომენი ისევე მნიშვნელოვანია როგორც დისკურსი;

8) დეიქსისის ტრანსლინგვისტურ სტატუსს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ნარატოლოგიური თვალსაზრისით, რადგან ჰუმანიტარული აზროვნების სწორედ ამ სეგმენტში ექსპლიციტურად ხდება ნარატივის დისკურსულ და დეიქტიკურ ასპექტთა შერწყმა და ურთიერთმედწევა. შესაბამისად, როლურ-პერსონალური დეიქსისის თეორიული გააზრების ყველა ასპექტი, უნდა დაუკავშირდეს ნარატოლოგიურ პრობლემატიკას.

9) კვლევის მეთოდოლოგია მის მთლიანობაში უნდა წარმოადგენდეს ინტერპარადიგმულ და ინტერდისციპლინარულ ხედვათა სინთეზს და სწორედ ამ სინთეზზე დაყრდნობით უნდა იქნას ინტერპრეტირებული როლური დეიქსისის ის შინაარსობრივ სტრუქტურული ტიპი, რომელთანაც საქმე გვაქვს მხატვრულ ნარატივში. მაგრამ იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს როლური დეიქსისის ამგვარი, ანუ ნარატოლოგიური ინტერპრეტაცია, აუცილებელია დავეყრდნოთ არა მხოლოდ ნარატოლოგიას ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობით, არამედ თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების მთელ სპექტრს, სახელდობრ კი ისეთ დისციპლინათა ერთობლიობას, როგორცაა ფილოსოფიური ანთროპოლოგია, კულტუროლოგია, სემიოესთეტიკა, (ანუ ესთეტიკის სემიოტიკურად გააზრებული ფორმას), ლიტერატურათმცოდნეობა (მისი ტრადიციული და თანამედროვე გაგებით) და, რა თქმა უნდა, თავად

ლინგვისტიკა. შესაბამისად, უნდა მივიჩნიოთ, რომ იქნება ინტერდისციპლინარული ველი, რომელიც ცენტრირებულია ერთდროულად ორი დისციპლინით - ლინგვისტიკითა და ფილოსოფიური ანთროპოლოგიით;

10) იმისათვის, რომ განხორციელდეს ხსენებული ინტერდისციპლინარული ველის ცენტრირება ზემოთ ხსენებული გაგებით, აუცილებელია შევუთანხმოთ ერთმანეთს ორი თეზისი: ა) როგორც არ უნდა იყოს ვერბალური დისკურსის ტიპი, მასში უნდა შენარჩუნებულ იქნას დეიქსისი მთელი თავისი იერარქიული შიდასტრუქტურით, ე.ი. როლური დეიქსისი მეტაკატეგორიალური სტატუსით და ბ) იმისათვის, რომ დეიქსისი შესაძლებელი იყოს დეიქსისის გამჭოლი სახით ამგვარი შენარჩუნება, აუცილებელია განხორციელდეს ვერბალური დისკურსის მხატვრული ტიპის ადრესანტ-სუბიექტის ისეთი ინტერპრეტაცია, როგორსაც მოითხოვს კულტუროლოგია და რომელიც შეესაბამება ჰუმანიტარულ დისციპლინათა მთელი ზემოთ ხსენებული სპექტრის მოთხოვნებს. ასეთ ინტერპრეტაციად უნდა მივიჩნიოთ პიროვნების (Persona-ს) ის გაგება, რომელსაც გვთავაზობს ფილოსოფიური ანთროპოლოგია. და რომელიც გულისხმობს ინდივიდისა და პიროვნების ცნებათა შორის განსხვავების ხაზგასმას.

შესაბამისად, უნდა მივიჩნიოთ, რომ ზოგადად მხატვრული დისკურსის, კერძოდ კი მხატვრული ნარატივის ფარგლებში როლური დეიქსისი ტრანსფორმირებული სახით გვევლინება როგორც *პერსონალური დეიქსისი*;

11) მაგრამ იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს წინა პუნქტში ფორმულირებული მიზნის მიღწევა, საჭიროა ისეთ ცნებათა კომპლექტზე დაყრდნობა, რომლებიც გენეტიკურად და შინაარსობრივად დაკავშირებულნი არიან დისციპლინათა ზემოთ ხსენებულ მთელ სპექტრს. ეს ცნებებია:

ა) **ქრონოტოპის ცნება.** იგულისხმება, რომ ამ ცნებას მხატვრული დისკურსის ფარგლებში „აკისრია“ ორი ურთიერთდამაკავშირებელი ფუნქცია: 1) იგი ახდენს მხატვრული დროისა და მხატვრული სივრცის თავის თავში ინტეგრირებას და 2) ამგვარად ინტეგრირებულ დრო-სივრცეს უშუალოდ უკავშირებს კულტურას, როგორც ფენომენს.

ბ) **მხატვრული ნარატივის ტიპის ცნება.** იგულისხმება, რომ როლური დეიქსისის პერსონალიზაცია იმ გაგებით, როგორც იგი იქნა წარმოდგენილი

ზემო პუნქტებში, ხდება განსხვავებულ „შიდა მექანიზმზე“ დაყრდნობით იმის და მიხედვით, თუ ნარატივის რომელ ტიპთან გვაქვს საქმე;

გ) ნარატივის რეფერენტული სივრცის ცნება. იგულისხმება, რომ ლინგვისტიკის მაცენტრირებელი როლი კვლევის მეთოდოლოგიაში ეფუძნება არა მხოლოდ დეიქსისის ლინგვისტურ ცნებას, არამედ რეფერენტის ლინგვისტურ ცნებასაც, თუმცა ამ ცნების ტექსტოცენტრისტული გაგებით: ნარატივის ლინგვოკულტუროლოგიური ინტერპრეტაციისას უნდა ვმსჯელობდეთ კულტურულად და ენობრივად განპირობებულ რეფერენტულ სივრცეზე.

ბიბლიოგრაფია

1. არნოლდი 1981 - Арнольд И. В. (1981). " Стилистика современного английского языка", Ленинград. Просвещение.
2. არნოლდი 1982 - Арнольд И. В. (1982). Импликация как прием построения текста и предмет филологического изучения. «Вопросы языкознания», №4.
3. არუტიხოვა 1972 - Арутюнова Н. Д. (1976). Предложение и его смысл: Логико-семантические проблемы. Москва: Высшая школа.
4. ახმანოვა 1966 - Ахманова (1966). О. С. Словарь лингвистических терминов. Москва: Советская энциклопедия, 1966.
5. ბაბენკო 2004 - Бабенко Л.Г. (2004). Лингвистический анализ художественного текста. Москва: изд. Московского университета.
6. ბახტინი 1975 - Бахтин М. (1975). "Формы времени и хронотопа в романе. Вопросы литературы и эстетики. Москва. худож. литература.
7. ბახტინი 1979 - Бахтин М.М. (1979). Проблемы текста в лингвистике, филологии и других гуманитарных науках. Москва: Высшая школа.
8. ბარტოლომეუ, 2000 – Bartholomew C., Goheen M. (2004). "The Drama of Scripture". Redeemer University College, Canada.
9. ბარტი 2004 - Барт Р. (2004). Лингвистика дискурса in: "Система моды. Статьи по семиотике культуры", Москва.
10. ბარხუდაროვი, შტელინგი 1973 - Бархударов Л.С., Штелинг, Д.А.(1973). *Грамматика английского языка*. Москва: Высшая школа.

11. ბარბუდაროვი 1973 - Бархударов Л. С. (1973). К вопросу о поверхностной и глубинной структуре предложения. Москва: Вопросы языкознания №3.
12. ბარბუდაროვი 2004 - Бархударов Л. С. (2004). Общая лингвистика. Уровни лингвистического анализа. in: "Лингвистика XX века Система и структура языка" Часть I, Москва: "Прогресс".
13. ბახტინი ბერი, სიგალი 2002 – Berry J. W., Seagall H. (2002). "Cross-Cultural Psychology". Research and Applications. Cambridge: University Press
14. ბენვენისტი 1965 - Бенвенист Э. (1965). Уровни лингвистического анализа. В кн: Новое в лингвистике. Москва: "Прогресс".
15. ბოლნოვი 1999 - Больнов О., (1999) Философия экзистенциализма, Санкт-Петербург.
16. ბულინიზა 1992 - Булынина (1992). Человеческий фактор в языке. Коммуникация Модальность. Дейксис. под ред. Т. В. Булыниной. М.
17. ბენფილდი 1982. - Banfield Ann. (1982). Unspeakable Sentences: Narration and Representation in the Language of Fiction, Boston; Routledge Kegan Paul. London.
18. ბიულერი 2001 - Бюлер К. (2001). Теория языка. Москва. Прогресс.
19. ბრაუნი 1998. - Brown, G. (1998). Context creation in discourse understanding. In K. Malmkjaer and J. Williams (eds.). Context in Language learning and language understanding. Cambridge: Cambridge University Press. 171-92. 1998.
20. ბიულერი 1934/63. - Bühler, K. (1934/63). Theory of Language. (translated into English by D. Fraser Goodwin) Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing
21. ბოინი 1990 - Beun, R.(1990). The Recognition of Pragmatics. Oxford: Oxford University Press.
22. ბლოხი 1969 - Блох М. Я. (1969). Дихотомия "язык – речь" и теория трансформационной грамматики// Вопросы грамматики английского языка. Москва: изд. МГПИ.
23. ბლოხი 1971 - Блох М. Я. (1971). Ядерный уровень в парадигматическом синтаксисе (к проблеме понятия)// Синтаксические исследования по английскому языку. Москва: изд. МГПИ.
24. ბლოხი 1983 - Блох М. Я. (1983). Теоретическая грамматика английского языка. Москва: ИЯШ.

25. ბლოხო 1986 - Блох М. Я. (1986). Теоретические основы грамматики. Москва: "Высшая Школа".
26. ბლოხო 1942 - Bloch B.(1942). Outline of Linguistic Analysis. Baltimore: Linguistic Soc. of America.
27. ბლუმფილდი 1977 - Bloomfield, L.(1977). Sentence and Word. New York: Henry Holt.
28. ბოლინჯერი 1977 - Bolinger, D. (1977). Meaning and form. Ldn. and N.Y.: Longman.
29. ბონდარკო 1971 - Бондарко А.В. (1971). Грамматическая категория и контекст. Ленинград: "Наука".
30. გალპერინი 1981 - Гальперин И. А. (1981). Текст как объект лингвистического исследования. Москва: "Наука".
31. გარდინერი 1951 - Gardiner A. (1951). The Theory of Speech and Language. Oxford: Clarendon Press.
32. გასპაროვი 2001 - Гаспаров М. (2001). Литературная энциклопедия терминов и понятий. Москва. Интелвак.
33. გვენცაძე 1986 - Гвенцадзе М. А. (1986). Комуникативная лингвистика и типология текста. Москва: "Прогресс".
34. გიგლი 2008. - Gigl von Claus. (2008). Prosa/Drama/Lyrik, Stuttgart.
35. გლისონი 1966 - Gleason H. (1966). An Introduction to Descriptive Linguistics. New York: Doubleday&Co.
36. გრაიმსი 2004. - Греймас А., Курте Ж. (2004). Словарь лингвистических терминов, in: Лингвистика XX века: Система и структура языка Часть II. М.,
37. გრინი 1989 - Green G. (1989). Pragmatics and Natural Language Understanding. Hillsdale, N.J.: Erlbaum Associates.
38. გრაიცი 1965 – Grice H. (1965). Meaning. New York: Doubleday&Co.
39. გრუტი 1957 – Groot A. (1957). Classification of Word Groups. New York: Henry Holt.
40. გრესერი 1994. - Graesser, Arthur C. Singer, Murray (1994). Trabasso, Tom. "Constructing Inferences during Narrative Text Comprehension", Psychological Review 101, 371-395.

41. გრიბი 1995.- Green K. (1995). *New Essays in Deixis*. Amsterdam: Rodopi.
42. გრიბი 1995. - Green, K. (1995). *Deixis and the Poetic Persona*, *Language and Literature* 1 (2): 121-34.
43. დემიანენკო 1982. - Демьянко В. З. (1982). *Англо-русские термины по прикладной лингвистике и автоматической обработке текста*, вып. 2. М.
44. დე ბონმე 1981. - de Beaugme, R. (1981). *Introduction to Text Linguistics*. L., Longman.
45. დოლინინი 1985 - Долинин Н. (1985). *Интерпретация текста*. Москва: "Просвещение".
46. დომაშნევი 1989 - Домашнев А. И., Шишкина И.П., Гончарова Е.А. (1989). *Интерпретация художественного текста*. Москва: "Просвещение".
47. დოლონაძე 2010 - დოლონაძე ქ. (2010). რევერენცია როგორც ტექსტობრივი ფენომენი და როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა, აწსუ, ქუთაისი.
48. დრესლერი 1981 - Dressler, W.U. (1981). *Introduction to Text Linguistics*. Oxford: Oxford University Press.
49. ვინოგრადოვი 1990. - Виноградов В. (1990). Дейксис, in: *Лингвистический энциклопедический словарь*. Москва.
50. ელისონი 2000 - Alison, L. (2000). *Culture and Text: Discourse and Methodology in social research and Cultural Studies*. Cambridge: Allen&Unwin
51. ელისი 1966 - Ellis, J. (1966). *On Contextual Meaning*. London: Longman, 1966.
52. ვალგინა 2003 - Валгина Н. С. (2003). *Теория текста*. Москва: "Менеджер".
53. ვეჯბიჯკა 1985 - Вежбицка А. (1985). *Речевые акты*. Новое в зарубежной лингвистике. Вып. XVI. Москва: "Прогресс".
54. ვეჯბიჯკა 2001 - Вежбицка А. (2001). *Понимание культур через посредство ключевых слов*.
55. ვერდონკი 1995 - Verdonk, P. and I. J. Weber. (1995). Eds. *Twenties Century Fiction: From Text to Context*. L., Routledge and Kegan Paul.
56. ვალვერდე 2001 - Вальверде К. (2001). *Философская антропология*. Серия АМАТЕКА, "Христианская Россия", Москва.

57. ვუდი 2006 – Wood J. (2006). An Introduction to the Field of communication. Wadsworth.
58. ზარუბინა 1981 - Зарубина Н.Д. (1981). Текст: Лингвистический и методический аспекты. Москва: "Русский Язык".
59. ილინი 2001 – Ильин И. П. (2001). Нарратология. Москва: «Интелвак»
60. კარასიკო 2004. - Карасик В. И. (2004). Языковой круг, личность, концепты, дискурс, М., 2004.
61. კარაულოვი 1987. - Караулов Ю. (1987). Русский язык и языковая личность. Москва.
62. კიბრიკი 1983. - Кибрик А. А. (1983). Об анафоре, Дейксисе, и их соотношении. - В. сб. Заработка и применение лингвистическис процессоров. Под ред. А. С. Нариньяни. Новосибирск.
63. კოლშანსკი 1965 - Колшанский Г.В. (1965). Логика и структура языка. Москва: "Высшая школа".
64. კოსერიუ 1977 - Косериу Э. (1977). Современное положение в лингвистике. Москва: "Серия литературы и языка".
65. კრისტალი 1987 - Crystal, D. (1987). The Cambridge Encyclopedia of Language. Cambridge. Cambridge University Press.
66. კრუზი 1986 - Cruse, D.(1986). Lexical Semantics. Cambridge: Cambridge University Press.
67. კუხარენკო 1970 - Кухаренко В.А. (1970). Интерпретация текста. Ленинград: изд. Ленингр. ун-та.
68. კამპოს პარდილოსი 1995. - Campos Pardillos, M. A. (1995). "Deixis as a reference to an alleged shared situation in persuasive discourse". Revista Alicantina de Estudios Inglese, 8, 57-67.
69. კარლსონი 1980. - Carlson, Gregory, (1980). Reference to Kinds in English, Ph. D. dissertation, University of Massachusetts, Garland, NY.
70. კარსტონი 1994. - Carston, R. (1994). Metalinguistic negation and echoic use. ULC Working Papers in Linguistics, (6): 321-339.
71. არტერი 1997 - Carter R. A. and Nach, W. (1997). Seeing through Word Oxford: Blackwell.

72. კარტენი 1990 - Carten, R. A. (1990) Working with Texts. London: Routledge and Kegan Paul. 1997.
73. კაპლანი 1989. - Kaplan, David. (1989). "Demonstratives" in Joseph Almog, John Perry and Howard Wettstein (eds.), Theme from Kaplan, Oxford, Oxford University Press.
74. კრისტალი 1985 - Crystal, D. A. (1985). dictionary of Linguistics and Phonetics Blackwell, Oxford. 1985.
75. კლარკი, ჰერბერტი, 1973 - Clark, Herbert. H. and R. (1973). Schreuder: unpublished ms. "Demonstrations and Demontreatives".
76. კუკი 1994. - Cook, G. (1994). Discourse and Literature. London: Routledge and Kegan Paul.
77. ლაიონსი 1978 - Лайонз Дж. (1978). Введение в теоретическую лингвистику. Москва: "Наука".
78. ლაიონზი 1968 - Lyons J. (1968). Introduction to Theoretical Linguistics. Oxford: Oxford University Press.
79. ლებანიძე 1998 - ლებანიძე გ. (1998). ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“.
80. ლებანიძე 2004 - ლებანიძე გ. (2004). კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის დასავლურ ენათა და კულტურათა სახელმწიფო ინსტიტუტის გამომცემლობა „ენა და კულტურა“.
81. ლებანიძე 2009 - ლებანიძე გ. (2009). „შესავალი ფილოლოგიაში“. წახნაგი. ფილოლოგიის კვლევათა წელიწადული 1. თბილისი: გამომცემლობა „მემკვიდრეობა“.
82. ლებანიძე 2004 - ლებანიძე გ. (2004). კულტუროლოგიის საფუძვლები, თბ., გამომცემლობა „ენა და კულტურა“.
83. ლევინსონი 1983 - Levinson, S. (1983). Pragmatics. Cambridge: Cambridge University Press.
84. ლაკოფი 1992 - Lakoff G. (1992). Pragmatics, implicature, and presupposition. New York: Oxford University Press.

85. ლაკოფი 1977 - Lakoff G (1977). Semantics. Cambridge: Cambridge University Press.
86. ლაკოფი 1964 - Lakoff G (1964). Structural Semantics. Oxford: Oxford University Press.
87. ლევინსონი 1983. - Levinson, S. C. (1983). Pragmatics. Cambridge University Press.
88. ლაიონზი 1977. - Lyons, J. Semantics. (1977). Cambridge University Press, Cambridge.
89. ლაიონზი 1977. - Lyons, J. (1977). Linguistic Semantics. Cambridge: Cambridge University Press.
90. ლიჩი 1983 - Leech G. (1983). Principles of Pragmatics. London: Longman.
91. ლიჩი 1989 - Leech G. (1989). Review of relevance. Cambridge: Cambridge University Press.
92. ლოტმანი 1970 - Лотман Ю. М.(1970). Структура художественного текста. Москва.
93. ლონგაკრე 1960 - Longacre, R. (1960). String Constituent Analysis. Cambridge:
94. მასლოვა 2004 - Маслова, В. А. (2004) Лингвокультурология, Москва.
95. მეცლერი 2007 - Metzler, (2007). Lexicon Literatur- und Kulturtheorie. Verlag, Stuttgart. Weimar.
96. ნიქაბაძე 2004 - ნიქაბაძე მ. (2004). დიქსისის ფენომენი ინტერდისციპლინარული კვლევის პერსპექტივაში, „ენა და კულტურა“, ფილოლოგიური სერია №1.
97. ონიანი ლ. 2008 - ონიანი ლ. (2008). თანამედროვე მხატვრული კულტურა და ინგლისურენოვანი ნარატიული ტექსტის რეფერენტული სტრუქტურა, თბილისი.
98. ფილიპსი 2004. - Филлипс Л., Йоргенсен М. (2004) Дискурс-анализ. (Теория и метод). Харьков.
99. ფილიპსი 2010. - Philips A. (2010). Short Stories to Read and Discuss" (изд: Менеджер, Москва.).
100. ფილმორი 1977. - Fillmore, C. J. (1977). Topics in lexical semantics. In R. W. Cole (ed.) current Issues in Linguistic Theory. bloomington: Indiana University Press. 2873-90.

101. ფილმორი 1977. - Fillimore, C. J. (1977). Pragmatics and the description of discourse. In P. Cole (ed.) *Radical Pragmatics*. New York: Academic Press. 143-66.
102. ფილმორი 1977. - Fillimore, C. J. (1977). Towards a descriptive framework for spatial deixis. In R. J. Jarvella and W. Klein (eds.) *Speech, Place and Action*. London.
103. ფილმორი 1977. - Fillimore, C. J. (1977). Deixis and context. in K. Malmkjaer and J. Williams (eds.) *Context in language learning and understanding*. Cambridge: Cambridge University Press. 25-41.
104. ჰალიდაი 1992. - Halliday, M. A. K. (1992). "Descriptive linguistics in literary studies" in Freeman, D. (ed.) (1970) *Linguistics and Literary Style* Holt, Reinhart and Winston: 1., 57-72.
105. ჯოია 1980. - Joia A. (1980). de and Stenton A. *Terms in Systemic Linguistics: A Guide to Halliday* Batsford, L.
106. პირსი 1955. - Peirce, C. T. (1955). "Logic as Semiotic: The Theory of signs", in Justus Buchler (ed.), *Philosophical Writings of Peirce*, Dover, NY.
107. პერი 1983. - Perry, John and Jon Banvise. (1983). *Situations and Attitudes*, Bradford, Cambridge, Mass.
108. ჟულია დ. 2000 - Жулия Д. (2000). *Философский словарь*, Москва, *Международные Отношения*,
109. კუინი 1971. - Quine, W. V. (1971). "The Inscrutability of reference", in D. D. Steinberg and L. A. Jacobovits (eds.), *Semantics*, Lyons, J. *Semantics*. Cambridge University Press, Cambridge, England.
110. რებოული 1996. - Reboul A. (1996). (ed.) *Evolving reference: time and Benjamins*, Amsterdam.
111. რეკანატი 1988. - Recanati, Francois. (1988). "Rigidity and Direct Reference", *Philosophical Studies*. 53, 103-117.
112. რეკანატი 1988. - Recanati, Francois. (1988). forthcoming, *Direct Reference*, Blackwell, Oxford.
113. საქსი 1978. - Sacks, Schegloff - Jefferson. (1978). A simplest systematics for the organization of turn-taking in conversation. In Schenkein (7-55).
114. საგი 1981. - Sag, Ivan. (1981). "Formal Semantics and Extralinguistic Context", in Peter Cole (ed.) , *Radical Pragmatics*, Academic Press, NY.

115. სკოტი 1979. - Scott A. E. (1979). *Current Literary Terms*, Cambridge Un: Press.
116. სმიტი 1989. - Smith. (1989). "The Multiple Uses of Indexicals", *Synthese* 78.
117. სპერბერი 1986. - Sperber D. and Wilson D. (1986). *Relevance. Communication and Cognition*. Blavkwell, Oxford.
118. ტიუპა 2009. - Тюпа В. (2009). *Анализ художественного текста*. М., Академия.
119. უერთი 1995. - Werth, P. (1995). "World enough, and time: Deictic space the interpretation of prose". P. Verdonk and J. J. Weber. Eds. 181-206.
120. უერთი 1995. - Werth, P. (1995). *Text Worlds: Representing Conceptual Space in discourse*. L. Longman.
121. უეტსტაინი 1981. - Wettstein, Howard. (1981). "Demonstrative Reference and Definite Descriptions", *Philosophical Studies* 40, 241-257.
122. უსპენსკი 2007. - Успенский Б. (2007). *Ego Loquens. Язык и коммуникационное пространство*. М.
123. უფიმცევა 1974. - Уфимцева А. (1974). *Типы словесных знаков*. Москва.
124. ზუიკი 1977. - Zwicky, A. (1977). "Hierarchies of Person", in *Papers from the Thirteenth Regional Meeting, Chicago Linguistics Society*, Woodford A. Beach, Samuel E. Fox. Shulamith Philosoph (eds.), Chicago Linguistics Society, Chicago.
125. კეითსი 1980 - Kates, C.(1980). *Pragmatics and Semantics*. Ithaca, New York:
126. კეტსტალი 1965 - Katztal, P. (1965). *An Integrated Theory of Linguistic Discriptions*. Cambridge: Cambridge University Press.
127. შარაშენიძე 1972 - შარაშენიძე თ. (1972). *თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“*.
128. შევჩენკო 2003 - Шевченко Н.В. (2003). *Оснoвы лингвистики текста*. Москва: "Менеджер".
129. შმიდი 2008 – Шмид В. (2008). *Нарратология* . Москва: Языки Словянской Культуры.
130. შმიდტი 1978 - Шмидт Э.И. (1978). "Текст" и "история" как базовые категории. Москва: Новое в зарубежной лингвистике. Вып. VIII.
131. ჩეიფი 1975 - Чейф У.И. (1975). *Значение и структура языка*. Москва: "Наука".
132. ხოკეჩი 1970 - Хоккеч Ч. (1970). *Проблема языковых универсалий*. in: *Новое в лингвистике*. Вып. 5. Москва: "Прогресс".

133. ქუღია დ. 2000 - Жулия Д. (2000). Философский словарь, Москва, Международные Отношения.
134. ჰარისი 1952 – Harris Z. (1952). Discourse Analysis// Language. The Hague: Mouton.
135. ჰარისი 1962 - Harris Z. (1962). String Analysis of Sentence Structure. The Hague: Mouton.
136. ჰელიდეი 1961 – Halliday M. (1961). Categories of the Theory of Grammar. Ldn.: Longman.
137. ჰელიდეი 1964 - Halliday M (1964). The Linguistic Study of Literary Texts.
138. en.wikipedia.org/wiki/Deixis. - მოძიებული 04. 04. 2012
139. en.wikipedia.org/wiki/Chronotope. - მოძიებული 22. 05. 2012